

# გონიერობა



ბათუმი

3

2017



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISSN 0134-3459



7 770134 345001

17003



# ჭოროხი

გამოცემის 59-ე წელი

გაიხი-იხიანი

№3

2017 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**სანდრო გერიძე**

სარედაქციო კოლეგია  
**როინ აბუსელიძე**  
**ცისანა ანთაძე**  
**გენრი დოლიძე**  
**შოთა ზოიძე**  
**დავით თედორაძე**  
**ლალი კონცელიძე**  
**გუნა სამნიძე**  
**რამაზ სურმანიძე**  
**ჯეგალ სურმანიძე**  
**ბელა ქაბურია**  
**ვასტანბ ლლონტი**  
**თინა შიოშვილი**

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**მალხაზ ფაღვაძე**

ოპერატორი  
**მარიკა ლაშხია**

დაარსებულია 1958 წელს  
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2017

რედაქციის მისამართი:  
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი  
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა  
სტამბა კოლორში



## ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)). ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

## შინაარსი

### ჯონი, ჯონა

ზურაბ გორგილაძე – ლექსები .....	3
ნუგზარ ერგაშვილი – როლანდო და როლანდინიო (მოთხრობა) .....	10
ჯემალ ჯაყელი – ლექსები .....	17
გიგო თაყაიძე – „ტანო ტატანო“ ანუ აკრძალული სიყვარულის ამბავი (მოთხრობა) .....	29
ჯემალ სურგანიძე – ლექსები .....	45
გიგა ვეფხვაძე – სხვისი შვილი (მოთხრობა) .....	48
შოთა ანანიძე – ლექსები .....	66
ვილი გოგია – ლექსები .....	67
მარეხ (მანო) გორგილაძე – ლექსები .....	68

### ინიტი, ჯულიუსი

ზურაბ ხაბაძე – უსათაუროდ და უმისამართოდ (გაგრძელება) .....	70
ანანია ბროველი – დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას ნათესაურ კავშირთან დაკავშირებული ერთი უზუსტობის გამო .....	76
ჩიტო ომერაძე – სათქმელი, რომელიც რამდენი წელია ვერ დავალაგე... ..	79

### უსი

დენიზა სუმბაძე – ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ქრილში) (გაგრძელება) .....	82
---	----


### წერილი

ნიაზ პოლქვაძე – რა მშვენიერია ადამიანი, თუ ის ნამდვილად ადამიანია .....	104
---	-----

### ჩუქნი

ნინო მურვანიძე, თინა შიოშვილი – გიორგი ყიფიანის პოეზია, ანუ თებერვლის ლამის ტკივილთა ექო .....	107
---	-----

# ჯონსია, ჯანოჯა



## ზუზუბ პორბიდაძე

\* \* \*

ჩემი ღალუნა, ჩემი ღუნა, ჩემი ღონია,  
ერთი აქ მომცა, მალომინა და მალონია.  
ერთი აქ მომცა საფუნგალა და მაბურგალა,  
ჩემი გონგალა, მაკონკალა და თავბურძგალა,  
გამადლო მისი კისრის სუნით, თმებით, კოცნებით,  
ეჰ, ორ პარასკევს, ორ პარასკევს მეტს ვიცოცხლებდი.  
გადუქრებოდა ჩემს სიხარულს ჩრდილის ნასახიც,  
ჩემთან რომ იყოს, ჩემთან ახლა, ის მამაძალი.  
მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა ყოვლის მხარულით,  
თანდათან ვკვდები და ვშორდები ამ სიყვარულით.

### ბებერი ძალი

სოფელს დაჰღმუის მზე უშობელი.  
შენ წევხარ ჩუმად ლაფაროში –  
თვალდახუჭული  
და ცალი ყურით ქვესკნელებს უსმენ.  
მამამ რამდენჯერ მოინდომა შენი გაგდება,  
შენი დაკარგვა,  
მე კი...  
ვერ შეგელიე, ვერ გაგიმეტე.  
ახლა კი ლეკვთა ღავღავ-წკმუტუნს  
და მძუანობას,

მე შენი ღრენა მირჩევნია ბალანგაცლილი,  
 მე შენი ყეფა მირჩევნია ყრუ ხორხიანი.  
 ახალ ლეკვთათვის –  
 ძნელად ინდობა ეზო-კარი და სამყოფელი.  
 ვუნცი –  
 მათი ნერვები მშიშარაა და შემპარავი...  
 ხოლო ლინკვინტა გასლეპილ კუდით,  
 სულ იფარავენ უკანალს და ბნელში გარბიან.  
 ხშირად კი, ხშირად  
 უცხო ფეხებთან გორავენ მუდამ.  
 ხოლო ძუენები –  
 გზადაგზა ყრიან წირპლიან ლეკვებს.  
 ასე მრავლდება მანანნალა და სალახანა.  
 მამამ რამდენჯერ მოინდომა შენი გაგდება, –  
 შენი დაკარგვა...  
 მე კი...  
 ვერ გაგიმეტე, ბებერო ძაღლო, ვერ გაგიმეტე.

\* \* \*

სხვა რა იღონონ, სხვა რა შეძლონ შენმა თითებმა?  
 დგახარ ჩემს თოვლში და კისკისით ჩემთან გუნდაობ,  
 შენ რომ მორცხვობა შეგიძლია და განითლება,  
 მხოლოდ მაგისთვის... მაგის გამო... და სამუდამოდ...  
 მე ამ მაისში დამბანგეს და გამაბოროტეს,  
 მას შემდეგ დავსდევ, როგორც ჯალათს, ბედს და დიდებას,  
 იქნებ, ბეჭედის ერთგულება ზიდონ ბოლომდე...  
 სხვა რა იღონონ, სხვა რა შეძლონ შენმა თითებმა?

### მშვიდობით

მშვიდობით!.. დიდხანს ვერაფერს მოგწერ,  
 კარდაკარ ვივლი ხმაგაკმენდილი,  
 გავხდები ბევრი ავ-კარგის მოწმე,  
 და დროს შევხედავ შემცბარ ღმერთივით.  
 ვივლი, ბიბლიურ სამოსით ვივლი,  
 გავწევ კახაბრელ გლეხის შეგნებით, –  
 და ღვთის სასწორზე შეგდებულ გვირგვინს  
 შემიმკობს შენი ეჭვის ეკლები.  
 ამაოებას ვერავინ აღგვის,

ღმერთის პირშოა ყველა ღვიძილი,  
 დავდევ ბალჩაში შეპარულ თაგვებს  
 და კატა სხვენში კვდება სიცილით.  
 არ ვიცი საით, ოცნების ნავი,  
 ამდენი ვაზიც ჯვარზე დანწული,  
 სულში დაღლილი მუსიკა ყვავის  
 თუ კედლებს მიღმა ტირის ქალწული?  
 არ ვიცი!.. მე კი ვერაფერს ვყვედრი,  
 ლახვრებს განკითხვის ჟამად მოღერილს,  
 მღვრიე ფოთლებად გუბდება მდედრი  
 და ცხელ ნესტოებს ხეთქავს ოხერი.  
 მშვიდობით!.. დიდხანს ვერაფერს მოგნერ,  
 ვივლი, ბიბლიურ სამოსით ვივლი;  
 და შენ გახდები პირველი მონმე,  
 სამშობლო როგორ დამადგამს გვირგვინს.

### ჭადრაკი

არის პოეზია, მუსიკა, ბოჰემა,  
 ჯადონი ტალის თუ ფარცაგი ფიშერის...  
 მეც ჭადრაკს ვთამაშობ... და მხოლოდ მოგება,  
 ყაიმი, ძვირფასო, ვერაფერს გვიშველის.

შენ ადრე მიხვდები და გვიან გაიგებ  
 და განსჯი, ვითარცა სინათლეს შეჰფერის,  
 როგორ პატრონობდნენ უთავო პაიკებს  
 დროის და დახლების ცბიერი მეფენი.

როგორ უსისხლხორცეს მცონარა პაიკებს  
 ქისების კასტებმა, უგვანო გვარებმა,  
 ჩვენმა წინაპრებმა საფლავშიც გაიგეს  
 ჩვენი სირცხვილი და ჩვენი მწუხარება.

გახსოვს?.. ქვითინებდნენ ქარები დაფნაში  
 და ზარებს ვილაცა რეკავდა დილამდე,  
 შეწირვაც იყო და ამ მძუან თამაშში  
 მამულის ღიმილს და ღირსებას სწირავდნენ.

დღეს ჩემი მჩქეფარე აფრები იშლება,  
 ჩემს ნაფოტს მაღალი მნათობი დაჰნათის,

რას მომცემს, რაც მოხდა ტალსა თუ ფიშერთან  
დროის ორგიებით, ფიქრის კაკანათით...

ოჰ, კიდევ ჩვილი აქვს ფრჩხილი თუ ნუნები  
ჩემს ბებერ ბავშვებს და ჩემს ქალებს კაპასებს,  
ადგილს ინაცვლებენ ბეცი ფიგურები  
ამ გასაოცარი ჭადრაკის დაფაზე.

ეს მხოლოდ დროებით... დრო მიდის დრამებით,  
ხალხთან ითამაშო – მძიმე და ძნელია,  
ცარიელდებიან დაღლილი სკამები  
და ახალ ჟინსა და ჟრუანტელს ელიან.

არის პოეზია, მუსიკა, ბოჰემა,  
ჯადონი ტალის თუ ფარცაგი ფიშერის...  
მეც ჭადრაკს ვთამაშობ... და მხოლოდ მოგება,  
გახსოვდეს, ყაიმი ვერაფერს გვიშველის.

\* \* \*

ბაზი და ბუზანკალი ცარგვალს მოსდებია,  
სულში ფშატია და სისხლში ლოდებია,  
შუბლზე მყვირალობის ნისლია...  
რამდენი გმირია და გლადიატორია,  
რამდენი სარფიანი ფიქრის პატრონია,  
სამშობლო! – თუ ღმერთი გნამს, – ვისია?!

გაუთავებელი ღრეობის გადამკიდე,  
ჯიბრი აქვთ, ვინ უფრო გაართობს გადამთიელს,  
ენაყბად გაკრეფენ თავისიანს...  
გესლით და ზმორინით დამსკდარი ტუჩები აქვთ,  
საეროს, რა თქმა უნდა, სამრევლო ურჩევნიათ,  
ქვეყანა, თუ კაცი ხარ, ვისია?!

ღლაპებს ხეირიანად წვინტლი არ მოხოცვიათ,  
სადაც გაიხედავ, მათი ხორხოცია,  
მათი სიშიშველე და... ნისია...  
ზნეობის გარდა რა არ აბადიათ,  
ულიფო ჭყაპებიც, აბა, – მაგათია,  
ნამუსი, დალოცვილო, ვისია?!  
ძმის ზურგი მტრისთვის ლამაზი საფარია,

ცხრა ტყვია ცხრა ძმას ცხრა ძმისთვის აბარია,  
 ჯერ დუმან, ჯერ კი არ ისვრიან...  
 თქვენია ტახტი თუ, ყანა თუ, ვენახი,  
 მე უნდა შეგძრათ და შეგდახოთ ყველა ხმით,  
 შეგყვიროთ!  
 მაინც... საქართველო ვისია?!

### „ალიფაშა“

– „ალიფაშამ გვილალატა“... – მღერიან და მღერიან,  
 ერია თუ ბერია, მოყვარე თუ მტერია.  
 „ალიფაშამ გვილალატა“... გულს განგაშით ესობა,  
 ამ ფრაზების ლახვარი და ჰანგის უმაღლესობა.  
 გაყიდულა, გაზიდულა მინა კალათ-კალათა,  
 მე კი ვიცი, ალიფაშამ ვის და რას ულალატა,  
 მე კი ვიცი, ალიფაშამ ვის დაუგო მახენი...  
 მაგრამ წყევლად ამ სიმღერას მოსდგამს მისი სახელი.  
 ალიფაშავ, ჩემო ძველო, წინაპარო წყეულო,  
 სიმღერაში აფრენილო და მაინც დამსხვრეულო,  
 შენი სისხლი ჩემს ყორეზე ულალატოდ ანათებს,  
 მე ხომ ვიცი – ვინ გასწირე, ანდა – ვის ულალატე.  
 მაგრამ სულმაც, მაგრამ სისხლმაც, რაც არ უნდა ანათოს,  
 ვერაფერი ბიჭობაა, მტერსაც რომ ულალატო.

### მეუღლისადმი

შენ!..  
 ვინაც ჩემთან ყოფნა ინებე,  
 ასე უხეშთან და ნერვიულთან,  
 მჯერა, ჩემს სუნთქვას იმ მთებს მიუტან,  
 შუბლს შორიდან რომ მიგვირგვინებენ.  
 შეგეძლო... შენ სხვა ბედი გენახა,  
 ღაზლა გექსოვა, ქინძი გენაყა,  
 ფარჩა გეკეცა, განძი გეთვალა,  
 ან, –  
 სხვა მაღალი საქმე გეთავა.  
 გყოლოდა ქმარი ერთობ მორჩილი,  
 ტანახოვანი, გადაქორჩილი,  
 კაცი სათალი, კაცი მოთალი,  
 ოჯახში ბევრი ფულის მომტანი...



შეჰბერებოდი მის ერთგულებას,  
 როგორც ლეგენდა, – როგორც თქმულება,  
 ან, –  
 როგორც ხდება, ისე, ხალვათად,  
 გემუხთლა მისთვის და გელალატა,  
 სულ სერობებზე გველო ვნებიანს,  
 წამბაძველობას როგორც სჩვევია,  
 გადაჰყოლოდი განთქმულ დღეობებს,  
 ათას ლალატებს, ათას მკვლელობებს,  
 ნაჰკიდებოდი ფარდებს ალივით,  
 გეცხოვრა პარმის დედოფალივით,  
 და სხვის სარეცლებს გამოეზოგათ,  
 შენი სხეულის შნო და მარილი.  
 შეგეძლო, – შენ სხვა ბედი გენახა,  
 ლაზლა გექსოვა, ქინძი გენაყა,  
 ამდენი ჭირი არ დაგენახა,  
 ამდენი ჯავრი არ დაგენახა,  
 სხვენში მბორგავი ქარი – ქარცივი,  
 კარზე მომდგარი ყოფნის თულები...  
 მაგრამ ეს იყო შენი არჩივი  
 და მე ნურაფერს დამემდურები.

## ენას გვიწუნებს ციხაქალს

თათიას

დიდნენეს კალთებთან დაგტოვეთ, მთაში,  
 ჩვენი თმამტევენება, ბანდალა ბავშვი...

დიდნენე გოროზი ქალია, მძლავრი,  
 ფუძედახურული ვაზით და ყავრით.  
 ღმერთები?! –  
 ღმერთებთან ვერაა კარგად,  
 ყოფნის რაც ჯანლი და ბალღამი ბანგა,  
 სულ ქვევრში აბუდრებს ალლაჰს და ქრისტეს,  
 მას მისი ღმერთი ჰყავს და იმ ღმერთს მისდევს.  
 ისე კი... იღუმალს თავისი მიაქვს,  
 ჯვარს მისუნებლიეთ დაუსვამს ხმიადს.  
 დიდნენე ამ მთების ნუსხაა ღვიძლი,  
 რომელ ლოდს რა ტკივა, პირწმინდად იცის.  
 რომელ ხევს რა ხაფრავს, პირწმინდად დახსნის

და ბლიკვს მიუღერებს რეგვენს და თახსირს.  
დიდნენე პირველი ჯანყია მთაში,  
სხალთა რომ ურდულებს დასტაცა მაშინ...  
მას დღესაც ბევრი აქვს ჯავრი და წყლული  
და არე-მიდამოს გარგანით უვლის.  
დიდნენემ ამას წინ მოგვწერა ნაღვლით,  
– არ მოგენატრათო, ოხრებო, ბალღი?  
და აგერ, ერთი თვე გასრულდა უკვე,  
ჩვენსაა ბალღი და ვერაფერს ვუგებთ.  
ენას გვინუნებს ციცაქალა,  
საყველპუროს და საქალაქოს,  
საბას ლექსიკონს ვიშველიებთ,  
მტრისას! – ჩვენ რომ ვლაპარაკობთ.



# ნუბუარ არბიპლიძე

## როლანდო და როლანდინიო

როლანდო პროვინციული თეატრის მსახიობი იყო. თეატრი, ფეხბურთი, ქეიფი და ქალები უყვარდა. შეიძლება ეს თანმიმდევრობა ბოლოდანაც დაგვეწყოს, ბევრი არაფერი დაშავდებოდა ამით. უდიპლომო მსახიობი არანაირ წოდებას არ ატარებდა; ასე წერდნენ აფიშებზე: „მსახიობი როლანდო“. ერთხელ საპრემიერო აფიშას მეგობრებთან ერთად კითხულობდა: „მკვლელია აეროპორტში“, მონაწილეობენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო სკანინი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მანჩუ შერვინო, რესპუბლიკის სახალხო არტისტი იურუს ცანინიო, რესპუბლიკის სახალხო არტისტი სიმონე დარჩინი და მსახიობი როლანდო კაკაურე. როლანდომ მეგობრებს გადახედა და სიცილით უთხრა:

– რას წვალობდნენ ამდენს ამ აფიშის შემდგენლები? უბრალოდ დაენერათ: მონაწილეობენ როლანდო და რესპუბლიკის სახალხო არტისტები, ასე არ აჯობებდა?“.

ზოგს ეგონა, რომ ძალიან განიცდიდა უტიტულობას, მაგრამ არა, მას პოპულარობა არ აკლდა, ცოტა ფულიც ჰქონდა და სახლში ბიჭი ეზრდებოდა – როლანდინიო. ფეხბურთში ბრაზილიას გულშემმატიკვრობდა, თეატრში სახასიათო როლებს ირგებდა, ჩუმად კი ოცნებობდა ჰეროიკულ როლებზე, მაგრამ... ყველა რეჟისორი, ვინც კი ამ თეატრში ჩამოსულა (თითქოს პირი

შეკრესო), სახასიათო როლებს სთავაზობდნენ. ერთხელ, ახალი რეჟისორი წარუდგინეს მსახიობთა დასს. გოგინო ქავთა – დედაქალაქიდან იყო, ახალგაზრდა და პოპულარული. რეჟისორმა ზოგადად ისაუბრა შემოქმედებით გეგმებზე, რამდენიმე ქათინაური წარმოსთქვა თეატრის კოლექტივის და საკუთარი ინტუიციის მისამართით და ტუალეტს მიაშურა. როლანდოსაც რატომღაც მაშინ „მოუნდა“. მთავარი რეჟისორი უკვე „ასრულებდა“ პროცესს... როცა როლანდო გვერდით მიუდგა. უხერხული სიტუაციის გამო ჭერს მიაპყრო მზერა და რალაცის სტვენა წამოიწყო. გოგინო ქავთამ ეშმაკურად გადახედა მისთვის უცნობ მსახიობს და ჰკითხა: – ბატონო ჩემო, თქვენ, ალბათ, არ გინახავთ, როგორ შარდავს მთავარი რეჟისორი?

როლანდომ სასწრაფოდ მიუგო: – მაი ნამდვილად არ მინახავს, მარა, რაფერ იჯვამს მთავარი რეჟისორი, ბევრი მინახავს ამ თეატრში!

ქავთამ სიცილი ძლივს შეიკავა და სუნთქვა-შეკრული გავარდა ტუალეტიდან...

მეორე დღეს, თეატრის თანამშრომელმა როლანდოს „ახარა“ – მთავარი რეჟისორი გიბარებსო. როლანდო, რა თქმა უნდა, მიხვდა, რას ნიშნავდა ეს. გაეშურა ქავთას კაბინეტისაკენ, თან ფიქრობდა, თოჯინების თეატრში ხომ არ მოესინჯა თავი. არც შეუხედავს რეჟისორისათვის,

ისე ჩამოვდა შემოთავაზებულ სკამზე... როლანდო ფიქრობდა, „დამინყებს ახლა, რა დავამთავრე, როგორ მოვხვდი თეატრში“. გოგინომ იცნო თუ არა როლანდო, თვალეში ეშმაკები ჩაუფლდა. მან ამ დილით თანამშრომლებს ჰკითხა:

– ერთი ეს მითხარით, ვინ არის ჩვენთან ისეთი, აი... ქეიფის, „პახმელიის“ და ამნაირი საქმეების სპეციალისტი?

– როლანდო! – ერთხმად მიუგეს თეატრალეზმა...

– ესე იგი, თქვენ ხართ კაკაურე? – ძალით და ისერიოზულა თავი ქავთამ.

როლანდომ მხრები აიჩეჩა და იმავდროულად ხელები გაშალა. ეს ისე სასაცილოდ გამოუვიდა, მთავარმა თავი ვერ შეიკავა და გაუცინა:

– როლანდო, „ბორკის „პივა“ ხომ არ იცი სად არის? თავი მისკდება, გუშინ მანჩუმ იმდენი დამალევიანა!

– ასეა! ბანკეტი სახალხო არტისტებისაა და „ბორკის „პივა“ მსახიობ როლანდოს პრეროგატივა!...

კარგი ლუდი იყო პროვინციაში, ზღვისპირას ჩამოსხდნენ და მწვადი და „ბორკის „პივა“ შეუკვეთეს. იქეთური, აქეთური თქვეს. თან ლუდს სვამდნენ. ოფიცინტმა მწვადი მოიტანა. მწვადზე ალყა-ალყა ხახვი იყო დაყრილი. როლანდომ მწვადს დახედა, ქავთასაც შეახედა და ოფიცინტს უთხრა:

– ნადი, ამ ხახვს ცოტა მწვადი მოაყარე და მოდი!

სანამ მწვადი მოვიდა, „ტარანის“ დამუშავება დაიწყო.

– ამას ჩვენთან, მთავრობა ანანილებს – სინანულით წარმოთქვა ქავთამ...

– ვუთხარი, მთავარი რეჟისორი რომ ხარ და...

– ესე იგი, ასეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მთავარი რეჟისორი ამ ქალაქში? – მიამიტად იკითხა გოგინომ...

– სანამ ლუდს სვამს და მხოლოდ შარდავს, კი! – დიდხანს იცინეს.

– უკვე მთელმა ქვეყანამ იცის შენი ამბავი, – თვალი ჩაუკრა ქავთამ როლანდოს.

მალე როლების განაწილება და პიესასთან გაცნობა დაიწყო.

– ექვსი ქალი თამაშობს და ერთი მამაკაცი... ქალები გვყავს, კაცია პრობლემა... – ფიქრიანად დაასრულა წინადადება გოგინო ქავთამ.

– აგერ არ ვარ? – თქვა როლანდომ და წამოდგა. ყველამ გადაიხარხარა.

– საქმე იცი რაშია? პიესა ომზეა... შენ ომზე შექმნილი პიესებიდან ცუმბუმის როლი მოგიხდებოდა, ეს კი... ტრაგედიაა... თითქმის!

– რა პიესაა, პატივცემულო? – იკითხა მანჩუმ.

– რუსულია, მეორე მსოფლიო ომს ეხება, ტრაგედიაა.

– მე არ გამოვდგები? – იკითხა სახალხო არტისტმა.

– თქვენ უფრო დონ-კიხოტის როლი მოგიხდებოდათ!

– კარგი აზრია! – თქვა როლანდომ – მე სანჩო ვიქნები!

ქავთამ თავი დაუქნია, მართლაც „კარგი აზრიაო“, ანიშნა.

– ესე იგი კაცი არ გვყავს? – შეშფოთებით იკითხა ცირანა აბბამ.

– მოდით, პიესა წავიკითხოთ და მერე ვიმსჯელოთ.

პიესა დიდხანს იკითხეს...

– ისე გამოდის – თქვა იურუსმა – ეს კაცი მთელი ორი მოქმედება სცენაზეა, წუთით მოსვენება არა აქვს, დარბის, ისვრის, წყალი მოაქვს, ყველა რეპლიკას პასუხობს, ტელეფონზე უფროსს ესაუბრება, ქალებს ბრძოლას ასწავლის... რთულია! – დაასვენა ბოლოს.

სიჩუმე გამეფდა.

– ესე იგი, არავინ გვყავს მოხალისე? – ყველანი შეათვალიერა ქავთამ.

– ასე გამოდის! – თქვა ვილაცამ.

– მაშ, სხვა გზას დავადგეთ! შენ ხომ იყავი მოხალისე? – ბრძანებაშეპარული კილოთი მიმართა როლანდოს.

– კი ვიყავი, პატივცემულო, მოხალისე, მაგრამ ამ პიესის წაკითხვის შემდეგ... დამეკარგა ხალისი!

– ომის ენაზე ხომ ვარ მე თქვენი გენერალი?

– აქამდე დირექტორი გვეგონა გენერალი! – ჩაიბურტყუნა ვილაცამ.

– არა! – იჭექა გოგინო ქავთამ – თეატრში, მთავარი რეჟისორია გენერალი.

– ნება თქვენია, ბრძანდებით... – ჩაილულულულა როლანდომ.

– ჰოდა, როგორც გენერალს, მე მაქვს უფლება ამ სპექტაკლზე როლი კი არ დავნიშნო, არამედ პირდაპირ სამხედრო მონვევა გავუგზავნო ნებისმიერ თქვენგანს!

– აი, ეს მესმის! ასეთი რამ სტანისლავსკისაც არ უთქვამს!

– რა ბრძანეთ? – თვალეზი დააბრიალა ქავთამ, – ახლა ნამდვილ გენერალს ჰგავდა, სამხრეთ ამერიკელ კონფედერაციის გენერალს.

ყველამ თავი ჩალუნა. „გენერალმა“ ყველა ყურადღებით შეათვალიერა. როლანდომ სიჩუმეში მანჩუს უთხრა:

– ხომ არ მოვენონე? ჩემი ბედი, რომ ვიცი, ახლა მე დამადებს ხელს.

– როლანდოს გაეგზავნოს სამხედრო მონვევა! – უცებ გადაწყვიტა გოგინო ქავთამ.

კაცებმა ამოისუნთქეს. ქალები ზუსტად ექვსნი იყვნენ საბრძოლო ასაკისა და ისე გავიდნენ ოთახიდან, არც უკითხავთ, ვინიშნებით თუ არა როლზეო. როლანდო უხმოდ მივიდა ქავთასთან, ხელი სამხედროსავით ყურთან მიიღო, გაიჯგომა და მხედრული ხმით მიმართა:

– ნება მიბოძეთ, ბატონო გენერალო, განცხადებით მოგმართო!

ქავთამ:

– თავისუფლად! ჯარისკაცო როლანდო! განცხადებით წერილობით მომმართეთ! განვიხილავთ!

მეორე დილით მთავარ რეჟისორს ასეთი სახის განცხადება ედო მაგიდაზე:

„ჩვენი თეატრის მთავარ რეჟისორს  
გოგინო ქავთას,  
მსახიობ როლანდო კაკაურეს

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ სამედიცინო შემონმების შედეგად, დამიდგინეს 11 გ. რაც იმას ნიშნავს, რომ მშვიდობიან პერიოდში დანუნებული ვარ

სამხედრო სამსახურისათვის, ხოლო ომის დროს, ვარგისიანი ვარ კარტოფილის თლაზე! ასე რომ, გთხოვთ, გამათავისუფლოთ შემოთავაზებული როლიდან.

\* \* \*

როლანდო რესტორანში ქეიფობდა. გვიან ღამით მისმა ცოლმა მანჩუსთან დარეკა:

– როლანდო შენთან ხომ არ არის?

– არა, არ მინახავს, არ ვიცი, სად არის! – უპასუხა ძილგატეხილმა შერვინომ.

ორი საათის შემდეგ ისევ გაისმა ტელეფონის ზარი.

– ბოდიში, ისევ რომ გაღვიძებ... მაგრამ როლანდო ხომ არ გამოჩენილა?

– არა, არა! – განამებული ხმით ჩასძახა ყურმილს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა.

როლანდო დილის 5 საათზე მორჩა ქეიფს. ნახევარ საათში სახლს მიადგა. ცოლმა საყვედურის კორიანტელი დააყენა:

– მთელი ღამე ვურეკავდი მანჩუ შერვინს, შენს ძებნაში კაცი არ დავაძინე! ღამაზია ახლა ეს, როლანდო? ამხელა კაცი ვანერვიულე!

როლანდო ტელეფონთან მივიდა, ყურმილი აიღო და შერვინის ნომერი აკრიფა.

– დი...ახ!!! – გაისმა შერვინის ტრაგიკული ხმა.

– აღარ ინერვიულო! სახლში დავბრუნდი! – დაამშვიდა მეგობარი როლანდომ.

– დამაძინეთ... თქვენი!.. – გაისმა ყურმილში. ვინ იცის, კიდევ რა თქვა მანჩუმ, მაგრამ როლანდომ ყურმილი დადო, აღარ დაინტერესდა ამით.

– ასე ყვირის, რაღაც რომ გაუხარდება! – ჩაულაპარაკა ცოლს.

\* \* \*

როლანდოს ქალაქში ხშირად წვიმდა. ტროპიკული, დაუმთავრებელი წვიმა იცოდა აქ. ამდენი წყლისგან ფეხსაცმელი „პირს“ დააბჩინდა ხოლმე. როლანდომ ნებო „მომენტი“ იყიდა. ყოველ ღამე ნებოს ჩაასხამდა ფეხსაცმელში და მაგიდის ფეხს დაადგამდა ზენოდან, დილამდე რომ

გაქვავებულებო. დილით, ფეხსაცმელი „სამუშაო“ მზადყოფნაში ხვდებოდა. თუ ისევ წვიმდა, სალამოსთვის ისევ დააღებდა პირს ახლად დაჭერილი თევზივით მისი ფეხსაცმელი. ქავთამ დაურეკა ერთ ასეთ სალამოს:

– როლანდო, სტუმარი მყავს ცენტრიდან, ტაქსი აიყვანე და სასწრაფოდ მოდი, კაი პურმარილი მაქვს!

– ვერ მოვალ, გვიანია! – საათს გახედა და თან დაამთქნარა როლანდომ.

– სტუმარი სადგურიდან პირდაპირ ჩემთან მოვიდა, ამიტომ ვინცებთ ცოტათი გვიან. წამოდი, წამოდი!

– ვერ წამოვალ, უკვე ფეხსაცმელში წებო ჩავასხი!

– აუჰ! რომელ წებოს ასხამ?

– „მომენტს“.

– რა ღირს?

– მანეთი.

– ჩემო როლანდო, აქ სულ წვიმს და მაგ წებოს ამდენჯერ ყიდვას, ახალი ფეხსაცმელი გეყიდა არ გერჩივნა?

– მართალი ხარ, მაგრამ რა ვქნა, ფეხშიშველა ხომ არ მოვალ?...

პაუზის შემდეგ ქავთამ მოისაზრა:

– ტაქსიში ვინ დაგინახავს, და აქ რალაცას მოგცემ, შინაურულად იქნები...

– კარგი, – დაეთანხმა როლანდო. ფერსაცმელი და წებო გაზეთში შეახვია და ტაქსი გამოიძახა.

– სა მიგაქვს ეგ ფეხსაცმელი? – შეეკითხა გაკვირვებული მეუღლე.

– იქიდან ფეხშიშველი ხომ არ დავბრუნდები? ცოლმა ვერაფერი გაიგო. მხრები აიჩიჩა.

სტუმარი როლანდოსთვის ცნობილი ადამიანი აღმოჩნდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ. ქავთამ გაზეთში საგანი შეამჩნია.

– ეს რა არის? საჩუქარი მომიტანე?

– ჰო, ფეხსაცმელი და წებო! – გაუცინა როლანდომ. – მაგიდა ხომ გაქვს? – მაგიდისაკენ დაიძრა, ოდნავ წამოწია და მას ფეხსაცმლის წვერი შეუშვირა.

– კაცო, სახლში მაგიდა არ გქონდა? – გაოცდა გოგინო.

– ამას სიმძიმე უყვარს! – მრავალმნიშვნელოვნად, თითის აწევით წარმოსთქვა როლანდომ – ცარიელი მაგიდა ვერ აწებებს კარგად, როგორც კი მითხარი, ცენტრიდან მყავს სტუმარი, მაშინვე მივხვდი, არ იძუნებდი და საკმაოდ „დაამძიმებდი“ პურმარილით მაგიდას! ა, ახლა ჩვენ ვიქეიფოთ და ამასობაში ეს ისე დაწებდება, შენი მოწონებული!

სტუმარი ძალიან გაართო ამ სიტუაციამ:

– ესე იგი ვქეიფობთ წარმოებისგან მოუწყვეტლად, არა?

– რა ვქნა, ბატონო! რასაც თეატრში მიხდინა, ამ წებოზე მყოფნის მარტო... – თავი მოისაწყლა როლანდომ.

– მოდი, წვიმას გაუმარჯოს! – თქვა ცნობილმა სტუმარმა – კარგია, როცა წვიმს და შენ გადახურულში ხარ! მეგობრებთან, ბუხართან, ფიქრობ, ოცნებობ, გიყვარს... და ყველაფერს ამას ისე ალამაზებს წვიმა, როგორც ფილმს საუკეთესო მუსიკალური თანხლება...

– უკაცრავად, – შეაწყვეტინა როლანდომ სტუმარს, – წებო არ დაგავიწყდეთ...

– წებო რა შუაშია?

– მაგი წვიმაა, გაზეთით რომ დამატარებინებს საკუთარ ფეხსაცმელს, ყოველდღე ერთი ტუბი წებო სჭირდება აქაური წვიმით დამბალ ფეხსაცმელს, პირი რომ შეკრას...

– ოოო, ეგ სულ დამავიწყდა! ჩემო გოგინო, უყიდეტ ჩემს სახელზე ბატონ როლანდოს წყალგამძლე, ახალი ფეხსაცმელი! – ფული გაუნოდა ქავთას სტუმარმა.

გოგინომ თვალი ჩაუკრა როლანდოს:

– ამაზე რას იტყვი, როლანდო?

– რა უნდა ვთქვა: წვიმას გაუმარჯოს, კარგია როცა წვიმს და შენ გადახურულში ხარ, ფიქრობ, ოცნებობ, გიყვარს! და თან... უკვე ფეხებზე გკიდია მაგიდის ფეხის ქვეშ შემოდებული ფეხსაცმელი! – სიცილ-ხარხარში როლანდო სტუმარს გადაეხვია.

– კაი კაცი ხარ, ჩემო როლანდო, კაი კაცი! – ცოტა ხანში ახალი სადღეგრძელო წამოიწყო ქავთამ – და კაი ბიჭიც გეზრდება – როლანდინო.

– ოოო, გაგიზარდოს ღმერთმა – ფეხზე წამო-  
დგა სტუმარი. – შენგან ბევრ რამეს ისწავლის!

– კი, მემგვანება ნელ-ნელა! რაც მთავარია,  
„დეტსკი“ ნებო ვუყიდე და სათამაშო მაგიდის  
ქვეშ ფეხსაცმელს ნებავეს უკვე!

სტუმარმა საფულე დააძრო.

– სტოპ! – შეაჩერა სტუმარი გოგინომ – რო-  
ლანდინოს მე ვაფინანსებ! – ჯიბეზე ხელი გა-  
იკრა მთავარმა რეჟისორმა.

– იცის, ბავშვის ფეხსაცმელი უფრო იაფი  
რომ ღირს! – თვალი ჩაუკრა როლანდომ სტუმარ-  
ს – ისე, გოგოც მყავს სახლში, სკოლაში დადის!  
– სტუმარმა ისევ გახსნა საფულე...

– ა, ახლა დავრწმუნდი ამ ანდაზის სიმა-  
რთლეში: სტუმარი – ღვთისაა! – ჭიქა ბოლომდე  
დაცალა როლანდომ.

\* \* \*

როლანდინო მამის კვალს გაყვა და სკოლის  
დამთავრების შემდეგ თეატრალური ინსტიტუ-  
ტის სტუდენტი გახდა. ერთი კურსელი ჰყავდა,  
ყოველდღე ქვით ხელში შემოაღებდა აუდიტო-  
რიის კარს.

– რა არის ეს? – ერთხელ ჰკითხა როლანდი-  
ნომ.

– ეს ჩემი მეგობარია, – მრავალმნიშვნელო-  
ვნად უპასუხა თანაკურსელმა. ჩანდა, თავის გა-  
მოჩენა უნდოდა.

ერთხელაც, ხელში ქვა რომ ველარ დაუნახა  
მას, როლანდინომ შეჰკვივლა:

– რაიმე უბედურება ხომ არ დაგემართა? სა-  
დაა შენი ქვა?

– დამავინყდა, დილით ვჩქარობდი... – ჩაი-  
ლულულა ამხანაგმა.

– ოოო, ეს ღალატია! მეგობრის ღალატი კი  
ყველაზე დიდი ცოდვაა. – მთელი კურსი ახარხა-  
რდა ამ სიტყვების გაგონებაზე. ასე სიცილ-სი-  
ცილით დაამთავრა საკლუბო-სადირექტორო  
ფაკულტეტი და ცირკში ადმინისტრატორად მო-  
ენყო ჩვენი როლანდინო.

ერთხელ დირექტორმა, სერჟიომ, დაიბარა:

– ჰამადრილები ჩამოვიდნენ... მაგარი ატრაქ-  
ციონია, – უთხრა დირექტორმა – სხვათა შორის,

ნითელ წიგნში შეტანილი მაიმუნებია. კარგი  
რეკლამით ბევრი ხალხის მოზიდვა შეიძლება,  
მაგრამ, რა... – ამოიოხრა სერჟინომ – მთელი  
ფული გადასახადებში მიდის...

როლანდინო მყის მიუხვდა უფროსს:

– საჭმლიდან მოვტეხოთ! რას ჭამენ ეგ მაი-  
მუნები?

– ნიგოზს!

– თხილი ვაჭამოთ! ნიგოზი 20 დოლარინო  
ღირს, თხილი – 1 დოლარინო. 20-1 უდრის 19-ს.  
ცოტა მეც შემხვდება, ალბათ. – თვალეში შეს-  
ციცინა როლანდინომ სერჟიოს.

– რა თქმა უნდა! როგორც ყოველთვის, უკ-  
მაყოფილო არ დარჩები... – ფიქრებში წასულმა  
უფროსმა ჩაილაპარაკა – მაგრამ... როგორ უნდა  
მოახერხო ეს?

ცოტა ხნით სიჩუმე გამეფდა. როლანდინომ  
შუბლში ხელი იტკიცა:

– მაიმუნების მწვრთნელი რუსეთიდანაა ხომ?

– კი, რუსია!

– რუსულად ნიგოზიც და თხილიც ერთნაი-  
რად ჟღერს – „ორეხი“ – ენის ცოდნა გამოამჟღა-  
ვნა როლანდინომ.

– ააა?! – თვალეები გაუბრწყინდა სერჟიო  
უფროსს – ეს ხომ გენიალურია! ჩაანერინე  
„ორეხი“ 20 დოლარინოდ და მაიმუნებს აჭამე  
„ორეხი“ 1 დოლარინოდ!

– მთავარია, რუსი „შევეკეროთ“;

– ეგ მე მომანდეთ! მაგრამ, უფრო მთავარია,  
მაიმუნებმა 1 დოლარინოდ ღირებულნი „ორეხი“  
ჭამონ! ცოტა ფული მომეცით, რუსს არაყი რომ  
ვუყიდო!

როლანდინომ ფული აიღო და მწვრთნელს  
არყის ბოთლით მიაშურა. ცხელოდა სამხრეთ  
ამერიკანოში, მაგრამ, რუსი რისი რუსია, არყის  
დანახვაზე ხასიათი რომ არ გამოკეთებოდა.

– ვოტ ეტო დელო! (აი ეს საქმეა!) – გაიცინა  
მაიმუნების მწვრთნელმა.

როლანდინომ ბანანი გაფცქვენა და რუსის-  
კენ დადო.

– ზაკუსკა! ზაკუსკა! – გაუცინა ადმინისტრა-  
ტორმა.

რამდენიმე წიქის შემდეგ როლანდინომ კვების რაციონზე ხელის მონერა მოითხოვა სტუმრისაგან.

– ნეტ! ნივ კოემ სლუჩაე (არა, არა! რავა გეკადრებათო!)

– „ორეხი“ „ორეხი“! – ერთდოლარინიოდ ღირებულ თხილზე მიუთითებდა კონტრაქტის გრაფაში.

კიდევ ერთი „ნეტ“ რომ მიიღო, როლანდინო წამოხტა და იქვე მყოფ მალაზინიოში შეიჭრა.

– ვოდკა! – დაუძახა გამყიდველს.

– ტემპერატუროს! – თერმომეტრზე მიუთითა გამყიდველმა.

თერმომეტრი +50-ს აჩვენებდა, თან თითი საფეთქელთან დაიტრიალა. რაც მათ ენაზე „გიჟი ხომ არ ხარო“-ს ნიშნავს. როლანდინომ ფული დახლზე დაუდო და ცირკში ახალი ბოთლით დაბრუნდა.

– „ვოტ ეტო დელო!“ (ეს უკვე გადავთარგმნეთ!)

გახარებულ რუსს როლანდინომ კონტრაქტი „შეაპარა“.

– „ორეხი“ 1 დოლარიონიოდ! – თან ხვეწნა-მუდარის ნიშნად ყელი გამოინია.

– „ლადნო! ტვოე ვზიალო!“ – გაიცინა ჰამადრილთუხუცესმა. ავტოგრაფი იმავე ხელით დავთარში, რომლითაც არყის წიქა ეჭირა. წიქა დაცალა და ბანანი მიაყოლა.

– პაიდიომ! – მწვრთნელმა ადმინისტრატორს მხარზე ხელი დაჰკრა. როლანდინომ გარჩეული თხილი ჯიბეში ჩაიყარა, მწვრთნელს თვალი ჩაუკრა და მაიმუნების გალიასთან მიჰყვა. მაიმუნებმა დიდი სიამოვნებით მიირთვეს თხილი. გახარებულმა მწვრთნელმა კიდევ რამდენიმე წიქა დასცალა...

დადგა პრემიერის დღე. სალაროში არც ერთი ბილეთი აღარ იყო. ქალაქის თავიცი კი ეწვია ცირკს, აღარაფერს ვამბობ მაღალ საზოგადოებაზე, რომელიც ამ სიტუაციაში კი თავის ფენისათვის შესაფერისად (თუმცა ცირკისათვის შეუფერებლად) ჩაცმულ-დახურული მოვიდა. ქალაქის მერი და მისი ცოლ-შვილი პირველ რიგში მოკა-

ლათდნენ. მისი დაცვა და დანარჩენი მლიქვნელ-მაქებრები – უკან, მეორე რიგში. ყველაფერი კარგად მიდიოდა. როლანდინო გულიანად იცინოდა, ფული უკვე საიმედოდ ედო ჯიბეში, არსადან საფრთხე არ ემუქრებოდა, წარმოდგენის დასასრულს ჰამადრილები წარუდგინეს პატივცემულ საზოგადოებას.

ჰამადრილები ტაშის გრიალში ტუმბოებზე შეხტნენ.

– ალე, ჰოპ! – დაიძახა რუსმა.

ერთი ჰამადრილი ტუმბოდან ტუმბოზე გადახტა.

– დომინოს! (ღმერთო დამიცავი! ლათ.) – შეჰყვირა ქალაქის მერმა. მისმა გამოპრანჭულმა ცოლმა, ქმრის გაქათქათებულ პერანგზე, ხმლის ნაკვალევით წვრილი გადატრანწული დაინახა და შეჰკვივლა. კვილი ასე არ უნდაო და მეორე ჰამადრილმა პირდაპირ მიახსურა საზეიმოდ ჩაცმულ ქალბატონს. ხალხი აღრიალდა. შეშინებულმა ჰამადრილებმა ტრანის ქავლები მიუშვეს მაყურებელს.

ჰამადრილების მიერ „გალამაზებულ“ მწვრთნელს გისოსებიდან თავი გამოეყო და როლანდინოს ეძახდა.

– გავარილ შე ია ტებე! ეხ, ტი, პრავდა ორეხ ნედობიტი! (ხომ გეუბნებოდი შე დაუნაყავო გოზინაყო!).

შერცხვენილი როლანდინო ცირკიდან გაიპარა.

\*\*\*

როლანდოს და გოგინო ქავთას თითქმის ერთნაირი ულვაშები ჰქონდათ. ულვაშებივით ჰგავდნენ ერთმანეთს მათი დღის რეჟიმებიც: რეპეტიციები, სპექტაკლები და ქეიფები, დილამდე დამღლევი პურმარილები. ერთხელაც ნაბახუსევმა, ძილგატეხილმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, იმ დღეს არ დაეღიათ. გოგინო ქავთა ნაქირავებში მარტო ცხოვრობდა. შუადღისას, ნახევრად მძინარე გოგინომ როლანდოს უთხრა:

– ნამოდი ჩემთან, დავისვენოთ, ცოტა ნავუძინოთ და აზრზე მოვიდეთ.



როლანდოს მოეწონა ეს აზრი. შევიდნენ ბინაში და ერთადერთ, განიერ ლოგინში ჩაწვენენ. გადასაფარებლები უღვაშამდე წაიფარეს. ის იყო უნდა ჩასძინებოდათ, რომ კარი უცხო მამაკაცმა შემოაღო.

– დენის მრიცხველი უნდა შევამოწმო! – შემოსძახა კარებიდან, მაგრამ ორი მამაკაცი გვერდიგვერდ დაწოლილი რომ დაინახა, შეცბა და გასვლა დააპირა.

– უკაცრავად! – ჩაიბუტბუტა.

– არ წახვიდე, შე კაცო! – დაიყვირა როლანდომ, – არაფერი გეგონოს, შემოალე, შე კაცო კარი! სად მიდიხარ?

ინკასატორი შემოტრიალდა, რა თქმა უნდა ქალაქის საყვარელი ხალხი შეიცნო და უხერხულად გაიცინა.

– კარი ღია დაგიტოვებიათ და იმიტომ...

გოგინომ ჭერს ახედა.

– არ გვინერია დასვენება! გამოგვინერე ეგ ქვითარი. შენ კი, როლანდო, წადი არაყზე! ამ პატიოსან კაცს ეჭვები რომ გავუფანტოთ.

დალამებამდე ქეიფობდნენ როლანდო, გოგინო და ინკასატორი, თან მეტწილად ქალებზე ლაპარაკობდნენ...

– ერთხელ, – წამოიწყო როლანდომ, – აეროპორტში ვაცილებდით სტუმარს. – თან გოგინო ქავთას თვალი ჩაუკრა – ჰოდა, ტაქსი გავაჩერეთ... ტაქსიში ულამაზესი ქერა ქალბატონი აღმოჩნდა. სანამ აეროპორტში მივედით, ეს ქალი დავიმეგობრეთ, გვიცნო, რა თქმა უნდა.

– კარგი, არ გინდა ეგ ისტორია, სირცხვილია! მოდით, ლამაზი ქალების სადღეგრძელო იყოს! – შეაწყვეტინა ქავთამ.

– მართლაც საოცარია თქვენთან ქეიფი! და რაც მთავარია, მეზობლები გადარჩნენ დაჯარიმებას, – გაიცინა ინკასატორმა.

– მერე, რა მოხდა შემდეგ? – შეეკითხა როლანდოს მას შემდეგ, რაც ლუკმა გადაყლაპა როლანდომ თვალებით ნებართვა აიღო მთავარი რეჟისორისაგან და გააგრძელა:

– ისე მოგვეწონა ეს ქალბატონი, რომ ზღვისპირა კაფეში დავპატიჟეთ.

– კი, მაგრამ – აეროპორტი? – შეაწყვეტინა ინკასატორმა.

– სტუმარი გავაცილეთ და უკან გამოვბრუნდით.

– იოლად დაითანხმეთ?

– ასე უნდოდა მასაც. დაქალს დაურეკა და ავშენდით ხალხი. ერთი წყვილი რომ სასტუმროში გავისტუმრე, მე ფული აღარ მქონდა და ქალაქის გარეუბანში გასეირნება შევთავაზე. ასე ვთქვათ, „მოფარებულში“!

გოგინო ხითხითებდა, ინკასატორს თვალები გაფართოებოდა და წამოწივებოდა.

– მერე? მერე?

– მერე, სასაცილო ამბავი დამემართა! ბნელოდა და რკინიგზის რელსებთან, ბუჩქებში წამოვიწყე სასიყვარულო სცენა. მაგარი ქალი იყო. წითელი ტრუსები ეცვა...

ინკასატორმა სუნთქვა შეაჩერა.

– მაგრამ, ჩემი ბედი ხომ იცით. მატარებლის ვატმანი წამომადგა თავს! – ჩამეშალა ყველაფერი!


– რატომ? რა მოხდა? – სულ გაგიჟდა ინკასატორი.

– რატომ და ის წითელი ტრუსი თურმე ხელში მეჭირა და ვაფრიალებდი, მატარებლის მძღოლს წითელი, გამაფრთხილებელი დროშა ეგონა და ზედ თავზე გამიჩერა მატარებელი!

ინკასატორი სიცილით კინალამ მოკვდა.

– ეგ არ ვიცოდი, შე ყურუმსალო, შენა!

გოგინო ქავთამ ჭიქა შეივსო.



# ტაბუა ტაყაიდი

## მიტოვებული

მიტოვებული იყო, იქნებ, იგი სარდაფი  
მე რომ მეძინა – ნესტიანი სუნის ამტანი.  
გარეთ ისმოდა ავადმყოფურ ხმათა დაფდაფი  
და იმის რიტმზე ბნელში ჩანდა როკვა სატანის.  
არა! არასდროს არ ყოფილა ასე ლაჩარი  
დრო, მრუშობებით კაბის კალთებჩამოხეული.  
ხელში მიჭირავს შუბი ჩემივ გულის განაჩარი  
და ჭორის ჭინჭრით დაჭინჭრული ჩემი სხეული.  
ვხედავ, კედლებზე წარწერაა, ვითარცა არზა, –  
დღე ხვალინდელი, ჩუმი, როგორც საცოდაობა,  
რაიც მოძრაობს, ლანდი მისი ზიგზაგებს ხაზავს,  
ვით ფანტომებში გარდასული ჩემი თაობა.  
ჭრიჭინობელას დააქვს ჭორი, ჭირი ეული,  
ვიღაცა ჭორის გვირგვინს მადგამს – ბულულს ყანების.  
ოჰ! ელდორადოს სანაპირო ყოფილა შორი,  
სამასწლოვანი მიაღწევენ, ალბათ, ყვავები,  
ოჰ! ელდორადო, რად გაგიცან ასეთი გზებით,  
თუკი შენამდე მოსვლა იყო მუდმივი სენი.  
იმედის გერი – ვხეტილობ ციების გზებით,  
ასე ობოლი, ნალდაყრილი საბრალო ცხენი.

13.07.2012

## წვიმს

წვიმს, ქარიშხალი კვალდაკვალ დადის,  
ნერგთა სინაზის და მოლოდინის  
და სულში ჩუმად მოჟონავს დარდი  
ბლოკის, გოიას და ბოროდინის.

ცა ავსებულა, როგორც დამბაჩა,  
 უამინდობის შავი ზმანება...  
 მაგრამ ნერგები რაიც გადარჩა,  
 გულში ჩაიკრეს ლამაზმანებმა.  
 მკერდით გაათბეს და განთიადის  
 თვალით დალიეს შემოკიდება.  
 ისევ მიმღერეს რალაც დიადი  
 და მომახალეს გულზე დიდება.  
 ...და მაინც წვიმა კვალდაკვალ დადის  
 ნერგთა სინაზის და მოლოდინის  
 და სულში ჩუმად მოჟონავს დარდი  
 ბლოკის, გოიას და ბოროდინის!

1982

## სეტყვა

„მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა“,  
 მაგრამ იხტიბარს არ იტებს სეტყვა.  
 სეტყვას უნდა, რომ თავისი ქნას, –  
 არ დაიბრუნოს მუქარის სიტყვა,  
 ანუ დაჩეჩქვოს მდუმარე ქვა!  
 ეხლება ზედ და ედება ბრაზი.  
 მაგრამ, ვით მოზვერს, – ემტვრევა რქა,  
 ქვას კი ბაგეზე ღიმილი აზის.  
 და ეუბნება მშიდად და წყნარად, –  
 დროა, ბიძიკო, ნახვიდე სახლში.  
 ვინც ქვასთან იყო ოდესღაც მწყრაღად,  
 მან თავი ველარ გამოყო ხალხში!  
 წადი, ბიძიკო, წადი!...

2008 წ. 28 მარტი

## მზაპპარი

მისთვის არ არის სხვა სიხალისე,  
 არც დრო, არც სივრცე და არც მანძილი,  
 თავს იკატუნებს ანუ კატისებრ  
 „სძინავს“ მზაკვრულად, ვითომ ღრმა ძილით.  
 „სძინავს“ ნაკვერჩხალს, ვნებაც იქ არის,  
 სადაც ჟინია შურის, ურგობის.

ფერფლნაყრილი და, თითქოს, მიმქრალი  
 ცეცხლი მალულად რჩება უქრობი.  
 თითქოს, გაიძრო გველმა პერანგი...  
 მაგრამ იმედი ჩაქრა სვესავით.  
 ვერაგი მაინც არის ვერაგი,  
 სანამ თავი აქვს გაუსრესავი.  
 ბედმა ხანდახან იცის დაცინვა,  
 არევ-დარევა სწორი გზა-კვალის.  
 ვინაც კაცია...  
 და თუ კაცია  
 ბოლომდე უნდა დაგმოს მზაკვარი!

### ვერბვი...

ერთ სატანასთან მე ვარ ევლია<sup>1</sup>  
 ათასთან – ათას ერთი სატანა.  
 ამ მაქციობას მუდამ ელიან.  
 მაგრამ ღმერთმა მე გამომატანა.  
 მოკეთისათვის ვარ ნათლის სვეტი,  
 კალოს რომ უვლის, ჩემი კევრია.  
 მე ყველა მტერზე ვარ ერთით მეტი,  
 ამიტომ ვერვინ ვერ მომერია!  
 ვერ გაარჩიეს ტკბილი და მწუთხი,  
 რაა – მარჯვენა, რაა – ცაცია.  
 მეზღინებიან ოთხივე კუთხით,  
 ამიტომ ვერვინ ვერ წამაქცია!

\* \* \*

იდგა ბაბუანვერობის ჟამი,  
 რად დააბერე ბაბუა, ჟამო?!  
 ინამებოდა ბალიში ღამით  
 მოუსყიდველი სიბერის გამო.  
 რად დააოსე რაინდი, ჟამო,  
 სულში ზმანება რალაზე ჩანნე,  
 ცოდვაა კაცი, სიბერის გამო  
 უნდა ადგეს და საფლავში ჩანვეს.

<sup>1</sup> ევლია – ღმერთის მოციქული.

## ამ გმირობისთვის წამება ღირდა

ეცადენ და ვერ გამხადეს ბოროტი,  
 ეცადენ და ვერ გამხადეს ფლიდი,  
 წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,  
 თურმე ესეც გმირობაა დიდი.

იოსებ ნონეშვილი

მე ამ გმირობის მივარღვევ აღმართს,  
 ყ-ზე ვიკიდებ ოხერ-ტიალებს.  
 ჩემი ბორჯღალი, მბრუნავი წალმა,  
 უკულმა ველარ შეატრიალეს.  
 ძაღლობდნენ. ფეხებს იდგამდნენ წელზე  
 და ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ ძალით.  
 სარს ეგებოდნენ ღობისას წვერზე  
 და კვლავ იცვამდნენ გიჟების ხალათს.  
 არ იქნა, ველარ მომარგეს ნება,  
 ვერ აღისრულეს შავი პირობა.  
 მე რად მჭირდება ტაში და ქება,  
 მაგრამ ესაა, ვიცი, გმირობა.  
 ამ გმირობისთვის წამება ღირდა  
 და მეც ამიტომ ასე ვენამე.  
 ვდგავარ ატლანტი ქვეყნისა წმინდა,  
 მაგ თახისრების გადალენვამდე!!!

2012

## დედაო მიწავ, მადლობა შენდა!

რაც უფრო მჭიდროდ გვეცვას თორანი  
 და ჯაჭვი გვერტყას წელზე ქამარად,  
 რაც უფრო მქისე იყოს ჩაჩქანი,  
 ყელთან შესკვნილი, შენივთებული,  
 ბოლოს და ბოლოს მაინც ვშიშვლდებით  
 ჩვენი ცოდვის და მადლის წინაშე  
 და ვაი, ჩვენს თავს, შენ რომ არ იყო,  
 ჩვენო იმედო, დედაო მიწავ.  
 ეს – შენ დაფარავ სხეულის ჩვენის  
 და სულის ჩვენის ცოდვილ სიშიშვლეს.  
 ეს – შენ ჩაგვაცმევ სიბნელის დუმილს  
 დედაო მიწავ, მადლობა შენდა!

2015

## მე ვიცი!

(ციკლიდან „ოთხმოცის მერე“)

მე ვიცი,  
ვიცი,  
სიყვარულით ისე ნალოთი,  
როგორც აპისო,  
გალენილი სევდის კალოთი, –  
მეასე წლისთავს  
ღრმა დუმილით შევეგებები  
ჩემი ლამაზი,  
სევდიანი სასაფლაოთი.

2008

## ცოტაც მაცალე...

მე სტუმარი ვარ ამა ქვეყნის,  
ცოტაც მაცალე...  
მე სტუმარი ვარ,  
ვით ოცნება მიუსაფარი.  
მე ჩემით წავალ,  
ჩემით წავალ, შენ გენაცვალე,  
წავალ უგონოდ და უჩუმოდ,  
როგორც ზღაპარი.  
მე სტუმარი ვარ ამა მიწის,  
მთისა თუ ბარის,  
მე წავალ, წავალ,  
ნუ მაჩქარებ,  
ცოტაც მაცალე.  
როგორც ამბობენ, სტუმარი თუ მართლაც ღვთის არი,  
ღვთის გულისთვის მომითმინე, შენ გენაცვალე!  
შევკონავ სხივებს, რაც ამ გულით გამოვასხივე,  
და ლარნაკებში ჩავაქროლებ, თუკი ჩავტიე,  
ასი წამი მაქვს დარჩენილი და ეს ასივე  
ასი ლექსივით მიითვალე და მაპატიე!  
მე სტუმარი ვარ ამა ქვეყნის,  
ჩემი კარები  
ჩაირაზება და დღის ფარდას ღამე გადასწევს.  
ვინაც მელოდა, მას სიცოცხლით არ ვეკმარები,  
ვინც არ მელოდა, მას ეყოფა, ალაბთ, ათას წელს.  
მე ახლა წავალ,

ჩემით ნავალ, სწორედ ის არი  
 სევდის ქარი, ტირიფებში დღეს რომ ტკარცალებს,  
 როგორც ამბობენ, სტუმარიო მართლაც ღვთის არი,  
 ღვთის გულისათვის, მომითმინე, შენ გენაცვალე!

### პომეტის სიკვდილი

აუქციონზე ცხედარი იდო...  
 აუქციონზე იდო ცხედარი...  
 აურაცხელი მყიდველი იყო,  
 ზოგი მხნე, ზოგი გაუბედავი.  
 აუქციონზე ცხედარი იდო,  
 ქარებისგან გაფშვნილ ულო და.  
 აურაცხელი მყიდველი იყო,  
 მაგრამ არავინ არ ყიდულობდა.  
 აუქციონზე ცხედარი იყო,  
 აღსრულებული განგების წიხლით.  
 ზოგი ამბობდა: – რატომ ვიყიდო?!  
 ზოგი ამბობდა: – რა თავში ვიხლი?!  
 ზოგი ამბობდა...  
 და ბედის თალხი  
 ედო ცხედარის მიხუჭულ თვალებს,  
 მოულოდნელად მიმოდგა ხალხი  
 და გზა დაუთმო ქალს მგლოვიარეს.  
 უცნობმა ქალმა ასწია ხელი,  
 როგორც იმედის ნათელი სვეტი,  
 გადაიხადა დიდძალი...  
 ცრემლი  
 და მგოსნის გვამი წაიღო ეტლით.

1984

### შაბათის ღამე

ფეხქვეშ მეცლება სიცოცხლე,  
 ჩამოიღვენთა სანთელი,  
 მსურს მივატოვო სიმორცხვე  
 და გავამხილო სათქმელი, –  
 დღეს ბოლო მზეა, მგონი,  
 და როს ჩავიცვამ მიწას,  
 ამიდუღდება ჯონი,

ყველა მოიწყენს იმ წამს...  
 „წამსვლელთა წასვლა სჯობია,  
 არდაყოვნება ხანის“.  
 სიკვდილ-სიცოცხლე ჰობია,  
 ღმერთს ხან ეს უნდა, ხან – ის.  
 სიცოცხლე წასესხებია,  
 ისევე იბრუნებს ღმერთი.  
 დღეს სინანულის ხმებია,  
 გამოირჩევა ერთი!...

2015

### როგორ დაგტოვო?!

როგორ დავტოვო სულის ნათელი –  
 მარისა, ლონდა, ლანა თუ ლედი<sup>1</sup>  
 როგორ დავტოვო ქარში სანთელი  
 და ტბის ჩუქურთმა – ქათქათა ქედი.  
 როგორ დავტოვო ჩემი მთა-ბარი,  
 ზღვა მოალერსე, ფარვანა, რინა.  
 სიცოცხლე ჩემთან ალავერდს არის  
 და მაინც... მორცხვად მეძახის მინა!

### რად გჭირდება ასეთები, ღმერთო?!

(სატანის ნაშიერს, „ობობას“ მარკის მანქანის უპატრონო პატრონს)<sup>2</sup>

დღე და ღამე იმას ფიქრობს მავანი,  
 ვისი როგორ დაამტვრიოს ხატი,  
 რა ძალებით ჩამოშალოს თავანი,  
 ყანას როგორ მოუვლინოს ხვატი.  
 დღე და ღამე იმას ფიქრობს მავანი,  
 მლოცველების წიგნი ვის მოჰპაროს.  
 რა ქნას, დღეს ვის წაუქციოს სამანი,  
 შხამი როგორ შეურიოს წყაროს...  
 რად გჭირდება ასეთები, ღმერთო?!

მარტი, 2015

<sup>1</sup> ეს ჩემი ნაწარმოებების პერსონაჟებია, რომლებიც ზოგიერთმა ახალგაზრდამ დაირქვა, როგორც საკუთარი სახელი. სათაურით „მარისა“ შეიქმნა მშვენიერი ქართული სიმღერა, რომელსაც წარმატებით გადმოსცემს რადიო „არ დაიდარდო“.

<sup>2</sup> ჩემმა ნათლიამ, ლიტერატურის კლასიკოსმა, ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უთხრა: შენ თუ იცი საქართველოში რა ხდება და გაჩუმებული ხარ, ვერაფერი პრეზიდენტი ვერ ყოფილხარ. ხოლო თუ არ იცი, – მითუმეტეს, ვერაფერი პრეზიდენტი ვერ ყოფილხარ. ამ ჭეშმარიტების ანალოგიით მიწადა ვუთხრა „ობობას“ მარკის ავტომობილის მძღოლსა და მისი თანამოაზრეების უფროსს: შენ თუ იცი ბედგამწყრალი თანამოაზრეები ერის სულიერ კულტურაზე როგორ მომაკვდინებლად მოქმედებენ და შენ გაჩუმებული ხარ, ვერაფერი უფროსი ვერ ყოფილხარ, ხოლო თუ არ იცი, მითუმეტეს, ვერაფერი უფროსი ვერ ყოფილხარ.



### მორჩილი ამბლავ

მორმიდონებო, მორჩილთ ამბლავ,  
 თავმოყვარეობის იგემეთ ჭვალი.  
 რაც უნდა სცადოთ, თავს ვერ დამალავთ, –  
 მახათს გაამხელს სატომრე ჯვალი.  
 ჩამოიგლიჯეთ ნილაბი მრუდი,  
 გახსოვდეთ ხალხი მათივ ოცნებით.  
 ჩამოიმშვენეთ კაცობის ქუდი  
 სიმართლის თქმით და პატიოსნებით.

2005

### ღამის პრინცი...

„მზე დედაა ჩემი,  
 მთვარე – მამა ჩემი  
 ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები  
 და და ძმია ჩემი“.

ხალხური

ღამის პრინცი, თავქეიფა მთვარევ,  
 ასე უბრად რად შორდები მზესა?  
 როს დარეკავს იგი ცისკრის ზარებს,  
 მიდიხარ და ველარ გხედავ ვერსად.  
 რატომ, რატომ ემალები, მთვარევ,  
 იქნება, მე გამიმხილო თავად.  
 სანამ იგი ათბობს არემარეს,  
 შენ ქეიფობ, ვით სჩვევია თავადს.  
 ციურ ტახტზე, იქნებ, ერთად ვერ ძლებთ,  
 მშვიდობისთვის, იქნება, სჯობს მასე.  
 დღისით – დედას, ღამით მამას გეძებთ  
 თქვენი დიდი სიყვარულით სავსე.  
 ცის თავადო, სიამაყე გშვენის,  
 როცა სახით წარმოსდგები სრულით.  
 გადამედო ეგ თვისება შენი  
 და დავდივარ შენებრ მარტოსული.  
 ღამის პრინცი, მარტოხელა მთვარევ,  
 გელი შენი მარტოხელა შვილი.  
 გრიგალი რომ ღრუბლებს არევ-დარევს,  
 ვერ გხედავ და... გამიტყდება ძილი!

2009

### (I), მბპბთი

ისევ მანყდება ელდა-ელდები  
 ტკივილიანი, როგორც შატბერდი.  
 ო, მაპატიე, თუკი ვბერდები,  
 ან, უფრო, სწორად – თუკი დავბერდი.  
 მაგრამ შენ გახსოვს გიჟური ვნების  
 შუალამე და ჭექა-ქუხილი.  
 თუკი დავბერდი, ესეც ღვთის ნებით  
 არის სიამეც, არის წუხილიც.  
 აქ ყველაფერი ისე ჩაინვა  
 ჩუმი სურნელით, როგორც აბედი.  
 ო, მაპატიე, უნდა ჩავიცვა  
 მოთმენის სევდა, რაკი დავბერდი!

### „ЯМЩИК, НЕ ГОНИ ЛОШАДЕЙ“<sup>1</sup>

და მეეტლევ... მაშ, გარეკე  
 ეგ ცხენები, სადმე შორს, შორს წამიყვანე.

გალაკტიონი

მესმის მუსიკა ამაღის,  
 ეტლში ანგელოზი მიზის,  
 „Ямщик, не гони лошадей“,  
 მალე დამშორდება „კიზი“.  
 ჩამოვიქროლეთ ზეგანი,  
 წამი თითებზე ვითვალე,  
 „Ямщик, не гони лошадей“,  
 გზა დაილევა მალე.  
 ნებივრობს დედაბუნება,  
 რალაც ღვთაებრივ ნებით.  
 სახეზე მელამუნება  
 ბურბუშელები თმების.  
 მესმის მუსიკა ამაღის  
 და ნეტარებით მავსებს,  
 „იამშიკ, ნე განი ლაშადეი“  
 რა გეჩქარება ასე?!  
 ხელში მიჭირავს ფაქიზად  
 მისი ფაქიზი ხელი.  
 დრო მიიჩქარის, რას იზამ,  
 და განშორებას ველი.

<sup>1</sup> Ямщик, не гони лошадей (ხალხური).

სიმსუბუქეთი სულშია,  
 ვით თეთრი გედი ტბის  
 „Ямщик, не гони лошадей“,  
 Прошу Вас, не торопись!

### მეორე ჯოკონდა

შენი აბიტუსი თვალებს ჩაელანდა,  
 რასაც კი შევხედავ, ხატად ეხატები.  
 თითქოს, უბრალოა და თანაც სადა,  
 მაგრამ დიდ მხატვართა ფუნჯებს ენატრები.  
 გამოკრთი თამამად მიქელანჯელოსთან,  
 ღმერთკაცმა იცნო შუქი ღვთაებრივი.  
 მუზად გამოიხმო გუნდი ანგელოსთა  
 და მკერდი შეგიმკო ვარსკვლავთა მძივით.  
 ველის ყვავილები მზეს შენტვის მოჰქონდა  
 ლამაზი ფრთებით ქათქათა გედის.  
 დღეიდან შენა ხარ ლამაზი ჯოკონდა,  
 გამოუცნობი ღიმილით ბედის.

2015

### საირმეში

საირმეში ირემს ვუხმობ,  
 ხელზე ქვამარილი მიძევს.  
 დამყურებენ მთები უხმოდ,  
 თითქოს, ახლა გაიღვიძეს.  
 მწვანე მთებო, მწვანე მთებო,  
 სიამაყით ანანებო.  
 რა პეგასმა დაგკრა ფლოქვი,  
 ზურმუხტების აღმართებო  
 რა ამოსკდა ჰიპოკრენად  
 წყაროთვალი უკვდავების.  
 სად ისწავლა სიბრძნის ენა,  
 საიდუმლო მწვანე მთების.  
 საირმეში ვუხმობ ირემს,  
 მარტოობა, ალბათ, კმარა.  
 ფიქრებს ერთობ გადამირევს  
 ერთი გოგო, კაფანდარა...  
 ხელზე მიძევს ქვამარილი  
 მისი დიდი მონატრების.

მომეტობა გულზე ფრთხილად,  
როგორც ლოცვა მონატრების.  
საირმეში ვუხმობ ახლაც  
ქორბუდას და ტყის ფერიას  
და წყაროსთან ინერება  
სიყვარულის მისტერია!

\* \* \*

ნინონმინდამ ჭეშმარიტი  
რწმენა მაპოვნინა,  
შენ კი, ვინძლო, სიყვარულის  
ღმერთი მაპოვნინო.  
ოლიმპოზე შთაგონებამ  
რომ დაიდოს ბინა.  
ისევ შენთვის,  
გულფართქალა,  
სასწაულო ნინო!

2012

### მიტაცებთ

მიტაცებთ, როგორც აფრა ნავს ზღვა  
შენ და ეს ჩემი ამბოხი ვნება.  
ეს მირაჟები სხვაა, სულ სხვა,  
და ისიც, რომ მაქვს მე შენზე ნება!  
გვარწვეს ნავი და იმედებს ვეძებთ,  
რა უნდა ვთხოვო ნავსა და ზღვას.  
უშენოდ ვერა და ველარსად ვერ ვძლებ.  
ვერავის ვხედავ ახლა მე სხვას.

2016

### ძღვნად ტალას (აღმსწერად)

უტიფრობისთვის  
Вам И стыд и срам.  
დარჩება შენს სახელს,  
Как вечный шрам.  
გაშიფრული ბრძანდები  
По всем швам.

## შეპითხვის ბამო – „რა უნდათ კაცებს“

– თვალს უფრო მეტად რა გვტაცებს,  
 რინა თუ პონტო ექვსინ?  
 რა სურთ, რა უნდათ ნაღდ კაცებს,  
 საქმე, ფული თუ სექსი?  
 – რავი, თუ ვის რა იტაცებს,  
 ეგ სამივე თუ... ექვსი.  
 მე კი ვეკუთვნი იმ კაცებს,  
 რომ სწამთ ლექსი და სექსი!

2011

\* \* \*


აგრესიულად დამცველო,  
 ჩემი მოსისხლე მტერის.  
 ის შტერია და შენაც ხარ  
 არანაკლები მტერი.

\* \* \*

ღორი არ იშლის ღორობას,  
 ძალი არ იშლის ძალლობას,  
 ქორი არ იშლის ქორობას,  
 და იგი... – მამაძალლობას.  
 პირველი სამი რა არი,  
 ეს მეოთხეა მზარავი,  
 დაბლობა, ხანაც მალლობა  
 და ყველგან მამაძალლობა!  
 ეს უპატიებელია!

\* \* \*

„გამოდმით მე ვარ, გალმით – შენ“  
 შუა ჩამოდის ქურჩა.  
 შენივე მამაძალობამ  
 თავში ჩაგირჩაქურჩა.  
 სულ მალე აყირავდება  
 შენი ნაბილნი ქურჩები.  
 „გამოდმით მე ვარ, გალმით – შენ“,  
 აქედან გეჩაქურჩები.



# გიზო თაყაიძე

## „ტანო ტატანო“ ანუ აპროძალული სიყვარულის ამბავი

ზარზმელიძეების ოჯახს ხშირად ვსტუმრობდი. ოჯახის თავი, იოვანე ზარზმელიძე გულაგამოვლილი გახლდათ, რომელზედაც დეიდა ანეტა (ცოლი იოვანესი) იტყოდა ხოლმე: „მკვდრეთით მობრუნებულიო!..“ თავიდან კი მიკვირდა ამგვარად მოხსენიება ბეჭებგანიერი კაცისა, ვიდრე თანაკლასელმა კარლომ საიდუმლოდ არ მიაშობო მისი თავგადასავალი, რის შემდეგაც ძია იოვანე მითური გმირი გახდა მეშვიდეკლასელი ბიჭისთვის. მამის ბიბლიოთეკაში ფეხაკრეფით შევდიოდით მე და კარლო. ზოგჯერ წიგნებსაც, – უფრორე ისტორიულ ამბებს, – გვირჩევდა, რადგან, თავადაც ისტორიკოსი გახლდათ.

დეიდა ანეტა (ჯაყულების დიდებული გვარისა), ბარე ოცი წლით უმცროსი იყო მეუღლეზე (მეზობლების აზრით – ოცდახუთით!..) თანაც იოვანე ზარზმელიძის ნასტუდენტარი გახლდათ. „მესამეკურსელებს ჩაგვიტარა ლექცია და როცა ჩემი გვარი გაიგო, სადაურობა მკითხა. მეც მაქედან ვარო, გამიღიმა და ხელი ჩამომართვა“, – იხსენებს დეიდა ანეტა. „მასზე ლეგენდებს ყვებოდნენ სტუდენტები და შემეყვარდაო!..“

მერვეკლასელები ვიყავით, ძია იოვანე რომ გარდაიცვალა. მთელი ქალაქი მოვიდა გამოსათხოვებლად, მათ შორის საიდუმლო სამსახურების წარმომადგენლებიც (ეს მამამ თქვა სახლში), რადგან ბევრი ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი მოგროვდა სამგლოვიარო

პროცესიაზე (ზარზმელიძეთა გვარი ანტიკომუნისტებად იყო მონათლული, მამა და ბიძა იოვანე ზარზმელიძისა 1924 წელს დახვრიტეს ბოლშევიკებმა და ეს ამბავიც იმ დღეს გავიგე კარლოსგან).

სკოლის დამთავრების შემდეგ ორი წლით დავშორდი კარლოს და მის ოჯახს, რადგან სამხედრო სამსახურში გამინვიეს. ჯერ პეტრე დიდის (ბიოლოგიურად ბაგრატიონის) აშენებულ ქალაქში (ლენინგრადი რატომ ერქვა, ვერ გამიგია?) ვიმსახურე, იქიდან კი შუაგულ ციმბირში ამომაცოფინეს თავი, საიდანაც დედაჩემს და კარლოს, – რომელიც უკვე სტუდენტი იყო, – ვწერდი: „აქ, რომ თენდება, არ ღამდება, ზაფხულშიც ცივა და ჩემზე დიდი კოლოები დაფრინავენ!.. ძია იოვანეს ნაფეხურებიც ჩანს აქა-იქ!..“

რადგან ბავშვობაში ფერადი კენჭებით (დომინოსაც ვიყენებდი) სახლების აგება მიყვარდა, არსაკიდის გზას მივყევი, არქიტექტურული ფაკულტეტი ავირჩიე და ვან დერ როე, ფრენკ რაიტი, ლე კორბუზიე ვზუთხე, თუმც ანტონიო გაუდი ყველას მერჩივნა.

დიპლომის აღება და ქვეყნის ნგრევა ერთდროულად მოხდა. რომ მეგონა სასახლეებს, სტადიონებს, გალერეებს ავაშენებდი, იმ დროს დავრჩი უსამსახუროდ, თუმც, ერთი პროექტის დასრულება მოვასწარი და დღემდე მიხარია იმ სპორტული სკოლის წინ გავლა (ზოგჯერ მანქანასაც კი ვაჩერებ და თვალთ ვეალერსები).

კარლოს მეჯვარე და შვილის ნათლია (ქორნილის და ნათლობის სუფრა შიგანვის ძრავით ნათდებოდა) ტოტალური უმუშევრობის ჟამს გავხდით. მალე თავადაც დავექორწინდი და სამი ვაჟითაც (ტყუბებს – იოვანეს და ლუკას, ორ წელიწადში მათე შეემატა) გავაძლიერე კაცობრიობა. მოგვიანებით მელანია გაჩნდა და დავრჩით მარკოზის გარეშე. მეგობრებთან ერთად კერძო არქიტექტურული ბიურო დავაარსე და მუსიკოს მეუღლესთან ერთად მივაჭრიალებ ნუთისოფლის ბორბალს.

ეგაა რომ, დაუჯერებელი და ამოუხსნელი ამბები ყოველთვის ხდებოდა და ხდება ჩემს თავს.

თუკი რამე ღირებული და კარგი წიგნი წამიკითხავს, უმეტესი, ძია იოვანეს (თუმცა დღეს კარლოსია) ბიბლიოთეკიდან წამომიღია. ბოლოს ეს შინდისფერი წიგნიც „ებრაელი ხალხის ისტორია“, სქელტანიანი, თან ძველისძველი გამოცემა იქიდან წამოვიღე. ვკითხულობ და ვუბრუნდები, თავიდან ვკითხულობ, უამრავ (რომ მეგონა ვიცოდი) ისტორიულ ფაქტს ვიგებ, ვაზუსტებ, ვიხსენებ; აქვეა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები, გამომგონებლები, მუსიკოსები, ნობელიანტები და კითხვის დროს ზოგჯერ ფეხზე წამოვდგები (უნებლიეთაც...) მონინებით, პატივისცემის ნიშნად, ჯერომ სელინჯერი, ჩემი საყვარელი მწერალი, „ჭერი ასნიეთ დურგლებო-მეთქი“ მინდა ვიყვირო, „ბანანათევზის ამინდში“ ... ესეც ამ ერის შვილია, დიდი მოჭადრაკე მორფი (მოჭადრაკეებს ნუ ჩამომათვლევინებთ, თორე...) ბევრი სხვაც, დიდი და დიდებული, ჰოდა, კარლოს ვუყვები ამ წიგნზე; რუსუდანი (მეუღლე კარლოსი) ბავშვებს და მოხუც დედა-მთილს კარტოფილიან ღვეზელებს უმზადებს, ცალი თვალი (ყურიც) ჩვენკენ აქვს, რადგან კარლო ცოტა ფხუვიანია და კონიაკზე (ამბობს მაჩუქესო) თუ დასაყოლებელი შემოგვაკლდა, აიფოფრება; ეს კი, მეუღლეზე უკეთ ვინ იცის?

– ბიჭებო, ეს გასინჯეთ, ფორთოხლის წვენია, ცივი! – მაღალ ჭიქებს გვიდგამს წინ, – ისე, რომ იცოდეთ, ბავშვობა ებრაელთა უბანში მაქვს გატარებული.

– მართლა, დაგენაცვლე!.. – უღიმის კარლო.

– საოცარი ხალხია! – ვამბობ მე და...

კარზე კაკუნი და ზარის ხმა ერთდროულად ისმის.

– ღიაა! – წამოიზლაზნა კარლო, ვიდრე რუსუდანი ცხიმიან ხელებს გაისუფთავებდა.

– მოდი, შაგანე, მოდი!

ოთახში შავტუხა, შავთმიანი (ეშხიანი), ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, თავი თავაზიანად დავიკრა და ქალბატონები გადაკოცნა.

– კარლო, თქვენს სტუმარს მართლა შაგანე ჰქვია თუ მე გავიგონე აგრე?

– ნაღდად შაგანეა, ბერო. – გადაიკისკისა რუსუდანი.

წამოვდექი, ორი სირჩა შევავეს, სტუმარს მივეახლე, სირჩა გავუნოდე და თავი მდაბლად დავუკარი, – სერგეი ესენინი!..

– შენი გამოსწორება არ იქნება! – დასვა წერტილი კარლომ.

მე კი ესენინის შედეგრი (შაგანესადმი მიძღვნილი), სხაპასხუპით ჩავიკითხე.

შაგანემ ხელი გამომინოდა (ვისარგებლე და ვეამბორე!..) თან ერთი სტროფი შემისწორა (რაც უყოყმანოდ ვაღიარე).

– დეიდა ანეტა, ის შაგანე აზერბაიჯანელი იყო, მგონი?!

– კი შვილო, ეგრეა, ჩვენი შაგანე კი ებრაელია!..

ფეხზე წამოვიჭერი, თითქოს, მაღალმა ძაბვამ გამიარა მთელ სხეულში (მეტი რაღაა მეხის დაცემა), სათქმელს თავი ვერ მოვაბი, გავიარ-გამოვიარე ოთახში, ჰოლში გამოვედი, სიგარეტს მოვუკიდე, ორი ნაფაზი და ისევ ოთახში შევბრუნდი.

– შაგანე ვინ დაგარქვა?

– ბებია (წამოწითლდა), ესენინს იცნობდა, მისი ლექსებიც ზეპირად იცოდა.

ისევ შევავეს სირჩები (შაგანეს სანახევროდ დაელია წელან მიწოდებული სასმისი), ყელი ჩავინმინდე და რიხიანად დავინყე: „სერგეი ესენინი რუსების დიდი პოეტი გახლდათ, ის გაიმეტეს და მოკლეს, მან ლექსი მიუძღვნა ქართველ პო-

ეტებს, მეგობრებს, ამ სადღეგრძელოთი „ცისფერყანწლებისა“ და ესენინის მეგობრობა დავლოცოთ, პოეზია დავლოცოთ!..“

კარლომ აღმაცერად გადმომხედა. დეიდა ანეტამ კონიაკი მოითხოვა.

– მე ხომ მომილო ბოლო და დედაჩემსაც გამილოთებს! – ნაიტირა კარლომ (აშკარად ყალბად).

– ბერო (არადა, ბერდია მქვია), შაგანე და მისი ოჯახი, სულ ორი თვეა, რაც ჩვენს მეზობლად დასახლდნენ, შონიები თბილისში გადავიდნენ და იმათი სახლი იყიდეს, ქმარი ცნობილი გეოლოგია, თავად კი – სტომატოლოგი...

– ანუ დანტისტი, არა?

– კი, ბატონო! – დამიკრა თავი და კონიაკი მოწრუპა.

– ოო, დიდ დანტისტს, აურელიანო სქელის (გასუქებამდე), გარე ბიძაშვილს, ლევან კაკაბაძეს, ანუ დიდ სეს ხომ არ იცნობთ შემთხვევით? – გავიკრიფე ენად.

– ბატონ ლევანს ვინ არ იცნობს!..

– აბა, ჩემს თავსაც გაგაცნობთ, მშვენიერო შაგანე, – (და შენც ჩემო მკითხველო), მე გახლავართ თავადი ბერდია მიქელაძე (მონოდებით ბოჭუმისტი და კონიაკს, – თუნდაც, ნაღდად ნაპოლეონ ბონაპარტეს ჩამოსხმული იყოს, – მაინც ცოლიკაური მირჩვენია!..)

სასმელი თანდათან მძლავრობდა, რაც პირდაპირპროპორციულად ვლინდებოდა ჩემს ზეპირმეტყველებაში, ხან სარაზე ვსაუბრობდი (გაუჩერებლად), ხანაც ივდითზე. მისმენდნენ კიდეც, რადგან ყურებიც ჰქონდათ და ზრდილობაც (აქვე აღვნიშნავ ბავშვთ მთვლემარობას, რომელთა წამებას დედამ ველარ გაუძლო და დასაძინებლად გაიყვანა).

ცოტა ხანში შაგანეც დაგვემშვიდობა (შევატყვე, წასვლა ეძნელებოდა) და სხეულის მოხდენილი რხევით გავიდა ოთახიდან.

– ალბათ, პატარა გოგო მიათხოვეს თავმოტვლებილ შალვას, თორემ იმ ხნის კაცს (დეიდა ანეტას თუ ასაკში სხვაობა აცვიფრებდა?) ნებით რავა გაყვებოდა!..

შალვა თვალთ არ მენახა, მაგრამ შაგანე მართლაც მარწყვივით გოგო იყო (ჩვენში აგრე იტყვიან).

ერთიც დავილოცე და საკმაოდ შუბლგახურებულმა ხმაურით დავტოვე ზარზმელიძეთა სახლი.

\*

შონიების ეზო-კარი, – სადაც ამჟამად შაგანესა და შალვას ოჯახს დაედო ბინა, – სულ მტკაველ-მტკაველ მქონდა აზომილ-დაზომილი. რეზო შონია ჩვენზე (მე და კარლო) ორი წლით პატარა იყო და ხან ომობანას (მცირე ასაკში), ხან ფეხბურთს და ხანაც მაგიდის ჩოგბურთს ვთამაშობდით მის ეზოში. ყვავილები უყვარდა ძალიან დეიდა მაგდას (რეზოს დედას) და სულ გვაფრთხილებდა: „ბიჭებო, ფეხბურთი ფანჩატურის ქვემოთ ითამაშეთ, თორემ, ყვავილებს თუ გადამითელავთ, ბურთს დაგიმაღავთ!“ ჩვენც ვცდილობდით, რაც შეგვეძლო, თუმც, რამდენიმე ვარდი მაინც დავაზიანეთ (რეზომ იცოდა მოუზომავად ბურთის დარტყმა) და კიდევაც შეგვისრულა დანაპირები ქალბატონმა მაგდამ, ბურთი ისე საგულდაგულოდ დამალა, როცა ბრაზმა გადაუარა, რეზიკოს ეკითხებოდა: „სად შეიძლება, რომ დამემალაო!..“

ეზოს გვერდით ორსართულიანი (ამბობდნენ გერმანელი ტყვეების აშენებულიაო), აგურის საერთო საცხოვრებელი იდგა და როცა იქით გადაგვივარდებოდა ბურთი, ჩვენი გასაჭირიც მაშინ იწყებოდა. საერთო საცხოვრებელში (სხვა ათ თუ თორმეტ ოჯახთან ერთად) ცხოვრობდა რუსი ბერიკაცი (შეიძლება არც იყო რუსი?) რომელიც დღენიადაგ მთვრალი დაიარებოდა და რუსულ-ქართულად იგინებოდა. რატომღაც, საერთო საცხოვრებლის ეზოში ჩავარდნილი ბურთი, მაინცდამაინც საშკას (ასე ეძახდნენ) ხელში აღმოჩნდებოდა და მიდიოდა ვაჭრობა: „ესლი მიაჩნატიტე, დაიტე მნე პოლიტრუ, ვაშუ მატ!..“ ბევრი კი არ ღირდა „რუსკაია ვოდკა“, მაგრამ ბავშვებისთვის მაინც ძნელი იყო მისი შეძენა, რადგან ბურთი არცთუ იშვიათად გვივარდებო-



და ლოთბაზარა საშკას ეზოში. ზოგჯერ (კარგ ხასიათზე მყოფი) ლუდზეც გვთანხმდებოდა და არც გვაგინებდა. თუ ეზოში ბატონ იოვანეს, ან ბატონ მიტუშას (რეზოს მამას) დაინახავდა, ყოველგვარი ძღვენის გარეშე გვიბრუნებდა ბურთს, თუ არადა, უმონყალოდ გვხარკავდა (მგონი, მონღოლი იყო საშკა). ერთხელ ვერ შევავროვეთ საარყე ფული და ბურთი დაგვიჭრა. მოკლედ, მუდამ გვქონდა გადადებული ხურდა ფული მობურთავეებს ბურთის გამოსახსნელად.

იმ დღეს ყველას ერთდროულად დაგვემართა ფეხის გამრუდება, რამდენჯერაც დავარტყით ბურთი, იმდენჯერ დადარაჯებულმა საშკამ დაიჭირა საერთო საცხოვრებლის ეზოში.. ხუთჯერ მოგვიხდა ტანჯული ბურთის გამოსხნა საშკა სულთამხუთავისგან, რომელიც სულგრძელად გვმოძღვრავდა: „ხვატიტ რებიატა, ზავტრა პრადალჟიტე, ვაშუ მატ!..“ ორი ბოთლი არაყი და სამი ბოთლი ლუდი ვაახლეთ საშკა ყაენს და მოხდა მოსახდენი... სკოლიდან ვბრუნდებოდით, როცა სირენების გაბმული ხმაურით სახანძრო მანქანებმა ჩავვიქროლეს და მიუშვეს ქაფიანი წყალი გერმანელთა ნაშენებ საერთო საცხოვრებელს. სამწუხაროდ საშკა საკუთარ ოთახში ჩაიფერფლა. მერე, მთელი თხუთმეტი (იქნებ, მეტი) წელი იდგა დამწვარი საერთო საცხოვრებლის ჩაშავებული აგურის კედლები ზარზმელიძე-შონიების სახლების გვერდით.

და ერთ მშვენიერ დღეს ეს ტერიტორია კერძო ინვესტორმა შეიძინა აუქციონზე. სულ მალე იქაურობას უზარმაზარი ამნეები მიადგნენ და ერთ კვირაში აგურის ნატეხიც კი არ დატოვეს.

ხომ ვამბობ (დაიჯერებთ თუ არა, თქვენი საქმეა), ამოუხსნელი ამბები და თავგადასავლები მუდამ დამდევს-მეთქი, ჰოდა, ოთხსართულიანი სასტუმროს დასაპროექტებლად (არქიტექტორად) რომ მიმინვიეს, თავი სიზმარში მეგონა, ხოლო კარლოს, დღემდე ჰგონია, რომ „ჩავანყვე!..“ მიუხედავად ამისა, როცა აზომეებს და ტერიტორიის შესწავლას ვანარმოებდი, ჩემ გვერდით იდგა, სადილადაც მასთან შევდიოდი, რადგან შაბათ-კვირას თავადაც სახლში იჯდა და ევროპულ საფეხბურთო მიმოხილვებს უყურებდა.

მესამე დღეს შონიების ეზოდან კაფანდარა, ავადმყოფური შესახედაობის კაცი გამოვიდა და გეზი ჩემკენ აიღო.

– ჩემმა მეუღლემ მითხრა, რომ კარლოს ახლობელი ბრძანდებით, ამიტომ გავკადნიერდები და გკითხავთ, აქ რა უნდა აშენდეს?

ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ასეთი უსახური კაცის წარმოდგენას შაგანეს გვერდით – ვერა! ამიტომ კითხვა უკანვე დავუბრუნე.

– ვის ვესაუბრები, ბატონო ჩემო?

– დამსახურებული გეოლოგი შალვა წინუაშვილი გახლავართ, ამ სახლის პატრონი. – ხელი სახლისკენ გაიშვირა.

„ადამიანის შესახედაობას არასდროს მიაქციოთ ყურადღება, ვინ იცის, თქვენს წინაშე ვინ დგას!“ – ვმოძღვრავ საკუთარ შვილებს დღენიადაგ და ამჟამადაც ამ ფიქრმა გამიყოლია, საიდანაც შაგანეს უეცარმა გამოჩენამ გამომაბრუნა...

– გამარჯობათ ბატონო ბერდია, ეს ჩემი მეუღლეა, რუსიკომ გვითხრა თქვენ რომ აშენებთ აქაურობას...

– აშენების რა მოგახსენოთ, მაგრამ არქიტექტურა ჩემეული იქნება.

– ჰოდა, თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, რა შენდება აქ, ჩვენს ეზოსა და სახლს ხომ არ დაჩრდილავს?

– ოთხსართულიანი სასტუმრო შენდება, ბატონო შალვა (რატომღაც მას მივმართე), რაც, თქვენს წილ მზეს ვერ წაგართმევთ.

– გეოლოგიური დასკვნა გაქვთ? – აღმაცერად მკითხა ჩია კაცმა და მეუღლეს ამაყად გადახედა.

– ყველანაირი დასკვნა, ყოველგვარი ხელშეკრულება მზადაა და მშენებლობასაც რამდენიმე დღეში შევუდგებით.

ცოლ-ქმარი თავაზიანად დამემშვიდობა.

სწორია დეიდა ანეტა, ალბათ, რაიმე გარიგება შედგა, თორემ... სად შაგანე და სად ეს კაცი, მამად რომ შეჭფერის საკუთარ ცოლს, რომელიც ისეთი მიხრა-მოხრით და მიმოქნევით დაიარება, მეცხრეკლასელ გოგონას უფრო ჰგავს, ვიდრე ორი შვილის დედას. პატარები ეზოში გაკიდულ

ჰამაკში ნებივრობდნენ, ზოგჯერ ონკანთან წუნაობდნენ და კისკისებდნენ. ნეტავ, რატომ არ მიდიან ისრაელში, სადაც ცხოვრების დონე უკეთესია, მთელი სანათესაო იქ ეყოლებათ (ქალაქში თითზე ჩამოსათვლელი ოჯახები დარჩნენ). ამ ფიქრებიდან ისევ შალვას ხმამ გამომაფხიზლა: „იქნებ, სადილზე ჩვენთან შემობრძანდეთ, შაგანე ხაჭაპურებს აცხობს.“ შალვას მინვევისათვის მაღლობა მოვახსენე, თან შევპირდი, რომ სხვა დროს აუცილებლად შევუვლიდი მათ და ოფისისაკენ გავუყევი. „აღბათ, შაგანემ გამოაგზავნა მეუღლე ჩემს მისაპატიჟებლად, აბა, შალვა რისი დამპატიჟებელია!..“ – ვფიქრობდი გზაში.

მუდამ კარლოსთან (ან კარლო იყო ჩემთან) დავდიოდი, მაგრამ ბოლო ხანს, ლამის კაკლების ქუჩაზე გადავსახლდი. სასტუმროს მშენებლობაც ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა (მეორე სართული მთავრდებოდა). საღამოობით ან ლუდს ვწრუპავდით, ან ჩაცვივებულ „ატენურს“ (ქართლში დაანურინა კარლომ ახლობლებს). შაგანემაც მოუხშირა ზარზმელიძეებთან სტუმრობას. როგორც კი ჩემს მანქანას კარლოს ჭიშკართან დაინახავდა, ათიოდ წუთში კარზე მისი ხმა ისმოდა. იხუმრა ამაზედ დეიდა ანეტამ: „ბეროს შემოსვლა და შაგანეს მოფრენა ერთი და იგივეაო!..“ იქნებ, მეჩვენებოდა, მაგრამ მეც ეგრე ვფიქრობდი. შვილებს, უმეტესად თავის დასთან ტოვებდა, რომელსაც საკუთარი შვილები (გათხოვილი კი ბრძანდებოდა) ჯერ არ ჰყავდა. შალვა კი, მუდამ მივლინებაში (ზოგჯერ თვეობით) იმყოფებოდა. ძალიან მალე დავმეგობრდით. ერთხელ რუსიკოსთან ერთად ჩაიზე გადაგვიპატიჟა. სახლი სულ სხვანაირად მოერთოთ (რეზოს მშობლებს უბრალო ავეჯი ედგათ), იტალიური ტახტებით და მაგიდებით. „აქეთ ბავშვების ოთახია, იქით – ჩემი საძინებელი, ეს კი, ჩემი წინაპრის კარადაა, ონიდან ჩამოვიტანეთ, აქ მამაჩემის ბიბლიოთეკაა“.

მერე ჩაის ვსვამდით და სიგარეტს ვაბოლებდით (ვიდრე მოუკიდებდა, ბოდიში მომიხადა). რატომღაც არ ველოდი, სიგარეტს თუ ეწეოდა (ბავშვივით წკრიალა ხმა ჰქონდა).

– დიდი ხანია ეწევით?

– მას შემდეგ, რაც გური თორიას დამაშორეს...

მე და რუსიკომ ერთმანეთს შევხედეთ და უნებლიეთ მხრები ავიჩიჩეთ, რაც შაგანეს არ გამოპარვია.

– ვიცი, რომ გაგიკვირდათ, აგრეც ვფიქრობდი, მაგრამ ოდესმე გიამბობთ ყველაფერს.

წამოსვლისას ხუთნიგნეულის (თორა) პირველი წიგნი გვაჩუქა ორივეს.

კარლო შინ დამხვდა. სამსახურიდან დაბრუნებული, სარწვევლა სავარძელში თვლემდა.

– ხომ ვამბობდი, ეგ გოგო განათხოვი იქნებოდა-მეთქი, აბა, იმ ჩინჩიბურა შალვას როგორ გაყვებოდა!? – მიახარა რუსიკომ მეუღლეს.

– შენ მეტი საქმე არაფერი გაქვს, ხომ არ ჯობია ვახშამი მოამზადო!

მერე მე მომიბრუნდა და განდობილივით მიჩურჩულა: „როგორ გაყვა, ბიჭო, იმ მოსიარულე მკვდარს!.. ისე, მაგრა მოსწონხარ, რომ იცოდე...“

– ე, მაგის მოწონება მაკლდა ოდენ, სხვა ხომ აწყობილი მაქვს ყველაფერი... – მივუგე გულგრილად.

– მაგ ელაპარაკე ანეტას, რას თვალთმაქცობ, ვერ გატყობ განა, თვალებს რომ უფუფუნებ!..

– თვალების უფუფუნი, უფუფუნასთან გამიგია, ამ შემთხვევაში აგრე აჯობებს, თვალებს რომ უშაგანებ... – გადავედი ხონმაობაზე.

– კაი, გეყოფა, წამო ვივახშმოთ!

მაგიდაზე წვრილი ჭიქები და თანამშრომლის მოკითხული „ოცხანური“ ჩამოდგა. სასმისები შეავსო, პირჯვარი გადაიწერა, უფალი შეგვეწიოსო და ზარიც გაისმა.

– ეს თუ შაგანე არ იქნება, მარჯუნა თვალს დავიბშუტავ!..

შაგანე მოვიდა.

დეიდა ანეტას ტკბილეული და რაღაც შეფუთული გადასცა.

– შაგანე, დაგვეწვიე! – გასძახა კარლომ.

– მიდი შაგანე და მეც მოვალ! – ბანი დაანია მეუღლის ნათქვამს რუსიკომ.

შაგანეც სიამოვნებით შემოგვიერთდა და კარლომაც (არ ვიცი, რატომ) სავსე ჭიქა მიანოდა: „შემოსწრებულისა დაგვილიო“.

პირველს, მეორე მოჰყვა, მესამე, მეოთხე და შაგანეც ისე აჭიკჭიკდა, მერცხალსაც გააკვირვებდა: „შალვა ადიგენშია, მიწებს იკვლევს, ერთი თვე არ ჩამოვა, ბავშვები ჩემს დასთან არიან, საბავშვო ბაღიც იქვე აქვთ და იქ ყოფნა ურჩევნიათ, მე კიდევ ამოდენა სახლში მარტო ვარ...“

კარლომ თვალი ჩამიკრა.

– მერე არ გწყინდებათ მარტო ყოფნა? – გულწრფელად ვიკითხე.

– წიგნებს ვკითხულობ, მუსიკას ვუსმენ, ვლოცულობ...

– ეგ კარგია, მაგრამ არ შეიძლება შალვამ იქ რომ წაგიყვანოს, სადაც თავად არის? – გამომწვევად იკითხა კარლომ.

– არ მსურს, თუმცა, არც შალვა იკლავს დიდად თავს...

– როგორ, ნუთუ საქართველოს კუთხეების მონახულება არ გსურთ? – ვიკითხე გაკვირვებულმა.

– რა კუთხეების, აქ გავიზარდე და გეგუთიცი კი არ მინახავს...

სასწრაფოდ შევავსე სასმისები. კარლოს სადღეგრძელოს უფლება გამოვთხოვე და:

– თამარის გეგუთს გაუმარჯოს, მის ნაფეხურებს აჯამეთის უნიკალურ სანახებში, მის უსისხლო და დედობრივ მმართველობას!.. ამას ყველა შევსვამთ და გეგუთში მივდივართ!

კარლომ კალათა მოატანინა რუსიკოს, რომელშიც პური, მწვანილი, ჩარეკით ღვინო, ლობიანები და მარილი ჩაალაგა.

– ესენი სად მიგაქვს? – იკითხა დეიდა ანეტამ.

– სად უნდა წავილო, დედა, ამის ამბავი რომ ვიცი, იქ რომ აეშლება სადღეგრძელოების იშტა, გასტრონომი მაქვს გეგუთში თუ რესტორნების ქსელი? ამიტომ ვიჭერ თადარიგს.

ოციოდ წუთში მწვანე მოლზე მივაბიჯებდით. ჯერ გარშემო შემოვუარეთ დიდებულ ნაშთს ეპოქისას, მერე სანთლები ავანთეთ (რუსიკოს წამოელო), ბოლოს კი სამხრეთ კედელთან სუფ-

რა გავშალეთ. ბავშვივით გაღალებული (ალკოჰოლი თავისას შვებოდა) შაგანე ეზოში დარბოდა, ნანგრევებზე მიბობდავდა (ქარი კაბას საამოდ უფრიალებდა...) და ზემოდან ლექსებს გვიკითხავდა. სადღეგრძელოებსაც ეხმაურებოდა, თან ყველა სასმისს ბოლომდე ცლიდა. სუფრა ავალაგეთ. ირგვლივ ბნელოდა. შაგანე მხარზე ჩამომეყრდნო. შევატყვე, რომ სასმელი ერეოდა. ხელი წელზე მოვხვიე და ჭიშკრამდე მივიყვანე, სადაც მანქანა დაგტოვეთ. რუსიკო და კარლოც მოვიდნენ. ცოლ-ქმარმა, უკანა სალონში დაჯდომა ისურვა. შაგანე ჩემ გვერდით მოკალათდა.

– მონამეთისკენ! – გასცა ბრძანება კარლომ.

– რალა დროსია! – რუსიკომ.

– სიამოვნებით! – შაგანემ.

– მიმსახურეთ, ბატონებო! – მე.

თერთმეტ საათზე, რესტორან „მონამეთაში“ კარლო მუსიკოსებთან ერთად მღეროდა „შუშანიკას ტუფლი უჭერსო...“ (დოლის და დუდუკის თანხლებით).

ქალაქში შუალამისას დავბრუნდით.

„ეს დღე, სადაც არ უნდა ვიყო, არასოდეს დამავინწყდება!..“ – თქვა შაგანემ.

\*

სასტუმროს მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. საცაა მესამე სართულიც დამთავრდებოდა. შონიების ყოფილი სახლი (ამჟამად შალვას და შაგანეს საცხოვრისი), რომელიც სართულნახევრიანთა სახეობას განეკუთვნებოდა, უდღეურ წინილასავით ამოჰყურებდა მშენებარე სასახლეს. მშენებლობის რომელ კუთხეშიც არ უნდა ვყოფილიყავ, თვალი მუდამ იქითკენ გამირბოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხის დარაბები გაიხსნებოდა და მზის სხივები ფანჯრის მინებზე ათამაშდებოდნენ. ზოგჯერ შილიფად ჩაცმული დიასახლისის სილუეტიც გაივლევებდა თხელი და გამჭვირვალე ფარდების უკან. ის კი არადა, ზოგჯერ ბიუსტჰალტერისა და ტრუსის ამარა მასპინძელსაც კი მოვკარი თვალი (იქნებ, მეღადმეობოდა?!). საძინებელში, ოთახის სიღრმეში (სა-

სტუმროს მესამე სართული პირდაპირ შაგანეს საძინებელს დაჰყურებდა). აი, მაშინაც, ვარდისფერტრუსიანი შაგანე რალაცას აუთოვებდა, მოძრაობაც თვალნათლივია, უთოსაც ვხედავ, ნაბიჯი წავდგი და... ბრახ!.. თხლაშ!.. თქაფან!..

– ბატონო ბერდია, რაიმე ხომ არ იტკინეთ? „სასწრაფო გამოიძახეთ, ადამიანი ჩამოვარდა!..“ „ჩქარა, გულის საშუალება, რაიმე წვეთები მოიტანეთ!“

ნიუ, ნიუ, ნიუ!.. თეთრხალათიანები... „თავს როგორ გრძნობთ?“

– მგონი, ფეხი მაქვს მოტეხილი!

– მოტეხილობა არ უნდა იყოს, ნალრძობია, თუმცა კლინიკაში გავიგებთ ყველაფერს, რენტგენზე.

ნეკნი აღმომაჩნდა გატეხილი, ერთიც გაბზარული და დაჟეჟილობა ყოველმხრივი...

სალამოს კარლო და რუსიკო მენვივნენ საავადმყოფოში. ჩვენებური ხილი და მაიმუნების დელიკატესი (ბანანი) უხვად მომიტანეს. „სად ტრაკში იყურებოდით!..“ – კარლომ, თან ასდოლარიანი ამომიღო ბალიშქვეშ.

ცოლ-შვილმა კომპოტები და წიგნები შემომაშველა.

– ებრაელთა ისტორია დევს ჩემს მაგიდაზე და ხვალ მომიტანეთ! – დავანე ჩემიანებს სიტყვა.

სუნთქვა და გადაბრუნება ტკივილს მგვრიდა, გაცინება ან დახველება ხომ სულს მიკანრავდა...

მესამე დღეს რუსიკო და შაგანე მენვივნენ. ისევ ხილი და წვენები... შაგანემ წიგნი აიღო და გულზე მიიკრა (ჩათვალა მის გამო ვკითხულობდი), სახე შეეფაკლა, თვალეები აუნყლიანდა.

– დიდი ხანია, ვკითხულობ მაგ წიგნს!

– ხომ მათხოვებ?

– კარლო გათხოვებს, იმისია.

– გტკივა? – შეხვეულ ხელზე მანიშნა.

– ვუძლებ!

რუსიკოს ტელეფონი აწკრიალდა და ისიც ოთახიდან გავიდა.

– რაიმე ხომ არ გსურს, მე რომ მოგიტანო? – შაგანემ.

– არა შაგანე, ყველაფერი მაქვს.

– შინდისფერი მაისური გიყიდე საჩუქრად, იმას ვაუთოვებდი, მსხვრევის ხმა რომ გავიგონე ღია ფანჯრიდან და შიშისგან ლამის გონი დავკარგე...

– შიშისგან?

– ხო შიშისგან, ვიცოდი შენ რომ ჩამოვარდი მესამე სართულიდან...

– რა იცოდი მე რომ ვიყავი?

– სხვა არავინ უთვალთვალეს ჩემს საძინებელს!..

შაგანე დაიხარა და შუბლზე მაკოცა.

რუსუდანიც დაბრუნდა.

\*

ორთვიანი, იძულებითი შესვენების შემდეგ, ისევ შონიების ყოფილ ეზოს გადაყურებდი (უკვე მეოთხე სართულიდან). შაგანე ფანჯრიდან მომესალმა და დარაბა დახურა (კიდევ არ დაიმტვრესო!). სალამოს კი, კარლომ ნათლული მომიგზავნა, „შენი მეორედ მოსვლა აღვნიშნოთო!..“ მივედი თუ არა, შაგანეც იქვე გაჩნდა. ასე მეგონა, ცხოვრებაში პირველად ვსვამდი... კარლო, როგორც ყოველთვის, ოხუნჯობდა, ისიც კი თქვა: „შაგანეს თვალი გეცა და იმიტომ ჩამოვარდიო...“ დეიდა ანეტამ ჩემი გადარჩენის სადღეგრძელო შესვა. როცა ქალბატონები ჭორაობაზე გადავიდნენ და ყავის დაღვევის მომიზეზებით, სხვა მაგიდას მიუსხდნენ, კარლოს ჩურჩულით ვკითხე შაგანეს ტელეფონის ნომერი.

– ნამეტანს ნუ შეტობავ, ლომო! – შემიბღვირა კარლომ, – ნომერი რუსიკოს ეცოდინება.

– ბიჭო, რეზიკო შონიას ნომერი როგორ არ იცი, თუ შალვა და შაგანე ძველ ნომერს შეცვლიდნენ?

– ემაგ ვის გაახსენდა? – ადგა, კალამი მოიძია და ხელსახოცზე ჩემთვისაც კარგად ნაცნობი (თუმცა აღარ მახსოვდა) ნომერი წამინერა.

ავიჩქარე. ვიცოდი შაგანეც მალე დატოვებდა იქაურობას და როგორც კი მის ოთახში შუქი აინთო (ქუჩიდან ვუთვალთვალედი), ტელეფონის ჯიხურთან მივედი და ნომერი ავკრიბე.

– შაგანე!

– გისმენ, ბერო!

– აბსოლუტური სმენა გქონია!..

– ვიცოდი, რომ დამირეკავდი, გელოდი...

– გამოდი, მინდა შენთან ერთად გავისეირნო!

– საითკენ აპირებ?

– კაცხის სვეტი მომენატრა...

– ეგ სადაა?

– სოფელ კაცხში, აბაშიძეთა სამფლობელოში, ჭიათურასთან.

– შორს რომ არის?

– მერე რა, გეძინება?

– კარგი, ნახევარ საათში სინაგოგასთან შეგხვდები, ჩემს დასთან უნდა გავიდე, ბავშვებს შედედებული რძე უნდა ავუტანო და...

– კარგი, იქ მოვალ! – და ყურმილი სასწრაფოდ დავეკიდე, რომ არ გადაეფიქრებინა.

სახლში მივირბინე. ახალი პერანგი და სპორტული ფეხსაცმელები ჩავიცვი, ხელჩანთა (რომლითაც ნახაზებს დავატარებ) ჩავალაგე და სასწრაფოდ თბილისში წასვლა მოვიმიზეზე. ამ ყველაფრისთვის ზუსტად ნახევარი საათი დამჭირდა, თუმც ერთი ნახევარიც, სინაგოგასთან დგომა მაინც მომიწია. შაგანესაც ებანავა (სველ თმებზე ეტყობოდა) და სხვაგვარად მორთულიყო. მთვარით განათებული ზეცა დაგვნათოდა, თითქოს, არც იყო ღამე, შუალამისკენ უკაკუნებდნენ საათის ისრები. რომელიღაც რადიოარხი ედიტ ჰიაფისა და პატრისია კაასის სიმღერებს გადმოსცემდა. მანქანა აღმართებს მიუყვებოდა. გაბუტულებივით ვისხედით. თითქოს საუბარიც მესირცხვებოდა, ახალწვეულივით ვიქცეოდი (სად გაქრა ჩემი მდიდარი გამოცდილება!..) ისევ შაგანემ მიშველა:

– ბატონო ბერდია, რომელი სვეტი უნდა მანახოთ?

– კაცხის...

– მაღალია?

– საკმაოდ, იქ ადრე ბერები ცხოვრობდნენ...

– და მხოლოდ ამისთვის წამომიყვანე?!.

– ჰო, რა ვიცი, რომ დავიმტკერი და რომ გადავრჩი, იმისთვის...

– ამიტომ, სხვების ფანჯრებში არ უნდა იჭყიტებოდე, მით უფრო, თუ იქ ნახევრად მიშველი ქალია...

– შალვა ისევ მივლინებაშია? როდემდე... – (რა შუაში იყო!..)

– შალვა მინაშია, მინას თხრის... მეტის თავი მას არ აქვს!..

– ბოდიშს გიხდი თუ ზედმეტი გკითხე...

– ბერო, შალვა მე არ მაინტერესებს და შენ...

– კარგი, ბოდიში!

– იცი რა, შენ რომ ოჯახი არ გქონდეს, დაუფიქრებლად წამოგყვებოდი, თუნდაც სიკვდილში!.. მანქანა შევაჩერე.

– მოვედით?

– არა, მაგრამ...

– მაშინ იარე, მაინტერესებს იმ სვეტის ხილვა... მანქანა დავქოქე და დავძარი.

– წყალი თუ გინდა, „ნაბელლავი“ მაქვს მანქანაში.

– ჯერ სიგარეტი მინდა და სანთებელა მათხოვე!

სანთებელა გავაჩხაკუნე და ჩემთვისაც მოვიძიე სიგარეტი.

– იცი რა, ბერო, მე შენი ოჯახის შესახებ ყველაფერი ვიცი, შენაც ძალიან მომწონხარ, მაგრამ...

– გისმენ, შაგანე!

– ცოტა ხანს შემიჩერე, გავისეირნებ.

მალღობს შეუყვავა, სილუეტი შორიდანაც კარგად ჩანდა, უკან მოიხედა და გზა განაგრძო, სიგარეტის ციმციმი ციცინათელასავით მისდევდა, ბუჩქებს მიეფარა, მივხვდი, რომ ჩაიცუცქა. „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არაა“... – გამახსენდა ბრძენის სიტყვები.

ზემოდან ლალად ეშვებოდა.

– ხომ არ დაილაღე, შაგანე?

– რას ამბობ, მთელი ცხოვრება ვივლიდი, რომ შეიძლებოდეს!..

– ახლა დიდ დამრეცს ჩავივლით და კაცხის სვეტიც იქვეა.

მთვარე კირქვას და ღორღს ძალუმად ანათებდა. აზიდულ კლდეს გარშემო შემოვუარეთ. შაგანე ზურგით მიეყრდნო ლოდს და მთვარეს ახედა.

– შენ იცი, მხოლოდ, თუ როგორ მიყვარდა იგი...  
 – რა თქვი, შაგანე?  
 – არაფერი, მთვარეს ვესაუბრები, მან იცის...  
 – რა იცის მთვარემ, შაგანე?  
 – მან იცის გური თორია, თორასავით და ბიბ-  
 ლიასავით რომ მიყვარდა!..  
 – ვინ გური, ვერაფერი გავიგე...  
 – ის, ვინაც ჩემთან ერთად მოკვდა...  
 – შაგანე!  
 – არ გინდა, მე თითონ გაკოცებ, როცა დრო  
 მოვა...

კვლავ ახალწვეულივით გავინაბე. შუალამის  
 ორი საათი ხდებოდა. მთქნარება ამიტყდა.

– მოგეწყინა არა??  
 – რას ამბობ, შაგანე!  
 – ბერო, ამ შუალამისას, ქალი უდაბურ ტყეში  
 რომ წაყვება კაცს, იმ ქალს ყველაფერი ეკუთვ-  
 ნის და ყველაფრის ღირსიცაა, თუნდაც ძალად-  
 ობის...  
 – რამ გაფიქრებინა?..  
 – არც მიფიქრია, მაგრამ თუ მოინდომებ, დი-  
 დად არ გაგიძლიანდები, ოღონდაც, მერე აღა-  
 რასოდეს მომესურვები...

ქვებზე ვისხედით და სიგარეტს ვაბოლებდით.  
 როცა კაცხის სვეტს დავემშვიდობეთ, რიბი-  
 რიბო იცრიცებოდა, ფრინველები იღვიძებდნენ.

– გური ჩემი კურსელი იყო, ჩვენ კიევის სა-  
 მედიცინო ინსტიტუტი დავამთავრეთ, საზურგე  
 გადამინიე რა, ჰო, კარგია, მერე საქართველოში  
 დავბრუნდით და... ყველაფერი დამთავრდა, ჩე-  
 მებმა უარი თქვეს ჩვენს ქორწინებაზე, არადა,  
 სამი თვის ფეხმძიმე ვიყავი. დედაჩემმა მუცელი  
 მომაშლეინა, რამაც სულიერად გამანადგურა.  
 ლამები არ მეძინა. როცა ეგ ამბავი გურიმ გაიგო,  
 მანქანით გადაიჩეხა თავის მშობლიურ წალენ-  
 ჯიხაში. ამბობენ, „ნივით“ მთაში ავიდა და გა-  
 დაიჩეხაო... როგორც იაპონიაში იჩეხებიან შეყ-  
 ვარებულები კლდიდან... გურისთან ერთად მეც  
 გარდავიცვალე, ხოლო სხეული ჩემი, დედაჩემმა  
 ოცდახუთი წლით უფროს გეოლოგს მიათხოვა.  
 შვილები როგორ არ მიყვარს, მაგრამ... შალვა-  
 საც რას ვერჩი, შრომობს ადამიანი ოჯახისთვის,

საცაა პენსიაში გავა, ჰო მართლა, ვილაცამ თქვა,  
 შენი მეგობარი კარლოც ღალატობს რუსიკო-  
 სო!.. მართალია?

– პირველად მესმის, რას ამბობ?!  
 – ესე იგი ერთგული მეუღლეა, არა?  
 – ნამდვილად!  
 – როგორც შენ, ხომ ასეა?!..  
 – მე რა... კარლო ნაღდად... თუმცა...  
 – ჰო, კარგი, ნუ დაიბნევი ახლა ცერცვივით...  
 მართალს ამბობდა.  
 – რატომ, ადამიანო? კარლოსგან მე არ გამი-  
 გონია...  
 – ბერო, კარგია მეგობარს რომ გადაეფარე,  
 თუმც საკუთარ თავს ვერ...  
 – რას ბრძანებთ?!  
 – ჩემო კარგო, შაგანეს რომ თავადი მიქელა-  
 ძის გაუპატიურება მოენდომებინა იმ უდაბურ  
 ტყეში, ვინ იყო მშველელი!..  
 – აბა, ბენვზე ვარ გადარჩენილი!..  
 ინათელა, როცა ქალაქში დავბრუნდით.

\*

კაცხის საიდუმლო მოგზაურობამ ჩემი მსო-  
 ფლმხედველობა და შეხედულება ქალზე ძირფე-  
 სვიანად შეცვალა. თუ მანამდე ვფიქრობდი,  
 რომ მუსიკის შემკვეთი და პირველი ხმა, კაცი  
 გახლდათ (ანუ მე), კაცხის შემდგომ, პირველო-  
 ბა მდებდრს ვარგუნე. ისე გავიარ-გამოვიარეთ  
 ამოდენა გზა, უდაბური ტყე, რომ ხელიც არ გა-  
 მინვდია მისკენ. საერთოდ ქალებზე საუბარი და  
 ჭორაობა არ მჩვევია (არც მიყვარს), თუმც, უნდა  
 ვაღიარო, რომ მსგავსი შემთხვევა ჩემს ბიოგრა-  
 ფიაში არ ყოფილა. შაგანეს სურვილებს მივყვე-  
 ბოდი მთვარეულივით და ფარაონიც რომ ვყო-  
 ფილიყავი, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი.

დილით სამსახურში აღარ წავედი, თანამშ-  
 რომლებიც გავაფრთხილე ტელეფონით, თუ  
 სურდათ, პირადი საქმეები მოეგვარებინათ და  
 თვალეზანითლებული მშენებლებს მივადექი. შა-  
 განეს ფანჯრები კი გაეღო, მაგრამ თავად არსად  
 ჩანდა (ალბათ, ეძინა). ხარაჩოებიდან ჩამოვედი  
 თუ არა, შაგანეს ხმა გავიგონე. ტანში კვლავ

ელექტროობამ დამიარა... მოვიხედე, ბავშვებს ესაუბრებოდა (რატომღაც ადრიანად წამოეყვანა ბალიდან). რამდენიმე საათის წინ დავშორდი და მენატრებოდა, მასთან ყოფნა მსურდა, თუნდაც მეორე ხმად, მსახურად... ისევ მალა ავბრუნდი, საძინებელს გავხედე, ფანჯრები ისევ ღია იყო. ბავშვები ეზოში თამაშობდნენ. სიგარეტის კოლოფი მოვიძიე ხალათის ჯიბეში, ორი ღერიღა დარჩენილიყო, ერთს მოვუკიდე, მეორე იქვე შემოვდე, აგურებზე, კოლოფიდან შიგთავსი (ფოლგიანი ქალაღი) ამოვადვრე, ცნობილი პოეტის სტრიქონი წავანერე: „უხერხულია შენ გერქვას ცოლი!..“ მერე ფაქიზად დავკეცე, ისევ კოლოფში ჩავაბრუნე და ღია ფანჯარას დავუმიზნე. ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. აგურზე შემოდებული სიგარეტიც მოვნიე და ქვემოთ დავეშვი. ბავშვები ისევ ეზოში თამაშობდნენ. გასტრონომისკენ გავნიე. ორი კოლოფი სიგარეტი და ერთი კილო შოკოლადი ვიყიდე პატარებისთვის. გახარებულები მაშინვე დედისკენ გაქანდნენ. ორიოდ წუთში გაიღო კარი და:

– ბატონო ბერდია, რატომ ხულიგნობთ? – ხელში სიგარეტის კოლოფი ეჭირა.

– მუზებმა შემანუხეს და კარგი პოეტი გამახსენდა...

– აჰა, გამადლობთ ლექსისთვისაც და შოკოლადისთვისაც...

– რას ამბობთ, რა სათქმელია...

– აქ კიდე დიდხანს იქნები?

– რატომ მეკითხები?

– საღამოს ბავშვები უნდა ავიყვანო ჩემს დასთან და თუ დრო გექნება... აბა, დროებით. – დამემშვიდობა შაგანე და ბავშვებს სახლში შეუძღვა.

მანქანაში ჩავჯექი. საზურგე ბოლომდე გადავნიე და დავიძინე. მინაზე კაკუნმა გამაღვიძა.

– ნასვამი ხარ? – მკითხა კარლომ.

საათს დავხედე, შვიდი სრულდებოდა.

– არა, უძინარი ვარ.

– ამოდი, ვივახშმით!

– სხვა დროს, ახლა სამსახურში უნდა შევიარო, მელოდებიან.

შაგანეს სახლს გავხედე მალულად.

– ბავშვები წაიყვანა წელან. – გამიღიმა კარლომ.

მანქანა დავქოქე და სინაგოგისკენ გავეშურე. იქ დავდექი, სადაც წინა ღამით შაგანეს ველოდი. ისევ ჩამთვლიმა. თვალი რომ გავახილე, ბინდებოდა. იქვე სატელეფონო ჯიხური დავლანდე. საბედნიეროდ, ხურდაც აღმომაჩნდა და შაგანეს დავურეკე. ყურმილი არავინ აიღო. „როგორც ჩანს, შინ არ დაბრუნებულა, რას იფიქრებდა, რამ ჩამაძინა ასე ღრმად, კიდეც კარგი კარლომ გამაღვიძა, თორემ ახლაც იქ ვიქნებოდი...“ – ვფიქრობდი ჩემთვის, როცა ნაცნობი მოძრაობა (რხევით სიარული) შევნიშნე.

– შაგანე!

– ვის უცდი, ბერო?

– სოფი ლორენს...

– გემოვნება კარგი გაქვს, ძილიც გემრიელი გცოდნია, შემეცოდე და არ გაგაღვიძე.

მანქანის კარი გავუღე. ვიდრე დაჯდებოდა, შებრუნდა, ხელი ორსართულიანი, ცისფრად შეღებილი სახლისკენ გაიშვირა და ხმამაღლა მკითხა:

– სიპიტო ლექტორს იცნობდი?

– გამიგია.

– მასთან ვემზადებოდი ბიოლოგიაში, – მანქანის უკანა სალონში ჩაჯდა, – მეცხრე კლასში ვიყავი, ცალ-ცალკე გვიბარებდა აბიტურიენტებს. ერთხელ აბაზანის ხალათით შემოსილი დამხვდა, ახლოს დამიჯდა, მამაკაცის აგებულებას აგისხნიო და ხალათი გადაიძრო, ვიკივლე და ფანჯრიდან გადმოვხტი; პირველი სართულის ფანჯარა იყო, მაგრამ მაინც ვიღრძე ფეხი. დედაჩემი არ მიჯერებდა, მაგას როგორ იზამდა ლექტორი კაციო!.. თანაც მეზობლები ვიყავით. ერთი თვე იქით არ გამიხედავს. მერე ჩემმა ბიძაშვილმა გადაწყვიტა მომზადება და ერთად დავდიოდით. ცუდი ხმები ისმოდა იმ კაცზე. ამბობდნენ ბიჭები უყვარსო!.. ინსტიტუტიდანაც გამოაგდეს და მგონი, ციხეშიც იჯდა მაგისთვის. არც ეს სჯეროდა დედაჩემს, კაცთან კაცი რავა შეიძლება იყოსო!.. მე და ჩემმა ბიძაშვილმა ჩვე-

ნი თვალთ ვიხილეთ მაგ ამბავი. თურმე შუქი წასულიყო და ელექტროზარს უქმად ვეჯაჯგურეთ, მერე კარი შევალეთ და... იმ მაგიდაზე, სადაც ჩვენ გვამეცადინებდა, დავინახეთ ჩვენი ლექტორი გადანოლილი, ვილაც ბიჭი კი... მგონი ისიც აბიტურიენტი იყო!... მეტჯერ აღარ მივსულვართ იქ. შემზიზიდა იქაურობა და ის ლექტორიც!.. შარშან მოკვდა. ოთხი კაცი ვერ შეაგროვეს, სასახლე რომ მიეტანათ სასაფლაოზე, მგონი სამმა კაცმა წაიღო კუბო...

– ესეც მსმენია...

– ეგრე ეკუთვნოდა!.. მე თუ მკითხავთ, არც უნდა დაემარხათ, უფლის მგმობელი და მწვალე-ბელი!..

– შაგანე, სად წავიდეთ?

– კიდეც უნდა მაჩვენო რაიმე სვეტი!..

– შეიძლება...

– სახლში მიმიყვანე, მეძინება, თან შალვა ჩამოდის ხვალ, დამირეკა.

მანქანა მოშორებით გამაჩერებინა, „არ მი-ნდა რუსიკომ და კარლომ დაგვინახოსო!..“ ჩემ-კენ შემობრუნდა, „მადლობელი ვარ გუშინდელი დღისთვისო“ და გულიანად მაკოცა.

მანქანის დაძვრისთანავე მომაცხა: „ებრა-ელთა ისტორია მათხოვეო!“

\*

ყოველდღე კაკლების ქუჩაზე ვტრიალებდი. სასტუმროს მშენებლობა მთავრდებოდა. კარ-ლოსთანაც შევივლიდი ხოლმე, სალამოობით. თითქოს, ყველაფერი ძველებურად იყო, ერთი რამის გარდა. შაგანე და შალვა არსად ჩანდნენ. არც ბავშვები, თუმცა პატარები უფროსების გარეშე ხომ არ დარჩებოდნენ. ვიკითხე კიდეც, სად არიან-მეთქი. „ბავშვები შაგანეს დასთან არიან, ქალაქში მოვკარი თვალიო“, – რუსიკომ. უსაზღვროდ მოვიწყინე. არც ის ვიცოდი და სად ცხოვრობდა. ისეთი სიცხეები დაიჭირა, ღამითაც კი ცხელოდა. შვებულებაში წავალ-მეთქი, გავიფიქრე და შაგანეც გამოჩნდა, „მოსკოვში ვიყავით მე და შალვა, მამიდაშვილი ჰყავს იქ, ცნობილი პროფესორი, სამკურნალო კურსს გა-დის ამჟამად და ორ კვირაში დაბრუნდებაო“.

შვებულებაში წასვლა გადავიფიქრე. ისევ მოვუსშირე ზარზმელიძეების ოჯახში ქეიფებს. შაგანეც ნიადაგ რუსიკოსთან იჯდა. ერთხელ დავურეკე და შევთავაზე გასეირნება. ბოდიში მომიხადა: „მე თავად გეტყვი, როცა შევძლებო“. კარლოს წიგნიც დამიბრუნა, რომელშიც პატარა ბარათი იდო: „ბერო, ნეტავ, ადრე გამეცანი, სულ, სულ, ადრე, ბავშვობაში!..“ მთელი ღამე ვე-ღარ დავიძინე. უთენია მივედი კაკლების ქუჩაზე, მუშები ჯერ არ ჩანდნენ. მესამე სართულზე ავე-დი, შაგანეს ფანჯარა ღია დაეტოვებინა. პატარა კენჭი ვესროლე მინას. ლურჯხალათოსხმული შაგანე სარკმელს მოადგა. ხელით მანიშნა დამი-რეკეო. მაშინვე ძირს ჩავივრინე და სატელეფო-ნო ჯიხურისაკენ გავქანდი.

– შაგანე!

– ბერო, რად არ გძინავს?

– რა დროს ძილია, გათენდა!

– მერე რა, ექვსი სრულდება, წადი, დაიძინე და სალამოს გნახავ.

– ფანჯრიდან გადმოვალ და შენთან დავიძი-ნებ!..

თავად გამიკვირდა ჩემი გაბედულება. დუმი-ლი კარგა ხანს გაგრძელდა.

– ველარ გცნობ, მოტეხილი ნეკნები დაგავი-წყდა?

– მაგ არ იჯავრო, არ დავიმტვრევი...

– ბერო, გაგიჟდი? წადი, დაიძინე, თორემ სა-ლამოს არ შეგხვდები!

ტუ... ტუ... ტუ...

მანქანაში ჩავიძინე.

\*

ისევ მანქანაში ძილი, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა არც სამსახურში, არც მეგობრებში. „რა გჭირს?“ – მკითხა კარლომ. როცა პასუხი ვერ მიიღო, გააგრძელა: „ხომ გაგაფრთხილე, ნა-მეტანს ნუ შეტოპავ-მეთქი!..“ საუბარი ფეხბუ-რთზე და ევროპის თასებზე გადავიტანე, მერე „ქართლის ცხოვრება“ ვთხოვე.

კარგა ხანს ვეძებეთ წიგნი, მაგრამ ვერ ვიპო-ვეთ.



- რა წიგნს ეძებთ? - იკითხა რუსიკომ.
- „ქართლის ცხოვრებას“, სადღაც აქ იდო...
- ეგ წიგნი შაგანემ წაიღო, ორი დღის წინათ.
- კარგი, ნუ ეძებთ, საჯარო ბიბლიოთეკაში

შევივლი! - დავამშვიდე მეგობრები.

ბიბლიოთეკაში თანაკლასელი შემხვდა, რომელიც წლებია არ მენახა. ერთმანეთი ჩურჩულით მიმოვიკითხეთ და წიგნიც მომიტანეს. კუთხის მაგიდა ავირჩიე და წიგნი გავშალე. „ჭურიათა ქართველთა“ ... თვალები ამიჭრელდა, ისინი ნაბუქოდონოსორისაგან ოტებულნი მოვიდნენ და დაემკვიდრნენ მცხეთას. მერე ერთმანეთში აირია სახელები, თურმე ქართლში ჰპოვეს სიმშვიდე და ელიას ხალენიც აქ ჩამოაბრძანეს, რაც გახდა წინაპირობა უფლის კვართის ჩამობრძანებისა. მერე იყო უფლის მოვლინება (განკაცება) და უგანაჩენო განაჩენი... მცხეთიდან ელიოზი და ლონგინოზ კარსნელი გაემგზავრნენ იერუსალიმს, აბიათარ მღვდელმა და სიდონიამ გააცილეს ისინი, მათ შეიცვნეს მესია და არ გაისვარეს ხელი წმინდა სისხლით, ხოლო დაბრუნდნენ უდიდესი მადლით: „ელიოზ მოილო კვართი მცხეთად, სახლად ჩვენდა“, რომელიც ჩაიკრა გულში სიდონიამ და არ გაუშვა ხელი, კვართთან ერთად დაფლეს მცხეთის წმინდა მიწაში. მერე თანდათან აირია ყოველივე გონებაში და... თვალი გავახილე, მიმოვიხედე. თავი ისევ გაშლილ წიგნზე მედო. მკითხველები თავიანთ ფიქრებში ჩაძირულიყვნენ... ბიბლიოთეკარს მადლობა მოვახსენე და გარეთ გამოვედი. „რამ დამაძინა სახალხოდ!“ - ვფიქრობდი გზაში. ეგ რომ კარლომ და სხვებმა გაიგონ, ერთი თვე სალაზღანდარო არ გამოეღევათ. აი, თუნდაც ამ გვეგვემ... თეატრთან გუჯა ბერელიძე იდგა, ჩვენი თანაკლასელი, ყოფილი კალათბურთელი.

- გუჯა, ქაბაბს შეჭამ? - მივესალმე.
- შენთან ერთად - დარიშხანს!..
- ჰოდა, ბიკენტციას საქაბაბეში შევიაროთ და ციანიდსაც ჩაგაცეცხლებ...
- თოფაძის ციანიდს თუ ამბერკისას?
- რომელსაც ისურვებ.

ერთი საათი საქაბაბეში დავყავით, ერთმანეთს დავემშვიდობეთ და შაგანესაც დავურეკე:

- საღამოც მოვიდა, ჭურიათა დედოფალო!..
- რა ბრძანეთ?

მივხვდი, რომ გადავაჭარბე, არ ელოდა, სუნთქვა გაუხშირდა და ... ისევ ქართლის ცხოვრებამ მიხსნა.

- შაგანე, მთელი დღე ქართლის ცხოვრებას ვკითხულობდი და...

- მეც მაგას ვკითხულობდი, ბერო!..

- ახლა რა ვქნათ?

- მანქანა ხომ გყავს მწყობრში, მსოფლიო ტურნესთვის ვემზადებით...

ვერაფერი გავიგე, რა ტურნე, რა მსოფლიო...

- რაო, შაგანე?

- ამაღამ მცხეთაში მივდივართ, კვართის და ხალენის მადლის მისაღებად, სიდონიას წინაშე მუხლმოსაყრელად, კერპების თაყვანსაცემად...

- რომელ საათზე?

- ათზე, ბავშვებს დავაძინებ ჩემს დასთან და სინაგოგასთან გამოვალ. ისე, რომ იცოდე, ხვალ 20 ივლისია, ძველი სტილით, წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღე!..

ზუსტად ათ საათზე სინაგოგასთან ვიდექი, ბნელოდა და ცხელოდა. დღისით აუტანელი სიცხე იდგა. ალბათ, აგრილდება თანდათან. აი, შაგანეც გამოჩნდა, მოკლე და თხელი კაბა აცვია (გარემოების შესატყვისი). ხელჩანთა უკანა სავარძელზე დადო და გვერდით მომიჯდა. ქვაშავამდე ხმა არ ამოუღია. საზურგე გადამანევირა, ხელები თავქვემ ამოიღო (რამაც, ისედაც მოკლე კაბა, კიდევ უფრო დაამოკლა...) და ნებივრად მილულა თვალები.

- არ გიძინია?

- კი, მაგრამ ახლა ასე მსურს (მოიზომა დედოფლის ალაგი!..)

- ნება შენია, მე ვინ მკითხავს, უჩინო მძლოლს...

- არ გინდა ეგ ირონია, ცოტა მაცადაე!..

რიკოთამდე ხმა არ გაუცია, მეც ჩემთვის ვფიქრობდი: „ცოლ-შვილი მყავს, სამსახური მაქვს, რა მინდა, რა არ მასვენებს, რას ვბითურობ, რა მემცხეთება, იქ რა უნდა გავაკეთო...“

მეგობრებსაც ვერ მივაკითხავ უცხო ქალთან ერთად, უხერხულია, ღამე სად უნდა გავათიო, თუ უძინარი უკანვე უნდა გამოვბრუნდე, ეს ხმასაც არ მცემს, მგონი, სძინავს, რა თეთრი ფეხები ჰქონია, თავად შავტუხაა, უფრო – ხორბლისფერი... აი, წყაროც, წყალს მაინც ვისხურებ გახურებულ შუბლზე...”

დავამუხრუჭე.

– მეც მინდა წყალი! – წამოიმართა.

– მეგონა, გეძინა...

– არა, არ მეძინა, შენს ფიქრებს ვკითხულობდი, „რა თეთრი ფეხები აქვს და რა მოკლე კაბა აცვიაო, თუმცა, მუხლზე ხელის დადებაც კი არ გაგივლია უზურში!..“

– ნოსტრადამუსი ჰურიათა ჯიშისა გახლდათ, ოღონდაც მამრი... ჭიქა გამომართვი, სახეზეც ისხურე! – გავუნოდე ერთჯერადი ჭიქა.

მცხეთამდე ენა არ გაუჩერებია. მე ოდენ თავს ვუქნევდი. ნაცნობი თუ უცნობი ისტორიები მომიყვა, რასაც სასხვათაშორისოდ მოაყოლა: „ბერო, ძალიან, ძალიან მიყვარხარ!..“

ვერც ახლა გავბედე ხელის განვდენა და ეს-ეც „ნაიკითხა“, ჩემი მარჯვენა აიღო (საჭეს მარცხენათი ვმართავ), მარცხენა ძუძუზე (გულის ფარზე) დაიღო და გაიტრუნა. ერთგული და ბეჯითი გული, გულიანად შრომობდა, ჩიტივით ფართხალებდა, რეჩხსაც გაიღებდა... ხელი ფრთხილად ავიღე, სიჩქარის გადამრთველს მივწვდი (არ საჭიროებდა...) და:

– დამსვი საჭესთან.

გზას გავხედე. მაგისტრალზე ორიოდ მანქანა მიმოდიოდა. დავამუხრუჭე. კარი გავაღე, ადგილი დავუთმე. სიჩქარის გადამრთველს გადმოალაჯა (ჭეშმარიტად ეგაა გადალაჯება...) საჭესთან მოკალათდა. მანქანას შემოვუარე და მარჯვნიდან მივუჯექი. უშეცდომოდ დაძრა. უკან მოვიტოვეთ აგარა და წეროვანი. ჯვრის მონასტერმაც შემოგვანათა ზემოდან, სამთავრო და სვეტიცხოველი. ალაყაფი დახურული. პირველი საათი. შუალამე. ფეხით სამჯერ შემოვუარეთ ქვის უზარმაზარ კედელს. ელია წინასწარმეტყველი... ჩურჩულებდა შაგანე და ტანზე მეკვროდა.

– ფეხები მეტკინა, მანქანაში ჩავსხდეთ!

– სასტუმროში ხომ არ წავიდეთ, აქ თუ არ იქნება, თბილისში ჩავიდეთ, რას იტყვი?

– არა, ბერო, დილამდე აქ დავრჩეთ, სანთლები დავანთოთ და დავბრუნდეთ, სასტუმრო და საძინებლები ჩვენ არ გვჭირდება!..

– რატომ, გეძინია ჩემი?

– აბა! ქალწული ვარ, ორი კაცის შემდეგ...

რატომღაც დავსევდიანდი.

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, ბერო, „კარ განიხვნების თავადა...“

გამამხნევა და საზურგეზე მიიძინა.

\*

სვეტიცხოველში ღრმადმორწმუნე ქრისტიანით დაანთო სანთლები და ილოცა. გაცეცხული ვუყურებდი და სანთლებს ვანთებდი. მერე გარეთ გამოვედი.

– საჭესთან ხომ არ დაჯდები?

– არა, მართვის მონაშობა თან არ მაქვს!..

– კარგი ვქენით ეს დღე (უფრო სწორად ღამე), აქ რომ გავატარეთ, თუმცა...

– რა თუმცა?

– რად მოისურვე და მოინადინე ეს, ჩემთან ყოფნა გინდოდა თუ რა იყო ყოველივე?..

– გამოცდა, ბერო!

– მე გამომცადე?

– არა, საკუთარი თავი!..

– არ გამოცადოო, რომ გვასწავლიან...

– ეგ თქვენ გასწავლიან!..

– ჩვენ?

– კი, ქრისტიანებს!..

– შენ?

– მე დედაჩემმა ქრისტიანს არ გამაყოლა და სასიკვდილოდ გაიმეტა ქრისტიანის ნაშიერი!..

– სწორია მერე ეგ?!

– დედაჩემი კი!..

– როგორ შაგანე?

– ჩვენ ბერო, ასე შევიანახეთ ჯიში, ებრაელებს რომ ქართველები ეთხოვათ და ქართველებზე გათხოვილიყვნენ, ერთ საუკუნეში ხსენებაც არ იქნებოდა ჰურიათა და არც ქართველი ებრაელი

იარსებებდა დუნიაზე... სადღა არიან დღეს ყივჩაღები? ცოტანი ჩამოვედით საქართველოში და ჭკვიანმა წინაპრებმა ნათესავთა შორის ქორწინება დაუშვეს, რაც კარგი არ არის, მაგრამ ჩვენი სიმცირის გამო მოხდა ეს და ჯიში შევინარჩუნეთ ამგვარად!..

– ადამიანო, ქრისტე, თქვენში, იუდეაში არ განკაცდა?..

– ეს ქრისტეს განკაცებამდე მოხდა, ბერო.

– ისე, ქრისტიანი ებრაელებიც არიან...

– ვიცი და მეც მზად ვიყავი მაშინ ამისთვის!..

რიკოთზე ისევ შევაჩერე მანქანა. მსუბუქად ვისაუბრეთ და დავიძარით. საუბარიც ბუნებრივად გაგრძელდა.

– და ახლა არა ხარ მზად?

– ახლა არა და ამიტომაც არ ვისურვე შენთან ერთად სასტუმროში ღამისთევა, სახლშიც ამიტომ არ შემოგიშვი იმ დილით, ფანჯრიდან გადმოვალო, რომ მეაჯებოდი...

– აჰა, გასაგებია ყოველივე...

– რა იფიქრე? არ გეგონოს, არ მომწონდე, არ მსურდე, ახლაც სურვილით ვინვი, ბერო, მე ქალური ცხოვრება არ გამაჩნია, შალვა მხოლოდ მიწას თხრის, ისიც მიკვირს, ბავშვები როგორ გავაჩინეთ, მაგრამ რა ვქნა, დედაჩემის სურვილს და წადილს ვერ გადავდივარ, თუმცა ქართულ-ებრაული ოჯახებიც არსებობენ, თანაც ძალიან ბედნიერი ოჯახები...

შაგანე ტიროდა, ტიროდა ცრემლებით და მე მარჯვენა ხელით (მარცხენათი კვლავ ავტომობილს ვმართავდი) ვუმშრალე თვალებს. არც მიძალიანდებოდა.

– ბაზართან დამტოვე, რამერუმეს ვიყიდი სადილისთვის, ამ დღესაც არასოდეს დავივიწყებ, სადაც არ უნდა ვიყო!!!

რხევით მიდიოდა, ლამაზად. გულიანად ვერც კი დავემშვიდობე, არც მიკოცნია და არც არაფერი...

\*

სასტუმრო „ტანო ტატანო“ (ბესიკის პარკის მიმდებარედ) დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა. მე, რო-

გორც არქიტექტორს, საპატიო ლოჯაში ჯდომა და სიტყვით გამოსვლა მერგუნა. რამდენიმე მოსანვევიც მიწილადეს (აქედან სამი კარლოს, რუსუდანს და შაგანეს გავუგზავნე, ერთიც – მეუღლეს მივუტანე). შაგანე და მარიამი (მეუღლე) ერთად ისხდნენ, ზოგჯერ ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, თუმცა, მანამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ. კონცერტის შემდეგ სუფრასთან მიგვიპატიყეს. ქალბატონები ერთმანეთს მიუსხდნენ, მე კარლო მომიჩოჩდა: „ღვინო სადაურია?“

– ტვიშის.

– მაშინ დაილევია! – შეავსო ჭიქები.

– ბატონო ბერდია, ბოდიშს გიხდით, აქეთ უნდა გადმობრძანდეთ სათამადო ადგილზე (სუფრა განცალკევებით გაეშალათ), დღეს თქვენ გეკუთვნით პირველობა! – გამიღიმა სასტუმროს მფლობელმა.

კარლოს სახე მოელრიცა (თანამესუფრის დაკარგვის გამო), ქალბატონებმა ტაშით გამამხნევეს. „კიდევ კარგი, სასტუმრო ჩვენებურის არის, თორემ არაფრით არ ვითამადავდი“ (ხომ მოკვდებოდნენ ჯავრით!..) – გავიფიქრე და მინიშნებული ადგილი დავიკავე. სადღეგრძელოები ერთმანეთს გაეკიდნენ, ჯარისკაცებივით ჩამწკრივდნენ წინაპართა მიერ გათელილ ბილიკებზე, ერთმა თუ ორმა, ურჩი მეომრებივით გაიგანგანეს, სხვა მხარეს გაუტიეს, თუმცა ამით, საყოველთაოდ მიღებული და ცნობილი თამაგების (გენშტაბის) მიერ დამტკიცებული სვლაგეზისთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ, პირიქით, გაამრავალფეროვნეს და უფრო საინტერესო გახადეს საომარი ქმედებანი... მთავარსარდალი (ამ ჯერზე მე), ბრძოლის ჟინით შეპყრობილი, ახალ-ახალ გზებს ეძებდა თანამესუფრეთა დასამორჩილებლად და „შესამუსრად!...“

პატარა ბიჭმა განსხვავებული სასმისი (სასტუმროს ემბლემა-ქალის ტორსი) მომართვა, რომელიც წამსვე შემივსეს შემარქაფებულმა მერიქიფებმა.

შაგანეს და მარიამს გადავხედე, რომლებიც სახეშეფაკლულები მიცქერდნენ, იქით მოლუსულ კარლოს ჩავუკარი თვალი და:

„ტანო ტატანო, გულწამტანო,  
უცხოდ მანებო!  
ზილფო, კავებო, მომკლაგებო,  
ვეწსაკანებო,  
წაწბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო,  
შემაზანებო,  
ძონ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო,  
სულთწამანებო,  
პიწო მთვანეო, მომიგონე  
მზისა დანებო!“

უეცრად შაგანე ადგა და გასასვლელისკენ გაემართა.

ოდნავ ავირიე, ლამის ლექსიც დამავიწყდა და... ამ გენიალური ლექსის ფინალს (აპოთეოზს, კულმინაციას...) ჩავეჭიდე:

დანაცარებო!“

შაგანე კარებთან იდგა და ტაშს უკრავდა, ისევე, როგორც ფეხზე წამომდგარი სტუმრები.

მუსიკოსებმა სიმღერა დააგუგუნეს. რამდენიმე მცირედმსმელმა, ცეკვითაც გამოხატა თავისი სიხარული. შაგანე ათიოდ წუთში (ალბათ, შინ გადაირბინა?) დაბრუნდა. გაცისკროვნებული თვალებით მიყურებდა, მერე მარიამს მიუბრუნდა. „ორი გამორჩეული ერის, ორ მშვენიერ ქალს ვუყვარვარ, ვარ ახლა ამის ღირსი მე?!“ – ვფიქრობდი შუბლგახურებული, თან თანამესუფრეთ ქალბატონების სადღეგრძელოს შესმას ვთავაზობდი.

– მუსიკალური შესვენება არ იქნება? – იკითხა უღალმა კაცმა, რომელიც ატამს ჩამოჰგავდა.

– სადღეგრძელო ჩამთავრდება და, კი ბატონო!

არც დავახანე და ათწუთიანი შესვენება ვბრძანე, რასაც მყისიერად მოჰყვა მუსიკოსთა რეაქცია:

„ტაში ბიჭო გიორგუნა,  
არ გაუშვა ეგ ბოშუნა...“  
როკავდა ატამი...

რაჭულ „ოღროჩოღროს“ სამეჯლისო ცეკვები ჩაენაცვლნენ. ჯერ მარიამი ვაცეკვე (კარლომ – რუსუდან), მერე – შაგანე.

– ეს ბარათი გამომართვი! – მომეხუტა შაგანე.

ბარათი პერანგის ჯიბეში ჩავაცურე, შაგანე სუფრასთან მივაცილე და მიკროფონი მოვიმარჯვე.

შუალამემდე (ჩვეულებისამებრ) გაგრძელდა ქეიფი.

\*

თვალი ძლივს გავახილე. „რას ვსვამდი იმ ყანწებს!“ – გავიფიქრე და გველნაკბენივით წამოვვარდი. ბარათი მოვიძიე (ჯერ არ წამეკითხა), პერანგის ჯიბეში. შვებით ამოვისუნთქე, ადგილზე დამხვდა. შვიდი სრულდებოდა, მზე ამოსულიყო (თუ ამოდიოდა...) მარიამს ნაბოლარასთან ეძინა, მეორე ოთახში. ბარათი გავშალე: „ბერო, ჩემო სიყვარულო! დიდებული თამადა ყოფილხარ, ასეც მჯეროდა და ისიც ვიცი „ტანო ტატანო“ მე რომ წამიკითხე, ველარ გავუძელ, ვიფიქრე გავეცლები-მეთქი, მაგრამ... ფეხი ვერ მოვიცვალე, კარებთან გამომეცალა სასიცოცხლო ძალა!.. როცა ჩამთავრე, მერე გავედი, შინ შევირბინე, რადგან ამ ბარათს, სუფრასთან ვერ დავწერდი, სადაც შენი მშვენიერი და კეთილშობილი მეუღლე იჯდა, არასოდეს უღალატო მას, არ იმსახურებს და გული არ ატკინო, ამ ერთადერთხელ კი, უფალი (შენი და ჩემი ღმერთი) ორთავეს გვაპატიებს. ხვალ, ლამით, თორმეტ საათზე მოდი ჩემთან, არავინ შეგნიშნოს, ფანჩატურის ჭიშკარს ღიად დავტოვებ!.. შენი ტანო ტატანო, ანუ შაგანე“.

უმალ გამოვფხიზლდი. მზად ვიყავი ბარათი გადამეყლაპა, უგემრიელესი დელიკატესივით შემეჭამა. გავკეცე, ჯიბეში ჩავიდე და აბაზანაში შევედი. „როდის დაღამდება, ან რა გავაკეთო მთელი დღე!...“ – ვფიქრობდი შხაპის ქვეშ.

აბაზანიდან გამოვედი თუ არა, კარლოს დავურეკე:

– ხაშზე გავდივართ, შვიდზე შენთან ვარ, მაღლაკში ჩავიდე!

კარლომ აბდაუბდად (კოკისპირულად სვა ბიჭმა!) მიპასუხა და ყურმილი დაკიდა.

ათ წუთში მის ჭიშკართან ვიდექი. ხმოვან სირენაზე რუსიკომ გადმოიხედა.

– სად არის ფარაონი ამენჰოტეპ მეთოთხმეტე? – ავძახე რძალს.

– ლუი მეთოთხმეტესთან გაჰყვა სულხან-საბას!.. – ჩამიარაკა კარლომ ფანჯრიდან, თან მუშტი მომიღირა.

ორიოდ წუთში მალლაკისკენ დავიძარი.

– ხომ მომკალი! – შემომაფუტა „ქემელის“ კვამლი.

– დაგაძალე?!

– რავი, სულ ჩემკენ იყურებოდი და...

– აბა ბიჭო, სულ შენი ცქერით ვტკბებოდი!...

– შაგანე რომ გააგიჟე, ესეც ვიცი, მგონი, შვილებიც კი არ უყვარს შენსავით...

– მოგცლია, რეებს ბოთაობ!.. – სიტყვა ბანზე შევისროლე.

სასადილოდან ისევ სახლში მივბრუნდი დასაძინებლად.

სალამომდე ვიძინე.

აფორიაქებულმა გავიღვიძე, დრო მიზოზი-

ნებდა, გაჩერდა თითქოს... ძლივს, ძლივს მოვიდა საოცნებო თორმეტი... ეზოში ქურდით შევიპარე. ახალნაბანავები (სველთმიანი) შაგანე ლურჯ ტუნიკაში გახვეულიყო... მაგიდაზე კონიაკი და შოკოლადი იდო... საწოლზე წიგნი (შუა საუკუნეების ებრაელი პოეტები...)

ტუმბოზე მწვანე სანათი ენთო...

\*

შემდეგ წლები გავიდა...

შემდეგ თვალი არ მომიკრავს...

იმ დილით (მე გამთენიისას რო დავტოვე...) გამგზავრებულყო, უჩუმრად (როგორც სჩვეოდათ), მხოლოდ რუსიკოს და დეიდა ანეტას გამოთხოვებოდა ცრემლებით (შალვა და ბავშვები წინასწარ გაემგზავრებინა).

იერუსალიმში ცხოვრობსო...



# ჭაბუკ სურბანიძე

\* \* \*

ამბობენ, რომ ავის მქმნელი  
უსამშობლო არის კაცი,  
რომ ბედოვლათ თანამოდმეს  
ქვეყანა არ გააჩნია.  
მაშ, რით ავხსნა,  
როს სტუმარი,  
დარჩენილი ჩვენთან დიდხანს,  
ვიყიდეო, – გეუბნება,  
გედავება მშობელ მიწას.  
გედავება, მესაკუთრის  
ცივი მზერით გადმოგხედავს,  
ოღონდ მამულს ეშველოს და  
აცრემლებულ  
ქართველის დედას,  
არად ჩათვლი ამ ტკივილს და  
არად ჩათვლი ამგვარ სევდას.

2009

\* \* \*

ყველა სფეროს გასწვდენია,  
მეც ვენვევი ხოლმე „გუგლსა“,  
ნიგნი მაინც სხვა რამეა,  
სიბრძნეებით ავსებს გულსა.  
დღეს ცოდნა მით იზომება –  
ვინ ქმნა „ვეფხისტყაოსანი“,  
ბავშვი რაა, დიდს ერევა  
რუსთაველში სხვა მგოსანი;

სანათაზე გეტყვის – არის  
ქალი თეთრმანდილოსანი,  
ზოგიერთი უჩინო თუ  
ზოგიერთი ჩინოსანი.  
ნიგნის დახლქვეშ საძებარი  
თუმც არ გვიდგას ახლა ხანი,  
წამკითხველი შემოგვაკლდა,  
ნიგნიერნი ვხდებით სხვანი.  
და არ მაძლევს მოსვენებას  
ხვალ ვიქნებით, ნეტა, რანი,  
მერმისში რით იდიდგულებს  
ჩვენი ერდო, ჩვენი ბანი.

2015

\* \* \*

## ილიას

უგვირგვინო მეუფებავ,  
წმინდანად შერაცხულო,  
არა ოდენ კალმის მაღლით  
ქვეყნად სახელგანთქმულო;  
ქართველობის ზვარაკო და  
გადარჩენის ფსალმუნო,  
თავისთავადობის ცეცხლად  
გულს ნადებო აღმურო  
(სატკივრით და საფიქრალით  
ჭეშმარიტად ხალხურო),  
შენი ნატვრის აღსრულება,  
მკვნესარე სალამურო...  
„ნეტავ „...როსლა აყვავდები“  
კითხვად რჩება, მამულო.  
ვერ ვაბრწყინეთ ივერია –  
შენი სუნთქვის ტრფიალი,  
და მივდივართ იმაქვეყნად  
ტვირთის თანაზიარნი.

2011

ისე უნდა იცხოვრო

ვუმზერ მიწის დედოფლებს  
ხეებს გადაპენტილებს, –  
ტოტზე ჩამონათოვებ  
ფიფქთა მრავალნერტილებს.  
აფეთქება რტოების,  
გულის ნალმი – ნუგეში,  
პატარძლებად კეკლუცობს  
ატმები და ნუშები,  
ბავშვობიდან გამზრდელი  
სანაპიროს ქუჩები,  
ბიჭურ გულის ძგერებას  
ველარ გადაფურჩები  
(თითქოს, რძეშეუმშრალი  
მქონდეს ისევ ტუჩები).  
პეპლებს გამოცყდომიან  
სიყვარულში სერები,  
თვალწარმტაცი სანახის  
ხილვას ველარ ველევი.  
სანამდე დამატყვევებს  
მოხასხასე ველები,  
ხან მზით განაბრწყინები,  
ხან ცვარ-ნამით სველები  
(გვირილების მზერებით  
ბაგე მიმზიდველები),  
სიკვდიმდე მათ სიტურფეს  
სუნთქვით მოვეფერები.  
მაგრამ განცდა სხვაც ახლავს  
იერით გახარებას  
(არსებას ვერ უბრძანებ  
ერთ ნოტაზე ტარებას...),  
რადგან სრულად სჭირდება  
მამულს გამოდარება,  
შეგვძლებოდეს ჩვენ მისი  
სევდის გაფერმკრთალება  
(ცალმხრივია სხვაგვარად  
სულის ფერისცვალება),  
ისე უნდა იცხოვრო,  
ღირდეს გარდაცვალება.

2010

სული სხვას რას ინატრებდა

მუხლს უდრეკდა იესოს და  
მრევლს მწყემსავდა თვალსაჩინოდ,  
როს ქუთათლის სამწყსოშია  
ქუთათელი იჯდა ხინოს.  
გვირგვინოსანს მეუფისგან  
ადგა სხივი მადლის მფენი,  
იჯდა მარჯვნივ ხელმწიფესთან  
დარბაზობის დამამშვენი.  
ის დრო იყო, გულის კარნახს  
ყურს უგდებდა ჩვენი გენი,  
სასოებით შეგვცქეროდნენ  
მტარებელნი ერთი რწმენის.  
იდგა ხინოს ეკლესია  
„გუნბათიან“ და „...დიდშენი“  
მთებს ფიქრიანს დაჰნათოდა  
ღვთაებრივი ხიბლი ზენის.  
კლარჯეთივით ხინონმინდამ  
გაამნიგნობარა ერი,  
სადგომების ტალანებში  
აქ მრავალი ვლიდა ბერი –  
მომლოცველი და მწირველი,  
ხელნანერთა გადამწერი;  
იზვარაკეს მრწამსისათვის,  
მოგვეძალა როცა მტერი,  
მდინარეებს მენამულად  
შეუცვლიათ მაშინ ფერი.  
ვლიდა ბერი და კინტრიშში  
დღესაც ბევრი ინათლება,  
წინაპართა საცხოვრებლად  
სული სხვას რას ინატრებდა.

2013

\* \* \*

რაც სიახლედ გვევლინება  
დავინყება არის ძველის,  
მაშ, რადაა სიახლეში  
ძველ საქებრის პოვნა ძნელი.  
მადლი უფალს, გრაალს ცისქვეშ  
რომ არ მოკლებია მცველი,

კოლიზეუმს რომაელებს  
 აცვიფრებდა ფარსმან ქველი.  
 (აღვანთებდით ცას დასავლურს  
 ჩვენი ხედვით საკვირველით).  
 ჰე, ქართველო, მედგრად იდექ,  
 არ შეგერყას საძირკველი,  
 თორემ სხვაფრივ რა ფასი აქვს  
 შენთვის ცნებას ევროპელის?!

\* \* \*

მოსამკობელს  
 იქ რად ელი,  
 იძრახება სადაც ბრძენი,  
 სადაც ხელი მიგინვდება  
 ყველაფერზე  
 გარდა რწმენის,  
 ისევ ეროვნულობაა  
 მომავალის გადამრჩენი,  
 სხვა არაფრით,  
 ქართველობით  
 „გვეყუდნოდეს“ თავი ჩვენი.  
 2008

\* \* \*

ხეს ამოეფარები  
 და ტევრში შენს ძებნაში  
 მომატყუებს თვალეში,  
 მხოლოდ  
 მაშინ გამოჩნდები,  
 როცა შეგებრალეში.  
 2007

\* \* \*

შვილიშვილებს – ლიზას და მათეს

ონავარა მათეს  
 ებუტება ლიზა,  
 თვალთა ელვარებით  
 მზესავით გიზგიზა.  
 შეამკეო, – ამბობს, –  
 საბნევებით თმისა, –  
 აწვდის სათამაშოს  
 ბებია ნარგიზა.  
 არც ის უნდა მათეს  
 აუჩვილოს გული,  
 გაუგორა ბურთი  
 ტახტქვეშ მიმალული.  
 თოჯინების წყება,  
 მანქანა და სპილო,  
 ერთურთ საამებლად  
 მოგრგებოდეთ, შვილო.

2016





# გიგა ვაფხვაძე

## სხვისი შვილი

კაცი თავისთვის ფიქრობს გვერდით მჯდომ ცოლზე: „მონყენილია. დაიღალა, ეტყობა“. ცოლი კი მონყენილად გამოიყურება, სამედიცინო დასკვნის მოლოდინში. „ნეტა, რას იტყვის ექიმი? ანალიზები დადებითია, იმედია, ახლა მაინც გვეტყვიან კარგ პასუხს“.

– პასუხები, როგორც ჩვენთან, საზღვარგარეთაც დადებითი გაქვთ. ორივე აბსოლუტურად ჯანმრთელები ხართ, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ შეუთავსებელი წყვილი ხართ შვილოსნობისთვის. პასუხი იგივეა, სამწუხაროდ, როგორც ეს წლებია ვასკვნით. თქვენ იმუნური შეუთავსებლობა გაქვთ...

კლინიკიდან ჩუმიად გამოვიდნენ.

კაცი კვლავ თავისთვის: „დონორი. დონორი... თორმეტი წელი მაგას ველოდეთ, რომ ახლა დონორი გვეძებნა? რა სისულელეა. ნუთუ არ უნდა არსებობდეს გამოსავალი?“

ქალიც თავისთვის: „დონორი. მე არ შემიძლია, ეს ხომ მისი შვილი არ იქნება? მან რომ.. ის ჩემი შვილი არ იქნება. ღმერთო, რატომ? დაგვეხმარე გთხოვ!“

– მალხაზ, ნახე ვინმე კარგი ქალი...

– რა სულელი მყავხარ. – შუბლზე აკოცა. მანქანის კარი გაუღო, დაელოდა და მიუხურა. – გიო მე მიმიყვანს, დამტოვებს და შენ სახლში წაგიყვანს.

– გავლა მინდა საყიდლებზე.

– კარგი, გამოგყვება. მოგეხმარება. – ხო, გიო? – კაცმა მძლოლს გახედა. მან უხმოდ დაიქნია თავი. კაცი დარჩა სამსახურში. მანქანა წავიდა. უკან გააყოლა თვალი. არც იცოდა, რა ეფიქრა. შეტრიალდა და კიბეებს აუყვა.

\* \* \*

– როგორ ხარ, საყვარელო?

– არა მიშავს? რა ქენი? იყიდე, რაც გინდოდა?

– არა, დამეზარა მალაზიებში სიარული.

– გიო რატო არ ჩანს?

– მოვა, ალბათ, უკვე. – კაცს პაუზა არ მოეწონა.

– კარგი, სადმე ვივასშმოთ, ლამაზი ხედიო.

– კარგი, დამირეკე.

უჯრა გამოალო. პატარა რევოლვერი ამოიღო. მჭიდი მოხსნა, დახედა და ისევ გაუკეთა. ფეხზე შეაყენა და უჯრაში ჩადო, არ დაუხურავს. კაბინეტში გიო შემოვიდა.

– რატომ დაგაგვიანდა?

– საბურავი გამისკდა. – გიო თვალელებში ვერ უყურებდა კაცს. კაცი დააკვირდა. გიო არეული ეჩვენა, დაღლილი, პერანგზე სახელოს ლილები გახსნილი. კაცმა უჯრაში ხელი ჩაყო. იქნებ, არც იყოს ცუდი? დონორის ძიებას... ახალგაზრდა, ჯანმრთელი კაცია. წესიერი. გაახსენდა ციხეში რომ ჩასვეს, მხოლოდ გიო ეხმარებოდა...

\* \* \*

– მოეწყვეთ! გარეთ ყველანი! – იყვირა ბადრაგმა.

– ეს ცალკე გაიყვანეთ! – კაცს ხელი ჩასჭიდეს და იმ ოთახში შეაგდეს, საიდანაც მუდამ კვნესის ხმა გამოდიოდა. ოთახში იდგა და ისმენდა, როგორ ცემდნენ გარეთ მისი კამერის ხალხს. ყველაფერი რომ მიწყნარდა, მისი ოთახის კარები გაიღო. შიგნით 4 შევიდა. ერთი სახესთან აეყუდა და უთხრა:

– ძველბიჭობ, ბიჭო?

– ბიჭი არა ვარ, ათი წლით მაინც ვიქნები შენზე უფროსი.

– ამან ჭკუა ვერ ისწავლა. – თქვა იმან და ხელკეტი კუჭში ჩაცხო.

– ბიჭო-ს რო გეუბნები, ბიჭო ხარ! სიროს გეტყვი, სირი იქნები, გაიგე? – კაცმა თავი გააქნია უარყოფის ნიშნად.

– ვერ გავიგეო! – დასცხეთ ამის დედა მოვ...ნ!  
– და სამი კაცი წიხლებით ეტაკა მალხაზს. გიო იდგა მხოლოდ გაუნძრევლად.

– ე, მალადღო, შენ რა, აქ საყურებლად მოგიყვანეს? დაკა, ბიჭო, დაკა!

გიო არ განძრეულა.

– ვერ გაიგე რას გეუბნები?

– რალა დავკრა? ველარ ინძრევა, სისხლს აფურთხებს.

– დედა ტერეზა ხარ, შეჩემა? მიდი მოეფერე. – სისხლის დანახვაზე მოლბა ის, რომელიც უფროსობდა. სამი დღე არ გასულა, ისევ გაიყვანეს იმ ოთახში. ახლა ოთხ კაცთან ერთად ვიღაც პატიმარიც იყო.

– ე, სტარიკ! – დაიწყო ისევ იმან. – აი, ფურცელი და პასტა, დაჯექი და დანერე შენი უფროსის შესახებ, რაც იცი.

– არაფერი არ ვიცი! რა უნდა დავწერო?

– რა არაფერი? დანერე რო ფულს იღებს, ან დანერე, რომ ოპოზიციას ეხმარება.

– ეგ ვის სჭირდება? ტყუილები ვის სჭირდება?

– შენ დანერე და მერე ვნახავთ!

– არ დავწერ. – იმან ისევ კუჭის თავში ჩაარტყა, მერე ზურგში დაუმატა. წაიქცა. ორმა ააყენა. ისევ დაარტყა, ისევ წაიქცა.

– დანერ, ყველაფერს დანერ. სულერთია, რასაც მეტს დანერ, უკეთესია.

– არაფერს არ დავწერ.

– არ დანერ? ამას უყურებ? – მიუთითა უცხო პატიმარზე. – შენზე აბოდეებს რამდენი ხანია, ასეთი სუფთა და მოვლილი კაცი არ შემხვედრიაო. აუ, უყურე, მზად აქვს ყველაფერი. – უთხრა და ხელკეტი უბეზე მიადო. – ხუთი წუთი და კამერაში რო დაბრუნდები, თმებს დაგინწვენ. – ოთხმა კაცმა გადაიხარხარა.

– ვერ დავწერ...

– ვერა? მიდით, ბიჭებო, გააკავეთ. ორი კაცი მკლავებში ეცა მალხაზს და შარვლის ჩაძრობა დაუწყეს. მალხაზი იგრინებოდა და უძალიანდებოდა.

– რას შვრებით? გაგიჟდით? – გიო მივარდა და ხელი გააშვებინა ერთ-ერთ ბადრაგს.

– ეს სულ გამოსირდა, ტო?! – იყვირა უფროსმა და გიოს მუცელში ჩასცხო წიხლი. – გაიყვანეთ ესენი! მალხაზი კამერაში შეაგდეს. ის პატიმარიც სადღაც წაიყვანეს. კარგა ხანს ისმოდა ოთახიდან ყვირილისა და გინების ხმა... გიო რამდენიმე დღე არ გამოჩენილა. როცა გამოჩნდა, ოდნავ ეტყობოდა თვალზე ჩალურჯება. მალხაზმა ადვოკატს წერილი გაატანა. იმან უთხრა, რომ წააკითხებდა ბადრაგს, მაგრამ იცოდა, რასაც აკეთებდა. ახლობლებმა ვიღაცები შეაწუხეს და ცოტა ხანს ისე აღარ ექცეოდნენ.

– აბა, ყველანი გარეთ! ყველანი გარეთ! დროზე, თქვე სირებო! პატიმრები გარეთ კედელთან დააყენეს და ბადრაგი კამერას შეესია. მალხაზის საწოლის ქვეშ წერილები ნახეს.

– ეს საიდან? დროზე თქვი, საიდან? – ისევ კუჭში ჩაარტყა ხელჯოხი ზედამხედველმა.

– მეუღლისაა.

– არ მაინტერესებს ვისია, ვინ მოგიტანა? დროზე! თქვი!

– მეუღლისაა.

– შენი მეუღლეც მოვ..ან, დედაც და შვილიც! ვინ შემოგ... – სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მალხაზმა მთელი ძალით სთხლიშა ნიხლი კუჭში. მერე იმ ოთახში შეათრია.

– მალხაზ! – გიო საწოლის პირზე ჩამოჯდა. მალხაზი მოკუნტული იწვა და არ ინძრეოდა.

– დაანებე თავი, – შეეხმინა ერთ-ერთი პაციმარი. – ლამის მოკლეს გუშინ.

– რა მოხდა?

– წერილები უპოვეს. ამან ვერ მოითმინა და „სკვერნას“ ნიხლი ჩაარტყა. იქ გაათრია. ცემით, რო ვერაფერი უქნეს, ბეჭა ამოიყვანეს – გვითხარი, ვის შემოჰქონდა წერილებიო. იმისთვისაც ისეთი უთხლემია, აწი, აღარაფრად გამოადგება „პრიბორიო“, ხოდა, რას უზამდნენ ხო წარმოგიდგენია? სამჯერ ჰყავდათ ექიმი მოსასულიერებლად, მოასულიერებდნენ და ისევ ცემდნენ, არ თქვა მაინც. ლამის ორ საათზე შემოიყვანეს გათიშული, ძლივს მოვიყვანეთ გონს. ეტყობა, ნეკნები აქვს დამტვრეული და მასე რო წევს, არ ტკივა ძალიან.

– მალხაზ, მე მივდივარ აქედან. რამეს ხომ არ დამაბარებ?

– რუსკას მიმიხედე! – ძლივს გაიგონა გიომ, ხელი ოდნავ მოუჭირა მკლავზე, ადგა და წავიდა.

\* \* \*

„...ჩემი ბრალია. მე თვითონ ვთხოვე რუსკასთან ყოფნა და რას ველოდი? ქმარი ციხეში, ვინ იცის, როდის დაბრუნდება. ახალგაზრდა, ჯანმრთელი ქალი. ბიჭი კობტა, ჭკვიანი. ჩემი ბრალია, მაგრამ რუსკასგან არ ველოდი. არა, მაშინ არაფერს იზამდა. თავს დავდებ. არ არსებობს, მაგრამ მერე მიეჩვია. მეც რად მინდოდა მისი მძლოლად აყვანა? ამაგი? რა გამიკეთა? ცემას გადამარჩინა, რას? კაი რა, მაინც ვერ მოახერხებდნენ. სხვას როგორ უხერხებდნენ? ვერ უხერხებდნენ ყველას...“

– მანქანაში დაგელოდებით. – გიოს სიტყვებმა ფიქრი გაანყვეტინა.

„მანქანაში? იქნებ, მანქანაშიც სჯობდეს“, – გაიფიქრა. – კარგი, ჩადი და მოვდივარ. მანქანაში ჩაჯდა. იარაღი მოისინჯა.

– სახლში? – დაფიქრდა. „სახლში? სახლში არა. ცხვარიჭამიაში? არა, იქით ცოტა მანქანები დადიან“.

– ბოლნისში. – გიომ გაკვირვებული მოხედა. არაფერი უთქვამს. მანქანა დაქოქა და წავიდა. თბილისს გასცდნენ. კაცი შავნაბადას მონასტერს გასცქეროდა.

– აქეთ აუხვიე. – მონასტრისკენ ანიშნა გიოს. გიომ სვლა შეანელა და მანქანა გააჩერა.

– ბატონო მალხაზ, მაპატიეთ, რალაც უნდა გითხრაო.

– გისმენ. – კაცი დაიძაბა.

– ძალიან მერიდება თქვენი, მაგრამ რომ არ გითხრაო არ შემიძლია. კაცმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და რევოლვერი მოსინჯა. – ოღონდ ქალბატონ რუსკას არ უთხრაო, რომ გითხარით. კაცმა დამცველი გაათავისუფლა. დღეს თელეთში ვიყავით მე და ქალბატონი რუსკა.

– სად იყავით? – დაიბნა კაცი.

– თელეთის სალოცავში, იქით, მეორე შესახვევშია. თქვენ კი არ ხართ მაინცდამაინც მორწმუნე, მაგრამ გახსოვთ, ალბათ, „კაცია ადამიანში“ რომაა სალოცავი ნახსენები, უშვილოები რომ ლოცულობენ, ხოდა, იქ დამყავს ხოლმე და ძალიან, ძალიან ტირის ქალბატონი რუსკა. იქნებ აღარ გამომაყოლოთ ხოლმე. კაცმა გიოს სახე ორივე ხელში მოიქცია.

– ძალიან, ძალიან კარგი კაცი ხარ, გიო! სხვას ვერ ვენდობი. ნავედით უკან, რუსკას გავუაროთ და ერთად ვივახშმოთ სადმე.

\* \* \*

ქალი: „მაინც არ წამს, ტყუილად წამოვიყვანე. სამსახურიც უნდა გაცდინოს, მაგრამ. არა უშავს, დაისვენებს, ცოტა მოწყდება ქალაქს“.

კაცი: „ლამაზი მხარეა. სულ არ შეცვლილა აქაურობა. ღირდა წამოსვლა. თან რუსკასაც უხარია. ბავშვივითაა. რა სულელი ვიყავი. მთავარია, უხარია. მივალთ, ვილოცებთ, დანყნარდება მაინც. მთელი თვეა, აქეთ უწევს გული. თუშეთი... ადრე ხშირად დავდიოდი...“

გიო: „ნეტა, არ განვიმდეს. სანვავი კი ბევრი გვაქვს, მაგრამ წვიმასა და ნისლში სიარული... თან აქეთ არც ვარ ნამყოფი. რამხელა ხეობებია. ტარება მაინც სცოდნოდა, სახლში დავრჩებოდი. არა, ისე, მერე როდის ვნახავდი აქაურობას“.

კაცი: „არ მიყვარს უღელტეხილი, არადა, პირველად ფეხით ამოვედი. კიდე კაი, თოვლი არაა“. ხასიათი გაუფუჭდა.

ქალი: „დაძაბულია. რა მოსდის, ნეტა? ჩემი ბრალია. არ უყვარს მთა. ბავშვიც ვერ გავუჩინე. ხომ არ ვუღალატებდი? არადა, რამდენჯერ დავაპირე... გიო სხვანაირი რომ ყოფილიყო, იქნებ, აქამდე მყოლოდა კიდეც ბავშვი. ძალიან გულუბრყვილოა. მეცინება, სოფელში რო დავთვერი და ვაკოცე, მადლობაო და წავიდა. მალხაზი აუცილებლად მიხვდებოდა, რომ მისი შვილი არაა. არა სხვისგან რო გამეჩინა, იმასაც მიხვდებოდა. სისულელეა, როგორ შემეძლო? ნუ, ხოო... არა, ისე, იქნებ, არაფერიც არ ეთქვა? არც მეტყოდა, მაგრამ მოკვდებოდა დარდით. მადლობა, ღმერთო, მადლობა...“

კაცი: „როგორი იმედი აქვს ამ სულელუკას. არადა, გული მიკვდება. ვხვდები, როგორ უნდა ბავშვი. ნეტა, ჩემთვის უნდა თუ თვითონ, დედური ინსტინქტია? რას გავიგებ. რა სულელურად ვიეჭვიანე. არა, რა უნდა მექნა? ხო, მე თვითონ დავინწყე თამაში და გავები კინალამ. კიდე კაი, მითხრა. მერე ხო გადავამოწმე კიდეც და ყველაფერი სისულელე ყოფილა. არა, ისე, იქნებ, ბავშვის გამო... შანსი არაა, მოკვდებოდა რუსკა ნერვულობით. არა, არც გააკეთებდა და რომც გაეკეთებინა, მაინც ვერ გადაიტანდა. მე? მე რა, რას ვიზამდი მისი ბედნიერებისთვის? არც კი ვიცი, ისიც არ ვიცი, იქნებოდა ეს ბედნიერება? არადა, როგორ უნდა ბავშვი“.

წვიმს, წვიმს...

– გიო, ფრთხილად იარე! – ახლალა გამოერკვა ფიქრებიდან. – თუ ველარ ივლი, ჯობია გავჩერდეთ. წვიმაში საშიშია სიარული.

– იმ ლელეს გადავიდეთ და გავჩერდეთ. – თქვა გიომ.

ლელეს გადავიდნენ და ცოტა მალლობზე გაჩერდნენ.

– ისე, სადმე, სოფლამდე, მისვლიყავით ჯობდა. არ ჩამოთოვოს, ისე აცივდა. – თქვა გიომ.

– სექტემბერში თოვლი? – იკითხა რუსკამ.

– ეხ, მთამ იცის. კარგი, ვიაროთ ნელ-ნელა.

რამდენიმე კილომეტრში ჯიპი იდგა გზის პირას. მანქანა ჩაკეტილი იყო, საბურავი დაშვებული.

– ეტყობა, სათადარიგო არ ჰქონდათ.

– სანყლები. – თქვა რუსკამ.

ცოტა ხანში უღელტეხილი გადაიარეს და ქვემოთ დაეშვნენ. თითქმის ხეობის ძირს იყვნენ ჩასული, რომ ნისლში ორი ადამიანი გამოჩნდა ზურგჩანთებით. გააჩერეს.

– გამარჯობა. – გაიღიმეს უცხოელებმა.

– გამარჯობა, დაჯექით. – უთხრა მალხაზმა და საბარგული გაუღო. მათ სწრაფად ჩაანყვეს ზურგჩანთები და ჩასხდნენ.

– საით მიდიხართ? – ჰკითხა რუსულად.

– დართლო. – მიუგეს.

– ოოო, ძალიან შორს გადაგინყვეტიათ ფეხით წასვლა.

– მანქანა გაგვიფუჭდა.

– ა, ის სომხური ნომრებით?

– ხო, მაგრამ ჩვენ პოლონელები ვართ. იქ ვიქირავავთ, სათადარიგო საბურავი არ გამოუტანებიათ.

– არა უშავს, ჩვენ მიგიყვანთ სოფლამდე. მერე რამეს მოიფიქრებთ.

– მადლობა. – სასაცილოდ ჟღერდა მათი ორი ქართული სიტყვა, რუსულად კი ძალიან კარგად საუბრობდნენ. უკვე ბინდდებოდა, სასტუმროს რომ მიაღწიეს.

– დარჩით თქვენც და დილით ერთად გავაგრძელოთ გზა, ჩვენც დართლოსკენ მოვდივართ.

– არა, გმადლობთ, ჩვენ ვივლით.

– ლამდება უკვე. ღამე გაგიჭირდებათ, თან წვიმს.

– ცოტას ვივლით, თუ არავინ დაგვეწია, მერე კარავს გავშლით.

– კარგი, წარმატებები! სასტუმროში ორი ნომერი დაჯავშნული იყო. ვახშამზე გიო არ მოვი-

და. თავის ნომერში სახელდახელოდ გაკეთებული ბუტერბროდები მიირთვა და დაიძინა. მალხაზი და რუსკა თბილ ქურთუკებში გამოენყვინენ და ლამაზი ხედით ტკბებოდნენ.

– რა ეჩქარებოდათ, ნეტა? სად უნდა იარონ ამ ყინვაში?

– მომზადებულები იქნებიან, ხო ნახე, რამხელა ჩანთები ჰქონდათ?

– რაღაც დაბნეულები თუ განერვულებულები მეჩვენენ.

– აბა, რა იქნებოდა? მანქანა გაუფუჭდათ მთაში, წვიმს.

– რა იქნებოდა, რომ არ ენვიმა?

– ხომ გადაილო? არადა, გზა ჩაუტანია, ადმინისტრატორმა თქვა, რომ გადაიღებს, ორ დღეში გააკეთებენ, ალბათო.

– ჩვენც რა გვეჩქარება? სამი-ოთხი დღე ხო ვთქვით დარჩენა?

– იმედია, მანამდე განმენდენ გზას.

– იქნებ, არც განმინდონ, მოდი, სამუდამოდ დავრჩეთ აქ! – რუსკამ ხელები კისერზე შემოჭხვია.

– შენი დაქალუშკები? – მალხაზმა შუბლზე აკოცა.

– ამოვლენ ხოლმე და ძროხის მონველაში მომეხმარებიან. – გაიცინა, შეტრიალდა და ზურგით მიეყრდნო მალხაზს. – ჩვენი შვილები იქ, მინდორში, ირბენენ და საქონელს მომწყემსავენ, შენ კი ხატში ახვალ, სანთელს დაანთებ და არცერთ გამოიბჟურები.

– მაგარია. მაგრამ ხომ იცი, არ მიყვარს მთა.

– ხო, ვიცი, ვიცი.

– ნავედით, დავიძინოთ.

– რაა? ძილს ვერ ეღირსები! – ეშმაკურად გაუღღიმა რუსკამ.

– ვნახოთ, ვნახოთ... – მალხაზმა ხელში აიტაცა, ოთახში შეიყვანა და სანოლზე დაანვინა. კისერში აკოცა...

\* \* \*

დილით აღარ წვიმდა, თუმცა სიცივე უფრო მაგრად იკბინებოდა.

– ზამთარი მოვიდა, მგონი. კიდე კაი, დაგიჯერეთ და თბილი ტანსაცმელი წამოვიღე. – საუზმის მერე უთხრა გიომ მალხაზს.

– მთას არასოდეს არ უნდა ეხუმრო. – მანქანაში ჩასხდნენ და გზას გაუყვინენ. კესელოებთან ცოტა ხანს გაჩერდნენ და დართლოს გზას დაადგნენ. ბოჭორმის და დართლოს გზაგასაყართან ისევ ის უცხოელები შეხვდათ. ჩხუბობდნენ, თითქოს.

– გავაჩეროთ. – თქვა რუსკამ.

– იქნებ, ხელი დაუჭიოთ? – ჰკითხა მალხაზმა.

– არა, მანქანები არ დადის, ვინ მიეხმარება?

– მდა... – გაუჩერე. მანქანა გაჩერდა. რუსკა გადახტა და ნამტირალე ქალთან მივიდა. მხარზე ხელები მოკიდა და დამშვიდება სთხოვა. მალხაზი და გიოც გადმოვიდნენ. მალხაზიც მიუახლოვდა, დიდი ზურგჩანთა შეაკვრევინა და საბარგულში ჩაადებინა, ჩასხდნენ და წავიდნენ. სიჩუმე უცხოელმა ქალმა დაარღვია.

– ბოდიშს მოგიხდით, დიდი ხანია მოვდივართ და ცოტა გადაღლილობამ ნერვულობაც იცის.

– არა უშავს. მალე ჩავალთ და ერთად ვისადილოთ. კარგი კონიაკი გვაქვს, მოგიხდება. ცოტას განვიტვირთებით. რუსკა თბილად უღიმოდა. დაღმართში დაეშვნენ, ტყე მიიღია და მარჯვნივ დართლო გამოჩნდა, მაგრამ გზაზე ქვები ეყარა. გიომ მანქანა გააჩერა. ყველანი გადმოვიდნენ. ქვა საკმაოდ ბევრი იყო. ხელით განმენდა დიდხანს მოუწევდათ.

– უნდა დავბრუნდეთ! – თქვა მალხაზმა.

– ჩვენ უნდა წავიდეთ. – თქვა ტურისტმა ქალმა.

– ჩვენ მანქანა გვჭირდება, – დაამატა ტურისტმა კაცმა. მალხაზმა გაკვირვებით შეხედა.

– ვაცლაგ! – ხმამაღლა მიმართა ქალმა.

– ჩვენ მანქანა გვჭირდება! – იყვირა კაცმა და ზურგს უკნიდან ვეებერთელა რევოლვერი ამოიღო. ჩვენ ძალიან გვჭირდება მანქანა. სახეში უყურებდა მალხაზს. მერე ქალს გახედა, მაგრამ რუსულად უთხრა, – ჩვენ გუშინ უნდა ვყოფილიყავით იქ!

– გიო, გასაღები! – მალხაზს უკან არ მოუხედავს, ისე გაიშვირა ხელი. გიომ გასაღები ხელში ჩაუდო. მალხაზმა გასაღები ვაცლავს გადაუგდო.

– არა, უნდა მოგვეხმაროთ?! – თქვა ვაცლავმა და ქვებზე მიუთითა. – ვინც წამსვლელი იყო, ყველამ გაიარა, ალბათ. ჩვენ მარტო ვერ მოვერევით ამას.

– გვაპატიეთ! – თქვა პოლონელმა ქალმა, ქვას დასწვდა და გზიდან გადააგდო. მას მალხაზი მიყვა, დიდი ქვა აიღო და ხევში ისროლა. გიოც ჩუმად შეუდგა ქვების გადაყრას.

– გვაპატიეთ! – თქვა კაცმაც და მეორე მხარეს გადავიდა, რომ იარაღი არ წაერთმია არავის და იქიდან დაიწყო გზის გათავისუფლება. ქალი სწრაფად იღებდა სველ ქვებს და ისროდა. ხან ხელი უსხლტებოდა და ხელები დაუსისხლიანდა. რუსკამ გააჩერა. ქალს ტირილი აუვარდა. რუსკამ გულში ჩაიკრა.

– ჩვენ შვილი მოგვტაცეს, ჩეჩნებმა. გამოსასყიდი მიგვაქვს. – ტიროდა ქალი.

– იუღია!

– ხო, მოგვტაცეს, მოგვტაცეს მაგ დამპლებმა... – ქალი ვერ მშვიდდებოდა. მალხაზი მანქანასთან მივიდა, გააღო საბარგული და კონიაკის ბოთლი ამოიღო. თავი მოხსნა და რუსკას მიანოდა. რუსკამ დააღვეინა ქალს. მერე თვითონაც დალია. დალია ყველამ. იუღია ლოდზე ჩამოჯდა. რუსკა იქვე მჯდარ მალხაზთან მივიდა და გვერდზე მიუჯდა.

– მიეხმარები?

– ხუმრობ, რუსკა?

– არა, მალხაზ, არ ვხუმრობ.

– შეუძლებელია. აქეთ თუ არ დაგვიჭირეს, იქით დაგვიჭირენ. თუ დაგვიჭირეს, ხომ კარგი. თუ არა, ჩეჩნები დაგვხოცავენ.

– იცი, პასუხი რომ გვითხრეს, იმ დღეს თელეთში ვიყავი, სალოცავში. იქ მითხრეს, მთაში ნახვალ და ბავშვს ჩამოიყვანო.

– პოლონელსო?

– შენ ხომ არაფრის არ გჯერა? – რუსკა ადგა და ქვების გადაყრა დაიწყო. ადგა მალხაზიც. შებინდებას არაფერი აკლდა, რომ მორჩნენ.

– წაიყვანეთ მანქანა და წადით. – უთხრა მალხაზმა. დილამდე, ალბათ, ჩვენც ვერ მივალთ სოფლამდე და მერე განვაცხადებთ. მანამდე, ალბათ, გადახვალთ. რუსები თუ არ შეგხვდნენ.

– რუსი გენერალია ჩეჩნებთან ერთად.

– ეგ კიდე უარესი. და რატომ გგონიათ, რომ ცოცხლებს გამოგიშვებენ?

– სიტყვა მოგვცეს. ფული მიგვაქვს.

– სიტყვა. – გაელიმა მალხაზს. კარგ შემთხვევაში მონებად დაგიტოვებენ. ცუდ შემთხვევაში – შიმშილით და ძალადობით ამოგხდიან სულს.

– მალხაზ! – საყვედურნარევი ტონით მიმართა რუსკამ.

– ფაქტია! მე არაფერს ვამუქებ. რომ გადახვალთ, ფული სხვადასხვა ადგილზე დამალეთ. ერთ-ერთი წადით და შეხდვით გამტაცებელს. მეორე სხვაგან დაელოდოს, ფულთან არა. სანამ ფულს არ მიიღებენ, ცოტა ფასი კიდეც გაქვთ. მერე, არ ვიცი. მთაში თუ გივლიათ?

– არა! – ერთად უპასუხა ორივემ. მალხაზმა ხელი ჩაიქნია.

– პოლონეთში მოგტაცეს?

– არა, სოჩაში ვიყავით.

– აქედან რატომ წამოხვედით?

– ფულს საზღვარზე ვერ გადავიტანდით.

– რალაც სისულელეა.

– ასე გვითხრეს. ამ ფულით საზღვარზე რომ გადმოხვიდეთ, ფსბ კუდზე დაგაჯდებათ და ჩვენამდე მოიყვანთო. გადმოდით საქართველოზე. და თუშეთით წამოდით, რადგან მანდ ბევრი ტურისტია და თვალში არავის შეეჩხირებთო.

– შატლიდან რატომ არ წახვედით, ხევსურეთზე? იქ გადასასვლელი 1500 მეტრზეა, აქ კი 3000-ზე ზევით?

– იქ მესაზღვრეები პირდაპირ მდინარის ყელთან არიან და უფრო თვალშისაცემიაო. აქ რომ რთულია, იმდენი ყურადღება არააო.

– სად აპირებთ გადასვლას?

– დართლოს აყოლებაზე გვინდოდა, მაგრამ მერე გვითხრეს, ჭონთიოსთან მარცხენა მხარეს აყევითო, სამი ათასი მეტრიაო.

– იქამდე მანქანა ვერ მივა ნანვიმარზე. მითუმეტეს მესაზღვრეების ბაზაა გზაზე. რომ გადახვალთ, იქაც რუსების ბაზაა ცოტა ქვემოთ. ხეობაც გაუვალია. რუკა გაქვთ?

– კი, გვაქვს. – ჩუმად თქვა კაცმა.

– მალხაზ.

– არა, რუსკა, შეუძლებელია. სიკვდილზე წასვლაა. ვარიანტიც არაა.

– ააცილე მაინც.

– რუსკა!

– გთხოვ. თუ გინდა, მეც წამოვალ.

– შენზე მანერვულე კიდე, ესენი როგორ ვათრიო, ის ვერ მოვიფიქრე წესიერად.

– იცი, როგორ მიყვარხარ? – რუსკამ აკოცა. – უკვე გაქვს ხომ გეგმა?

– ხო იცი, არ მიყვარს მთა.

– იმიტომაც კარგი გეგმა გექნება.

– დაგახრჩობ! – რუსკამ ისევ აკოცა. მიტრიალდა ქალს ხელები მოკიდა და უთხრა: – მალხაზი მოგეხმარებათ გადასვლაში. – ქალს თვალები გაუფართოვდა.

– მე მხოლოდ აგიყვანთ. მერე თქვენ გააგრძელებთ გზას. და ერთი პირობით, რასაც გეტყვით, მომისმენთ. იარაღი შეინახეთ ან გადააგდეთ, ჯობია. ზედმეტი რაც გაქვთ, უნდა დატოვოთ. გავივლით ფარსმას. იქ უკვე ღამე იქნება. გიო, მალლა როცა აუხვევ, გაივლი ძალიან ნელა, მაგრამ არ გააჩერებ, ჩვენ გადავხტებით. მერე გაუხვევ მარცხნივ და გირევისკენ წახვალ. ივლი ნელა, ოღონდ არ გააჩერებ. თუ ვინმე შეგხვდათ, ეტყვი, რომ გზა აგერიათ. რუსკა არაფერს იტყვის. ისვენებთ სასტუმროში, წამოხვედით და აგერიათ გზა. მე ვილაცამ დამირეკა და ტაქსით დავბრუნდი, ეს, რა თქმა უნდა, თუ დაგიჭირეს და დაკითხვა დაგინყეს, თუ არა, უბრალოდ, დაბრუნდებით უკან და სასტუმროში მიხვალთ. დილით თბილისში წახვალთ.

– მე დაგელოდები.

– თბილისში წახვალთ! თუ აღარ ნავიდე?

– თბილისში წავალთ. – თქვა რუსკამ. მალხაზმა საბარგული გამოაღო, ზურგჩანთა გახსნა,

შიგ ჩაიხედა. წყლის ბოთლები ჩადო და შეკრა. პოლონელებმაც ჩაიხედეს ზურგჩანთებში.

– რამდენი დღე დაგვჭირდება?

– სად უნდა მიხვიდეთ?

– ითუმ კალეში.

– იქ საქართველო არაა. სიარული ფრთხილად მოგიწევთ. ყველა ჩეჩენი პოტენციური წინააღმდეგობაა. რუსები კიდეც – უარესი. სიარულს ღამით თუ შევძლებთ, ალბათ, 3-4 დღე. თუ ამინდი კიდეც არ გაფუჭდა.

– შეიძლება, კიდეც იწვიოს?

– შეიძლება, მოთოვოს. ნისლი კი ჩვენთვის მისწრებაა, თუ ბილიკზე ვიდგებით, რა თქმა უნდა. საჭმელი ბევრი არ გინდათ. კალორიული და ცოტა. წყალიც, წესით, იქნება ქვემოთ. ყველა გრამი საშინელი ტვირთია. ახლა ჯობია, შევჭამოთ და ისე წავიდეთ. კიდეც დაღამდება. სახელდახელო ვახშამი ჩუმი გამოდგა. მხოლოდ გიომ დაარღვია სიჩუმე.

– ბატონო მალხაზ. დიდი ხანია, მინდოდა, მეკითხა, რატომ არ თქვით, ვის მოჰქონდა წერილები?

– კარგი დრო კი შეარჩიე, ისე. – გაელიმა მალხაზს. რომ ჩამოვალ, გეტყვი, თუ დამელოდებით.

– კარგი!

– ნავიდე. დაღამდა უკვე.

ჩასხდნენ. ზურგჩანთები მუხლებზე დაიდეს. მანქანა ნელა მიიწევდა წინ. ერთი, რაც კარგი იყო, გზა დაბლა, თითქმის მდინარეს მიყვებოდა. საათზე მეტი გავიდა, სანამ ფარსმას მიაღწიეს. მალხაზმა რუსკას თავზე აკოცა და მანქანიდან ჩახტა. მას პოლონელებიც მიჰყვნენ. მანქანამ მარცხნივ გაუხვია და რუსკამ ქვეითინი ატეხა.

– რა მოხდა, ქალბატონო რუსკა? – გიომ გაცეცხულმა მოიხედა.

– არ გააჩერო, გიო!

– მოხდა რამე?

– შეიძლება, ვერ დაბრუნდეს.

– თქვენ არ ეუბნებოდით, წადიო?

– კი, გიო, კი, სიტყვებით მე ვეუბნებოდი, მაგრამ წასვლა თვითონ უნდოდა.

– აკი, მთა არ მიყვარსო?

– არ უყვარს, ჭუბერის მერე არ უყვარს.

– გეთქვათ, არ ნახვიდეთ.

რუსკას გაელიმა.

– ნადიო, იყო შანსი უარი ეთქვა, არ ნახვიდეთ, რომ მეთქვა, ან ხმას აღარ ამომადებინებდა ან მართლა არ ნავიდოდა, მაგრამ მერე მთელი ცხოვრება ეს დატანჯავდა. ერთი იმედია, გადააცილებს და მობრუნდება...

\* \* \*

სამ საათზე მეტხანს მიდიოდნენ. უკნიდან ძაღლების ყეფა აღარ ისმოდა. სიარული სულ უფრო და უფრო რთულდებოდა.

– მარჯვნივ უნდა გადავიდეთ, ნაკლებად დამრეცია.

– საიდან იცით ასე კარგად ეს ადგილები?

– ახალგაზრდობაში ფეხით მაქვს მოვლილი აქაურობა. თქვენ უნდა დარჩეთ! – მიმართა ქალს.

– რატომ? – იკითხა გაკვირვებულმა ქალმა.

– ჯერ ერთი, ვერ დადიხართ და გაგიჭირდებათ გადასვლა. მეორეც დარეკავთ და ეტყვიტ მათ, რომ ჩვენ არ ჩავალთ ითუმ კალეში. ნამოიყვანონ ბავშვი და ამოვიდნენ სონდახას კოშკთან, კეპოსოის მალლა.

– რას ამბობთ? ბავშვს მომიკლავენ!

– თუ აქამდე ცოცხალია...

– რას ამბობთ?

– იმედი მაქვს, რომ ცოცხალია, ან არაფერს არ უზამენ. მთავარია, უთხრათ, რომ ფული უკვე საზღვარს გადასცდა.

– და ვაცლავი მარტო როგორ შეძლებს დაბრუნებას?

– მე გავეყვები.

– და თქვენი მეუღლე?

– იმან იცოდა... ხვდებოდა, რომ გადავიდოდი. ესე იგი, იარეთ ქვემოთ, როცა სოფლიდან ძაღლების ხმას გაიგებთ, გაჩერდით და გათენებას დაელოდეთ. თუ ვინმე შეგხვდათ დილით, ეტყვიტ, რომ კოშკების ნახვა გინდოდათ ზემოდან. ჩახვალთ გზაზე და ნახვალთ სასტუმროში, სადაც ჩვენ პირველად გაჩერდით. იკითხავთ რუსკას და დარეკავთ. მერე ნახვალთ თბილისში.

– არ შემოიძლია. – ქალმა ტირილი დაიწყო. – ჩემს შვილთან მინდა. მეშინია.

– ასე აჯობებს, დამიჯერეთ. სამი საათია, რაც მოვდივართ და წარმოიდგინეთ, რა იქნება, როცა რამდენიმე დღე ივლით.

ზურგჩანთები გახსნეს, ფული და ნივთები გადაალაგეს და წყალზე გადავიდნენ... ჯერ გათენებული არ იყო, რომ გაივაკეს.

– ამოვედით. – თქვა მალხაზმა.

– უკვე რუსეთში ვართ?

– ჩეჩნეთი იწყება. ცოტა დავეშვათ და გასაჩერებელი ადგილი შევარჩიოთ. დღისით ვერ ვივლით, თუ ნისლი არ ჩამონვა. გაემზადე ნოლისთვის.

– რატომ ნამოხვედი?

– რაა?

– რატომ მეხმარები?

– სხვა დროს მოგიყვები.

– სხვა დრო შეიძლება არ დადგეს.

– რატომ მეკითხები? გეშინია გილალატებ? ან ფულს წაგართმევ? – მალხაზს გაეცინა. მაგისტვის აქ ამოსვლა არ ღირდა.

– მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ უკან არ დაიხევ, როცა საჭირო გახდება.

– შენი სცენარით ეს საჭირო არ უნდა გახდეს. მიხვალ, ფულს მისცემ, ბავშვს მოგცემენ. იქნებ, ცხვარიც დაგიკლან?

– ცხვარი რატომ უნდა დამიკლან?

– კარგი, გავიაროთ!

ირიჟრაჟა.

– აქ გავჩერდეთ! თუ რამე გინდა, მოასწარი, დაღამებამდე ველარ ადგები. – თქვა და შეტრიალდა. მერე ლილები შეიკრა და მოზრდილი ქვის ქვეშ მინვა. ვაცლავიც იქვე, ახლოს, მინვა.

– აფხაზეთი გაგიგონია?

– კი, სოჭში გვითხრეს, შეიძლება გადასვლაო, მაგრამ არ ნავედით. პიატიგორსკის დათვალერება გვინდოდა, მაგრამ ბავშვიც მოგვტაცეს.

– აფხაზეთში ვომობდი.

– საქართველო ეომებოდა აფხაზეთს?



– არა, საქართველო ეომებოდა რუსებს, ჩვენებს, სომხებს, კაზაკებს, ოღონდ ჩვენი ერთ-ერთი კუთხის, აფხაზეთის, ტერიტორიაზე.

– გასაგებია.

– სამწუხაროდ, უკან დაბრუნება მთებით მოგვიხდა, ჭუბერის უღელტეხილით. მაშინ იქ მოთოვა..

– ო, რა სიცივე იქნებოდა.

– სიცივე? არა, – ყინვა, მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ არავინ ელოდა მაგ გზაზე შედგომას. ხალხი ჩაუცმელი, საჭმელისა და სასმელის გარეშე, როგორც ცხვარი, ისე შეგვედნეს მთის გზაზე. საშინელება იყო გაყინული ადამიანების ხილვა. ზოგი სულ გაძარცული ეყარა გზაზე. ჩვენც მივდიოდით და თუ ახალი გარდაცვლილი იყო, ვხდიდით, რაც გვჭირდებოდა, ფეხსაცმელს, რომელიც საშინლად სწრაფად იხეოდა ან ქურთუკს. მკვდრებს ვძარცვავდით.

– რას იზამდით, თავი ხომ უნდა გადაგერჩინათ?

– ხო, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე და ტყავზე ფიქრობდა. მკვდარს რომ საჭმელს მოჰპარავ...

– ეხ, ჩვენთან ომის დროს მაგაზე უარესებიც ხდებოდა, ხალხი ერთმანეთს ჭამდა.

– უარესი? ერთგან გავჩერდით. ვჭამეთ რაც გვექონდა, პური და ნიორი. მერე გვერდზე გავედით. რომ მოვბრუნდი ქალი დავინახე გაყინული. ხესთან მიმჯდარიყო. უკან გამოვბრუნდი. ახლოს აღარ მივსულვარ. რომ დავჯექი, მაშინლა მივხვდი, რომ პატარა ბავშვი ეჭირა ხელში,

– ისიც გაყინული?

– არ ვიცი.

– არ ტიროდა?

– არა.

– არც ინძროდა?

– არა.

– არ მიხვდით?

– არა, არ მივედი, შემეშინდა, მკვდარი ბავშვის ნახვა შემეშინდა. ვომობდი, ხალხს ვკლავდი, მეგობრები ჩემი ხელით დავასაფლავე, უამრავი მიცვალებული გამომითრევია წინა ხაზი-

დან, დასახიჩრებული, იქ კი შემეშინდა მისვლა და არ მივედი.

– იქნებ, ცოცხალი არც იყო.

– იქნებ, საერთოდ არ იყო ბავშვი, მაგრამ მე ხომ არ მივედი?

– ვინმე ნახავდა.

– არა, მერე მოვბრუნდი. წავედით და მერე მოვბრუნდი. ძლივს მივაგენი იმ ადგილს, მაგრამ ვერც ბავშვი ვნახე და ვერც ქალი. არც ერთი აღარ დამხვდა იქ.

– ალბათ, ნახა ვინმემ.

– ალბათ, ნახა, ან ვერ ნახა, ან მე ვერ ვნახე, ან ნადირმა ნახა, ახლა ბევრი ვარიანტია; თუმცა მე არ მივედი...

– მაგიტომ წამოხვედი?

– ალბათ. დავიძინოთ ჯობია. ღამე დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

მთელი ღამე უსიტყვოდ იარეს. გათენებამდე ტყეში შევიდნენ.

– დავისვენოთ ცოტა ხანს. ტყეში თავისუფლად შეიძლება სიარული. ვერავინ დაგვინახავს.

დაისვენეს და გააგრძელეს გზა. გათენდა და გაღმა მხარეს კოშკის ნანგრევებიც გამოჩნდა.

– ხედავ კოშკს? ქვემოთ ხედავ ორი მდინარე ერთდება? აქეთა მხრიდან უნდა გადახვიდე ნახევარი ფულით. ნახევარს მე გადავიტან იქით, ხედავ, მინდვრის ბოლოს ხე რომ არის? იქ, ხეზე, დავკიდებ. შენ მათ ეტყვი, რომ ბავშვი გამოგატანონ. წამოხვალ ამ გზით. აუცილებლად ამ გზით. თუ არ დაგიჯერეს, ეტყვი, რომ ერთი კაცი გამოგყვეს. ბავშვს ტყეში დავტოვებ და ფულს მოგიტანთ-თქო. თუ არავინ გამოგყვა, ხომ კარგი. თუ გამოგყვა, ბავშვს აგერ, იქ, ზემოთ, ტყესთან, დასვამ. პოლონურად ეტყვი, რომ მე წავიყვან. მაგის მერე, რაც შეიძლება ნელა ნახვალ ფულისკენ, მაგრამ ისე, რომ ჩანდე მთელი გზის სიგრძეზე. აიღებ ფულს და უკანაც ისე ნელა დაბრუნდები.

– თუ ვინმე გამოგყვა, მეტყვის, ასევე გადავიდეთ, მოკლეთ.

– იქ ვერ გადავალთ მდინარეზე-თქო, ზემოთ პატარა დინებაა და იქ გადასვლა არ გავიჭირ-

დება-თქო. ხო, გადმოსვლას რო დააპირებ, ბავშვი არ დაასველო. ჩვენ წავალთ და ვივლით ტყის ბოლომდე. გავალთ, მალლა ავინევით და სადმე მივიმალეებით. თუ გაგიმართლა, ტყის პირას დადექი და მე თვითონ გიპოვი, ზედა მხარეს. თუ არა, ქვემოთა მხარეს გამოდი და იარე. თუ ნახავ, რომ გამოსავალი არაა, ჯობია მესაზღვრეებს ჩაბარდე. ეტყვი, რომ საქართველოში იყავი, გზა აგებნა და აქ მოხვდი. გაგანვალევენ, მაგრამ ადრე თუ გვიან, თქვენი ქვეყნის საელჩო დაგეხმარება.

დრო არ გადიოდა. მიიზღაზნებოდა. მზე დასავლეთისკენ გადაინვერა.

– ჯობდა წავსულიყავი ითუმ კალეში.

– ნუ ნერვულობ, მოვლენ აუცილებლად. სალამოს უფრო ჯობია, დიდხანს ვერ გვდევენ.

– ღამე კიდევ უკეთესი ყოფილა.

– დანყნარდი. ნუ ნერვულობ და კიდევ ერთხელ გაიაზრე, რა უნდა ქნა.

– ყველაფერი კარგად ვიცი.

– ბავშვს რა ჰქვია?

– მაცვი.

– კარგი, ნადი და იქით დაელოდე.

ვაცლავი წავიდა. მალხაზი ზემოთ ავიდა. იქ სადაც ბავშვს უნდა დახვედროდა. გახედა. ვაცლავი უახლოვდებოდა კოშკს. ჩამოჯდა და კოშკს ზემოთ ბილიკს გასცქეროდა. სადღაც საათი იქნებოდა გასული, როცა ბილიკზე ცხენოსნები გამოჩნდნენ. „მოვიდნენ“ – გაიფიქრა. ცხენოსნები კოშკისკენ დაეშვნენ. აქედან უკვე აღარაფერი ჩანდა. დრო ისევ გაიწელა. მერე ვაცლავი გამოჩნდა. ხელში ბავშვი ჰყავდა აყვანილი და ნელა ეშვებოდა მდინარისკენ. – „ნეტა, სიარული შეეძლოს! ნეტა, სიარული შეეძლოს“ – ფიქრობდა მალხაზი. დრო და გზა გაიწელა ისევ. ვაცლავი სადაცაა შეთანხმებულ ადგილას უნდა მისულიყო, რომ კოშკიდან სამი ცხენოსანი დაეშვა, მდინარე გადმოლახა და ტყეში იმ მხარეს შევიდა, სადაც მალხაზი უნდა შესულიყო. „თქვენი დედაც!“ – შეუკურთხა გულში. ვაცლავი დათქმულ ადგილას მივიდა. სახე დალურჯებული და დასისხლიანებული ჰქონდა. ბავშვი დასვა.

– ნადით, მე ნუ დამელოდებით! – თქვა ხმა-მალლა. – მე თვითონ გადმოვალ, თუ მოვახერხებ. სხვა გზით ნადით! იქით ჩასაფრებულები არიან.

– ეს სწრაფად თქვა და წავიდა იქით, საითაც ფული დამალეს. მალხაზი ხუთი-ათი წუთი გაჩერდა და ბავშვს დაუძახა. ბავშვი ჩუმად წამოვიდა მისკენ. ხელი მოკიდა და ზემოთ წაიყვანა.

– ზემოთ ავიდეთ და იქიდან გადავიდეთ მეორე მხარეს, რომ არ დაგვინახონ. სხვა გზით უნდა წავიდეთ, ცოტა შორია, მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ, საიმედოა. შეძლებისდაგვარად, ჩქარა მიდიოდნენ. ტყეში, თან ციცაბო კალთებზე, ჭირდა სიარული. ბავშვსაც უჭირდა. მიდიოდა და ხმას უგდებდა ყურს. არც მდეგრის, არც სროლის ხმა არ ისმოდა. დაბინდდა.

– მამაშენი გადარჩა, ეტყობა, სროლის ხმა არ იყო. – ბავშვს შეხედა. ახლალა მიხვდა, რომ ბავშვს მისი არაფერი ესმოდა. ნუ გეშინია, უთხრა და თავზე ხელი გადაუსვა. მერე ზურგჩანთიდან ორცხობილა ამოიღო, გახსნა და ბავშვს აჭამა, თვითონაც შეჭამა ორი-სამი ცალი. ზურგჩანთა დადო, ბავშვი მიანვინა და თვითონაც მიუნვა. რომ გაეღვიძა, გათენებულყო. ისევ გახსნა ორცხობილას კოლოფი, ბავშვსაც აჭამა და თვითონაც შეჭამა. წყალი დალიეს და ისევ ტყეს გაუყვნენ.

– ეტყობა, მამაშენმა ჩეჩნები სხვა მხარეს წაიყვანა. ან... – აღარ გააგრძელა. უნდა ვიაროთ, დიდი გზა გვაქვს. შუა დღე გადასული იყო, დასასვენებლად რომ ჩამოსხდნენ. ისევ ორცხობილა ჭამეს და წყალი დალიეს. ბოთლი დაიცალა. მალხაზმა მოისროლა. მერე ადგა, აიღო და ჩანთაში ჩაიდო. ისევ დაიძრნენ. ნახევარი საათი არ ექნებოდათ გავლილი, რომ უკნიდან ტკაცუნის ხმა მოისმა. მოიხედა. ვერაფერი დაინახა. „მგლები! – გაიფიქრა. – იქნებ, დათვი იყოს? დათვი ჯობია.“ ბავშვს ხელი მოჰკიდა და შეძლებისდაგვარად აუჩქარა ნაბიჯს. მოულოდნელად ბილიკზე აღმოჩნდნენ.

– სირბილით! – უთხრა ბავშვს და მერე გაუკვირდა, ბავშვი რომ გაიქცა. კარგა ხანს ირბინეს, როცა მალხაზმა ნაძვებს შორის მოსასვენებლად და საფარად მოსახერხებელი ხე შენიშნა. შეჩერ-

და, ბავშვს ხელი მოჰკიდა, ხესთან მიიყვანა და ხის ძირას დასხდნენ.

– დღისით ვერ მობედავენ, თუ ბევრი არ არიან. ამაღამ ხეზე ავიდეთ. იქნებ, ღამით რამეს ნანწყინდნენ და ჩვენ შეგვეშვან. ბავშვი ხეზე ასვა, თვითონაც ავიდა. ისე მოათავსა ბავშვი, რომ ძილი შეძლებოდა და ქამრით მიაბა ხეზე. ჩამოვიდა. ჩანთა აიღო და ისევ ავიდა. მოკალათდა და თავისი თავიც მიიბა.

– ნუ გეშინია, – უთხრა, – დაიძინე.

მალე დაბნელდა. ბავშვს ვერ ხედავდა, ეძინა თუ არა. თვითონ რა დააძინებდა, ერთი სული ჰქონდა ენახა, რამდენი იყვნენ. ჯერ შორიახლო დადიოდნენ, მერე მოუახლოვდნენ. ერთმა ხეზე ახტომაც სცადა. „სამნი არიან“, – გაიფიქრა. „არა უშავს, სამს არა უშავს. დღისით სამნი ვერ გაბედავენ მოსვლას“. მერე თვითონაც ჩაეძინა. ღამით ბავშვის ტირილმა გამოაღვიძა. მიხვდა, ძილში ტიროდა. არ გააღვიძა, შეეშინებო. თვითონ ველარ დაიძინა. ირიჟრაჟა. ხიდან ჩამოვიდა. მგლები შორს გავიდნენ. აიღო ქვა და ესროლა. ცოტა იქით გაიწიეს, მაგრამ არ გაქცეულან. „ცუდია, – გაიფიქრა, – ესე იგი ადამიანებს იცნობენ“. ზურგჩანთა ამოატრიალა. ერთი კოლოფი ორცხობილა და წყალი დარჩენილიყო, სხვა არაფერი. არც დანა, არც იარაღი. დანა ხომ მანაც უნდა ყოფილიყო ჩანთაში? ჯიბეები მოქექა და პატარა შვეიცარიული მრავალფუნქციური დანა იპოვა. „ხოო, საცობის მოსახსნელი გვაქვს, გადავრჩით“. – გაეღიმა. მერე ისევ ზურგჩანთა აიღო ხელში. საზურგე გაჭრა და ორი ფოლადის ვიწრო გრძელი ფირფიტა ამოაძვრინა. ბავშვმა გაიღვიძა. ჩამოიყვანა. ორცხობილას ყუთი გახსნა, ნახევარი ამოიღო და ნახევარი ისევ ჩანთაში ჩადო. ერთი ცალი თვითონ დაიტოვა, დანარჩენი ბავშვს მიანოდა. რის ვაი-ვაგლახით ორი ოცდაათ-ორმოცსანტიმეტრიანი ჯოხი მოჭრა. თავები შუაზე გაუყო. მერე აიღო დიდი ქვა და ფოლადის ფირფიტების წვერების ლესვა დაიწყო. ბავშვი გვერდზე მიუჯდა და რასაც მალხაზი აკეთებდა, იმის გამეორებას შეუდგა. მალხაზმა თავზე ხელი გადაუსვა.

– ყველაფერი კარგად იქნება. – დამარცვლით უთხრა, თითქოს ასე უფრო გაიგებდა ბავშვი და ფირფიტის წვერის ლესვა გააგრძელა. რომ მორჩა, შუაზე გაყოფილ მხარეს ჩაარჭო და ზურგჩანთის ყელის შესაკრავი ზონარი მაგრად მოუჭირა. მერე შეამოწმა და მოეწონა. თორმეტ-ცამეტსანტიმეტრიანი ხიშტი გამოვიდა. რომ მორჩა, ბავშვს გაუწოდა და თვითონ მეორის კეთებას შეუდგა. ისიც გაამზადა.

– ნავედით. – უთხრა. რაც ჰქონდა დარჩენილი, ჩანთაში ჩაყარა და ბილიკზე გავიდნენ. თავიდან სწრაფად მიდიოდნენ. მერე ნელ-ნელა უკლეს ტემპს. მალხაზი უკან იხედებოდა. მგლებს ველარ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მოყვებოდნენ.

– დავისვენოთ ცოტა და მერე ჩქარა ნავიდეთ, კარგი? – უთხრა ბავშვს. თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია იმანაც. გაეღიმა ორივეს. ადგნენ და სწრაფად აუყვნენ ბილიკს. მთის წვერზე ასული ბილიკი მარცხნივ, დაბლა, მიდიოდა.

– ჩვენ იქით არ გვანყობს, ზედა მხარეს უნდა ვიაროთ. მაგრამ იქ რომ ხეები არ ჩანს? ისე, არც ქვემოთ ჩანს, მხოლოდ – იქით, მთაზე. არა, ვერ ჩავასწრებთ და რომც ჩავასწროთ, მდინარეზე გადასვლა გაგვიჭირდება. ასე ნავედით.

ბავშვს შეხედა.

– ვერაფერი გაიგე? კარგი, ნავედით. – უთხრა და დაბლა დაეშვა. ნელა ვიაროთ, რომ არ დავგორდეთ. იქნებ, ქვემოთ დაგვხვდეს ხეები. ნელა მიდიოდნენ ნაშალ ქვაზე. ხანდახან ქვა ჩაიშლებოდა და ხრიალით ეშვებოდა ქვემოთ. ფრთხილად მიდიოდნენ. ერთგან ჩამოსხდნენ დასასვენებლად. ბავშვმა, მშიაო, აჩვენა. მალხაზმა თავი გაუქნია უარყოფის ნიშნად და წყალი მიანოდა. წყალი დალიეს და გზა გააგრძელეს. შორს, ქვემოთ, ნანგრევები გამოჩნდა. – „ეტყობა, ნასახლარია, იქ რამეს შევაფარებთ თავს“ – გაიფიქრა მალხაზმა.

შებინდებისას ჩააღწიეს. ნასახლარი სულ დანგრეული დახვდათ. ერთადერთი შენობა, რომელსაც კედლები მთელ სიმაღლეზე შემორჩენოდა, კარებისა და ფანჯრების გარეშე იდგა. მალხაზმა შეათვალიერა და თავი გაიქნია. ამას ვერ

გავამაგრებთ. მოდი, ჭერი ვნახოთ, თუ გაგვიძლებს. მალლა აძვრა და ძველი ფიცრები მოსინჯა. რამდენიმე გატყდა, ორი გადარჩა. ჩამოვიდა. იქაურობა მოათვალიერა, სხვა სახლებისკენ გადავიდა და ხის მორები მოათრია. ეს გავდოთ და ერთად გაგვიძლებენ. რის ვაი-ვაგლახით აიტანა მორები და კედლებზე ირიბად გადო. ბავშვი ასვა და თვითონაც აფოფხდა. დარჩენილი ორცხობილა ამოილო, ნახევარი ბავშვს მისცა, ნახევარი ისევ შეინახა.

– სამნი ყოფილან. ეგე, სად არიან? დაღამდება თუ არა, გვინახულებენ.

ღამე შიმშილმა გააღვიძა. ორცხობილა ამოილო, გახსნა, დათვალა, ისევ გაახვია და შეინახა. წყალი დალია და დაძინება სცადა. მერე თავი ასწია და მგლები მოათვალიერა. რამეს გამოედევნენ, ნეტა? თუ სძინავთ? სძინავთ არა, წავიდნენ, ეტყობა. დილით, როგორც კი გაეღვიძა, მიდამო მიმოათვალიერა, შორს მგლები შენიშნა. „ფუი, შენი“. – თქვა გულში და ძირს ჩამოვიდა. ბავშვიც ჩამოსვა და პატარა ლელისკენ დაეშვნენ. პირზე წყალი შეისხა, ბოთლები გაავსო და ბავშვს დარჩენილი ორცხობილა მისცა. თვითონ ნაპირთან ჭინჭარი შენიშნა, ფრთხილად დაკრიფა და წყალში კარგად გარეცხა. ხელში კარგად მოსრისა და ნელ-ნელა ჭამას შეუდგა. ბავშვს გახედა. ანიშნა, გინდაო? იმან თავი გააქნია. არ გაცინებია. გაიფიქრა, არ მანყინოსო და დარჩენილი გადაყარა. უცბად წამოდგა. იქნებ, ჭიაცულები იყოსო და წყალთან დაიწყო მიწის ჩიჩქნა. ვერაფერი იპოვა.

– იმ მთის იქით საქართველოა. – ანიშნა ბავშვს. მაგრამ მასე ვერ გადავალთ. ყინულია სულ, ხომ ხედავ? აი, იმ მთას ავუყვეთ. ზემოთ რომ ავალთ, გამოჩნდება ყველაფერი. შიმშილმა ძალიან შეანუხა. რამდენიმეჯერ დაისვენეს და როგორც იქნა, ნაშუადღევს მთის წვერზე მოექცნენ. მალხაზმა მთებს გახედა, მერე უკან მგლებს მოხედა.

– ისევ ქვემოთ უნდა ჩავიდეთ. იქ, ხედავ, ან კომპია ან მაღალი ქვები. იქ ვერ მოგწვდებიან. ნელ-ნელა დაეშვნენ. შუა გზაში ბავშვს ფეხსაცმელი გადაეხა. კაცმა მხარზე მოისვა.

– კიდე კაი, მძიმე არ ხარ, თორე რა გათრევდა შენ? – ბოლოსკენ ეს პატარა ბავშვიც დამძიმდა. ჩავიდნენ, როგორც იქნა. ძველი კომპი დახვდათ. შესაძვრომი პატარა იყო, მალხაზს გაუხარდა. შევიდნენ. კუთხეში თივა ეყარა. შესასვლელთან დიდი ლოდი იყო. დაეჯაჯგურა და ძლივს დაძრა. ბავშვიც მივიდა და მიანვა. ხვრელს მიაფარეს. მალხაზი ისეთი დაღლილი იყო, რომ მაშინვე მიეძინა, დილით ქვა გადააგორეს და გამოვიდნენ. ბავშვს ფეხზე დახედა, ბოთლი ამოილო და სიმალეზე, შუაზე გაჭრა. თითქმის გაცრეცილი ნასკები გახადა. ზურგჩანთას გარეთა ჯიბეები ააჭრა და ბავშვს ფეხებზე შემოახვია. მერე ზედ ნასკები წამოაცვა ისევ. გაჭრილ ბოთლში ჩააყოფინა და ზურგჩანთის დამხმარე ზონრებით გადაახვია.

– ადიდასები არაა, მაგრამ წავა, ფეხშიშველა სიარულს ჯობია. ცოტა დიდი ხომ არ გაქვს? – ეხუმრა. ბავშმა გაიარა, მუშტი შეკრა და მარჯვენა ხელი მალლა ასწია. გაელიმათ.

– წავედით! – თქვა მალხაზმა და ადგა. უცბად გაირინდა. მიაყურადა და ბავშვს ხელი სტაცა. მალლა გაიქცა და ლოდებში ჩაიმალა. კომპს ქვემოდან მანქანა გაჩერდა. ოთხი შეიარაღებული სამხედრო გადმოვიდა. მალხაზმა ბავშვს ანიშნა, მომყევით და გახობდა ლოდებს შორის. ბავშვი მიყვა. ნელა მიხობავდა, რომ არავის შეეინიშნა. ზემოთ ტყე გამოჩნდა, მაგრამ მანამდე, ალბათ, კილომეტრზე მეტი იქნებოდა. გაჩერდა, ზურგზე დანვა და გახედა. ერთ-ერთი სამხედრო მალლა აუყვა. კი იქნებოდნენ, ალბათ, ასე ორას მეტრზე დაშორებული, მაგრამ სამხედრო რომ კომპს ოდნავ ამოსცილებოდა, შეიძლება ისინი დაენახა. ის კომპთან მივიდა, შიგნით შეიხედა. მერე, შარვალი გაიხსნა და არც შეტრიალებულა ისე, ზედ კომპზე მოითავა თავისი საქმე. ქვემოდან მანქანის სიგნალი მოისმა. სამხედრო ქვემოთ ჩავიდა. მანქანა მალლა, მოპირდაპირე მხარისკენ დაიძრა.

– უნდა ვიხობოთ, სხვა გზა არაა! – უთხრა ბავშვს და გადაბრუნდა.

საათზე მეტი მიხობავდნენ. მერე ბილიკი ისე იცვლიდა კუთხეს, რომ ყველაფერი ხელისგულზე უნდა გამოჩენილიყო. არადა, სამხედროები მოპირდაპირე მხარეს გაჩერდნენ და ბინოკლები გადმოიღეს.

– აღარაფერი დარჩა. დაველოდოთ, დიდხანს არ გაჩერდებიან, იმედია. – კარგა ხანს გაჩერდნენ. მერე ისევ ქვემოთ დაემუნენ. ხეობას რომ გასცდნენ, მალხაზი წამოჯდა, წამოჯდა ბავშვიც.

– შარვალი სულ დაგხვია. – უთხრა ბიჭს და მუხლებზე ანიშნა. იმან დაიხედა და ახლა მალხაზს ანიშნა მუხლებზე. მალხაზმაც დაიხედა. მასაც დახეოდა შარვალი და სისხლიც სდიოდა დაკანრული მუხლებიდან. – მგლები ახლა აღარ მოგვცილდებიან, ვიაროთ! – თქვა და ზევით ტყისკენ დაიძრა. ღამე ისევ ხეზე გაათიეს. დილით გზას გაუყვნენ.

– ესენი თავს არ დაგვანებებენ. რამე უნდა მოვიფიქროთ. – უთხრა ბავშვს, რომელსაც უკვე სიარული უჭირდა. მთის ფერდობზე გავიდნენ, საიდანაც მეორე მთა მოჩანდა. – აგერ, იქ, ხედავ? ასვლა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ როგორმე უნდა ავიდეთ. ახლომახლო სხვა ასასვლელი არ ჩანს. იქ თუ ავალთ, დავინახავთ, როგორ ამოდიან. ერთი ლოდის დაგორება და მთლიანად წავლენ ხეობაში. – წავედით. ვიაროთ. კაცი დაფიქრდა და ველარ გაიხსენა, მერამდენე დღე იყო, რაც არ უჭამია, ან საერთოდ, რამდენი დღეა, რაც წამოვიდა? ხუთი? შვიდი? ვერ გაიხსენა. მთა ჩაიარეს წყალი აიღეს და უვალ აღმართს დაადგნენ. ნახევარ საათზე მეტი ხანი მიდიოდნენ, მალხაზმა მოიხედა. სამასი მეტრი თუ ექნებოდათ ავლილი. – არ უნდა გაჩერდე, უნდა მომყვე, აქ ხელში ვერ აგიყვან, გესმის? ბავშვმა თავი დაუქნია. მალხაზმა ისევ მოძებნა ზონარი და თასმა ნელზე გამოიბა, ბავშვს ხელზე მოაბა. – მომყევი, ოღონდ უნდა იარო. – უთხრა და წავიდა. ბავშვი ნელ-ნელა დამძიმდა. მზე მთას მიეფარა, მაგრამ ჯერ დაღამებამდე კიდევ იყო დრო. – აი, უყურებ იმ კლდეს? უნდა ავცდეთ ცოტათი და იქ დავისვენებთ. ანიშნა კლდეზე, რომელიც თითქოს, სპეციალურად იყო ორად ისე გაყოფილი, რომ

მხოლოდ ერთი ადამიანი გაეტეოდა. – ზუსტად იქ, იმ კლდის თავზე, დაველოდებით, სხვა გზა არაა. თუ ამოსვლა უნდათ, ასე უნდა ამოვიდნენ, ოღონდ არ დაეცე, მომყევი, გთხოვ. – მალხაზი ქვებს ეჭიდებოდა და გაჭირვებით მიიწევდა მალხა. – კარგია, სისხლის სუნი აქეთ წამოიყვანთ. ისე მოვლით აქამდე რამდენიმე კილომეტრი მაინც იქნება. – როგორც იქნა, კლდეს ასცდა და დაჯდა. ბავშვიც გვერდით მიუჯდა. მალხაზმა დიდი ლოდი მოიმზადა და ქვებზე მიწვა. ცოტა ხანში ბავშვმა გააღვიძა. სიბნელეში თვალები ანათებდნენ. ორნი არიან, მესამე? ალბათ, ამოდის. – უკვე ახლოს არიან, მეტი აღარ შეიძლება, – თქვა და ლოდს ნიხლი ჰკრა. ლოდი დაგორდა, სხვა ქვები აიყოლა, აიყოლა და გეგონება, მთა დაინგრაო, ისე ჩახვავდა ქვემოთ. – დაიძინე! – უთხრა ბავშვს და თვითონაც გააგრძელა ძილი. ბავშვმა ისევ გააღვიძა და მთის წვერისკენ მიუთითა. იქ წყვილი თვალები მოჩანდა

– მოუარა, უყურე შენ? ნუ გეშინია, ერთი ახლოს ვერ მოვა. მაგასაც ეშინია, მასე კი არაა?! – ბავშვი გულში მიიხუტა და თვალები დახუჭა. არ დაეძინა. მოუარა. ფიქრობდა. „ნახე, რა ჭკვიანია? მიხვდა და მოუარა. იქნებ, ვერ ამოვიდა? არა, ისინი თუ ამოვიდნენ? ეს რაა? წვიმს? ფუ შენი, ფუ შენი...“

წვიმა ნელა დაიწყო, მაგრამ უცბად ძლიერ მოიმატა. პატარა ნაკადული ღელედ იქცა და ქვები წაიღო. ბავშვს მიწა გამოაცალა ფეხებიდან და ქვემოთ ჩაასრიალა. მალხაზი გადახტა, ბავშვს ხელი სტაცა და ისევ მაღლა ისკუპა, ნამიც და კლდიდან გადაეშვებოდნენ ახლად დაბადებულ ჩანჩქერთან ერთად. ბავშვი აღარ დაუსვამს, ისე აყვა მთას და სადღაც ერთი საათის მერე წვერზეც აღმოჩნდა. მაშინლა დაჯდა. ირიჟრაჟა. წვიმამ იკლო, მაგრამ არ გადაიღო. მალხაზმა გადმოკიდებული კლდე შენიშნა, ქვეშ შეეფარა, ბავშვს გახადა ტანსაცმელი, გაუწურა და ისევ ჩააცვა. ზურგჩანთა გადმოატრიალა, პატარა მაკრატლით თითქმის ძირთან პატარა რგოლი ამოჭრა და ბავშვს თავზე ჩამოაცვა.

– არც დასველდები და თბილადაც იქნები. ოღონდ ნელა, არ წაიქცე. – ნახევარი დღე იარეს. მე-რე ნისლი ჩამოწვა. გზა კი არა, ფეხსაცმელებიც არ ჩანდა. ბავშვი წაიქცა. მალხაზი მივიდა. ხელში აიყვანა და გზა განაგრძო. მალე თვითონაც ძლიერ დაიღალა. ბავშვი დაუშვა და დაჯდა. – ნუ გეშინია, – გაამხნევა არაქათგამოცლილი ბავშვი. – საჭმელი გვჭირდება, – უთხრა საკუთარ თავს. ნისლი გადაიყარა, მაგრამ ძლიერ აცივდა. ცაზე პატარა მთვარე გამოჩნდა. ბავშვს დახედა.

„ხალხი ერთმანეთს ჭამდა...“ – ჩაესმა ყურში ვაცლავის ხმა.

– ღმერთო, მიშველე, – თქვა და პირფვარი გადაიწერა. „გაგახსენდა?“ – ჰკითხა საკუთარ თავს. – „როდის გაგახსენდა ბოლოს? ციხეში? საავადმყოფოში? აფხაზეთში? ხოლო მაშინ, როცა ბავშვი დატოვე გასაყინად? მაშინ რატო არ იფიქრე, როცა ხალხს კლავდი? მე ვომობდი. ომობდი? დიახ, ვომობდი, ვომობდი! ღმერთო, ხო მართლა ვომობდი... უფალო, შემინყალე!“ – პირფვარი გადაიწერა და თითქოს, გულიდან დიდი ტვირთი მოეხსნაო.

შორს ტოტის ტკაცუნის გაისმა. ბავშვს ჩანთა გააძრო და ისე დააწვინა. – კიდე კაი, ზამთრის კურტკა გეცვა, შე სანყალო, მიკვირს, რომ არ წაგართვეს. – ჩანთა მარცხენა ხელზე დაიხვია, ხელნაკეთი ხიშტები დაიჭირა და ნახევრად მჯდომარემ მიღულა თვალები. მგელი ნელ-ნელა მოიწვედა. არ ჩქარობდა, თითქოს, პოზიციას არჩევსო, ზურგიდან ცდილობდა მოდგომას, მაგრამ მალხაზმა მალალი ქვა შეარჩია და მას მიეყუდა, ისე, რომ მგელი მისგან მარცხნიდან უნდა მოსულიყო, სხვა გზა არ ჰქონდა. ახლოს მოვიდა, ისე რომ ღრენა ყურში ჩაესმოდა – შენც გშია, არა? მეც მშია. მოდი, მოდი და ვნახოთ ვინ ვინაა. მგელმა ისკუპა. როგორც ფიქრობდა, მარცხენა ხელი შეუშვირა, მაგრამ თათი ჩამოჰკრა და კისერში სცადა წვდომა. მარცხენა ხელი, მართალია, ქვემოთ ჩამოსწია, მაგრამ მაინც გულზე მიარტყა ისე, რომ კბილების ჩასობა ვერ მოახერხა კისერში. თბილი ქურთუკის სქელი საყელო მოგლიჯა და გახტა გვერდზე. მობრუნდა და

ისევ ისკუპა. სანამ ხელამდე მოაღწევდა, მანამდე დაარტყა ფერდში მარჯვენით. მგელმა დაინკმუტუნა და ისევ გვერდზე გახტა, დაიკლაკნა. მალხაზმა ხიშტი გამოიძრო, მაგრამ დაუვარდა, სიბნელეში არ ჩანდა და აღელდა. „ესეც თუ დავკარგე, დავიღუპე!“ – გაიფიქრა და მეორე ხელი მაგრად ჩაბლუჯა. მგელს, ეტყობოდა, საკმაოდ სერიოზული ჭრილობა ჰქონდა, მაგრამ არ აპირებდა შეპუებას. ახლოს მივიდა და პირდაპირ დაუდგა. მერე პირი დაალო და ისკუპა. მალხაზმა კარგად დაუმიზნა ხახას და ხელი ქვედა ყბაში ჩაავლო. მგელმა პირი დაკეტა. მალხაზმა იგრძნო, როგორ გაუტყდა ძვალი, მაგრამ გაშვება სიკვდილის ტოლფასი იყო, თავი მალლა აანეწინა და ხიშტი პირდაპირ კისერში ჩაარტყა. მგელმა კბილები შეუშვა, მაგრამ მალხაზმა არ დაანება და კიდევ ერთხელ, ახლა სხვა ადგილას ჩაარტყა. მგელმა თავი გაიქნია და გადახტა.

– სად მიდიხარ? მოდი აქ. მოდი აქ და ნახე, ვინაა ნადირი, ვინაა მხეცი?! – მთელი ხმით უყვიროდა და ლასლასით მისდევდა. მგელმა ცოტა იარა და დაეცა. მალხაზი მივიდა, ორჯერ კიდევ ჩაარტყა ხიშტი და მერე წამოათრია. ბავშვს ფეხზე გააძრო ნახევარბოთლი და ისე დადო, რომ სისხლი მასში დაგროვებულიყო. მერე გააღვიდა და თბილი სისხლი დააღვივინა. პატარა დანით, რაც შეეძლო გაატყავა და ხორცი აათალა. პირში ჩაიდო და ნელა დალეჭა. არ ეგონა, თუ ასე გემრიელი ხორცი ექნებოდა. გაეცინა თავისთვის. დელიკატესია. ორი ლუკმა შეჭამა და დაეძინა. დილით ტკივილმა და სიცივემ გააღვიდა. ბიჭს ეღვიდა. მაისური გაიხია და ხელი გადაიხვია. მერე ბავშვს ისევ ჩააცვა თავისი ხელნაკეთი ფეხსაცმელი და ჩანთის სანვიმარი.

– ეს მგელია, ხედავ? ეს უნდა შეჭამო. შენც და მეც უნდა შევეჭამოთ, რომ გადავრჩეთ, გაიგე? ელაპარაკებოდა, თან ხელებით ანიშნებდა. ბავშვმა თავი დაუქნია. ცეცხლს ვერ დავანთებთ, უმი უნდა ვჭამოთ. მოიცა, შენ ღვიძლს მოგცემ, ადვილი დასაღეჭია. პატარა დანით ძლივსძლივობით გაფატრა მგელი, მოზრდილი ღვიძლი ამოაჭრა და ბიჭს მიანწოდა. კიდევ ერთხელ ანიშნა, ჭამეო და თვითონ ამოჭრილი გული ჩაკ-

ბიჩა. თითქმის საათი ჭამდნენ, თან მალხაზი რბილ ხორცს აჭრიდა და ინახავდა. – ეს გზაში გამოგვადგება. ახლა ძალა მოგემატება და ნავალთ. მალლა ვიაროთ, სანამ ისევ ნისლი ჩამონვა. წავიდნენ. ცოტა ხანს იარეს, მაგრამ ბავშვს ფეხები ეკეცებოდა. ხელში აიყვანა. – ასე უფრო თბილად ვიქნებითო. ნისლი ჩამონვა ისევ. ნელა მიაბიჯებდა. წყალიც გაუთავდა. – ნეტა, რამდენი გამოვიარე? ან სად ვართ? როგორ ცივა. ტკივილიც მატულობს. ღამე უარესი იქნება. ტყე აღარაა. მაინც ვერ დავანთებდი, მაგრამ წინვებისგან სათბილობელს გავაკეთებდი. რას ვიზამ? უნდა ვიარო, უნდა ვიარო, უნდა ვიარო. – მერე მიხვდა, რომ აღარ შეეძლო. ბავშვი დაუშვა და გვერდით მიუწვა. დილით კვლავ სიცივემ და ტკივილმა გააღვიძა. რიჟრაჟი იყო. ხორცი ამოიღო და ლეჭვას შეუდგა. ერთი ბრტყელი ქვა აიღო, ზედ ხორცი დადო და წვრილ ნაჭრებად დაანანევრა. მერე ბავშვს ჩაუდო პირში. ბავშვმა ნელა აამოძრავა პატარა ყბები.

– ეგრე, ჭამე, ჭამე და ძალა გექნება. ეტყობა, გადასვლით ვერ გადავალთ. ქვემოთაც ვერ ჩავალთ, სამხედროებმა რომ არ დაგვიჭირონ ან – ადგილობრივებმა. სადმე ტყე უნდა ვიპოვოთ და გავმაგრდეთ რამდენიმე დღე, რომ ძალა მოვიკრიბოთ. არა, სადმე გზაზე მიტოვებული ციხე იქნება და სჯობს იქ. წავიდეთ! – უთხრა ბავშვს, ხელში აიყვანა და წავიდა. შუადღე იქნებოდა, რომ რალაც ბილიკი იპოვა.

– ეს სადმე მიგვიყვანს, ან სოფელი იქნება ან ნასოფლარი. – თქვა და ქვაზე ჩამოჯდა. – რა ძალიან ცივა, ეს ნისლიც რა უბედურებაა? ფრთხილად უნდა ვიაროთ, არავის გადავეყაროთ. – ადგა, ბავშვი ხელში აიყვანა და აღმართს შეუდგა. ნელა მიდიოდა. ტანზე ცხელოდა, მაგრამ ფეხებზე სიცივე უჭერდა. გზამ მარჯვნივ შეუხვია. „ნეტა, სად ვართ?“ – ეკითხებოდა საკუთარ თავს. – როგორ ცივა, როგორ ცივა. ღამე რა იქნება, ახლა რო ასე ცივა. – უცბად ქვის ლობეს მიადგა. გაოცდა, ბავშვი ჩამოსვა და თვითონ ფრთხილად გაყვა ლობეს. ლობეს პატარა ხის მავთულგადაკრული კარები ჰქონდა, შეაღო და შევიდა. კლდეში გამოქვაბული იყო. შეიხედა. სანთებელა

ანთო და ქვაბული მოათვალიერა. „მწყემსების დასასვენებელი ადგილია. ცოტა თივაა, ცოტა შეშა. – მადლობა, უფალო!“ – გაეღიმა. „გაგახსენდა არა? ხოო, გამახსენდა“. – უთხრა თავის თავს. ბავშვი აიყვანა და გამოქვაბულში შევიდა.

– ცეცხლი დავანთოთ და გავთბეთ. თან შემწვარი ხორცი უფრო კარგი საქმელია. – მიმართა ბავშვს.

ცეცხლი დაანთო. ხორცი ხიშტებზე წამოაცვა და ალს მიუშვირა.

– მარილი არ გვაქვს, მაგრამ არა უშავს, ნავა. თან წყალს მოგვანყურებს. აქ დავრჩეთ ცოტა ხანს, დავისვენოთ.

კარგად ჭამეს. გათბნენ, მაგრამ შეშა არ იქნებოდა საკმარისი.

– ისე, ხორცს შევწვავ და ისე შევიწახავ, ჯობია, – თქვა მალხაზმა და კიდევ წამოაცვა ხორცი ხიშტებზე. ნაკვერჩხალზე ხელები შეითბო და ფეხები უფრო ახლოს მისწია. ხორცის შეწვას რომ მორჩა, კიდეც დაღამდა. სამი, ოთხი ნატეხი ხე ეგდო. ორი დაადო და ცეცხლი ისევ აინთო. ძალიან ციოდა. ნახევარ საათში დარჩენილი ორი ნატეხიც დადო. – ეს ჩვენ ვერ გაგვათბობს. შეიფუთნე კარგად მაგ ჩანთაში. – ბიჭს გაუღიმა და ჩანთა ფეხებთან შეუკეცა. თვითონ მოიბუზა და ცეცხლისკენ მიიწია. მერე წამოხტა და გარეთ გავიდა, კარები შემოიტანა, ძლივსძლივობით დაამტვრია და ნაწილი ხეებისა ნაკვერჩხალზე დადო. ცეცხლი ისევ აგუზგუზდა, მაგრამ შეშა მალე ჩაიწვა. სიცივემ კი იმატა. ბავშვს ზემოდან დარჩენილი თივა დააყარა და ფეხები თივის ქვეშ შეყო. ცეცხლი მინელდა და რამდენიმე ნაკვერჩხალი ინავლებოდა. ადგა და სიარული დაიწყო. მიხვდა, რომ კუნთები ტკიოდა, ხელიც, ყველაფერი... ბავშვს მიუწვა. „რად უნდოდათ ამხელა შემოსასვლელი?“ – გაიფიქრა. პატარა რომ ყოფილიყო, სითბოს მეტად დაიკავებდა. ისევ გაიხედა გარეთ და გაოცებული წამოჯდა. ნისლი გაფანტულიყო და მთვარის შუქზე დიდი ჯვარი ჩანდა. – ღმერთო, შემინყალე! – თქვა და პირჯვარი გადაინერა. წამოდგა, გარეთ გავიდა, ქვის ლობე გაიარა და თხუთმეტიოდე მეტრში აღმართულ ხის ჯვარს მიადგა. საქართველოში

ვარ? როგორ? აბა ეს ჯვარი აქ საიდან? ღმერთო! უ, რა ცივა. – გააკანკალა და ქვაბულში დაბრუნდა. დაჯდა და ჯვარს გასცქეროდა. „ხისაა“ – გაიფიქრა. ღმერთო, მიშველე! – გადაინერა პირჯვარი. – არადა ხისაა, თან რამხელაა, დილამდე მეყოფა. ღმერთო, მიშველე! რა ფიქრები მომდის თავში. არადა, რო გავიყინოთ? არა, არა, რას ფიქრობ? რას ვფიქრობ და ჯვარი იხსნის ორ სიცოცხლეს და ორ სულს დალუპავს. სულს არა“... ადგა, გარეთ გავიდა. ხელი ძლიერ ტკიოდა, მაგრამ ჯვარს მაინც დაეჯაჯგურა და ძლივს მოაძრო ადგილიდან. „მართლა რამხელაა. – გაიფიქრა. – რას აკეთებ? უნდა გავთბე. გავიყინებით. ჯვარის დანვა გავიგია? თუ ადამიანებს გადაარჩენს, გამიგია. აგერ იმ ლოდზე გადავამტვრევ და ნელ-ნელა დავწვავ. დილამდე გავატანთ. მერე რაღაც იქნება. არა! არა! – ჯვარი კედელზე მიაყუდა. მიწვა ისევ. გააკანკალა. ადგა. – არა! კი! არა, არა! სხვა გზა არაა. ეგ მეორე ჯვარია... თავი დამანებე! გაჩუმდი!“ – იღრიალა. ჯვარს დაეჭიდა, მალლა ასწია და – უფალო, შემინყალე! – იყვირა.

დილით ცეცხლის ტკაცუნმა გააღვიძა. შეიშმუნა. ხელები გაშალა და გულში ჩახუტებული ჯვარი გაანთავისუფლა.

– გამარჯობა. – გაუღიმა აგიზგიზებული ცეცხლის პირას მჯდომმა მოხუცმა კაცმა.

– გამარჯობა.

– გაგათბო? – ანიშნა ჯვარზე.

– ხოო, გამათბო.

– წამო, ადგილზე დავაყენოთ.

ადგა, ასწია ჯვარი და გარეთ გავიდა.

– დილით ამოვხედე სოფლიდან, რომ ვერ დავინახე, მივხვდი, ვილაც იქნებოდა აქ და წამოვედი.

ჯვარი თავის ადგილზე გაამაგრეს.

– ეს საქართველოა?

– არა, დაღესტანი.

– დაღესტანი?

– ხო, დაღესტანი.

– მერე ჯვარი?

– ამ სოფელში ქრისტიანებიც ცხოვრობდნენ, ადრეც და კომუნისტების დროსაც. ახლა აქ მარ-

ტო მე დავრჩი. ბევრ ქართველს ცხვარი ასე გადმოყავდა. ბევრი ცხოვრობდა კიდეც ადრე.

– ქრისტიანი ხართ?

– ჩემს ასაკში რაღა აზრი აქვს, ვინ ვარ? შენ საიდან მოხვდი აქ?

– ჩეჩნეთში ვიყავით. ბავშვი გამოვისყიდეთ. მერე გზა აგვებნა.

– ეს რა მოგივიდა? – დასისხლიანებულ ხელზე მიუთითა. – მგელი?

– კი, მგელი.

– ყოჩაღ. ღმერთი გფარავს, ეტყობა.

– არა, მე და ის ვერ ვუგებთ ერთმანეთს.

– ის გიგებს, შენ გაურბიხარ, ეტყობა.

სიჩუმე.

– რა ხნისაა ბავშვი?

– არც კი ვიცი, შვიდი ან რვა წლის.

– არ იცი?

– არა, ჩემი შვილი არაა. პოლონელია, შემთხვევით შევხვდი მის მშობლებს, გამოსასყიდი მოჰქონდათ და... – ქვაბულში შეიარაღებული კაცი შემოვიდა, მერე – მეორე, მესამე. იქვე მჯდომ ბავშვს შეხედეს და თავი დაიქნიეს.

– ბიჭს ჩვენ ნავიყვანთ. – თქვეს და ბავშვისკენ ნავიდნენ.

– ვერ ნავიყვანთ. ჩემი სტუმარია. – უთხრა მოხუცმა.

– გაგიყუდი? რაღა დროს სტუმარზეა საუბარი? – თქვა ერთმა და ბავშვს მკლავში მოჰკიდა ხელი.

– ვერ ნავიყვანთ! – თქვა მოხუცმა და ჯიბიდან ხელყუმბარა ამოიღო, დამცველი მოაძრო.

– ინანებ! – უთხრა კაცმა და ბავშვს ხელი გაუშვა.

– ეგ ჩემი საქმეა. ნადით ჩემი მიწიდან.

– სტუმრებს გვაგებებ?

– ძალით მოსულები არ არიან სტუმრები.

– ქვემოთ დაგელოდებით. – თქვეს და გავიდნენ. მოხუცი უყურებდა, როგორ ჩავიდნენ იქვე გზაზე.

– საჭმელი ჭამეთ. – თქვა, აბგა გახსნა ყველი პური და წყალი ამოიღო. – საღამომდე ვერსად წავალთ.

– საღამოს როგორ წავალთ?



– აქედან ეგ ერთი გზაა გასასვლელი, მაგრამ ზემოთ კლდესთან თოკები მაქვს გადამალული. იქიდან სადღაც ოცდაათი მეტრი შვეული კლდეა. თოკით ჩავალთ. სანამ მოსალამოვდება, გარეთ უნდა ვიაროთ. მოდუნდებიან. იფიქრებენ, რომ ღამეს ველოდებით. დაღამების პირს კი გავხობდებით და ავალთ კლდემდე. მითუმეტეს, გეტყობათ, რომ არ გესწავლებათ ხობვა. მოხუცმა მუხლისთავებზე მიუთითა.

– კი, მოგვინია. – თქვა მალხაზმა და გარეთ გავიდა. დრო გაიჭიმა.

– რატო აკეთებ ამას?

– რას?

– რატომ გვეხმარები?

– ღმერთი ყოველთვის გვაძლევს შეცდომების გამოსწორების საშუალებას და მეც ვასწორებ ჩემს შეცდომას.

– მითხარი.

– აქეთა ალაზანი გაქვს ნანახი, როგორც თქვენ ეძახით?

– კი, მაქვს.

– მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, პატარა ბიჭი მყავდა. საცალფეხო ხიდზე გადადიოდა და ჩავარდა. წყალმა წაიღო, ხელებს აფართხალებდა. იქვე თოთხმეტ-თხუთმეტი წლის მწყემსის ბიჭი იყო და ის გადახტა წყალში. ჩემი ბიჭი ვერ ვიპოვეთ. ის ბიჭი კი აქ დავასაფლავე. ჯვარიც იმისია. წავედით დროა. – მოხუცი გახობდა. მას ბავშვი მიყვა და უკან – მალხაზი. ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წუთის მერე კლდემდე მიაღწიეს.

– დაგვინახეს. დროზე ჩაუშვი თოკი! – უთხრა მალხაზს. – რომ ჩახვალთ, ბილიკს გაყევით ზევით. ქვევით, ალაზანთან, ჩახვალთ, მაგრამ ვერ გადახვალთ, ამიტომ ზემოთ ქედზე უნდა ახვიდეთ. იჩქარეთ, ესენი ათ წუთში მოვლენ. მე თოკს ჩავჭრი, თორემ დაგენევიან.

– მაღლობა. – უთხრა მალხაზმა, მერე სახეში შეხედა. – შენი ბრალი არაა, ბავშვების სიკვდილი.

მოხუცს მწარედ გაეღიმა.

– მეც იმ ხიდზე ვიდექი, ვუყურებდი შვილს, მაგრამ ვერ გადავხტი...

– ზოგ შეცდომას გამოსწორება უნდა, ზოგს – სინანული.

– ორმოცდარვა წელი გავიდა მას მერე... ნადი. ბილიკს არ ასცდე და გადახვალ. ახლოა უკვე.

მალხაზმა მხარზე მოუჭირა მადლობის ნიშნად, ბავშვი ზურგზე მოისვა და თოკს მოეჭიდა. შუა გზაზე მიხვდა, რომ ვილაცამ დაქაჩა. მერე აფეთქების ხმა გაისმა. – ეტყობა, ახლოს არიან, – თქვა და ჩასრიალდა. ხელები ეწვოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. სროლის ხმა ისმოდა.

– ჩავედი! – იყვირა ხმამალლა. – ჩავედი! – თოკი ძირს დაეცა. – მოასწრო. წავედით. – მალე დაღამდა. მიუხედავად აღმართისა დასვენებულები და ნაჭამები თავისუფლად მიდიოდნენ. მალე ქედს მიაღწიეს და დაშვება დაიწყეს. „სახლში ვართ“. – გაიფიქრა მალხაზმა. – მაღლობა, ღმერთო? გაგახსენდა? – ჰკითხა საკუთარ თავს. – კი, გამახსენდა...

\* \* \*

გიო მალხაზს საწოლის გვერდით უჯდა და უსმენდა:

– ...მე და ჩემი მეგობარი ტყვედ აგვიყვანეს. გვანამებდნენ, გვცემდნენ. უნდოდათ, ჩვენი პოზიციების შესახებ ინფორმაცია. რომ არაფერი გამოუვიდათ, გვითხრეს ერთ-ერთი, რომელიც ინფორმაციას მისცემდა, გადარჩებოდა. ჩემმა მეგობარმა უთხრა, მე დავწერო, ოღონდ ქართულადო. გავიდა. მე ვუყვიროდი. არ ქნა, არ ქნამეთქი. რაღაც დაუნერა ფურცელზე. უკან საკანში რომ მოჰყავდათ, მითხრა, არ ინერვულო, ყველაფერი კარგად იქნებაო და გამიცინა. – რა გაცილებს შენი ასე და ისე-მეთქი და მაგრად ვაგინე. ფურცელი სადღაც წაიღეს. ასე, ერთ საათში დაბრუნდნენ. საკნიდან გამოიყვანეს. რომ ჩამიარა, საკანში ჯვარი შემომიგდო. ავიღე, ამის იმედად მტოვებ? როგორ გამყიდე-მეთქი – ვუყვირე და ჯვარი უკან ვესროლე. მოიხედა, გამიღიმა და თავი გააქნია. მანქანასთან მიიყვანეს. ერთმა ფურცელი აიღო, მოხია ნახევარი და პირში ჩაუკუჭა, ჩაუკუჭა კი არა, გადააყლაპა. მერე მეორე ნაწილი ჩატენა პირში. იმან რაღაც უთხრა. ამო-

ილო რევოლუციური და პირდაპირ შუბლში ესროლა. იქვე დაეცა ტალახში. ისინი მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. გაოგნებული ვიყავი. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. გამომიყვანეს. ბარი მომაჩერეს ხელში, ზურგზე მიცვალებული ამკიდეს და ტყეში წამიყვანეს. საფლავი გავთხარე. მეგობარი შიგნით ჩავანვინე. პირიდან ფურცლის ნაგლეჯი ამოვაცალე და ჯიბეში დავმალე. ამოვედი, მიწის მიყრა დავინყე. თავზე ახალგაზრდა მადგა, არ ვიცი აფხაზი, ან უფრო – ჩეჩენი. ჩემდა ბედად რალაცაზე დაიხარა. ბარი მთელი ძალით თავში ჩავარტყი. ავტომატი ავიღე და გავიქეცი. გზად ჯიბიდან ფურცლის ნაგლეჯი ამოვიღე. „...ყან გამყიდველები თქვენთან მოიკითხეთ, თქვე ღორის შვილებო“ – ეს ეწერა. უკან დავბრუნდი, არ მელოდნენ. ორნი, ვინც იყო დარჩენილი ბანაკში, ადგილზე დავხვრიტე. მერე ტალახში გვიანობამდე ვეძებდი ჯვარს. ვერ ვიპოვე...

– მთაში ხომ იპოვეთ?

\* \* \*

პალატაში რუსკა შემოვიდა. გიო ადგა და გავიდა.

– ექიმმა თქვა, ყველაფერი კარგად იქნებაო. – რუსკამ აკოცა და ფარდები გადასწია.

– შენი ბრალია, კვირაზე მეტია, აქ რომ ვწევარ. სახლში დაგწვებოდი.

– მერამდენედ გეუბნები, სისხლი გაქვს საშინლად მონამლული, სახლში არ გამოდის იმ პროცედურების ჩატარება, რაც აქ კეთდება.

– კარგი რა...


– ხოო, ვაცლავს მიაგნო პოლონეთის საელჩომ და მალე გადააგზავნიან სახლში.

– კარგია.

– მაცეი და დედამისი უკვე იქ არიან.

– ძალიან კარგია. კიდევ რით გამახარებ?

– ორსულად ვარ...



# პოტა უნანიძე

დავფრინავ, ვით მფრინავი,  
ბარიერის გარეშე.  
დაუხრია ქარს თავი,  
ჩემ წინ ველარ თარეშობს.

## სულხან-საბა

სამშობლოდან პარიზამდე გზას კეცავდა,  
წარბიც კი არ შეუხრია სულხან-საბას,  
მისი რჯულის სიყვარული უკაფავდა –  
გზას შორეულს,  
საქართველოს უკვდავ მამას.

განვლო საბამ მძიმე გზები მეფის ერთად,  
რადგან ეხსნა მაჰმადისგან დედარჯული,  
მისმა სიბრძნემ,  
ღვთიურ ნიჭმა,  
უფლის ნებამ  
რად დატოვა შუა გზაზე ის ბედკრული.

სულხან-საბა –  
საქართველოს მამა წმინდა, –  
პოლიგლოტი, –  
ფრიად მცოდნე ცხრა ენისა,  
სესენცკაში დაიხარჯა ქრისტეს გმირად,  
მწყინს,  
დიდ მოძღვარს მისი მიწა არ ეღირსა.

## ჭვბარი

ჩემს ბინასთან ჯვარი დადგეს, –  
სულის თბილი ნაწილი,  
პირჯვარს ვინერ, შვებას მაძლევს,  
მესხმის ფრთები არწივის.

გულში ლტოლვა ჯირითობს,  
შვებას აძლევს სულისთქმას,  
ჯვარის ეშხი და სითბო  
არ ამოვა გულიდან.

გული იქცა ლომგულად, –  
იმედებით პირსავსე,  
დიდი ლტოლვით გზას ვკაფავ  
შენს ტაძართან მისასვლელს.

ჩემს ბინის წინ ჯვარი დადგეს, –  
სულის თბილი ნაწილი,  
პირჯვარს ვინერ, შვებას მაძლევს  
მესხმის ფრთები არწივის.

## მბრიაბ

რა ხანია, ბათუმში  
ვარდები ყვავიან,  
შენ კი სად ხარ?  
რას უცდი? –  
ძვირფასო, მარიაბ.

ადექ და ნამოდი,  
რას უზიხარ სახლში,  
ენდე გულის ნადილს,  
მოგიტან ვაგზალში  
მაგნოლიის ყვავილს.



# ვიდი გობია

## წვიმა ბათუმში

ბათუმის ეზო, წვიმა, ზამთარი,  
ეზო – წასულთა მოსაგონარი,  
სერგო, სტარკეუ – სხვა მეგობარი,  
ანზორი, შოთა – კიდევ მავანი.

„კერასინკაზე“ შიშინებს თევზი,  
სუფრას ამშვენებს ზორბა სტავრიდა,  
მალაზიისკენ ავიღე გეზი –  
ვირჩევ რვა ნომერს – სხვა ჩვენ არ გვინდა.

მწნილი, წინმატი, ყველი ოსური,  
მწვანე ტყემალი, მჭადები ცხელი,  
ამ ხვავრიელით ვარ მონუსხული,  
სხვა ხვავრიელის ბევრჯერ მნახველი.

ცხრილავს სახურავს წვიმის საფანტი,  
ლხინის მოტივზე დანიკა მღერის,  
ბათუმის წვიმა – ვით ანდამატი –  
მიზიდვის ძალა ერის და ბერის.

გავიდა წლები, ბევრი რამ გაქრა,  
არ მეორდება ტკბილი წარსული  
და მხოლოდ წვიმა, წვიმა-ბარაქა,  
ჩემი ფიქრების არის ერთგული.

*დეკემბერი, 2016 წ.*

## იმედი

შეურვებული ზრახვები როცა  
მაკრთობს თავისი მკვეთრი ლანდებით –  
შენი თვალები,  
ლიმილი შენი,  
უძირო ხვევნა  
და შენი კოცნა,  
მე მაქვს, ვით ლოცვა,  
მე ღმერთმა მომცა  
იმედი მცირე – უფრო დარდები.

შენ მშორდებოდი, ქრებოდა ხომლი,  
მის შუქს მიჰქონდა შენი სხეული,  
გაოგნებული, ერთ ადგილს მდგარი,  
რითი ვიყავი მე მონუსხული?

ო, რა თამამი იყო ოცნება,  
რა მიმზიდველი ტანი გრძნეული,  
შენ მშორდებოდი, მე აღსარებად  
წარსულს ვიგონებ მიტოვებული...

ან გვიანაა, იყო ჟამთა ცვლა,  
დრომ გააყვითლა ლურჯი იეზი –  
შენი თვალები,  
ლიმილი შენი,  
უძირო ხვევნა  
და შენი კოცნა,  
მე მაქვს, ვით ლოცვა,  
მე ღმერთმა მომცა  
იმედი მცირე, მაგრამ – იმედი.

*ბათუმი, 1994 წელი. მარტი*



# მარია (მანო) გორგილაძე

## მამას

### ზურაბ გორგილაძეს

მოვალ, მოგიტან იაიებს დაგიფენ გულზე,  
სანთელს დაგინთებ სასთუმალთან, პატარა მნათობს,  
ღმერთს შეგავედრებ, დედას ღვთისას, მფარველ ანგელოზს,  
იძინე ტკბილად, დაიმკვიდრე სულის სიმშვიდე!

გარდასულ დროთა, ბოხოქარი დღეების ჯვარცმა,  
კაპასი ვნებით ამრეზილი ყოველი ბაგე,  
შენს სადიდებლად მუხლს მოიყრის სამარის კართან,  
იძინე ტკბილად, დაიმკვიდრე სულის სიმშვიდე!

ცრემლიან ტბაში არ გავწუნავ ღირსების ალამს,  
არც მძიმე გლოვით დაგაყვედრი მადლიან სალამს,  
შენს სამეფოში კრძალვით გავთლი უბრალო კალამს,  
იძინე ტკბილად, დაიმკვიდრე სულის სიმშვიდე!

მღელვარე წარსულს, მეცხრე ტალღა შეამსხვრევს ბალთას,  
ამზიანდება ლოცვით გული, სულის სავანე,  
გამოგინოდებ ცისარტყელას სამოთხის კართან,  
იძინე ტკბილად, დაიმკვიდრე სულის სიმშვიდე!!!

*2017 წ. 1 მარტი*

## ბაბუას სხლი ჩაქვში

დგახარ ეულად, მარტოსული, გარინდებული,  
შენს ბებერ კედლებს მოჰხვევია ხავსი, ხვიარა,  
უფარდო ფანჯრებს გახელილი დარჩა თვალები,  
სისხლისფერია რიკულებზე ჟანგის იარა...

ავბედით ღამეს, ჩამიხუტე მგზავრი დაღლილი,  
შენ მიერთგულე, შენ გამიღე კარი დახშული,  
მხოლოდ შენ განდე უსამანო, გრძნობა უძირო,  
შენც, ჩვენთან ერთად გაათიე ღამე უძილოდ.

ღრჭიალებს კარი, დრო-ჟამისგან გულგამოჭმული,  
ანთებულ სანთელს დაფარფატებს ღამის ფარვანა,  
აქ, შენს უბეში, ვერ ვიპოვე შევება, ნუგეში,  
ბაბუას ტახტზე ასვენია თეთრი სუდარა...

გაღებულ ჭიშკარს ქარაშოტი ზათქით ასკდება,  
ფორთოხლის ბალებს დაფანტვია ყვავილი ტკბილი,  
ბაბუას მსხლის ქვეშ ვიღას ელის ქვის ძველი ტაბლა,  
არც არასოდეს გაიშლება აქ პურ-მარილი...

დგახარ ეულად, იღუმალი, გარინდებული,  
თალხიან ტალახს მოჭხვევია ხავსი, ხვიარა...  
ბაბუას მსხლის ხეს გახმობია ძლიერი ფესვი,  
ჟანგისფერია ხის ტოტებზე ძველი იარა...

*14.05. 2014 წ.*


## მე თქვენთანა ვარ

### ვუძღვნი ჩემს ზაზას

ყოჩივარდები, ენძელები, იაიები,  
შემოსევია ქუჩაბანდებს, სკვერებს, ხეივანს,  
ნაზამთრალ ვენახს დაეხეთქა ჯიუტი კლერტი,  
ოლონდ შენს ქალაქს შენ გარეშე დააკლდა პენი...

სპეტაკ თაბახზე დაესვენა უმწეო ცრემლი,  
ცეცხლის ღადარში იშოშრება მწველი იარა,  
ჩვენს აივანზე გულყვითელა ჩიტი ხალისობს,  
– „მე თქვენთანა ვარ“ – ჩამჟღურტულა, გაიფთქიალა.

*3.03. 2015 წ.*



## ზურაბ ხუბუაძე

### უსათაუროდ და უმისამართოდ\*

*Dura lex sed lex – მკაცრია კანონი, მაგრამ კანონია*

– მარლენ დიტრიხი იცი, რატომ მომაგონდა, ბატონო შოთა? ალბათ, ფილმი „გალუბოი ანგელ“. იგი ამერიკელი კინომსახიობია და ესტრადის მომღერალი. მისი ნამდვილი სახელია მარია მაგდალენა ფონ როშ, ლას-ვეგასში გამოვიდა სცენაზე 1954 წელს და ეცვა ოქროსფერი კაბა. იყო მეტალის ძაფებით ნაქსოვი, რომელიც ინონიდა 36 კლოგრამს, ხოლო მისი ასაკი იყო 53 წელი ე. ი. შეიძლებოდა სალომეასაც სცმოდა ასეთი სიმძიმის კაბა, მაგრამ ცეკვის დროს? ცოტა დაუჯერებელია.

მოხუცმა შეისვენა და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო:

– მოკლედ რომ ვთქვათ, მაგას არ გააჩნია ბერძნულ-რომაული ანტიკურობა და მისი „სალომეას“ ტანისამოსი სულ ვერცხლისფერი მძივებითა და მარგალიტებითაა მორთულ-მოკაზმული. სახე მშვიდია. იგი იწყებს ცეკვას და პოზაც ისეთი აქვს მხატვარს შერჩეული, თითქოს, ეს-ესაა დაიწყებს როკვას. ძნელი სათქმელია, თუ მაშინ როგორ ცეკვავდნენ სემიტური რასის წარმომადგენლები, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი როდია, თუ როგორ იცეკვა სალომეამ. მისი სახე მშვიდია, იწყებს ცეკვას, ხელი

შიშველია მხრებამდე და წინ აქვს განვდილი. ერთი სიტყვით, საცეკვაოდ ემზადება. მოქმედება ხდება დიდ ტაძარში, სიღრმეში ზის მეფე, რომელიც ძლიერს ჩანს. სალომეამ ცეკვით მოხიბლა იმპერატორი, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა. დიდებული სურათია. მხატვარს ისე მუყაითობით აქვს დამუშავებული თითოეული მძივის ფორმა, რომ მნახველი იტყვის, რა დიდი მოთმინება და როგორი დიდი სიყვარული ჰქონია თავისი საქმის მიმართ. მართალია, მისი თეთრი ქუდი არ ჩანს ბენვეულისაა, მაგრამ ჩვენის აზრით, იგი სიასამურის ბენვეული უნდა იყოს და ეს ყველაფერი ერთ მთლიან ურთიერთკავშირშია. აი, რუბენსთან კი სხვაგვარადაა ცოტათი საქმე. მართალია, პერსევის ცხენი ტლანქია, მაგრამ იგი სიცოცხლით სავსეა. მისი ტანი ისე ელვარებს, რომ დამუშავების ტექნიკა უმაღლეს დონეზეა აყვანილი. საერთოდ, პეგასს მხატვრები ჭრელს ხატავდნენ. უმეტეს შემთხვევაში წითელი და თეთრი ლაქების შენაცვლებით. უფრო სწორად, ინგლისური წითელისა და ოხრათი შეხამებული, რომელიც ოქროსფერ კოლორიტს ქმნის და საერთოდ, რუბენსის ყველა სურათი სიცოცხლით სავსეა, მორო კი შედარებით მანერისტია.

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 2, 3, 5, 6, 2015 წ.

– მანერიზმი იწყება რაფაელის მოსწავლე ჯულიო რომანოსაგან, – ვთქვი მე, – მისი მხატვრობა ერმიტაჟში მინახავს, ვეებერთელა კარტონი „ტრიუმფ ცეზარია“.

მოხუცმა შემომხედა, და მეკითხება: – რას ნიშნავს მანერიზმი?

– მანერიზმი, ძია შოთა, ნიშნავს სისადავეს, უბრალოებასმოკლებულს.

– აი, ამიტომაც რომ ფასობს დიდ მხატვართა ნაწარმოებები. ისინი ისეა შესრულებული, თითქოს სილაღეშია და თამაშშია შექმნილი. ლექსის წერაც თამაშია. აი, მაგალითად – „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ“ – ესეც თამაშია. იგი ამავე დროს ტოლს არ უდებს რომელიმე კლასიკოსი პოეტის თქმულს.

„თუ შეგნვეს ძალა ბრბოში იყო და დარჩე კაცად, მეფეებს ახლდე და გახსოვდეს, ყოველთვის ხალხი, შენი ღირსება არ დაკარგო არასდროს არსად, მტერ-მოყვარესთან პირდაპირი იყო და ლალი“, – ეს თუმცა რედიარდ კიპლინგმა თქვა, მაგრამ შედარებას არ ვაკეთებ. ამასაც არ აკლია სისადავე და არც უბრალოებასა და იდეასაა მოკლებული. მოხუცმა ისევ რუბენსზე გააგრძელა საუბარი.

– იცი რას გეტყვი, მოი მალჩიკ? – ყველა გავლენისაგან ჩამოყალიბდა იტალიური ხელოვნება. ეს დრო, როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვნად გამოჩნდა კარავაჯოს შემოქმედებაში (1573-1610). მეტად რთული იმპულსების მქონე, თითქმის უმართავი ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც იმყოფებოდა თავისი დიდების ზენიტში, მაშინ, როდესაც რუბენსი ჩავიდა რომში. კარავაჯო იყო მასზე ოთხი წლით უფროსი. იგი ჩრდილო იტალიიდან იყო და ნამეტანი ახირებული კაცის სახელი ჰქონდა. მაგრამ იგი ამაღლდა მსოფლიო სიმაღლემდე ღრმა სიღარიბიდან. რაც შეეხება რუბენსს, მან იცოდა მისი სურათები, მაგრამ პირადად იცნობდა თუ არა მას, ნაკლებ სარწმუნოა. კარავაჯო სარგებლობდა სულ სხვა რეპუტაციით თავისი აუტანელი, გაშმაგებული ბუნებით იგი იმყოფებოდა სულ ჩხუბში და დუელში. მისი პიროვნება არავითარ ინტერესს არ გამოიწვევდა თავაზიანი და ზრდილობიანი რუბენსის თვალში.

რა თქმა უნდა, არც ეგოისტ კარავაჯოს გამოუჩენია ოდნავი ინტერესიც კი, უცნობი ფლამანდიელი მხატვრის მიმართ, რომელიც ასლების კეთებით იყო გატაცებული, კოლექციონერი ჰერცოგის მანტუანელის სურვილისამებრ.

– კარავაჯო ჩემთვის არის საყურადღებო მხატვარი თავისი ეფექტებით, მაგრამ კარავაჯოს რეალიზმი, როგორც ასეთი, თამაშია შუქ-ჩრდილებისა. მისი ტილოები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ მთელ XVII საუკუნის ევროპელ მხატვრებს მოედო.

რუბენსი აღფთოვანებული იყო კარავაჯოს შემოქმედებით, მაგრამ საბოლოო სიტყვას თავისთვის იტოვებდა. მას განსაკუთრებით არ მოსწონდა იტალიური ტექნიკა და იგი მიაჩნდა გაჭიანურებულ და მძიმე ხასიათის მქონე მხატვრობად. ამას უკვე მაშინ ამბობდა, როცა იგი იყო მომნიშვებული ოსტატი. როცა ის ჩამოყალიბდა დიდ მხატვრად და გახდა ყველასათვის ცნობილი, უფრო საყურადღებოდ და საინტერესოდ ანიბალე კარაჩის შემოქმედებასა და ტექნიკას მიიჩნევდა (1560-1609), რომელიც მუშაობდა რომში პალაცო ფარნეზეს გამშენიერებაში.

მოხუცი, თითქოს, არ დამეთანხმა, მაგრამ მან თავისებურად გააგრძელა:

– კი, მართალია, კარავაჯო თავისი შუქ-ჩრდილებსა და კონტრასტებზე აგებული ფერწერით მოსწონდა, ალბათ, რემბრანდტს, რომელმაც უფრო სრულყო და გააღრმავა თავისი შემოქმედება.

იგი დაიბადა (1606-1669) ჰოლანდიაში, უბრალო მენისქვილის ოჯახში, ოთხი წლისა ყოფილა, კარავაჯო რომ გარდაცვლილა. რა თქმა უნდა, ექნებოდა რაღაც დასაბამი კარავაჯოს ანთებულ სანთლებთან, მაგრამ რემბრანდტმა იგი აიყვანა მიუწვდომელ სიმაღლემდე ხელოვნებაში. იმდროინდელი XVII საუკუნის ფერმწერთა შორის რემბრანდტი არ არის კლასიკოსი, მისი ნამუშევრები როცა რენტგენული სხივებით გააშუქეს, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ნაწარმოები ადამიანის სხეულისა, პირველად სხვა მოძრაობაში იყო, შემდეგ გადაუკეთებია და სხვა შესტიკულაცია აუსახავს. მაგალითად, ხელი ადამიანისა ჯერ იყო და სხვა



რამეს ასახავდა, შემდეგ კი, სხვა მოძრაობაშია დახატული. ხელი ხომ ადამიანის ის ნაწილია, რომელსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ნაწარმოებში. ლეონარდო კი სხვაგვარად აკეთებდა. იგი ბევრს ეძებდა, შემდეგ აკეთებდა ჩანახატებს და კარტონებს, ხოლო როცა დაადგინდა საბოლოოდ, მაშინ გადაჰქონდა ტილოზე, მერე აღარ შლიდა. მან იცოდა, რასაც აკეთებდა.

არც ველასკესია კლასიკოსი. ჯუჯების ხატვა რა ესთეტიკის საქმეა.

– შენ სხვის აზრებს ნუ იზიარებ, რა ვიცი, რომ არ არის კლასიკოსი, მართალია, ჯოტო და ლეონარდო არიან კლასიკოსები, მაგრამ რემბრანდტების და ველასკესების გარეშეც წარმოუდგენელია ფერწერა.

– ამას წინათ მხატვართა ყრილობას ვესწრებოდი. თავმჯდომარედ აირჩიეს დუდა გაბაშვილი. ბატონმა დუდამ ასეთი აზრი წარმოთქვა: არც შექსპირს და არც რუსთაველს არ სჭირდება დასურათება, მაგრამ მაინც საჭირო ხდება მათი ნაწარმოებების ილუსტრირება, რადგან იგი წიგნის ილუსტრაციული ხელოვნების განვითარებისათვის ხდება საჭირო და თვითონვე გააგრძელა. ევროპაში ხუთი ათასზე მეტმა მხატვარმა დაასურათა სერვანტესის „დონ კიხოტი“ და, ალბათ, ყოველთვის უნდა გაგრძელდეს მისი დასურათება, ასევე უნდა გაგრძელდეს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებაც მთელი თავისი სამკაულებით. ზუსტად იმიტომ, რომ ხელი შეუწყოს მარტო რუსთაველის კი არა, საერთოდ, ჩვენი სახვითი ხელოვნების პოტენციალს წიგნის გრაფიკის დარგში. არ არის საკმარისი ზიჩი და არც ძველი ქართული მინიატიურა. ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო მწერალ ჭოლა ლომთათიძის უბის წიგნაკში ჩანაწერი: „მე ამოვგლიჯე „ვეფხისტყაოსნიდან“ ზიჩის ილუსტრაციები და ერთ მაჰმადიან ქართველს ვაჩუქე ისინი. ცოტათი ეშმაკი კაცი ვარ, მე ვიცი, რომ მართლმორწმუნე მაჰმადიანს „ქიათბი“ უკრძალავს სურათის როგორც გადაღებას, ისე შექმნას და ამ საჩუქრით მე მინდა, გადავიკიდო ის ალლაჰს. აბა, რად გამაჰმადიანდა ის ქართველი

კაცი? რად ამჯობინა თავმეხვეული მაჰმადი ჩვენი ქრისტიე უფალს! და ამას გარდა, თუ ფრთხილი დარაჯი, ფანატიკოსი მოლა მოჰკრავს თვალს ამ სურათებს და დახვეს, აი, დარდი! სად მხატვარი ზიჩი და სად შოთა რუსთაველი – დიდი პოეტი!

ზიჩი დაიბადა სადღაც უნგრეთში. ლუკმაპურის ძებნაში გადააწყდა პეტერბურგს. რა იცის მან ჩვენი ისტორია, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენი ენა? განა ის შეასხამს ხორცს თავიდან ფეხებამდე საქართველოს დიდი პოეტის – რუსთაველის სურათებს? დეე, გახდეს ეს სურათები მსხვერპლი ფანატიკოსი მოლისა – აი, დარდი! და მე ვაჩუქე ზიჩის ილუსტრაციები. მხოლოდ სურათი რუსთაველისა დავიტოვე მე, თუმცა რა ვიცი, მართლა რუსთაველია ის, თუ ვინმე სხვა. მე მსურს, რომ ის იყოს რუსთაველის სურათი, მაშასადამე, ის რუსთაველია და სხვა არავინ!“

მოხუცმა ჩაახველა, ხმა ჩაინმინდა და ლუდი მოსვა. მერე მეუბნება: – მართალია, მე ჭოლა ლომთათიძეს ვეთანხმები არა იმიტომ, რომ იგი მამაჩემის მეგობარი იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი სიმართლეს ამბობს. ზიჩის ნესტან-დარეჯანი ჩიხტიკოპით ილია ჭავჭავაძის „კაცია ადმიანის“ დარეჯანს უფრო ჩამოჰგავს. განსაკუთრებით ის ადგილი რომ დაუხატავს „ქვე წვა ვით კლდისა ნაპრალსა, ვეფხი პირ-გამეხებული“. ტარიელი კი ჩოხა-ყაბალახში გამოწყობილ ეგნატე ნინოშვილის ქრისტიანს შეყვარებულ იასონს ჰგავს, ზოგან ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ გმირს – გაბროსაც ჩამოჰგავს, ზოგან გაქუცულ იმერელ აზნაურს და რა ვიცი, ვის – არა. საერთოდ ჩვენი აზრით, ილია ჭავჭავაძის მოთხრობებს უფრო დაასურათებდა, ვიდრე რუსთაველისას. თუმცა ვერც „ოთარანთ ქვრივს“ ვერ დაასურათებდა. გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ დასურათებასაც ვერ შეძლებდა და ამისთანა ნაწარმოებებს ქართველი მწერლებისას. სერგო ქობულაძეს ვერავინ შეედრება, ჩავარდნები მასაც აქვს, მაგრამ იმდენად მაღალია მისი ოსტატობა, რომ იმ ჩავარდნებს ფარავს და ისე არ გეჩხირება თვალში. ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხეში, მე ვიტყვოდი, იგი არა მარტო ქართული, არამედ ზო-

გადსაკაცობრიოა, ხალხი ნელ-ნელა ეგუება უკვე სერგო ქობულაძის პროფესიონალიზმს, იმიტომ რომ ხალხს ჰგონია, ოსტატობა ყველა მხატვარს თან ახლავს და არა აკადემია აძლევს. მართალია, აკადემია ბევრ რამეს სძენს მომავალ მხატვარს, მაგრამ ისეთ მაღალ ოსტატობას, როგორც ჩამოყალიბდა დიდი შრომის წყალობით სერგო ქობულაძეში, იშვიათად იძლევა და ხალხმა იცის ფასი ოსტატობისა.

ეს საუბარი 1966 წელს წარიმართა. როცა საქართველოს სურათების გალერეაში მოეწყო გამოფენა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით. ძირითადად გამოფენილი იყო სერგო ქობულაძისა და თამარ აბაკელიას ილუსტრაციები. დანარჩენი მხატვრებისა თითო-თითო ილუსტრაცია გამოფინეს. სხვებისა კი – საბურთალოზე იყო გამოფენილი.

მაშინ ახალი იყო ბატონ ლევან ცუცქერიძის ილუსტრაციები, რომელიც მოხუცის თვალში დიდ მოწონებას იმსახურებდა და ასე შეაფასა: – აი, ჩემზე ბევრად ახალგაზრდა მხატვარმა ლევან ცუცქერიძემ ძალიან ემოციური და ცოცხალი ილუსტრაციები უძღვნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. აი, ისინი უაღრესად ქართულია. თუმცა იგრძნობა მიქელანჯელოს სიქსტეს კაპელას გავლენა, მაგრამ ეს არავითარ ნაკლში არ უნდა ჩაეთვალოს მხატვარს, როგორც არ ჩაეთვალა ბატონ სერგო ქობულაძეს ძველბერძნული ხელოვნების ზეგავლენა. იმიტომ, რომ ხელოვანმა მოაქცია თავის ქურაში და ბატონმა ლევანმა ქართული ფრესკების ელფერი შესძინა, საყოველთაო გახადა. შემდგომ გამოიფინა საფრანგეთში და ფრანგები აღფრთოვანებით იძახდნენ – „პლასტიკო, პლასტიკო“. ცოტათი ზედმეტად გააშიშვლა, მაგრამ ისიც არ გეჩხირება თვალში დიდი ოსტატობის წყალობით.

დედაბრიშვილმა კიდევ მოუკიდა „ყაზბეგს“. იგი უკვე კარგად შეზარხოშებული იყო და სულ სხვა საუბარი გამიბა. ამჯერად – პოლიტიკაზე. მაშინ ჯერ კიდევ მუჟავანაძის ეპოქა იყო.

– ასეა, ჩემო კარგო, ხელოვნება განუყოფელია, გინდა თუ არა, პოლიტიკასთან. განა მიქელანჯელოები და ლეონარდოები ხარკს არ იღებდნენ?

ბორჯიების ან რომის პაპების, ან ძველ საბერძნეთში ავილოთ პერიკლეს ხანა ან კიდევ უფრო ხშირად იგივე არისტოტელეს აზრით, „თუ სუბიექტს პოლიტიკა არ აინტერესებს, ის უკვე მონაა“. ასეთები კი დღეს ბევრია. რამდენჯერ მოგვისმენია აზრები მავანთაგან – „მე პოლიტიკა არ მაინტერესებსო“. არისტოტელეს კი უკვირს, როგორ არ უნდა აინტერესებდეს სუბიექტს ის, რაც მის ცხოვრებას განსაზღვრავს, ანუ სახელმწიფო და პოლიტიკა, რაზეც არა მარტო მისი კეთილდღეობა თუ უბედურება, განვითარება თუ დაქვეითება დამოკიდებული, არამედ მისი ყოფნა-არყოფნაც კი.

არისტოტელე ასე მსჯელობს: „დამარცხებული ქვეყნის არისტოკრატი არისტოკრატად არ ჩაითვლება, რადგან პოლიტიკა მან ღრმად ვერ გაიაზრა. ესე იგი, განუვითარებელი მონაა“. აქ კი შეიძლება არ დაეთანხმო უდიდეს ფილოსოფოსს – არისტოკრატი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ იგი დამარცხდება, მაგრამ მას არა აქვს ძალა და არ შესწევს უნარი, მრავალრიცხოვან მტერს მოერიოს და ზოგჯერ მარცხის მსხვერპლი გახდეს. ისტორია იცნობს ისეთ არისტოკრატებს, მაგალითად, ჰანიბალი, სპარტაკი, სპარტელთა მეფე – ლეონიდე, სვიმონ მეფე, გიორგი სააკაძე და სხვები, განა ისინი არ ჩაითვლებიან არისტოკრატებად? „ომი მონათა გამომჟღავნების საშუალებაა და მონას იდესმე გამოუჩნდება აუცილებლად მბრძანებელი პატრონი.“ ასეთ პოლიტიკურად განუვითარებელ ქვეყნებს იგი აბსოლუტურ ბარბაროსულს უწოდებს. რას ნიშნავს სიტყვა არისტოკრატი? ბერძნული სიტყვაა (aristos – კლასობრივ საზოგადოებაში უმაღლესი წოდება, გაბატონებული კლასის პრივილეგიებული ფენა, დიდგვაროვნები). მართალია, სპარტაკი იყო დეზერტირი, რომელიც გაყიდეს მონად და შემდეგ გლადიატორად გამოიყენეს, აქ შეიძლება იყოს სადავო: სპარტაკის პიროვნება რამდენად მიეკუთვნება მაღალ ფენას, მაგრამ, ჩვენის აზრით, იგი ბუნებით იყო არისტოკრატი, რადგან ის არ შეეგუა მონობას და არც – გლადიატორობას. ამ შემთხვევაშიაც არისტოტელეს არ აქვს გამართლება, უფრო სწორად – მის კო-

ნცეფციას არისტოკრატის განმარტრებისა. ამრიგად, არსებობენ გონიერი ადამიანები – არისტოკრატები, დაბადებიდან კეთილშობილნი და ყველა დანარჩენი – მონები. არისტოკრატი ყველგან არისტოკრატია, მონა – ყველგან მონაა.

აქ ჩნდება გაურკვეველობა. მაგ: არსებობს სახელმწიფო, ქვეყანა, სადაც ცხოვრობენ არისტოკრატები. არის მეორე ქვეყანა, მასაც ჰყავს თავისი არისტოკრატია. პირველმა ძალადობით, ანუ ომით დაიპყრო მეორე ქვეყანა და მასაც ჰყავს თავისი არისტოკრატია. მეორემ ძალადობით, ანუ ომით დაიპყრო მეორე ქვეყანა და მისი არისტოკრატია აქცია მონად. გამოდის, რომ შეიძლება არისტოკრატიც მონა გახდეს.

არისტოტელე ამ დასკვნას სასტიკად ეწინააღმდეგება. ის ასე მსჯელობს: „დამარცხებული ქვეყნის არისტოკრატი არისტოკრატად არ ჩაითვლება, რადგან მან პოლიტიკა ღრმად ვერ გაიაზრა, არ დახვეწა, მოსალოდნელი საშიშროება წინასწარ ვერ გაითვალისწინა“, ასეთ პოლიტიკურად განუვითარებელ ქვეყნებს არისტოტელე ბარბაროსულს უწოდებს. აქაც კითხვითი ნიშანი ისმება.

– ბატონო შოთა, იცით რას გეტყვით? ერთ-ერთ შურნალში წავიკითხე. ერთი ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ნანარმოების ფინალი. ეს მწერალი გახლავთ – ვონეგუტი „რამ შემქმნა ადამიანად“ სასაკლაო №5, რომლის მთავარი პერსონაჟი უცნაური კაცია. ცოტა – გიჟი. ჰოდა, ამ უცნაური კაცის ერთ-ერთი იგავია: ადამი, ეს მოაზროვნე არსება, ეკითხება ქვეყნის შემქმნელ ღმერთს: „კი მარაო, რა აზრი აქვს ყველაფერ ამას?“ თან უცქერის ქვეყნის სილამაზეს, კავკასიონს, ვენერა მილოსელს... ღმერთს ჩაეცინა და უთხრა: – შენ ფიქრობ, რომ ამას კიდევ აზრიც უნდა ჰქონდესო? რასაკვრველია, თავმომწონედ მიუგო კაცმა. – აბა, მაშინ შენთვის მომინდვია აზრის გამოტანაო – და წავიდა. წავიდა, გაქრა და აღარ გამოჩენილა. ყველას დაგვიტოვა ეს გამოცანა.

– ამიტომ! – შემომხედა მოხუცმა და დიდი ფიქრის შემდეგ მითხრა, – ამიტომ რელიგიას აქვს დიდი ძალა, მოი მალჩიკ, რელიგია ხსნის ასე თუ ისე ადამიანის არსებობას ამქვეყნად. თუ

რატომ დასჭირდა ღმერთს ეს ყველაფერი და რა მიზანი აქვს ამ ყველაფერს?

– ბატონო შოთა, ისევ ხელოვნებაზე ვისაუბროთ, – ვეუბნები მე, – რადგან მაშინაც და ახლაც, ყოველთვის ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა ამოვწურო ადამიანებს და გამახსენდა ამაშუკელის კოლექციონერის, არმანდ ჰამერის გამოფენა, განსაკუთრებით ანრი მოროს ნამუშევარი „სალომეა“. იგი ჩინებული ნამუშევარია თავისი ოსტატობით და მოხუცს ვუხსენე ეს არცთუ ისე დიდი სურათი.

მოხუცმა კიდევ ლუდი მიაყოლა თავის გადაღლილ გონებას და წარმოთქვა:

– მე ვიცნობ მასეთ მხატვარს. იგი იმდენად საინტერესოა, რომ არც ერთი პატარა მძივი იქნება ის, თუ ტაძრის რომელიმე ორნამენტი, არ გიშლის ხელს, როდესაც ათვალისწინებ თვით სურათს და განაგრძობ: ცნობილმა ფრანგმა მწერალმა-სიმბოლისტმა გუისმასმა მორო ზუსტად შეაფასა და მას უწოდა „პარიზის გულში ჩასახლებული განდევნილი“. იგი დაიბადა 6 აპრილს, თუ 8-ში აღარ მახსოვს, 1826 წელს, პარიზში. მისი მამა – ლუი მორო იყო არქიტექტორი. მის მოვალეობაში შედიოდა ის, რომ ქალაქში არსებული საზოგადოებრივი შენობები და ძეგლები სათანადო მდგომარეობაში ყოფილიყო. ერთადერთი დის, კამილიას სიკვდილმა მოროს ოჯახი უფრო დაახლოვა. მხატვრის დედა – კაროლინა მთელი გულით იყო მიბმული შვილზე სიკვდილამდე. მშობლებმა წაახალისეს თავიანთი ყმანვილი ხატვის მიმართ. გუსტავი ბევრს კითხულობდა, უყვარდა ალბომების თვალისწინება ლუვრის კოლექციიდან. 1844 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ, მიიღო ბაკალავრის ხარისხი. ლუი მორომ განაწესა იგი მხატვრის სახელოსნოში – ნეოკლასიციზტის ფრანსუა ედუარდა პიკოსთან, რომელმაც მისცა სათანადო მომზადება. შემდეგ მოეწყო ელეგანტური ხელოვნების სკოლაში. იგი ბევრს ხატავდა, კოპირებას უკეთებდა ბევრ თაბაშირის ანტიკური ოსტატების მოდელს და სხვათა შორის, მორო გატაცებული იყო დელაკრუას უმშვენიერესი ფერწერით და განსაკუთრებით მისი მიმდევარი შასერიოთი.

მე შევატყვე, მოხუცმა იმის ნაცვლად, რომ თვითონ მხატვრის ნამუშევრებზე ელაპარაკა, ცოტათი გადაუხვია და მე ჩავურთე – შოთა ძია, იგი პენელისას სასიძოვსაც ხატავდა თურმე, გამიგონია და თეზესის გორგონებს, მაგრამ არ დაუშვავრებია და 1857 წელს ორწლიანი მიმაგრებით გაემგზავრა იტალიაში. იგი მოხიბლული იყო ქვეყნით და გააკეთა ასობით კოპირება აღორძინების ეპოქის შედეგებისა. მას შეუყვარდა მიქელანჯელოს ფრესკები – ანდრეა დელ საოტოსი და ფრა ანჯელიკოსი. ვენეციაში აკოპირებდა კარაჩის და ნეაპოლში სწავლობდა პომპეის ჰერკულანუმის ცნობილ ფრესკებს. 1862 წელს გარდაეცვალა მამა. ასე რომ, მამა ვერ მოესწრო მის წარმატებას.

მოხუცმა კიდევ მოუკიდა პაპიროსს და მეუბნება: – როგორც მამაჩემი – ჩემს წარმატებებს, – ირონიულად გადმომკრა და თვითონვე გააგრძელა საუბარი.

– იცი რას გეტყვი, ჩემო კარგო, მორომ 1860-იან წლებში დანერა სურათების მთელი ციკლი ვერტიკალური ფორმატისა და აქედან ერთი სურათი „ოიდიპოსი და სფინქსი“ გაყიდა 8000 ფრანკად აუქციონზე. ის თანხა საკმაო თანხა იყო იმ დროისათვის. ვინმე პრინცი ნაპოლეონის მიერ კრიტიკოსებმა მორო გამოაცხადეს ერთ-ერთ მიმდევრად ისტორიული ჟანრისა, ვინც თვლიდა მოროს და პატივს მიაგებდა როგორც ნიჭიერ მხატვარს.

– მე კი, ძია შოთა, მაგისი „ორფეოსი“ მომწონს, როგორც სურათი, მაგრამ იგი მოკლებულია ისტორიულ დამაჯერებლობას. მართლია, მითია, მაგრამ მითი ხომ იმ ხალხმა შექმნა, რომელმაც გააცოცხლა ეს მითი. ჩვენ ვსწავლობთ მითოლოგიას და ვიცით, რომ ჰადესში გაემგზავრა ორფეოსი, რათა თავისი სატრფო წამოეყვანა რეალურ ცხოვრებაში და ღმერთებს შესთხოვა. ღმერთებმა კი ასეთი პირობა დაუდეს, თუ მოიხედავდა უკან, დაკარგავდა თავის მიჯნურს. ეს ძალიან მოკლედ მოგიყევი, ძია შოთა.

– კი, ვიცი მე მაგ მითი. რას გულისხმობ მხატვრის ჩავარდნად? იმას, რომ ბერძნული ჰადესი არ იგრძნობა და არც ეთნოგრაფია? ამავე დროს, ლირა უჭირავს არა ორფეოსს, არამედ ევრიდიკეს. მხატვარს აქვს უფლება, მაგრამ რამდენად

დამაჯერებელია, ვერ ვიტყვი. მხატვრის ენა საიდუმლოებითაა მოცული. აი, „ოიდიპოსი“ კი დამაჯერებელია მთლიანად და „სალომეაც“. სალომეა! შიშველი ხელი? არ მომწონს ფონი, რომელზედაც მოკვეთილი თავია გამოსახული. ქრისტესი თუ ვისია, ვერ იტყვი. მაშინ ქრისტე არ იყო მოვლენილი ამქვეყნად. მორომ იცოდა, მთელი ისტორიული კოსტიუმები, რასაც ატარებდნენ ძველი ინდოელები, სპარსები თუ ასირიელები. ისე კი დიდებული მხატვარია.

– შოთა ძია, ენგრსაც ხომ აქვს „ოიდიპოსი“?

– აი, „ოიდიპოსი“ ენგრისა მთლიანად ეროვნულია. ესე იგი, ბარმანული, მიუხედავად მორონაირად გადაჭარბებული აქსესუარებისა, იგი იმდენად დამაჯერებელია, რომ არავითარ შემთხვევაში არ გიჩნდება აზრი იმისა, რომ დაუჯერებლობის სინდრომი უკმაყოფილების გრძნობას აღარ ქენჯნის.

ასეა თუ ისე, გუსტავ მორო საინტერესო მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება. ის გახდა კუმირი სიმბოლისტ მწერლებისა – ლორენის, გუირმანისა და პელადონისა. საკმაოდ პოპულარული რომ არ ყოფილიყო, იგი არ მიიღებდა შეკვეთებს აკვარელებისას, რომლებსაც ჰყიდა 1000-დან 1500 ფრანკამდე, 1888 წელს იგი აირჩიეს ელეგანტური ხელოვნების აკადემიის წევრად.

– არა, მოი მალჩიკ, იგი კი არ ყიდა, მას ჰქონდა შექმნილი 64 აკვარელების სერია იგავ-არაკების სიუჟეტებზე და უფრო სწორად, ლაფონტენის ნაწარმოებებთა მიხედვით, რომელიც თითოეული შექმნილი იქნა ვინმე მარსელელი მდიდრისაგან, ანტონი რუა, თუ არ ვცდები.

იგი გარდაიცვალა კიბოთი 1898 წლის 18 აპრილს.

შოთა ძია იყო რუსული ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე, იგი წარმოთქვამდა ციტატებს პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ბლოკის, პასტერნაკისა და სხვათა ნაწარმოებებიდან და მიკვირდა, საიდან იცოდა ამდენი დასავლელ მხატვრებზე.

მეორე დღეს ჩვენ გადავერთეთ რუსთაველის შემოქმედებაზე მთლიანად, თანაც იმ წელს, 1966-ში, იყო რუსთაველის დღეები საქართველოში.

## დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას ნათესაურ კავშირთან დაკავშირებული ერთი უზუსტობის გამო

პატივცემულ მკითხველს, ალბათ, ახსოვს გრაფი სეგედისა და მუშნი ზარანდიას მეფისნაცვალთან დაბარების ისტორია. ამ შეხვედრას პოლკოვნიკი სეხნიევიც ესწრებოდა. როცა მეფისნაცვალმა თათბირი გახსნა, მისი წარმართვა სწორედ სეხნიევს დაავალა, ხოლო ამ უკანასკნელმა, პირველი, რაც გააკეთა, მუშნი ზარანდიას ჰკითხა: „– რა ნათესაობა გაქვთ ყაჩაღ თუთაშხიასთან?“ ზარანდიამ მას მშვიდად უპასუხა: „– და-ძმის შვილები ვართ. მამაჩემის ოჯახში გავიზარდეთ ერთად. დათა თუთაშხია და მისი და – ელე, ბავშვობაშივე დაობლდნენ“.

თუ დავაკვირდებით, ზარანდიას აღნიშნული პასუხი არ გახლავთ კონკრეტული ხასიათის, ვინაიდან არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ ვინ არის მოცემულ შემთხვევაში ძმა და ვინ – და. სამაგიეროდ, ასეთი დაკონკრეტება გვხვდება ნაწარმოების რუსულ და ინგლისურ თარგმანებში (შესაძლებელია იგივე სიტუაცია არსებობდეს სხვა ენებზე შესრულებულ თარგმანებშიც). ჯერ ვნახოთ, თუ რა პასუხს აძლევს ზარანდია სეხნიევს რუსულ თარგმანში: „– Его мать и мой отец – родные сестра и брат, – спокойно ответил он. – И он, и я выросли в семье моего отца. Дата Туташхиа и его сестра Эле остались сиротами еще в раннем детстве“.

ახლა ვნახოთ ამ საუბრის ინგლისური ვარიანტი: „His mother and my father are sister and brother“, he replied calmly. „We both grew up in my father's fam-

ily. Data Tutashia and his sister Ele were orphaned at an early age“. გამოცემლობა „Raduga Publishers“, 1985. ნაწარმოების ინგლისური თარგმანი შესრულებულია გამომცემლობა „მერანის“ მიერ 1979 წელს გამოცემული რუსული ვარიანტის საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, რომანის რუსულ (ასევე ინგლისურ) ვარიანტში დათა თუთაშხიას დედა მაგალი ზარანდიას დაა, ანუ დათა თუთაშხია მუშნი ზარანდიას მამიდაშვილადაა გამოცხადებული. გრაფი სეგედი კი ნაწარმოების დასაწყისშივე გვამცნობს აბრაგისა და ჟანდარმის ნათესაური კავშირის შესახებ: „ეს არის ორი ძლიერი პიროვნების – აბრაგ დათა თუთაშხიას და მისი მამიდაშვილის, პოლკოვნიკ მუშნი ზარანდიას ცხოვრება და ურთიერთობა“. როგორც ვხედავთ, აქ პირიქითაა, მუშნი ზარანდია გახლავთ დათა თუთაშხიას მამიდაშვილი. ცხადია, ამ შემთხვევაში უფრო სარწმუნო წყარო გახლავთ ნაწარმოების ქართული ვარიანტი, თუმცა საკითხს ართულებს ის ფაქტი, რომ რუსულ ვარიანტს აქვს წარწერა: „Перевод с грузинского автора“. ამრიგად, ნაწარმოების ავტორისთვის ერთ შემთხვევაში (დედანი) მამიდაშვილი მუშნი ზარანდიაა, ხოლო მეორე შემთხვევაში (მისეული რუსული თარგმანი) – დათა თუთაშხია.

საინტერესოა ისიც, რომ აბრაგის და ჟანდარმის ნათესაური კავშირი ვერ გაარკვია აკაკი ბაქრაძემაც – ნაწარმოების ერთმა უპირველეს-

მა შემფასებელმა, რომელმაც „დათა თუთაშხიას“ შესახებ თავისი კრიტიკული მოსაზრებები „ტარიგი ღმრთისაში“ ჯერ კიდევ 1975 წელს, რომანის ცალკე წიგნად გამოცემიდან ახლო პერიოდში გამოაქვეყნა. აი, რას გვამცნობს იგი ამ საკითხთან დაკავშირებით: „დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია სისხლით ნათესავები არიან. დათა მუშნის მამიდაშვილია“ (აკაკი ბაქრაძე. რვატომეული. ტ. 3, 2004. გვ. 586.). ამავე წერილში პატივცემული აკაკი ბაქრაძე კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ ორი პიროვნების ნათესაურ კავშირს და წერს: „სუბიექტურად მუშნი ზარანდიას უყვარს ღვიძლი მამიდაშვილი“. გვ. 593. როგორც ვხედავთ, აკაკი ბაქრაძისთვის აბრაგისა და ჟანდარმის ნათესაური კავშირი რატომღაც რუსულ თარგმანში აღწერილი ვარიანტის იდენტურია. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ისიც, რომ „ტარიგი ღმრთისაში“ გამოქვეყნების მომენტისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა „დათა თუთაშხიას“ რუსული თარგმანი.

როგორი იყო თუთაშხია-ზარანდიას ნათესაური კავშირი სინამდვილეში? ამ საკითხთან დაკავშირებული პირველი ცნობის შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი, როცა ითქვა, რომ გრაფი სეგედი ზარანდიას თუთაშხიას მამიდაშვილად მოიხსენიებს.

შემდეგი მნიშვნელოვანი ცნობა ამ ორი პიროვნების ნათესაური კავშირის შესახებ გვხვდება პორუჩიკ ანდრიევსკის დაკითხვის ოქმში. ვნახოთ გამომძიებელსა და დაჭრილ ანდრიევსკის შორის გამართული კითხვა-პასუხის ერთი ფრაგმენტი:

„კითხვა: რა იცით დათა თუთაშხიას ახლო ნათესავებისა?

პასუხი: ეს და-ძმა ბავშვობიდანვე ობლები არიან. რამდენადაც ვიცი, ჰყავთ მამიდა, მისი ქმარი და მამიდაშვილები“.

უდავოა, რომ აქ წარმოდგენილ ფრაგმენტში ზარანდიაა თუთაშხიას მამიდაშვილი. დაინტერესებული მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ამ ამონარიდის რუსული ვარიანტი:

„Вопрос: Что вы знаете о близких родственниках Даты Туташхиа?

Ответ: Дата и Эле – брат и сестра. Осиротели с детства. Насколько мне известно, у них есть тетка со стороны отца, ее муж и двоюродные братья“.

როგორც ვხედავთ, ამ რუსულენოვან ამონარიდში ცხადად არის მითითებული, რომ „...У НИХ ЕСТЬ ТЕТКА СО СТОРОНЫ ОТЦА...“ რომლის სახელია თამარი და ნაწარმოების მიხედვით არის მაგალი ზარანდიას მეუღლე. თამარ ზარანდია დათა და ელე თუთაშხიების მამიდა იყო, მუშნი ზარანდია კი – მამიდაშვილი. ასევე ცხადია, რომ ეს ბოლო ამონარიდი არსებითად ეწინააღმდეგება მეფინაცვალთან გამართულ თათბირზე მუშნი ზარანდიას მიერ გაკეთებულ განმარტებებს მისი ნათესაური კავშირის შესახებ და-ძმა თუთაშხიებთან (ნაწარმოების რუსული და ინგლისური ვარიანტების მიხედვით).

იმის დასადასტურებლად, რომ მუშნი ზარანდია იყო დათა თუთაშხიას მამიდაშვილი და არა პირიქით, მოვიყვან კიდევ რამდენიმე მაგალითს.

ბეგლარ გვალაია ასე გადმოგვცემს დათა თუთაშხიას მონათხრობს, რომელიც თუთაშხიების ჯოგის ისტორიას ეხება: „დედა რომ კაი ხნის მიცვალეული გვყავდა და მე და ჩემ დას, ელეს, მამიდაჩემი თამარი და მისი ქმარი მაგალი ზარანდია რომ გვზრდიდნენ თავის საკუთარ შვილებთან ერთად და თავის საკუთარ შვილებზე უკეთ – იცი ეს შენ“. ამ ისტორიის გვალაიასთვის მოყოლის დროს, დათა თუთაშხია კიდევ ერთხელ მოიხსენიებს მუშნი ზარანდიას მამიდაშვილად: „ჩემმა მამიდაშვილმა, მუშნი ზარანდიამ, პატიების ქალღმერთი რომ გამომიწყო მეფისნაცვალისგან, ავიღე ხელი აბრაგობაზე, მოვედი ჩემს სახლში“.

ნაწარმოების დასასრულს, დათა თუთაშხია კიდევ ერთხელ მოიხსენიებს მუშნი ზარანდიას მამიდაშვილად, ბიკენტი იალქანიძესთან საუბარში:

„...ის ცხენი მოვიყვანე, ბიკენტი, მე.

– რას ლაპარაკობ! – აბა, გაგიგია, ვინაა ის კაცი! მითხარი, თუ კაცი ხარ...“

თუთაშხიამ ჩიბუხის გატენვას კარგა ხანი მო-  
ანდომა. მერელა უთხრა:

– სანდო კაცის ნათქვამია, მარა სხვა ადგილი-  
დანაც უნდა გავიგო და მაშინ დავიჯერებ

საბოლოოდ. ამ ჩავლაზე უნდა ვნახო ის  
კაცი... – თუთაშხიამ იალქანიძეს შეხედა, მეტად

გაფაციცებული მოლოდინი დაინახა და დას-  
ძინა: – ჩემი მამიდაშვილი – მუშნი ზარანდია!“

ასევე მამიდაშვილად მოიხსენიებს ზარანდი-  
ას ბონია მენისქვილაც:

„თუთაშხიამ კარს მიაშურა. მენისქვილემ თვა-  
ლი გააყოლა და უკვე კართან მისულს უთხრა:

– დათა-ბატონო, მოიცადე ერთ წუთს, სათქ-  
მელი მაქვს რაღაც.

აბრაგი შეჩერდა, მენისქვილეს გამოხედა.

– ქუთაისში ვინ მელაპარაკებოდა და ვინ და-

მითანხმა ამ საქმეზე, თუ იცი?

თუთაშხია დაბრუნდა.

– ვინ?

– ქუთაისის ჟანდარმერიის უფროსიც იყო იქ,  
მარა ხმა არ დაუძრავს მას. მამიდაშვილი მელა-  
პარაკებოდა შენი, მუშნი ზარანდია. სხვა გვარი  
მითხრა, ეს და ეს კაცი ვარო. ეგონა, არ ვიცოდი,  
ვინც იყო. მისი პოლკოვნიკობაც ვიცოდი და პე-  
ტერბურგში რომ დიდზე დიდი კაცია, ისიც. მუშ-  
ნიმ მაყიდვია ეს წისქვილი შარუხიასგან“.

ვფიქრობ, ეს საკითხი აღარ საჭიროებს დამა-  
ტებით არგუმენტებს იმის თაობაზე, თუ რა ნა-  
თესაური კავშირი არსებობდა დათა თუთაშხია-  
სა და მუშნი ზარანდიას შორის. ზემოაღნიშნული  
უზუსტობის გასწორება კი, სავარაუდოდ, მომავ-  
ლის საქმეა.



# ჩიბო ობიარაძე

## სატიქელი, რომელის რამდენი წელია ვერ დაკვალაბე...

ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ზურაბ გორგილაძის შემოქმედებას მისდევს და მისი პოეზიით ცოცხლობს. არაერთხელ მქონია სურვილი ჩემი გულის ნადები მის პოეზიასთან, მის პიროვნებასთან დაკავშირებით ქალაქში გადმომეტანა... არ ვიცი, რის გამო ვერ ვახერხებდი ამას. უფალმა მარგუნა არაერთი მისი შემოქმედებითი სალამოს ორგანიზება, საუბრები და შეხვედრები, რომელიც შემდგომ ჩემი ცხოვრების შეუფასებელი სიმდიდრე გახდა. ძალიან ადვილი იყო მასთან მუშაობა, იმიტომ, რომ უბრალო იყო და ამასთან ძალიან დიდი, თავისებური პენით, თავისთავადობას ჩიბუხიც უსვამდა ხაზს...

ზოგჯერ, ზურაბის ლექსების ჭარბი ემოციებისაგან სუნთქვაც კი მეკვრება, ისეთი ძალა და ენერჯია მოდის მათგან. ასე მგონია მათი ნაკითხვის შემდეგ დიდგორსაც მოვიგებთ, საქართველოსაც გამთლიანებულს დაფუტოვებთ შთამომავლობას. ასე მგონია და რა ვქნა...

ჩემს მეხსიერებაში ზურაბ გორგილაძის პოეზია აბოზოქრებულ მდინარეს ჰგავს, რომელიც ვერც ერთ კალაპოტში ვერ ეტევა, მოაქვს ყველაფერი, რაც გზაზე ხვდება, რაც არ უნდა ეცადო ვერასოდეს დაიმორჩილებ-გაზანზარებს მუდამ. ტიცინისა არ იყოს – „მისი ლექსები მოვარდნილი მენყერია, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“...

გაზაფხულზე აბიზინებული მინდვრის ყვავილები, ქართული მიწის ოხმივარი, მისთვის სხვა იყო, რაღაც განსაკუთრებული, ზურაბისეული, ამიტომაც ინება, ალბათ, უფალმა პოეტის წუთისოფელში მოვლინება გაზაფხულზე და წაყვანაც გაზაფხულიდან...

მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ დიდქართული, აჭარული დიალექტი ყველაზე უკეთ ზურაბ გორგილაძემ აამღერა თავის პოეზიაში და სულ მალე დაამკვიდრა ცოცხალ მეტყველებაში. მარგალიტის მძივებით არის მოფენილი საუკუნეების საგანძური ჩვენ ირგვლივ, რაც საქართველოს ისტორიის უბრწყინვალეს ნაწილად მიმაჩნია. ამ ყველაფერს დღეს, ჩვენი სოფლების ორლობებში თუ მოკრავ ყურს, მაგრამ მაინც ეს ქართული – აჭარული დიალექტი მისი ლექსებიდან ამოხეთქილი აჭარის წარსულს მაგონებს, გულის გულში გადასულს, ჩემს ბავშვობასთან მიმარბენინებს, ჩემს წინაპრებს მაფერებინებს. მადლობა პოეტს ასეთი სიდიადისათვის. როგორ კარგად აქვს ღირსეულ მამულიშვილს, ფრიდონ ხალვაშს, ნათქვამი: – „ამ სამმა სტრიქონმა აქაც გაიბიბინოს ზურაბის სულის სამარადისო ღვიძილისათვის“:

„მიყვარს ნაავდრალი მთები, მთები ნისლეზაჩაღული,  
კვნესით დახნულ-დანათესი, იარებით დაშარული,  
როგორც გორგილაძის ლექსი – დიდქართული, აჭარული“.



დრო გადის, ზურაბის პოეზიასაც თანდათანობით ემატება თაყვანისმცემელი, ჩვენს ოჯახებშიც სამაგიდო წიგნად დაიდო ბინა მისმა პოეზიამ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი თუ, როგორი სიდიადით დააბერტყა უფალმა კალთა პოეტს და სამზეოზე ამოატანინა ლოდირში შემონახული დიდქართული, აჭარული... გენიალური ოთარ ჭილაძისა არ იყოს – „ღმერთთან სალაპარაკოდ ყველას თავისი განსაკუთრებული, გასაიდუმლოებული ენა გააჩნია“...

30-წლიანი მეგობრობა მაკავშირებს ზურაბ გორგილაძესთან და მის უსათნოეს ოჯახთან. მასთან სტუმრობა და საუბარი ყოველთვის ერთი დიდი სიცოცხლე იყო ჩემთვის. ეს ახლაც გრძელდება. ხშირად მიწევს გული მისი ოჯახის მოსანახულებლად. ფეხის შედგმა მის ოჯახში და, საუბარი ზურაბის პოეზიაზე ერთია. ჩვენ სხვა თემა არ გავაჩნია. ვინცებთ ზურაბით და ვამთავრებთ მისი პოეზიით. ამ პატარა სახლის დიასახლისის ქალბატონ ლეილა დავითაძეს სამაგალითოდ აქვს აკინძული ზურაბის მთლიანი შემოქმედებითი გზა, სიყვარულის საოცარი ისტორია, კიდევ ბევრი შეუცნობელი და ამოუხსნელი რამ. ბევრიც ზურაბის შემოქმედების შესახებ ჩვენ მისი გარდაცვალების შემდგომ გავიგეთ. რომ არა ქალბატონი ლეილა, ისინი ჩვენთვის მიუწვდომელი გახდებოდა. მისი ოთახის ფერგადასული კედლებიდან ჩვენი გენიოსები – ვაჟა, გალაკტიონი, გოგლა, რუსთაველი, უწმინდესი ილია მეორე გვიმზერენ, გეგონება, უფალმა შეკრიბა საქართველოს თანამოდარდენი ზურაბთან და საქართველოს ჭირ-ვარამზე საუბრობენო... სათქმელი კი ბევრი აქვთ... იმ სახლს ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე თავისი ხიბლი აქვს, ჯერ კიდევ ამოუცნობი... მე, ყოველთვის მენატრება იქ მისვლა, იქ, იმ სახლში, ჩემთვის ზურაბი ცოცხლობს...

უფალი არ გამოლევს სამშობლოზე თავდადებულ და მოდარდე პოეტებს, მაგრამ მამულის სიყვარულში ისე დაფერფლილი პოეტი, როგორც ზურაბ გორგილაძე იყო, იშვიათია. მან შთამომავლობას აკენის არტახებიდან ამოვარდნილი, სულით ხორცამდე ქართული აზროვნებით გაჯერებული პოეზია დაუტოვა. მისი ლექსების ერთი ბნკარიც კი საკმარისია სამშობლოს თავგანწირვისათვის! მე ასე მესმის... არაერთი ურთულესი წელი, დღე და საათი ჰქონდა საქართველოს და მის უერთგულეს აჭარას მთელი ისტორიის მანძილზე, მაგრამ ხალხი ერთ ქართულ სიტყვას და ლექსს ფეხზე წამოუყენებია, იმედი მიუცია და მისი თავდადებისათვის გზაზე შეუყენებია. ასე მოვიდა ჩვენი სამშობლო აქამდე. საქართველოში, როგორც არსად, ისე აქვს ფასი ქართულ სიტყვას – „სიტყვავ ბატონოს“. ჩვენთან ვერ ნახავ ლხინისა და ჭირის სუფრას, სადაც ზურაბის ლექსი არ გუგუნებდეს, ეს ყველაფერი ხომ ჭეშმარიტად სახალხო პოეტის ხვედრია...

ასე მგონია, ზურაბის პოეზია სრულიად საქართველომ მისი სიკვდილის შემდეგ უფრო გაიგო. ასეა ჩვენთან, ფიროსმანიც გვიან ვაღიარეთ... დღეს ზურაბის ლექსებს საქართველოს ვერც ერთ წიგნის მაღაზიაში თაროზე შემოდებულს ვერ ნახავთ. მისი ლექსები კარგა ხანია საქართველოს ყველა კუთხეში მოგ ზაურობს, გულმხურვალედ ამბობს იქაური კაცის სათქმელს. სიყვარულია, აბა, რა არის ეს? ეს სიყვარული კი თანდათან ეფინება სრულიად საქართველოს. ამასობაში მისი წიგნების გაჩუქებისას ჩემი ბიბლიოთეკაც დაცარიელდა... არ მენანება, მიხარია პირიქით...

ზურაბის ლექსები უცრემლოდ არ იკითხება, გულის ყველა სიმს არხევს, სულს წმენდს და ამაღლებისათვის ენერგიით გავსებს. სამშობლოს სიყვარულს და დედაენას პოეტი დიდნენეს ლეჩაქში გამოკოჭილს გვიტოვებს ავი თვალისაგან დასაფარავად. როგორ კარგად აქვს ჩვენს მეგობარ პოეტს ნათქვამი – „სასიყვარულოდ, აბა, შენ დედამინა რას გეყოფოდა“...

ზურაბ გორგილაძის თითოეული სტრიქონიც კი ცალკე ლექსია, რომელიც ჩუქურთმასავით არის გამოთლილი. მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა:

„და საქართველოს, როგორც მდინარეს უსასრულობის  
ზღვისკენ მიყვებით“.

„და მიდი-მოდის ჩემი ჩრდილი მამულის ქობთან,  
და ცხვება სადღაც არსობის პური“.

„ხელში აყვანილ ბათუმის წვიმას ატირებული  
ბავშვივით ვკოცნი“.

„და მარტოობის მინდვრებში დაძრნის,  
სული ბანარზე გაბმულ ძალღვივით“.

„ვგანგაშებ ასე, ლექსის ფიჩხზე გაზრდილი ბიჭი“.

„ჩემს სიმარტოვეს ვილაც პატრონობს“. და ა. შ.

ზურაბ გორგილაძემ ერის სათქმელი მოასწრო და წმინდა საკურთხეველზეც მიუტანელი არ დატოვა.

აჭარა, წმინდა ნინოს ნაკვალევი, დიდაჭარაში, თარანგელოს მთაზე, პირველი ქართული ეკლესიის ნანგრევები, სხალთის ტაძრის ზარების გამბული ზილი, გონიოსა და ხიხანის ციხის ქონგურები, ვარჯანისთან სამშობლოსათვის თავგანწირულ მოწმეთა კვნესა, სარფიდან ლაზების სევდიანი „ნანა“, წვეთ-წვეთად მოტანილი ავბედითი წარსული, ტკივილმოუშუშებელი დღევანდებობა, ქრისტეს ჯვრებით მოფენილი აჭარის მიწა-წყალი იყო ზურაბის პოეზიის აღმაფრენაც და სიხარულიც, ხანჯალივით იქნევადა სიტყვას უვარგისათვის სათქმელად, ბევრ ფსევდორაინდსაც ახადა ნილაბი. აქ ამ ქართულ მიწას ქრისტეს ჯვრებით იცავდა და ეფერებოდა მუდამ. ამიტომაც ამოვარდა მისი გულიდან ლექსის ეს სტრიქონები: – „ღვთაებრივი ქრისტეს ჯვარი, საქართველოს – მე პირველმა მივეცი“...

ზურაბ გორგილაძის პოეზიის ფესვმაგარი ბოძები ადგილის დედის საგანძურშია ჩაშენებული, მას არასოდეს უცხოვრია საქართველოს წარსულისა და მომავლის გარეშე. – „როგორ მსურდა შენთვის მაინც ...ქვჩის თვალთ არ ეცქირათ“. უფლის განგებაა ყველაფერი ამ ქვეყანაზე და ამიტომაც მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გადანყვეტილება და საქართველოს ღირსეულ მამულიშვილებს – ფრიდონ ხალვაშსა და ზურაბ გორგილაძეს – ბათუმის ღვთისმობლის საკათედრო ტაძრის ეზოში მიუჩინა მუდმივი განსასვენებელი. კითხვის ნიშანიც არავის დაუსვამს. პასუხი ერთი იყო – ეკუთვნოდათ... ჩვენი მეგობარი პოეტისა არ იყოს – „წავიდა ნამდვილ პატრონთან, ნამდვილ მამასთან – ღმერთთან, რომელსაც საუკუნეებია უხმობდა მისი ნაგვემი სული“...

გავიდა წლები და სულ უფრო და უფრო მტკივა გული, უფრო მეტად უნდა გვეპოვა დრო მასთან შესახვედრად, სამუსაიფოდ. ისევ რამდენი კითხვა გვიჩნდება, მაგრამ უკვე გვიანია.

სულ მგონია, რომ ისევ მასთან ერთად ვართ ...სადღაც „სალხინოს“ ეზოში, „ინტურისტებთან“, „აკადემიაში“, იქ სადაც ქვეყნის ბედ-ილბალს წყვეტდნენ ჭეშმარიტი გულშემატკივარნი. ასე დაუსაბამოდ არ ქრება გულისტკივილი...

ალბათ, მოვა დრო და მადლიერი შთამომავლობა აუსრულებს პოეტს აუხდენელ ოცნებას და დედაქალაქში, რუსთაველზე წაიკითხავს – „საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა“. დიდი რუსთაველის სახელოვანი პრემია, ვფიქრობ, ზეციურ საქართველოში გაუბრწყინებს სულს...

„მე დელეს ჩამოვყევი ქალაქში“, – ასე თქვა ზურაბმა. მეც მინდა ავყევი ამ დელეს იქ, ხალაში, მის მამისეულ სახლში, სადაც სულ ახლახან მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა, საიდანაც ისევ გუგუნებს მისი პოეზია... იქ, დიდი ნიგვზის ხის ძირში, სადაც საქართველოს ბედზე და მომავალზე საუბრობდნენ, მეც მინდა ჩამოვჯდე და ჩემი ფიქრები გავუგზავნო ზურაბს აქედან. ვინ იცის, მოვესწრები თუ არა ზურაბ გორგილაძის 90 წლისთავის იუბილეს, ამიტომაც მინდოდა, მისი მგზნებარე ლექსების ხატოვანებით შეძრული სული დაგვიანებით, მაგრამ ჩემეულად გამომეფინა...

2017 წლის 22 მარტი



# დენიზა სუბინა

## ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაბღებად

(ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“  
გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში)\*

**ეკლესიური „ხელისკვრა“ და  
ეროვნულ-მეცნიერული  
თვალსაზრისების გაძევება  
(გაგრძელება)**

დოგმატური განგაში ქართულ ეკლესიაში ატეხილი საქართველოს პატრიარქის თანაშემწე ქალბატონის მიერ, **დედაუფლის** ქრისტიანულ-თეოლოგიური ცნების ჩემეული შემოტანის გამო, ანუ სულიწმიდის, როგორც დედური სანყისის, ჩემეულ გაგებასთან დაკავშირებით, ჩემი დღევანდელი გადასახედიდან, ეს იყო ებრაულ-თეოლოგიური განგაში იმ ადამიანებისა, რომლებიც ფორმალურად ქრისტიანები იყვნენ, ხოლო – შინაგანად იუდეველნი. დღევანდელი გადასახედიდან უკვე საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საპატრიარქოში მონყობილი მთელი მითქმა-მოთქმა სულიწმიდის ჩემეული გაგების მიმართ, ანუ ჩემს მიერ დედაუფლის ცნების შემოტანის მიმართ, ხდება იმ დროს, როცა ჩვენთვის ყველასთვის შეუ-

ჩნევლად, საქართველოს სახელმწიფოს გარკვეული სამსახურები, საქართველოს ისტორიულ დროშებში: „გორგასლიან-დავითიან-თამარიანში“ ეძებენ ებრაელთა ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის დროშას, ხოლო ქართულ ეკლესიას, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში, ამზადებენ იუდაიზმთან და თანამედროვე „ტამპლიერებთან“ კოჰაბიტაციური თანამშრომლობისათვის. ჩვენ შორსა ვართ იმ პოზიციისაგან, რომ პრეტენზიას ვუყენებდეთ ხსენებულ ქალბატონს, ტრინიტარული, ანუ წმინდა სამების თეოლოგიურ საკითხებში გარკვევისას; ასეთი მაღალფარდოვანი ღირებულებების კონტექსტში მისი მოხსენიება საკმაოდ დიდ პატივად მიგვაჩნია მისთვის, მაგრამ სამი ათეული წელია, მას ჩაბარებული აქვს, საქართველოს საპატრიარქოს მართვა ყველა მიმართულებით, დაწყებული თეოლოგიური პრობლემებიდან და დამთავრებული სასაღილოს საკითხებით და ჩვენ ჩაყენებული ვართ ერთობ ეგზოტიკურ მდგომარეობაში, გინდა თუ არ გინდა,

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 4, 5, 6, 2015 წ.; № 1, 2, 2017 წ.

ქართული ეკლესიის ჭირ-ვარამზე და ჩვენდამი დამოკიდებულებაზე, ვისაუბროთ ამ ერთობ ცნობილი ქალბატონის კონტექსტში. ჩვენი დღევანდელი გადასახედიდან, სრული საფუძველი გვაქვს ისიც ვიფიქროთ, რომ ჩემეული „**დედაუფლის**“ მისეული ამოჩემა ისევე არ იყო მისი პირადი ინიციატივა, როგორც ქართველ მართლმადიდებელ ტამპლიერთა „შესახლება“ წარმოუდგენელი საქართველოს საპატრიარქოს ჭერქვეშ და სამების საკათედრო ტაძრის გუმბათქვეშ, მისი პირადი გადანყვეტილებითა და სურვილით. დღემდე, მაგალითად, აუხსნელია ჩემთვის, ვის ჰქონდა უფლება საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული, ახალქართულზე თარგმნილი ბიბლიის წმინდა სამებისადმი მიძღვნაში, რომელიც ახალი ქართული ბიბლიის პირველივე ფურცელზეა განთავსებული, წმინდა სამების საყოველთაოდ ცნობილი და ტრადიციული განსაზღვრება „ერთარსობისა“ შეეცვალა „თანაარსით“ და შეექმნა სურათი, რომ საქართველოს ეკლესიაში თეოლოგიის ანბანში ვერ ერკვევიან: „სადიდებელად წმიდისა, **თანაარსისა**, ცხოველსმყოფელისა და განუყოფელისა **სამებისა**, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ამინ!“ ქრისტიანულ-ეკლესიური თეოლოგიით წმინდა სამება, ანუ განუყოფელი სამპიროვნულობა სამებისა, მისი მთლიანობა და ყოვლისმომცველობა, არ შეიძლება იყოს კიდევ რაიმეს თანაარსი. იგი მხოლოდ ერთარსია. ქართული ბიბლიის წინარე, პირველბეჭდური გამოცემების მიძღვნაში ეს ცნება დაცულია. ვის ჰქონდა უფლება ამის შეცვლის?! ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ეკლესიაში ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ტრადიციული წმინდა სამების იკონოგრაფიული კომპოზიციის შეცვლა ძველი აღთქმისეული სამი ჭაბუკის სიუჟეტით. მიმდინარეობს მიზანმიმართულად. როგორც ცნობილია, ყველაზე გამაღიზიანებელი იუდეველთათვის არის ქრისტესმიერი აღიარება წმინდა სამებისა სამყაროს შემოქმედი ერთი ღმერთის – მამა ღმერთის ნაცვლად. იკონოგრაფიულად: იესო ქრისტეს წარმოსახვა

მარჯვენით მამისა და სულიწმიდის წარმოსახვა მათ ერთიანობაში მტრედის სახით. საქართველოს ეკლესიამ ეს ყველაზე მკვეთრი და ყველაზე არსებითი თეოლოგიური ღირებულება წმინდა სამებისა უკანასკნელ წლებში დაამკვიდრა ძველი აღთქმისეული სამი ჭაბუკი ანგელოზის სიუჟეტით, რითაც იუდეველთა გაღიზიანება მოხსნა. სწორედ ამიტომ შევაჩერე ამ ნიუანსებზე მკითხველის ყურადღება, რომ მეთქვა: საქართველოს ეკლესიურ ცნობიერებაში წმინდა სამება აშკარად მტკივნეული პრობლემაა და წმინდა სამების ტრადიციული ხატის – მამისა, ძისა და სულიწმიდის – შეცვლით, აშკარად იგრძნობა ქართული ეკლესიის ტენდენცია ებრაულ-იუდეურთან დაპირისპირების მოხსნისა. აშკარად იგრძნობა, რომ ქართული ეკლესიისთვის უფრო მომგებიანი აღმოჩნდა იუდაიზაცია ქართული ეკლესიური აზროვნებისა, ვინემ ეკლესიის მამათა მონაპოვრის, სულიწმიდის პიროვნული ღვთაებრივობის აყვანა დედაუფლის ხარისხში.

ჩვენ ვცხოვრობთ სულიწმიდის ეპოქაში, ანუ სულიწმიდის ჭეშმარიტ უფლებამოსილებათა გარდაუვალი კანონიზაციის ეპოქაში. დედაუფლის ზეციური ტახტის კანონიზაციის ეპოქალურ მისიას, რომელიც ქართველი ერის ისტორიული კუთვნილებაა, სიამოვნებით წაგვართმევს გერმანული თეოლოგიაც და რუსულიც. მესამე ათასწლეულის მსოფლიო საეკლესიო კრებებს უსათუოდ მოუწევთ სულიწმიდის ახალი თეოლოგიური განსაზღვრებების დაკანონება. მსჯელობა საერთოდ ამ მსოფლიო საეკლესიო კრებათა განახლების საჭიროებაზე საქართველოს ეკლესიამ დაიწყო კატეგორიული უარყოფით, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიას თავის საკუთარ მიზანდასახულებათა განხორციელების პერსპექტივაში მსოფლიო საეკლესიო კრებების საჭიროება მოაზრებული არა აქვს. სულიწმიდის დედურობის საკითხი, უმნიშვნელოვანესი საკითხია თანამედროვე მსოფლიოს თეოლოგიურ აზროვნებაში. ეპოქა, ებრაული ცნობიერებით მართული ცივილიზაციისა, დასრულებულია. სამყაროს შე-

მოქმედის ბიბლიურ სახეში, დედური სანყისის ჩამოჭრა, ევას უფლებამოსილების აღკვეთა სამყაროს შექმნაში მონაწილეობისა, რაც საოცარი გაბედულებით დაუგმია თავის დროზე აკაკი წერეთელს, ჩვენი ცივილიზაციის დინამიკაში, საბოლოოდ იღებს არასრულყოფილი, ჰარმონიულობას მოკლებული, ცალმხრივი, ანუ მხოლოდ პატრიარქალურ-მამაკაცური ცნობიერებით მართვის სახეს, რომელსაც ცივილიზაცია მიჰყავს კაცობრიობის სიცოცხლის მოსპობის საშიშროებასთან. ჩვენს მიერ ძირითად შტრიხებში გადმოცემული მსოფლიო ისტორიის ის სურათი, ბაბილონის ტაძრის დანგრევისა და სოლომონის ტაძრის აშენებისა, ეს ორი ცივილიზაციის შეჯახების სურათი, ნათლად გვიჩვენებს, რომ კაცობრიობამ გაიარა ბაბილონის ტაძრის გარშემო შემოკრების გამოცდილება და ებრაელთა მიერ ქალდეველთა ნაძარცვი სიბრძნით აშენებული ცივილიზაციის პრეტენზიაც მსოფლიოს მართვისა. ეს უკანასკნელი სანყისშივე იყო მოკლებული სამართლიანობასა და ზნეობრიობას და მორალური სმენის ის სანყისისეული დონე აისახა კიდევ ებრაელთა წმინდა წიგნის აზროვნებაში, აისახა ჭარბად, თუნდაც ერთ ფრაზაში, რომელსაც ებრაელთა ღმერთი აღუთქვამს თავის რჩეულ ხალხს: „მე დაგასაკუთრებინებთ თქვენი მდგმურობის ქვეყანას“. ქრისტეს მოვლინება იუდეაში ელია წინასწარმეტყველის მოვლინებასაც მიჰგავდა ნაბოთეს ვენახში და ქალდეური მორალური ენერჯის გაბრწყინებასაც, რომლითაც დასრულდა მამა ღმერთის ჭეშმარიტებაცა და ებრაელი ერის ზნეობრივი რჩეულობაც. სულიწმიდის პიროვნული ღვთაებრიობის გაცოცხლებით, ცხადია, ქრისტემ ებრაული მონოთეიზმი ჩააბარა ისტორიას, მაგრამ ქრისტიანული ეკლესიური ინსტიტუციონალიზმის შექმნის გზაზე, მაინც შეძლეს ებრაელებმა თავისი, იუდაისტური კვალი დაემჩნიათ ეკლესიურ კანონებზე. სულიწმიდის ეპოქაში უნდა მოხდეს დანმენდა ქრისტიანული ეკლესიისა არაქრისტიანული მინარევებისაგან და წმინდა ქრისტესეული ზნეობრივი პრინციპების

დამკვიდრება. აქ ერთიანდება ქრისტიანობის მსოფლიო ისტორიის მესამე ათასწლეულისა და ქართველი ერის სულიერი მისია. და თუ ყველაფერი ეს სულიწმიდის დედურობის გაცხადებაზე გადის, მკითხველმა თავად განსაჯოს მნიშვნელობა **დედაუფლის** ჩვენეული თვალსაზრისის განდევნისა საქართველოს ეკლესიური სივრციდან და „განმზადება გზათა“ ებრაელთა მეფის, „სოლომონის ტაძრელთა“ შემოსვლისათვის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში. ქართულ საზოგადოებას თითქმის წარმოდგენაც კი არა აქვს იმისა, თუ რაოდენ კვალიფიციურია ჩვენი მონიშნულმდეგე...

ამ აზრს კიდევ უფრო მიმტკიცებს ის გარემოება, რომ 1991 წელს, ჩემს მიერ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის თეორიულ ბაზაზე დაფუძნებული **პეტრე იბერის** სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი, რომლის ძირითადი პროფილებიც ამ ეტაპზე რელიგიათმცოდნეობა და ბიბლიესტიკა გახლდათ, ინსტიტუტი, რომლის წიაღშიც უმნიშვნელოვანესმა ადამიანებმა და ქართული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი (ნელი მახარაძე, თეოჩხეიძე, ოთარ გამყრელიძე, ირაკლი სურგულაძე, ჯემალ აჯიაშვილი, დავით გრძელიძე, დავით მუსხელიშვილი, თინათინ ცქიტიშვილი, მერი ჭელიძე, რეზო კორინთელი, მიხეილ კეკელია, გოგი სანიკიძე და ა. შ. ალბათ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინსტიტუტი, რეალურად, უფასო სწავლების პრინციპით ფუნქციონირებდა და თითქმის ყველა სალექციო კურსი ანაზღაურების გარეშე იკითხებოდა!), დაფუძნებისთანავე იქნა მიზანში ამოღებული ნაირნაირი თავდასხმებისა და პროვოკაციებისათვის, როგორც ეკლესიის წარმომადგენელთა, ასევე სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან (მე გახლდით ინსტიტუტის დამფუძნებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, რექტორი – ქ-ნი ნელი მახარაძე). მამა არჩილ მინდიაშვილმა, რომელიც იმ დროისათვის საქართველოს პარლამენტში ეკლესიის

წარმომადგენელი იყო, და, ალბათ, ეს გარკვეული „საპარლამენტო“ დავალებაც იყო, სატელევიზიო გამოსვლით მოუწოდა საზოგადოებას, და ინსტიტუტის მსმენელებს, დაეგმოთ **პეტრე იბერის ინსტიტუტი**. ხოლო საქართველოს ტელევიზიამ მე და ქ-ნ **ნელი მახარაძეს** კომენტარის გაკეთების უფლებაც კი არ მოგვცა...

პეტრე იბერის ინსტიტუტი, ეს გახლდათ ახალი ტიპის უმაღლესი სკოლა, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიო მეცნიერების დონეზე შეექმნა ის ეროვნული, მეცნიერულ-შემეცნებითი აპარატი, რომელიც საჭირო იყო ქართული ფენომენის ჭეშმარიტი ცოდნისა და შეფასებისათვის. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიური რეჟიმის პირობებში მოქმედი საგანმანათლებლო სისტემა ვერ ქმნიდა და არ ქმნიდა იმ კვლევით-მეცნიერულ აპარატს, რომელიც საჭირო იყო ქართველი ერის ისტორიული ფენომენის შემეცნებისათვის, გლობალური ეროვნული თვითგამორკვევისათვის. პეტრე იბერის ინსტიტუტი – ეს იყო უმაღლესი სკოლა, სადაც საქართველოს ისტორიაში პირველად ხდებოდა აკადემიურ, **საუნივერსიტეტო** დონეზე, ბიბლიის თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნაკითხვა და შესწავლა წმინდა ქართული ცნობიერების გადასახედიდან. ჩვენ, მაშინ, 1991 წელს, იმედი გვქონდა, რომ ახალ, საბჭოთა რეჟიმისაგან გამოთავისუფლებულ, საქართველოში საშუალება მოგვეცემოდა შეგვექმნა სწორედ ის საგანმანათლებლო სისტემა, როგორც ჩვენი ეროვნული თვითშემეცნებისათვის იყო საჭირო და გადაუდებელი ამოცანა. ჩვენთვის, მაშინ, მსოფლიო რეალობის არმცოდნე და მსოფლიოს სამართლიანობაზე მინდობილი განწყობის ხალხისათვის, ფსიქოლოგიურად თითქმის შეუძლებელი იყო გაცნობიერება იმისა, რომ მსოფლიოს ახალი, ჩვენთვის უცნობი და გამიზნული, წესრიგის სახით, ჩვენ, ქართველი ხალხი, ზარ-ზეიმით ვუღებდით კარს სამართლიანობის ტყავში გახვეულ გველეშაპს, რომელიც ჩვენი ეროვნული მეობის დასაცავად კი არ მოემართებოდა, არამედ ჩვენივე

ცთუნებით ხელშეწყობილი, ნებიერად და პატივით, მოსრიალებდა ჩვენი ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის გადასაყლაპავად.

ცხადია, პეტრე იბერის ინსტიტუტი თავისი მიზანდასახულობით ამგვარ გველეშაპთან კოჰაბიტაციური ვერ იქნებოდა. და ხელისუფლებას, რომელიც სახელმწიფოს ყოველი ქართველის პირადობის დოკუმენტიდან ქართველობის ამოშლისათვის ამზადებდა, ასეთი ინსტიტუტი არაფერში არ ესაჭიროებოდა. ჩვენ მაშინ ვერ ვაცნობიერებდით, რომ რაც უფრო მეტად და დამაჯერებლად ვასაბუთებდით ჩვენი ინსტიტუტის ეროვნულ საჭიროებას, მით უფრო მეტად ვუსაბუთებდით ხელისუფლებას ჩვენი ინსტიტუტის გაუქმების სახელმწიფოებრივ პოზიციასაც, რომელიც ამ დროისათვის ჩვენთვის გაუცნობიერებელი იყო და გაურკვეველი რჩებოდა, ვინ გვებრძოდა ამ ეროვნულ, გულანთებულ უანგარო საქმეში: პიროვნება თუ სახელმწიფო?! თუ სახელმწიფოს იდეოლოგიას ამოფარებული საკუთრივ პიროვნება და ამრიგად ორივე ერთად. ყოვლად საოცარი ჩემთვის ის იყო, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის მოსვლამდე (ჩვენი ინსტიტუტი გაიხსნა 1991 წელს), ერთ მშვენიერ დღეს, ინსტიტუტის ოფისში, ერეკლე მეორის მოედნის №10-ში მდებარე სახლის მეორე სართულზე, სრულიად მოულოდნელად, მაგიდასთან მუშაობის პროცესში, პირდაპირ თავზე დამადგა ქალაქის მერი, ბ-ნი ირაკლი ანდრიაძე. წამოდგომაც ვერ მოვასწარი. სკამი თვითოვე მოსწია ჩემკენ და საიდუმლოს გამხელის შესაბამისი, მოჩურჩულე და შეშფოთებული, ტონით მითხრა: „ქ-ნო დენიზა, თქვენ იცით, როგორი პატივისცემა მაქვს მე თქვენდამი... მიშველეთ რამე. ან უნდა დახუროთ თქვენი ინსტიტუტი, ან მე უნდა გამათავისუფლონ თანამდებობიდან... დროებით მაინც დახუროთ!..“ მითხრა და პასუხს არ დაელოდა. სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან, გეგონებოდა, რომ ეშინოდა ვინმეს არ დაენახა ჩემთან შემოსული. რა უნდა მექნა?! გულის სიღრმეში ვიგრძენი, რაც ხდებოდა. საუბედუროდ და საბედნიეროდ, ეს

ის დღეები იყო, როცა საშინელი მინისძვრები იყო საჩხერეში და ხმები დადიოდა, რომ ბიძგები თბილისშიც მოაღწევდა. საჩხერის ეპისკოპოსი, მეუფე ქრისტეფორე, რომლის სამივე შვილი ამ დროისათვის ჩვენი ინსტიტუტის მსმენელი იყო, შეშინებული მოვარდა საჩხერიდან თბილისში. ჩვენი ინსტიტუტის შენობა მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო და მოვარდა იმისათვის, რომ თავისი თვალთ ვენახეთ გადარჩენილები. ავდექი და მინისძვრის საშიშროების მიზეზით, მთელი ინსტიტუტი ერთი თვით დავითხოვე და, ასე ვთქვათ, „ერთი თვით დავხურე“. ამასობაში, როგორც ჩანს, სამთავრობო მინისძვრებმაც სხვა ცხელ წერტილებში გადაინაცვლეს და ბ-ნი ირაკლი აღარ გამოჩენილა. გადავრჩით. ამჯერად, მგონი, სწორედ მინისძვრამ გადაგვარჩინა ბ-ნი ირაკლიცა და პეტრე იბერის ინსტიტუტიც, მაგრამ არც მაინცადამაინც დიდი ხნით.

პეტრე იბერის ინსტიტუტმა თავისი პირველი ნაკადის ოთხმოცამდე მსმენელიდან 55 დიპლომანტის გამოშვება შეძლო მხოლოდ, რომელთაგან უმრავლესნი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ავტორიტეტული მასწავლებლები არიან. ის ეკლესიურ-სახელმწიფოებრივი თავდასხმები კი, უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მეთვალყურეობის ქვეშ, დაავიწყდნენ საქართველოს კულტურის მსმინდელმა მინისტრმა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბ-ნმა **ვალერი ასათიანმა**, რომლის პირადი სასამართლო სარჩელითაც, 1996 წელს, საქართველოს სახელმწიფოს სამართალდამცავებმა, სასამართლოს განჩინების წესით, აიძულეს პეტრე იბერის ინსტიტუტი, დაეტოვებინა თბილისის, ერეკლე მეორის მოედნის №10-ში მდებარე დაბზარული სახლის სარდაფული სართული, რომელიც წლების განმავლობაში დაობებულ – დახავსებულ, საკუთარი ხელებით განმინდეს იბერთა ღვთისმშობლის ხატის სახელზე შექმნილი საქველმოქმედო საზოგადოების წევრებმა – გოგი სარაჯიშვილმა და დათო გრძელიძემ და აუდიტორიად აქციეს პეტრე იბერის ინსტიტუტის მსმენელთათვის.

თუმცა პეტრე იბერის ინსტიტუტის დარბევა არც ამ განჩინებით დამთავრებულა. რამდენიმე წლის შემდეგ, შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრენი, ე.წ. ვარდების რევოლუციით მოსულნი ხელისუფლებაში, პირდაპირ თბილისის უნივერსიტეტს მიადგნენ დასანგრევად და დაანგრიეს კიდეც რეფორმის სახელით. არეოპატიული ცენტრი, საყრდენი პეტრე იბერის ინსტიტუტისა, ქუჩაში აღმოჩნდა... და პეტრე იბერის ინსტიტუტის შეტანის საკითხი თბილისის უნივერსიტეტის სტრუქტურაში დღის წესრიგიდან მოიხსნა. საქართველოს ხელისუფლებამ თბილისის უნივერსიტეტს დაფინანსება შეუწყვიტა. როგორც გვაუწყეს რამდენიმე წლის შემდეგ, დაფინანსება დაენიშნა საპატრიარქოსთან არსებულ უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებს... ჩემთვის დაუვინყარია ის დღე, როცა დარბეულ და დამარცხებულ უნივერსიტეტში საქართველოს განათლების მინისტრი, კახა ლომაია, რომელიც წმინდანთა „ცხოვრებებს“ „მკვდარ ტექსტებს“ უწოდებდა და განათლების პროგრამიდან მოითხოვდა მათ ამოყრას, გამარჯვებული შემობრძანდა ივანე ჯავახიშვილის დარბაზში, მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის თანხლებით...

სწორედ პეტრე იბერის ინსტიტუტის ზემოხსენებულ იმ ერთადერთ აუდიტორიაში შედგა, 1994 წელს, ქართველ ბაგრატიონთა ჩემმიერი პირველი მოწვევა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მოწვევას წინ ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის, ბ-ნ **რეზო ჩხეიძის**, თაოსნობით გამართული ყოველთა ქართველთა მსოფლიო ფორუმი უძლოდა წინ. ასეთ მნიშვნელოვან ისტორიულ თავყრილობაზე საზღვარგარეთელი ბაგრატიონები აღმოჩნდნენ მოპატიჟებულნი, საქართველოს ტახტის უშუალო მემკვიდრეთაგან კი არავინ ჩანდა. ბ-ნ პეტრე გრუზინსკის ოჯახს ბავშვობიდან ვიცნობდი ჩემი განუყრელი მეგობრისა და სულიერი დის, ელიზა(ელისაბედ) დოკვაძის მხრიდან, რომელიც პეტრე გრუზინსკის პირველ შვილთან, ქ-ნ დალი გრუზინსკისთან, ბავშვობიდან თანშეზ-

რდილი, სიცოცხლის ბოლომდე განუყრელი და მისი უერთგულესი მეგობარი იყო, და საერთოდ როგორც ეტალონი მეგობრობისა, იგი უსაყვარლესი ადამიანი იყო გრუზინსკების მთელი ოჯახის. ჩემი შეხვედრა აგვისტოს ომის შემდგომ გართულებულ საქვეყნო ვითარებაში, საქართველოს სამეფო ტახტის პრობლემებზე სასაუბროდ ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკისთან, 2008 წლის სექტემბერში, ელიზა დოკვაძის სახლში და ელიზას თანდასწრებით შესდგა... 2013 წლის 3 მარტის ღამეს, ელიზა დოკვაძე სრულიად გაურკვეველი სიკვდილით გარდაიცვალა თბილისის ინგოროყვას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის სასწრაფო სარეანიმაციო განყოფილებაში. ელიზა გულმხურვალედ უჭერდა მხარს საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენის იდეას... და მისი გარდაცვალება, გარდა იმისა რომ ჩემთვის აუნაზღაურებელი ტრაგედია იყო, იმ შინაურული ხიდის ჩატეხვასაც ნიშნავდა, რომელიც ახლობლურად მაკავშირებდა ბაგრატიონების ოჯახთან...

როგორც მახსოვს, 1994 წელში, ქართველ ბაგრატიონთა პირველი მოწვევის დღეს, თეკლა ბატონიშვილის სასახლის სარდაფულ სართულზე, პეტრე იბერთა ინსტიტუტის აუდიტორიაში, 25- 30 კაცი შემოიკრიბა ქართველ ბაგრატიონთაგან. მათ შორის ქ-ნი **ნინო ბაგრატიონი** და ბ-ნი **ნუგზარ ბაგრატიონი** ცნობილი ბაგრატიონები იყვნენ. პატივი მქონდა ჩვენი საზოგადოების – იბერთა ღვთისმშობლის ხატის სახელზე დაფუძნებული საქველმოქმედო საზოგადოებისა და პეტრე იბერის სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის სახელით მეუწყებინა მათთვის, რომ საჭიროდ მიგვაჩნდა ბაგრატიონთა დინასტიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის დაფუძნება და ყოველივე ამ საკითხების საქმის კურსში მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს- პატრიარქის, ილია მეორის შეყვანა. ჩემს მიერ მოწვეული ბაგრატიონთა წარმომადგენლობა ვაახლე მის უწმინდესობას, რომელმაც აკურთხა ისინი „ბაგრატიონთა სახლის“ ოფიციალურ საზოგადოებად ჩამოყალი-

ბებისათვის. ამის შემდეგ ჩემთვის პრობლემა ქართველ ბაგრატიონთა არსებობის პერსპექტივისა საქართველოში, საპატრიარქოს ლაბორინტებში ჩაიყლაპა, როგორც ხდებოდა ეს ჩვეულებრივ, ყველა იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელსაც, მე შევძლებდი და, საპატრიარქოში ამა თუ იმ ფორმით მივიტანდი: იქნებოდა ეს იბერთა ღვთისმშობლის ხატის ათონიდან საქართველოში გადმობრძანების პრობლემა, ბაგრატიონთა ფენომენის, დალის ხეობის მხარდაჭერის, საგვარიშვილო მოძრაობის, თუ რაიმე სხვის. ეს შთაბეჭდილება, რომ პრობლემა „ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ“, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნიშნავდა იმას, რომ პრობლემა საქართველოს პატრიარქის თანაშემწე ქალბატონის, ანუ სახელმწიფოს სპეციალური სამსახურების კომპეტენციაში გადადიოდა. ბაგრატიონთა პრობლემაზე მუშაობის ეკლესიური შედეგები, ჩემთვის, დღის სინათლეზე გამოჩნდა მხოლოდ 2008 წლის სექტემბერში, როდესაც ბაგრატიონთა ქორნილი აღმოჩნდა დანიშნული საქართველოს პატრიარქის კურთხევით. როგორც გაირკვა, საქართველოს საპატრიარქოს საკუთარი კონსულტანტი ჰყავდა დანიშნული მონარქიის საკითხებში, **გაიოზ მამალაძის** სახით, რომელსაც საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური პრეტენდენტის შესახებ საკუთარი კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული. ეს კონცეფცია კი ქართველ ბაგრატიონთა ებრაულ წარმომავლობაზე იყო დაშენებული. როგორც უკვე აღვნიშნე, გაიოზ მამალაძის აზრით, ქართველი ბაგრატიონები ებრაელთა პირველი მამამთავრის, აბრაამის 70-ე თაობად დაბრუნდნენ საქართველოში, ებრაელთა დედამთავრის, რაქელის მოსახელე ქალისაგან ქრისტიანებად მოქცეულნი და საქართველოში ქრისტიანობის წინამძღოლებად მოვლენილნი. ვახანასებრი ისტორიკოსები ეტყობა ჩვენ ადრეც გვევლინებოდნენ საქართველოში ჩვენი საკუთარი ისტორიის „შესათითხნად“, რაზედაც ილია ჭავჭავაძე ესოდენ ნუხდა...

ბაგრატიონთა ორი სხვადასხვა ქართული განშტოების წარმომადგენელთა დაქორწინება,



ვითომ ტახტის ლეგიტიმური წარმომადგენლის ხელოვნურად შესაქმნელად, ყოვლად გამოგონილი ლეგიტიმური აუცილებლობა გახლდათ, რომელიც სრულიად არ ესაჭიროებოდა საქართველოს ტახტს და მითუმეტეს ქართველ ხალხს, იმ ხალხს, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ აღმაცერად და დრომოჭმულად უყურებს საერთოდ მეფობის იდეას. ბაგრატიონთა ქორწინების კურთხევა აშკარად პატრიარქის შეცდომაში შეყვანით იყო მიღწეული და აშკარად პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა: ჩაფიქრებული ქორწინების შემდეგ, ახლადშობილი უფლისწული რეალური მმართველი ქვეყნისა ვერ იქნებოდა. მმართველობა უნდა პატრიარქს მინდობოდა. ამასთან მმართველობა, როგორც არა მართვა, არამედ სუფევა. მეფობის შეთავაზების ამ მიმზიდველ იდეაში შეფუთული იყო ეკლესიური კანონიზაცია საქართველოს ტახტის უფლისწულისა, როგორც ებრაელთა მეფის – დავითის გენეტიკური შთამომავლის. დღეს, როდესაც საქართველოს პატრიარქის სიტყვა და პოზიცია ქართველი ხალხის ყველაზე დიდი ავტორიტეტის სიტყვასა და პოზიციას ნიშნავს, ველარავის დაუმტკიცებს თვით მთელი ქართველი ხალხი, იმას, რომ საქართველოს სამეფო ტახტი, საუკუნეთა განმავლობაში მართული თურმე ებრაელთა დიდი მეფის, დავითის შთამომავალ ბაგრატიონთა მიერ, ისეთივე კუთვნილი არ არის ებრაელი ხალხისა, როგორც ქართველი ხალხის, იმ ებრაელი ხალხისა, რომელმაც აგერ, სულ ახლახანს, რამდენიმე ათეული წლის წინ, ისრაელის ტერიტორიაზე, ორი ათასეული წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. აღსანიშნავია, რომ ეს სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ფორმაში დაბრუნებად არის გააზრებული. ეს ჩვენი ეკლესიური კანონიზაცია „დავითიანობისა“, როგორც ებრაელთა მეფის, დავითის ხორციელი შთამომავლობისა საქართველოში, სიონისტური იდეოლოგიით მართულმა საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს პატრიარქსა და ქართულ ეკლესიას უკვე მთელი მსოფლიოს დასანახად და გასა-

გონად დაადასტურებინა და გამოსძალა, როგორც უძვირფასესი ისტორიული დოკუმენტი, შექმნილი თავად საქართველოს პატრიარქის ხელდასხმით, ებრაელი ხალხის სასარგებლოდ, შექმნილი მთელი ქართული საზოგადოებრიობის თვალწინ, მისივე, მთელი ქართული საზოგადოებრიობისავე სრული მდუმარების ფონზე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პატრიარქმა უფლისწულის ნათლობით, ბეჭედი დაუსვა ებრაელთა პრეტენზიას საქართველოს სამეფო ტახტზე და ებრაულ ისტორიულ კუთვნილებას საქართველოს სამეფო ტახტისას, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა საუკუნოვანი მეფობის საფუძველზე.

საქართველოს „ნაცმოდრაობის“ მიერ შემუშავებული საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც პრეზიდენტის უფლებებს ზღუდავს და პრემიერისას აფართოვებს, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი, ეს კონსტიტუცია, მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურთაგან გათვლილი პროექტით უნდა იყოს შემუშავებული, რომელშიც პრეზიდენტის ადგილი კონსტიტუციური მონარქიის მოდელით უნდა დაიკავოს ლეგიტიმურად უფლებამოსილმა მეფემ, საქართველოში მიმდინარე ეკლესიური პროცესებით, ებრაელთა მეფის, დავითის შთამომავალმა უფლისწულმა, რომელიც, არც ისე დიდი ხნის წინ, სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში, უფლისწულად მონათლა მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა, ილია მეორემ. საქართველოში დაკანონებული „ქართველ მართლმადიდებელ გამპლიერთა ორდენი“ და საქართველოს მომავალი თაობები, როგორც შთამომავალნი ებრაელთა მეფისა და საქართველოს მეფისა-დავით აღმაშენებლის, საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტებს, უკვე გარანტირებულად, დაიცავენ ერთობლივად, მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურთა მხარდაჭერით.

ამ ეკლესიურ – პოლიტიკური, კოჰაბიტაციური ურთიერთობის გამოვლინებაა საქართველოს საპატრიარქოსთან დაფუძნებული, იუდეურ-მართლმადიდებლური, სრულიად სა-

ქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა: „დავითიანნი“, შექმნილი მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, როგორც ებრაელთა დიდი მეფის, ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის, და ქართველთა დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის, ანუ ქართველი ხალხის ორი დიდი წინამორბედის შთამომავალთა მოძრაობა.

„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა საქართველოს ხელისუფლებამ და საქართველოს ეკლესიამ, ერთობლივად, საერთაშორისო ფონდის USAID-ის მხარდაჭერით, საქართველოს საპატრიარქოსთან, 2008 წლის 8 თებერვალს, ე. ი. დავით აღმაშენებლის დღეს, დააფუძნეს ეს სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“, რომელიც სრულიად ქართველ ახალგაზრდობას – საქართველოს მომავალს – აცხადებს ებრაელთა მეფისა და მეფსალმუნის დავითისა და დავით აღმაშენებლის ერთიან შთამომავლობად და მიმდევრობად. მოძრაობა „დავითიანნის“ სულისკვეთება ორი სიმბოლური ნიშნით არის გამოხატული მოძრაობის ღერბში: ებრაელთა მეფის დავითის ქნართა და საქართველოს საპატრიარქო ბეჭდით. მოძრაობის წესდება გასაიდუმლოებულია და მისი მოპოვება საქართველოს საპატრიარქოს ყოფილმა პატროლოგმა, ვერ შეეძელი, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თხოვნით მივმართე საქართველოს პატრიარქს. დიდი ალბათობით წერილი საკანცელარიო პროცედურაშივე დაიბლოკა. „დაიბლოკა-მეთქი“ ვამბობ, რადგან საპატრიარქოს სამუშაო მექანიზმი ისეა აწყობილი, ვერავინ გაიგებს, რომელი განცხადება მივიდა პატრიარქთან და რომელი – არა. ეს მხოლოდ ქალბატონმა თანაშემწემ იცის. საყოველთაოდ ცნობილი ინფორმაციით, რომელსაც მოძრაობა „დავითიანნის“ ფაქტიური ხელმძღვანელი, **კოტე სვანაძე** გვანჯდის, ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“, იმიტომ დაარსდა საქართველოში, ებრაელთა მეფისა და ქართველთა მეფის ერთიანი ხატიც იმისთვის შეიქმნა და და-

ვით ებრაელთა მეფისა და დავით აღმაშენებლის ერთიანი ახალგაზრდული მიმდევრობაც მოძრაობის სახით იმიტომ შეიქმნა, რომ ებრძოლოს, მაგალითად, ნარკომანიას, რაც ნამდვილად კეთილშობილური საქმეა და რატომღაც, თითქმის სისტემატიურად, მოძრაობა „დავითიანნი“, რომელიც ნარკომანიას ებრძვის, გვილოცავს ჩვენ, მთელ საქართველოს და ქართველ ხალხს ასიათასი წმინდანის დღესასწაულს. საქართველოს პატრიარქის მიერ ნაკურთხი ახალი ხატი, ერთად გამოსახული ორი დავითისა, ებრაელთა მეფისა და ქართველთა მეფისა, დაბრძანებულია წმინდა სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლოში. აღნიშნული ახალგაზრდული მოძრაობა: „დავითიანნი“ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია პრესტიჟული ოფისით რუსთაველის გამზირზე, მესამე სართულზე იმავე შენობისა, რომლის პირველ სართულზეც საქართველოს პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდია განთავსებული. მოძრაობა „დავითიანნი“ უზრუნველყოფილია თავისი რელიგიურ-პოლიტიკური სტატუსითაც საქართველოს **სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად არის რეგისტრირებული – ე. წ. „ქართველ ტამპლიერთა ორდენი“**, რომელიც თავისი ოფიციალური წესდებით, ღირსეულ „დავითიანთა“ მასონურ გაერთიანებას წარმოადგენს. როგორც ამ გაერთიანების წესდება გადმოგვცემს, იგი მიზნად ისახავს საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობას. როგორც რაინდთა მხედრულ საძმოს, ქართველ ტამპლიერთა ორდენს, მმართველობისათვის, საქართველოს მთელი ტერიტორია დაყოფილი აქვს რეგიონებად, რომელთაც მინიჭებული აქვთ წმინდანთა სახელწოდებები...ხოლო, როგორც რელიგიური გაერთიანება, ქართველ „ტამპლიერთა“, ანუ „მეტაძრეთა“ ორდენი, საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით განსაზღვრული იურიდიული უფლებამოსილებით, რომელსაც საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდიც უჭერს მხარს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უტოლდება. შეგახსენებთ,

რომ სიტყვა „ტამპლიერი“ ინგლისური სიტყვაა და „მეტადრეს“ ნიშნავს, ხოლო აზრობრივად ამ ტერმინში: „მეტადრეს“ – იგულისხმება არა ნებისმიერი ტაძარი, არამედ ცნობილი ისტორიული ტაძარი, აგებული ქრისტესწინარედ მეფე სოლომონის დროს, ებრაელთა ღმერთის საღვთისმსახუროდ, რომელზედაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

„ტამპლიერთა“ მსოფლიო მოძრაობა მიზნად ისახავს ისრაელის დიდთა მეფეთა: მეფსალმუნისა და წინასწარმეტყველის, დავითისა და მისი ვაჟის, სოლომონის, მიერ ისრაელიანთა ღმერთის- იაჰვეს, ანუ იეჰოვას სადიდებლად აგებული და მსოფლიო ისტორიული პროცესებით განადგურებული ტაძრის აღდგინებას. აღსანიშნავია, რომ ქართველ ტამპლიერთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რომელიც მათსავე ვებ-გვერდზეა მოთავსებული, ტამპლიერთა მსოფლიო მოძრაობის ცენტრალური ოფისი მდებარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ინტერნეტ საძიებლებით ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ ტამპლიერთა ორდენები ისეთივე მასიური მასშტაბებით დაფუძნებული ორგანიზაციებია პოსტსაბჭოთა გავლენის სივრცეში, როგორც ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქო საზოგადოებები“. სახეზეა: უკრაინელი ტამპლიერები, რუმინელი ტამპლიერები, ბულგარელი ტამპლიერები, და ა. შ.

საქართველოს პატრიარქის ვიზიტის შემდგომ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში და დედოფალ ელისაბედთან შეხვედრის შემდგომ, რომელიც აღიარებული დიდი ფიგურაა მსოფლიოს მასონური მოძრაობის, საქართველოს საპატრიარქოს დასჭირდა ოფიციალური განცხადების(23. 02. 2011წ.) გაკეთება, რომ საქართველოს პატრიარქს არ უკუერთებიაო ქართველ ტამპლიერთა ორდენი. მაგრამ საქართველოს საპატრიარქოს განცხადება და საქართველოს პატრიარქის განცხადება ერთი და იგივეს არ ნიშნავს. საქართველოს პატრიარქს არ გაუკეთებია განცხადება. საქართველოს პატრიარქმა ეს განცხადება უსათუოდ პირადად

უნდა გააკეთოს, თუ მას არ უკუერთებია ქართველ ტამპლიერთა ორდენი, იმისათვის, რომ საპატრიარქოს განცხადებამ ღირებულება შეიძინოს. ხოლო თუ ეს შეცდომა „ანკესის“ ტექნოლოგიით იქნა დაშვებული ეკლესიის მიერ, ეკლესიის მიერვე უნდა იქნას აღიარებული და კუთხევა ყველა კანონიკური წესის დაცვით ოფიციალურად და სახალხოდ უნდა იქნას მოხსნილი. ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ქართველმა ტამპლიერებმა, ოფიციალურად, ინტერნეტით აუნყეს მთელ მსოფლიოს, რომ ისინი იკუთხნენ საქართველოს ეკლესიის მიერ. ინტერნეტში, ქართულ ენაზე დაიდო ე.წ. „ქართველ ტამპლიერთა“ შემდეგი განცხადება:

„2010 წლის დეკემბერში გვაკუთხეს უძველესი ქართული სამეფოს დროის წესით. ასეთი კუთხევა რამდენიმე საუკუნეა არ ჩატარებულა საქართველოში. გვაკუთხეს, როგორც ქრისტეს ლაშქარი, ქრისტეს მხედრობა, ამასთანავე **ზაგრატოვანთა მხედრობა**. მოგვეცა უდიდესი პატივი და ნება დაგვრთეს, სამების საკათედრო ტაძარში, შობისა და ნათლისღების წირვებზე, საკუთხეველსა და პატრიარქის ტახტთან დგომისა“ (გადმოწერილია „ქართველ ტამპლიერთა ორდენის“ ვებ-გვერდიდან 2011 წელს).

პირადად ჩემთვის, უშუალოდ ქართველ ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენელი მთავარი პირების **თეიმურაზ თუმანიშვილისა და დიმიტრი ყიფიანისაგან** არის ცნობილი, რომ მათთვის, როგორც ქართველ ტამპლიერთა ორდენის მეთაურთათვის, უშუალოდ საქართველოს პატრიარქთან შეხვედრებისა და ურთიერთობისათვის, არანაირი პრობლემა და არანაირი დაბრკოლება არ არსებობს, რაც ძალიან მარტივად და ცხადად იმას ნიშნავს, რომ პიროვნება, რომელიც საპატრიარქოში, როგორც ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში, საქართველოს პატრიარქთან საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრების უფლებამოსილებასა და ამ შეხვედრების პროცედურულ მონესრიგებას პრაქტიკულად განაგებს, საქართველოს პატ-

რიარქის საყოველთაოდ ცნობილი თანაშემწე ქალბატონი, უშუალოდ მართავს საქართველოს **პატრიარქისა** და ქართველ გამპლიერთა ორდენის წარმომადგენელთა შეხვედრებსაც, და რომ **საქართველოს პატრიარქისა და ქართველ გამპლიერთა კავშირი ხელდასხმულია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ**. უფრო მეტი: საქართველოს პატრიარქისა და ქართველ გამპლიერთა ურთიერთობა ხელისუფლების მიერ და ხელისუფლების დავალებით იმართება. ვის შეუძლია საქართველოს პატრიარქს თავად მისი კურთხევის გარეშე, ე. ი. პატრიარქს პატრიარქის გარეშე უკურთხოს საკურთხეველის საპატიო ამაღლად გამპლიერ მასონთა წარმომადგენლები? ცხადია, არავის. ქართველ ხალხს, საქართველოს ეკლესიას და საერთოდ საქართველოს მომავალს აუცილებლად სჭირდება საკუთრივ უწმინდესის განცხადება, როგორც ისტორიული დოკუმენტი, რომ მას, საქართველოს პატრიარქს, მის უწმინდესობას, ილია მეორეს არ უკურთხებია ქართველ გამპლიერთა ორდენი.

ქართველ გამპლიერთა ორდენის ზემოთ ხმობილი განაცხადი, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი, ანუ ქართველი გამპლიერები აკურთხეს როგორც ქრისტეს მხედრობა და ბაგრატიონთა მხედრობა, ზუსტად ასახავს ქართველ გამპლიერთა ორდენის ჩვენს ხელთ არსებულ ოფიციალურ წესდებას, რომელშიც ორდენის მიზანდასახულებად გაცხადებულია საქართველოს სამეფო და საქართველოს საპატრიარქო ტახტების პატრონობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისრაელის ბიბლიურ მეფეთა, დავითისა და სოლომონის მიერ ისრაელიანთა ღმერთის – იაჰვეს, იგივე იეჰოვას სადიდებლად და თაყვანისსაცემად აგებული სახელგანთქმული ტაძრის აღდგენისათვის დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი მოძრაობა, ინგლისურ ენაზე „გამპლიერთა“, ხოლო ქართულ ენაზე „ტაძრელთა“ მოძრაობა, შევიდა საქართველოს წმ. სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში და ქართველი ერის ღმერთისაკენ აღმავალ მლოცვა-

რე სიტყვას აედევნა... უფრო მეტი: ქართველ გამპლიერთა ე. წ. მხედრობა, სარგებლობს რა საქართველოს ისტორიის უძველეს მატთანში – „ქართლის ცხოვრებაში“ დაშვებული ინფორმაციული აღრევით, რომელმაც ცთომილებაში ჩააგდო თვით ქართული ეკლესია, პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო და სამეფო ტახტების მეურვეობისას. საქართველოს ეკლესიის გაგებით, საქართველოს სამეფო ტახტი ხომ დღევანდელ ბაგრატიონებს, როგორც ისრაელის ბიბლიურ მეფეთა შთამომავლებს – დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონ მეფის შთამომავლებს ეკუთვნით?! ამგვარი გაგებით, საქართველოს ეკლესია ფაქტობრივად, ჩადგა თანამედროვე მსოფლიოს ახალი, სიონისტურ-მასონური მოძრაობის ყველაზე სანუკვარი მიზნის, სოლომონის ტაძრის აღდგენის სამსახურში და არა მხოლოდ... მართალია, დიდი ხანია გვესმის, რომ „იყიდება საქართველო“, მაგრამ ის ფორმა გაყიდვისა, რომელსაც ჩვენი რეალობა იღებს, სიტყვაში ვერ თავსდება. როგორ ფიქრობთ? ხომ არ ხდება გაყიდვა, ქართველი ხალხის თვლებში ნაცრის შეყრით, ქართველი ერის მთელი ისტორიისა და ხომ არ ხორციელდება ქართველი ერის ეროვნული ფენომენის ამოშლა არა მხოლოდ ცალკეული ქართველის პირადობის დამადასტურებელი მონობიდან ამოშლის გზით, არამედ – მთელი ქართველი ერის პირადობის ისტორიის ამოშლით საკაცობრიო რეალობიდან?! ხომ არ იდგამს საკუთარ ტახტს იუდაიზმი საქართველოში საქართველოს ეკლესიის გზით?! რას ნიშნავს საქართველოს ეკლესიურ რეალობაში მასიური შეცვლა წმ. სამების ხატის **ახალი აღთქმისეული** კანონიკურ იკონოგრაფიული სიუჟეტისა, ანუ: მამა ღმერთისა, მარჯუენით მჯდომარე იესო ქრისტესი და მტრედით გამოსახული სულნიმდის ხატისა, **ძველი აღთქმისეული**, აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკის სიუჟეტი?! საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით შესრულებული, ახალი, ძვირფასი თვლებით მოჭედული

ხატი: „საქართველოს იმედი“, რომელიც ერთგვარი „მეტოქია“ მე-19 საუკუნეში შესრულებული „საქართველოს დიდების“ ცნობილი ხატისა, კომპოზიციურად, ამალღებულ და მანათობელ ქრისტეს გამოსახულებაში ჩაანაცვლებს წმინდა სამების ძველი აღთქმისეული სიუჟეტს, ანგელოზებად აღქმული სამი ჭაბუკისას. „საქართველოს იმედის“ ამ ახალ მონუმენტურ ხატში საქართველოს იმედის კომპოზიციის დაგვირგვინება ძველი აღთქმისეული სამი ჭაბუკით, რომელთაც დაინტერესებულმა „თეორეტიკოსებმა“ ხელოვნურად მოახვიეს წმინდა სამების გაგება (ისევე, როგორც წარღვნის შემდგომი კაცობრიული მოდგმის ეპონიმებად ცნობილ ნოეს ვაჟიშვილებს: სემის, ქამისა და იაფეტის სამპროვინულობის შემთხვევაში მოხდა), არავითარ სიმბოლურ თეოლოგიას არ ექვემდებარება. როგორც აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკის სამპროვინულობაში, ისე ნოეს სამი ვაჟის, სემის, ქამისა და იაფეტის სამპროვინულობაში ქრისტიანული წმინდა სამების სიმბოლურ გამოვლინებათა ამოკითხვა არის შედეგი ქრისტიან თეორეტიკოსთა ტენდენციური პოზიციისა, წმინდა სამება ამოკითხონ ძველ აღთქმაში და ამ გზით გააძლიერონ და დაასაბუთონ ჭეშმარიტება ახალი აღთქმისა. სამაგიეროდ, ეს ხელოვნურად მოძიებული სიმბოლური წმინდა სამება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ტრადიციული კანონიკური იკონოგრაფიული სიუჟეტი წმინდა სამებისა: მამისა, ძისა – იესო ქრისტესი, და მტრედით გამოხატული სულიწმინდისა, რაც ზუსტად გამოხატავს დღევანდელი ქართული ეკლესიის გადახრას ძველი აღთქმისაკენ და ქართული ეკლესიის ცნობიერებაში იუდაისტური ტენდენციების მომძლავრებას. ფაქტობრივად, წმ. სამების ტრადიციული ხატის შეცვლით, ძველი აღთქმისეული სიუჟეტით, ქართულმა ეკლესიამ ერთი მხრივ შეცვალა ქრისტეს გამოსახულება მარჯვენით მამისა, მტრედის სახით გამოსახული სულიწმინდის სხივთა ფენაში და აერიდა ქრისტიანული თეოლოგიის ფუნდამენტური პრინციპის ვიზუალურ დადასტურებას,

ხოლო მეორე მხრივ, ამ შეცვლით, იკონოგრაფიულად ქრისტეს გამოსახულების გაყვანა მოხდა წმინდა სამებიდან. რამდენად გამართლებულია მამისა, ძისა და სულიწმინდის რეალურ გამოსახულებათა შეცვლა ძველი აღთქმისეული სამი ჭაბუკის სიუჟეტით, აბრაამის სტუმრებით, რომელთაგანაც ორი მათგანი, აბრაამის შემდგომ, აბრაამის ძმისწულის, ლოტის, სტუმრები ხდებიან? აბრაამთან ამ სამი ჭაბუკის გამოცხადების შედეგია წინასწარმეტყველება, რომ აბრაამის ცოლს, უშვილოს და უკვე ასაკში შესულს, შეეძინება შვილი და ეს მართლაც ასე მოხდება. ებრაელი ერის, როგორც სემიტური მოდგმის, გენეალოგია დალაგდება სწორედ ამ გამოცხადების აღსრულებით: „აბრაამ შვა ისააკ, ისააკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი...“ და ა. შ. ხოლო, რაც შეეხება ლოტისთან სტუმრობას და ამ ჭაბუკების დამსახურებას ლოტის წინაშე, როგორც ვიციტ, წმინდა წერილით, ანუ ბიბლიურივე გადმოცემით, საკმაოდ მძიმე დრამა დატრიალდება თავად ლოტისათვის. ქალღველთა ქვეყნიდან აბრაამთან ერთად წამოსული ლოტი, უსახლკარო და უბინაო, თავისი ცოლითა და ორი ქალიშვილით დაბინავდება ქალაქში, რომელიც სოდომურ ცოდვაშია ერთიანად ჩაფლული და დღეს თუ ხვალ უფლის განგებით მძვინვარე განადგურება ელის. სოდომის განადგურების საბოლოო განჩინების მისაღებად უფლისათვის სოდომელების საქციელი ხდება, რომელსაც ისინი ლოტს დასტუმრებული ჭაბუკების მიმართ გამოიჩინენ: ლოტის სახლს შემორტყმული მთელი ჯოგი სოდომური ვნებით შეპყრობილი კაცებისა, ლოტისგან ითხოვენ სტუმარი ჭაბუკების გადაცემას. თავზარდაცემული ლოტი იძულებულია თავისი ქალიშვილები შესთავაზოს ვნებაშლილ კაცებს, ოღონდაც სტუმრები იხსნას. უფალი ანგელოზების გზით აუწყებს ლოტს რომ გადაუდებლად, უკანმოუხედავად უნდა გავიდეს სოდომიდან. ასეც მოიქცევა ლოტი, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ცოლი და არღვევს უფლის ბრძანებას და უკან მიიხედავს უკვე ცეცხლის ბულში გახვეული სოდომისაკენ,

მარილის სვეტად გააქვავებს მას უფალი და ამგვარად ლოტი სოდომიდან გაქვევის დროს, ცოლს დაკარგავს. ტრაგიკული ბედის მამა და ორი ქალიშვილი კი ისეთ უკაცრიელს შეაფარებენ თავს, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ არის და იმისათვის, რომ არ ამოწყდნენ, ქალიშვილები მიიღებენ გადაწყვეტილებას მამისაგან შობონ. ასე შეუერთდება აბრაამის მოდგმას ცოდვილი ორი შტო ლოტისა – მოაბელებისა და ყამონიანებისა, რომელთაც იუდეური წესით სალოცავში უფლის წინაშე დგომა ეკრძალებათ. ამრიგად, ძველი აღთქმის მთელ ისტორიაში აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკი, გაგებული როგორც ღმერთისგან გამოგზავნილი სამი ანგელოზი, არის ღრმად ებრაულ-ეროვნული დატვირთვის და ქრისტიანული წმინდა სამების: მამისა, ძისა და სულიწმიდის ალევგორიად გააზრება მათი სრულიად ნაძალადევი და ხელოვნურია. „საქართველოს იმედის“ ხატის დაგვირგვინება კი ამგვარი ალევგორიით, როგორი ძვირფასი თვლებითაც არ უნდა მოვჭედოთ იგი, დაუშვებელია!

ეკლესია არ არის სამეცნიერო კვლევითი დანესებულება. პასუხისმგებლობა ამ ცთომილებაში კატეგორიულად ეკუთვნის ქართულ მეცნიერებას და ქართველ მეცნიერებს. ჩვენ ვდგავართ საშიშროების წინაშე იმისა, რომ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში მომძლავრებული ტენდენცია ეროვნული იდენტობის უგულვებლყოფისა და უეროვნებო მსოფლიოში გადასვლისა, ქართველი ხალხისთვის არ აღმოჩნდეს დამატებითი საფუძველი, მის მიერ, ქართველი ხალხის მიერ, საკუთარი თვითმყოფადობის უარყოფისა და მშობლიური მინა-წყლის ნაწილ-ნაწილ გასხვისებასთან ერთად საკუთარი ეროვნული ისტორიის გასხვისებისაც; შეიძლება ითქვას უფრო მწვავედაც: საკუთარი ეროვნული ისტორიისა და ეროვნული მეობის გასხვისების...

ქართულ საზოგადოებრიობას გაცნობიერებული არა აქვს, რომ საქართველოს ეკლესიის კურთხევით ანა ბაგრატიონ-გრუზინსკისა და

ესპანეთში გაზრდილი დავით ბატონიშვილის ხელოვნური ქორწინებით შობილი შვილი, რომელიც თავად ბაგრატიონთა სახლის განცხადებით, არავითარი გენეტიკური კანონიერების თვალსაზრისით არ წარმოადგენდა აუცილებლობას, საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის მიერ სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში მოინათლა როგორც ებრაელთა მეფის, დავითის შთამომავალი უფლისწული. ქართველ ხალხს გაცნობიერებული არა აქვს, რომ საქართველოს ეკლესიამ, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ისტორიული ტიტულის „დავითიანის“ მცდარ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, კერძოდ, ქართველი ბაგრატიონების გაგებით და საქვეყნო აღიარებით ებრაელთა ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის ხორციელ შთამომავლებად, მსოფლიოს სიონისტურ მოძრაობას და დღევანდელ ისრაელს, რომელმაც ორიათასწლოვანი ხანგრძლივობით დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და ამჟამად თავგანწირული იბრძვის დავითისა და სოლომონის ტახტისა და დავითისა და სოლომონის ტაძრის აღდგენისათვის, საქართველოს სამეფო ტახტზე უფლებამოსილება დაუმტკიცა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოში ოფიციალურად არის რეგისტრირებული „ქართველ ტამპლიერთა ორდენი“, რომელსაც თავისი ოფიციალური წესდებით საქართველოს სამეფოს და საპატრიარქო ტახტების პატრონობა აქვს მიზანდასახული, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად შემოყვანილ ხელისუფალთა მეშვეობით მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ, ბ-ნ ჯორჯ სოროსის წარმომადგენლობით, შეძლო, ჯერ კონკორდატის გზით აეყვანა კონსტიტუციური უფლებამოსილების დონეზე საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის თანამშრომლობა ერთმანეთთან, ხოლო შემდეგ, როგორც ეკლესიური, ასევე, საერო საკანონმდებლო წესით, საქართველოს სამეფო ტახტის პატრონობა ჩაებარებინა ქართველ ტამპლიერთა ორდენი-

სათვის, იგივე სოლომონის ტაძრელებისათვის, ანუ ქართულ-ებრაული სიონისტური ლაშქრისათვის. და ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: ხომ არ იმყოფება ქართული ეკლესია იმ პოლიტიკური პატიმრის როლში, რომელიც მის მიერვე გამოგონილი დეტექტიური ეპიზოდებით, ჩვენთვის გაუგებარი საჭიროებით, გვიკიჟინებს ქალდეველთაგან საკუთარი უპირატესობების დათმობაზე ებრაელთათვის. რატომ იწვევს საქართველოს ეკლესია შთაბეჭდილებას მონარქიის იდეის წარმართვისას ხალხისაგან ფარული და კონსპირაციული მეთოდით?! ხომ არა გვაქვს საქმე, საქართველოს პატრიარქის შეცდომაში შეყვანით, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულ ტამპლიერ-მასონთა ორდენის მართლაც კურთხევასთან საქართველოს პატრიარქის მიერ და საქართველოს სამეფო ტახტის დათმობასთან ქართველ ტამპლიერთა საპატრონოდ? ხომ ფაქტია, რომ ქართველ ტამპლიერთა ორდენი დავით ბატონიშვილის მფარველობაში იმყოფება? ხომ ფაქტია, რომ ლეგიტიმაციის სახელით გამოგონილი ბაგრატიონთა ქორწინება, სრულიად სხვა მიზნისათვის იყო ჩაფიქრებული? ხომ ფაქტია, რომ ქართველი ხალხისთვის უცნობი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის დავით ბატონიშვილი აღმოჩნდა ე. წ. ლეგიტიმური უფლისწულის გამჩენი. საქართველოს პატრიარქისადმი ქართველი ხალხის ნდობის ფაქტორი იმხელაა, რომ მის ყოველ ნაბიჯს ქართველი ხალხი სიფხიზლედახშული მიჰყვება. საპატრიარქოში არ არსებობს, ასევე, ისტორიულ-ტრადიციული საკათალიკოსო საბჭო, შემდგარი საერო პირთაგან, რომელიც ერთგვარად დააკავშირებდა საქართველოს საპატრიარქო მმართველობასა და ქართველ ხალხს... ამ ფუნქციას საქართველოს საპატრიარქოში ასრულებს სახელმწიფოს მიერ შექმნილი „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმი... ცუდი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ბიბლიური გადმოცემით მარდოქაი-ესთერის მექანიზმით სპარსეთის უდიდესი იმპერია ებრაული ინტერესებისათვის ამუშავდა და დასრულდა სპარსეთის მეფის,

დარიოსის მცდელობით: ბაბილონელთა მიერ დანგრეული სოლომონის ტაძრის აღდგენის... ისტორიული წყაროებით, დარიოსი ესთერის შვილი იყო სპარსეთის მეფისაგან გაჩენილი, ისე რომ სპარსეთის მეფემ არც იცოდა, რომ ესთერი ებრაელი იყო...

აი, ამ გამოწვევების კონტექსტში გვიხდება ჩვენ განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის დიდთა მეფეთა ტიტულატურაში მოხსენიება მათი, ანუ ქართველი ბაგრატიონებისა „დავითიანებად“, ან „დავითიან-სოლომონიანებად“, ანუ შთამომავლებად დიდთა ებრაელთა მეფეთა მოდემისად... ძალზედ ყურადსაღებ ფაქტებად მიგვაჩნია მისი უწმინდესობის, **საქართველოს პატრიარქის განცხადებები 2014 წლის აპრილში, მიჯრით გაკეთებული, დევიდ ლიდინგტონის – დიდი ბრიტანეთის მინისტრის ევროპის საკითხებში, ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრის, გიდეონ საარისა და მალტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის – ჯორჯ ველლას საპატრიარქო რეზიდენციაში სტუმრობების დროს, რომ „საქართველოს ევროკავშირში გაერთიანება აუცილებელია“.** როგორც საპატრიარქოს ვებ გვერდებით გვატყობინებენ, ეს გახლავთ გუნდი, რომელიც აღჭურვილია უფლებით საქართველოს პატრიარქთან კარს მიღმა საუბრის... როგორც ცნობილია, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი მალტის მასონური საიდუმლო ორდენის კავალერია. სავარაუდოდ, ეს ვიზიტები საქართველოში მონარქიის აღდგენის საკითხებთან უნდა იყოს დაკავშირებული... შეუძლებელია არ აღვნიშნოთ რა საინტერესო ხედვა აქვს ჩვენს ხალხს: საქართველოს სამეფოს ვებ გვერდზე რიგითი მოქალაქის კომენტარი და პასუხი კითხვაზე, ემხრობა თუ არ ემხრობა მონარქიას, გვაუწყებს და გვაფრთხილებს: ...ოღონდ საქართველოს მეფე არ შეიძლება იყოს მალტის მასონური ორდენის კავალერი. ეს რიგითი ქართველისათვის, თორემ ეკლესიის საქმეთა მმართველისათვის, ქალბატონისთვის,

რომლისათვისაც მსოფლიო საეკლესიო კრებათა უფლებამოსილებანი აღმოჩნდა მინიჭებული, რომლისათვისაც აღმაშფოთებელი აღმოჩნდა ჩემი გაგებული დედა უფალიცა, დანტე ალიგიერიცა და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“, სრულიად დოგმატურ-კანონიკური აღმოჩნდა მოძრაობა დავითიანნიც, ბაგრატიონთა დავითიანობის გაგებაც ებრაელთა მეფის გენეტიკურ შთამომავლებად და ქართველ მართლმადიდებელ ტამპლიერთა ორდენიც, რომლის წევრებიც საიდუმლო ხელდასხმის რიტუალში სამჯერ აფურთხებენ ქრისტეს ხატს. ესენი გვილოცავენ ჩვენ, მთელ საქართველოს, ასი ათასი წმინდანის ხსენების დღეს, წმინდანების, რომელთაც სიკვდილი არჩიეს ქრისტეს ხატზე ფეხის დაბიჯებას. როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესიას და ეკლესიის საქმეთა მთავარმმართველ ქალბატონს, რომელსაც ჩემეული გაგება სულიწმინდის დედურობისა აღმაშფოთებელ შეურაცხყოფად მიაჩნია საქართველოს ეკლესიისათვის, ეგ არაფერი, ეკლესიას, რომელსაც პეტრე იბერი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი არ მიაჩნია მართლმადიდებლებად, მართლმადიდებლებად მიაჩნია ქართველი „ტამპლიერები“, რომლებიც, მსოფლიოში აღიარებული ინფორმაციით, ორდენის რაინდებად საიდუმლო ხელდასხმის დროს, სამჯერ აფურთხებენ ქრისტეს ხატს.

**ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის – „დავითიანის“ გაგებისათვის**

რაში მდგომარეობს ცთომილება საქართველოს უძველესი მატიანის: „ქართლის ცხოვრებისა“ და რატომ იწოდებიან საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი მეფენი „დავითიანებად“, ანუ რას ნიშნავს ბაგრატიონების „დავითიანობა“, თუ იგი არ ნიშნავს მათ გენეტიკურ შთამომავლობას ისრაელიანთა დიდი მეფის, მეფსალმუნისა და წინასწარმეტყველის – დავითისაგან?!

რაში მდგომარეობს ცოდვა და უცოდველობა ქართველი მემატიანეებისა და აქედან გამომდინარე ქართული ეკლესიისა, და სად არის სათავე ამ საბედისწეროდ მნიშვნელოვანი ცთომილების?! ამ კითხვებზე უნდა შევეცადოთ პასუხის გაცემას.

საქართველოს სამეფო ტახტზე აღსაყდრებულ სკიპტროსნებად ბაგრატიონები უკვე ქრისტესმემდგომი მე-6 საუკუნიდან გვევლინებიან.

პირველი ბაგრატიონი მეფე, ეს გახლავთ გუარამ ბაგრატიონი, რომლის შვილისშვილებად, მათ შთამომავლებად და ნათესავეებად დასტურდებიან ქართულ ისტორიოგრაფიაში მთელი დინასტიის წარმომადგენელი, დაწყებული მე-6 საუკუნიდან და დამთავრებული მე-19 საუკუნით, საქართველოს სამეფო ტახტის არსებობამდე – უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-12-ის არსებობამდე. ბაგრატიონთა დინასტია მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივ დინასტიადაც არის აღიარებული.

VI საუკუნემდე, ე. ი. მანამ, სანამ ბაგრატიონები საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდოდნენ, ისინი, ბაგრატიონები არიან საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამთავროს – ტაო კლარჯეთის მთავრები და განსხვავებით საქართველოს სხვა სამთავროთა მთავრებისაგან, საქართველოს სამეფო ტახტზე აღსაყდრებამდე, ატარებენ განსხვავებულ ტიტულს. ეს ტიტული არის „პიტიახშობის“ ტიტული, რაც, დიდი ქართველი მეცნიერისა და ბაგრატიონთა მკვლევრის, პავლე ინგოროყვას განმარტებით იმას ნიშნავს, რომ ისტორიის ამ მონაკვეთში მთავრები კი არიან, მაგრამ გენეტიკურად, ე. ი. თავიანთი წარმომავლობით სამეფო საგვარეულოდან მოდიან. ერთი სიტყვით, „პიტიახშობი“ პირველ ქრისტიანულ საუკუნეებში ნატახტარი მთავრები არიან. პავლე ინგოროყვა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში: „გიორგი მერჩულე“ სრულიად ნათლად გადმოგვცემს, რომ ბაგრატიონები „პიტიახშობას“ ფარნავაზიანთა დინასტიიდან წარმომავლობის გამო ატარებენ. ხოლო, როდესაც სამ-



ეფო სკიპტრას იპყრობენ ხელთ, პირველადსა-  
 ყდრებიდან ოთხი საუკუნის შემდგომ, როგორც  
 ამას ქართველი მკვლევარებიც აღიარებენ, X  
 საუკუნეში, იძენენ მანამდე არარსებულ სრუ-  
 ლიად ახალ ტიტულს თავიანთი მეფური წარმო-  
 მავლობისას ღვთისაგან და ეს წარმომავლობა  
 ღვთისაგან ფორმულირდება, როგორც წარმო-  
 მავლობა ისრაელიანთა მეფის, ბიბლიური და-  
 ვით წინასწარმეტყველისაგან. ერთ ცნებაში  
 მოქცევით კი ეს ტიტული ხდება „დავითიანი“.  
 ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნში: „გიორგი მთაწ-  
 მინდელის წინასწარმეტყველება ქართველი  
 ერის შესახებ“ ჩვენი ყურადღება მივაპყროთ  
 სწორედ იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ,  
 (ვიმეორებ!) **ბაგრატიონები იმავე „ქართლის  
 ცხოვრებით“, რომლითაც ისინი დავით წინა-  
 სწარმეტყველის შთამომავლებად, ანუ „დავი-  
 თიანებად“ მოიხსენიებიან, სრულიად გარკვე-  
 ვით, ამ ტიტულს იძენენ პირველადსაყდრები-  
 დან ოთხი საუკუნის შემდგომ.** შეიძლება ით-  
 ქვას, რომ ბაგრატიონთა სამთავრობო ტიტული  
 „პიტიახშობისა“ მეათე საუკუნეში იცვლება  
 სამეფო ტიტულით: „დავითიანი“; დავით აღ-  
 მაშენებლის შემდეგ კი, იმისათვის, რომ დავით  
 აღმაშენებელმა არ გადაფაროს ბაგრატიონთა  
 „დავითიანობაში“ დავით წინასწარმეტყველის  
 მნიშვნელობა, „დავითიანობის“ ტიტულის გა-  
 მოსაკვეთად დავით წინასწარმეტყველთან კავ-  
 შირში, ანუ „დავითიანის“ „დავითის“ ვინაობის  
 დასაზუსტებლად სამეფო ტიტულატურაში,  
 თუ რომელ დავითზეა აქ საუბარი, და რომელი  
 დავითი იგულისხმება ტიტულში, „დავითიანს“  
 ემატება ბიბლიური დავითის ან შვილის ან მამის  
 სახელები: სახელგანთქმული ვაჟის, სოლომონ  
 ბრძენის, ან ბიბლიური დავითის მამის, იესეს  
 სახელები და ბაგრატიონები ხდებიან „დავითი-  
 ან-სოლომონიანები“, ან „იესიან-დავითიან-სო-  
 ლომონიანები“. ამგვარად, ქართველი ბაგრატი-  
 ონები, ხდებიან რა ისტორიის გარკვეულ ეტაპ-  
 ზე „დავითიანები“, დროისა და ჟამის მიხედვით,  
 ინტერპრეტაცია მათი სამეფო წარმომავლობისა,  
 ანუ ისტორიული რეალური წარმომავლობა

ფარნავაზ ქართველთა მეფისაგან, იცვლება  
 ახალი ინტერპრეტაციით მათი წარმომავლო-  
 ბისა ებრაელთა დიდი მეფის, ბიბლიური დავით  
 წინასწარმეტყველისაგან. **საზგასმით არის  
 აღსანიშნავი,** რომ ბაგრატიონთა ისტორიის  
 უძველეს ქართულ მატრიანისეულ გადმოცემაში  
 იქმნება სრულიად პარადოქსალური სურათი:  
**პირველი ბაგრატიონი მეფე ქართლისა – გუ-  
 არამ ბაგრატიონი, უშუალოდ რომლისაგანაც  
 მომდინარეობს გენეტიკურად მთელი მოდგ-  
 მა ქართველი ბაგრატიონებისა და ე. ი. X სა-  
 უკუნისა და მისი შემდგომი ბაგრატიონებისაც,**  
 რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მათემატიკუ-  
 რი სიზუსტით არის დაზუსტებული, სრულიად  
 მკაფიოდ და გამჭვირვალედ, **„დავითიანი“ არ  
 არის.** ერთი სიტყვით, „ქართლის ცხოვრების“  
 ლოგიკით, არადავითიანი, ანუ არადავითის  
 შთამომავალი გუარამ ბაგრატიონის მოდგმა  
 X საუკუნიდან ხდება დავითის მოდგმისა, ანუ  
 „დავითიანი“. ისმის კითხვა: რატომ და როგორ,  
 რასთან დაკავშირებით ხდება ეს გადავითიანე-  
 ბა? და როდის ხდება მისი პირველი დაფიქსირე-  
 ბა ისტორიოგრაფიულად?!

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატიო-  
 ნების „დავითიანებად“ მოხსენიების პირველ  
 ისტორიულ წყაროდ მიჩნეულია გიორგი მერჩუ-  
 ლეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომე-  
 ლიც დაიწერა 952 წელს. გიორგი მერჩულე თა-  
 ვისი ზედწოდებით „მერჩულე“, ანუ „მერჯულე“,  
 ე.ი. რჯულის მცოდნე, დღევანდელი ტერმინით  
 „სამართალმცოდნე“ და „იურისტი“, ქვეშარი-  
 ტად არის ისეთი კომპეტენტური პიროვნება,  
 რომელსაც დიდი ნდობა ეკუთვნის ჩვენგან  
 ფაქტებისა და ცნებების სამართლებრივ გადმო-  
 ცემაში. გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის  
 ცხოვრებაში“ აღწერს გრიგოლ ხანძთელისა  
 და საქართველოს მეფის აშოტ დიდის შეხვე-  
 დრას, რომლის დროსაც მეფე აშოტ კუროპალა-  
 ტი გრიგოლ ხანძთელს ადარებს უფლის მიერ  
 წარმოჩენილ ბიბლიურ წინასწარმეტყველთ,  
 ამჯერად წარმოჩენილს ქართველი ხალხისათ-  
 ვის. თავის მხრიდან, გრიგოლ ხანძთელი, მეფეს,

აშოტ კუროპალატს, უბრუნებს სიტყვას ასეთი-ვე ზეანუელ რეესტრში და შეადარებს მას, მეფე აშოტ კუროპალატს, ბიბლიურ მეფეს ისრაელი-სას, დავითს:

„– დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულ ხელმწიფეო, მეფობაიდა და სათნოებანიცა დაგიმკვიდრენ ქრისტემან“ – ასე მიმართავს გრიგოლ ხანძთელი საქართველოს მეფეს, აშოტ კუროპალატს.

ეს მიმართვა გახლავთ პირველი მოხსენიება ქართველი ბაგრატიონებისა „დავითიანებად“.

როგორც ვხედავთ, თვითონ დავითი, ებრაელთა მეფე, აქ, გრიგოლ ხანძთელის სიტყვაში, წარმოდგენილია „წინასწარმეტყველად და ცხებულად უფლის მიერ“, ხოლო აშოტ კუროპალატი, ქართველთა მეფე – ებრაელთა მეფის, წინასწარმეტყველისა და უფლის მიერ ცხებულის დავითის „შვილად **წოდებულ** ხელმწიფედ“. გიორგი მერჩულე მკაფიოდ აუღერებს საქართველოს ხელმწიფის, ანუ საქართველოს მეფის „**წოდებულობას**“ შვილად დავითისად“. ხაზგასმით შევნიშნოთ: „წოდებას“, „წოდებულობას“ შვილად და არა უშუალოდ შვილობას. ე. ი. აშოტ კუროპალატს, როგორც საქართველოს მეფეს, მიღებული აქვს წოდება დავითის შვილობისა. გრიგოლ ხანძთელი აშოტ კუროპალატს კი არ ეუბნება: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შთამომავალი ხელმწიფეო“... არამედ: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულ ხელმწიფეო“-ო. ამრიგად, ზემოთ მოხმობილი ფრაგმენტით მთელი რიგი საუწყებო დებულებებია გადმოცემული. პირველ რიგში, გიორგი მერჩულე აფიქსირებს ფაქტს, რომ ეკლესიის ცნობილი მამა გრიგოლ ხანძთელი აშოტ კუროპალატს მოიხსენიებს, როგორც ბიბლიური „დავითის შვილად წოდებულს“; გვეუწყება ისიც, რომ ამ მომენტისათვის გრიგოლ ხანძთელი პირველმწოდებელი კი არ არის, არამედ ეს წოდებულობა უკვე შემდგარია. გრიგოლ ხანძთელი იზიარებს და სიამაყით იმეორებს ამ ტიტულს. აქვეა

გაცხადებული საფუძველიც ამ წოდებულობისა: „...მეფობაიდა და სათნოებანიცა დაგიმკვიდრენ ქრისტემან!“ უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ დაგიმკვიდროსო მეფობაც და ის დამახასიათებელი თვისებებიც, ანუ ის სათნოებანიც, რომლითაც ინოდო „დავითის შვილად“. სათნოებრივი თვისებებით ნათესაური და მიმსგავსებული, იგი, აშოტ კუროპალატი-ბაგრატიონი, მემკვიდრეა ბიბლიური დავითის სათნოებრივი თვისებებისა. „ქართლის ცხოვრებაში“, ერთ ადგილზე, მემატთანე ასე იტყვის გიორგი მეფეზე, თამარის მამაზე: „დავითიანობა და სოლომონიანობა მოჰგვარდაო ღვთისაგან“. ე. ი. დავითისა და სოლომონის მსგავსება, „მათგვარობა“ მოჰყვებოდაო თან. „დავითიანი“ და „სოლომონიანი“ თავისი გრამატიკული ფორმით, სხვა არაერთი მაგალითით თვალსაჩინოვდება, როგორც „მსგავსი დავითისა“ და „მსგავსი სოლომონისა“. თამარ მეფე თავისი მემატთანის მიერ ერთდროულად მოიხსენიება მისსავე სათნოებათა ჩამონათვლის მიხედვით „აფროდიტიანად“, „დავითიანად“, „ალექსანდრიანად“ და ა. შ.:

„კუალად დაჯდა ცხებული ღმრთისა, თამარ მეფე, საყდართა მათ, ცამდი აღმართებულთა, შუენებითა მით **აფროდიტიანი**თა და სიუხვითა მით მზეებრითა **აპოლონიანი**თა, სატრფო საჭურეტი დაბნედამდის და გაჭრამდის ყოველთა გამცდელ-მხედთა და შეპყრობამდის წყალ-ჯავართა მით უმსგავსოთა სახითა მით ღმრთიქმნულითა“.

„...გახელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა... თამარ სამგზის სანატრელისათა, რომელმან სიმშვიდითა **დავითიანი**თა, სიბრძნითა **სოლომონიანი**თა, სიმხნითა და საურავთა დღესისთა ხვალისა არ მიგდებთა **ალექსანდრიანი**თა, იპყრნა ზღვით პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერიტგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვითთამდის („ქართლის ცხოვრება“, ტ. 2, გვ. 32, გვ. 34, თბ. 1959).

როგორც ვხედავთ, მემატთანის მიერ მინიჭებული თამარ მეფის ამ სახოტბო ეპითეტებიდან

– „აფროდიტიანი“, „აპოლონიანი“, „დავითიანი“, „სოლომონიანი“, „ალექსანდრიანი“ – ბაგრატიონთა ოფიციალური სამეფო ტიტულის მნიშვნელობა მხოლოდ „დავითიანსა“ აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ქართული, ისე სომხური ისტორიოგრაფიის ერთხმადი აღიარებით, ქართველი და სომეხი ბაგრატიონები ერთი ისტორიულ-გენეტიკური ძირიდან არიან მომდინარენი, მაგრამ სამეფო ტიტული „დავითიანისა“, რომელმაც საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა დროინდელ სახელმწიფო ლერბშიაც ჰპოვა ასახვა, მხოლოდ ქართველი ბაგრატიონების, ერთგვარად სპეციფიკური, ნოდებრივი მახასიათებელია, ამასთან, როგორც ვხედავთ, მათივე სამეფო ქვეყნისა და სახელმწიფოებრიობის მასშტაბის.

სანამ ვუპასუხებდეთ კითხვას – რატომ მაინცადამაინც „დავითიანობა“ და გადავითიანება აღმოჩნდა ქართველ ბაგრატიონთათვის საჭირო ტიტული მათი მეფობის ღვთიური წარმომავლობის დასადასტურებლად და არა სხვა რამ?! – თავად „ბაგრატიონობის“, როგორც სიტყვისა და ცნების წარმომავლობას გვინდა შევხებით, რას მეტყველებს ეს ცნება თავისთავზე, როგორც ენობრივი მონაცემი?

ამ საკითხთან დაკავშირებით, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისით, გვარის სახელწოდებაში, სრულიად ნათლად, გამოკვეთილია მამაკაცის სახელი: „ბაგრატი“, ვისგანაც გვარს ეს წოდება აქვს მიღებული, ანუ ვისგანაც ამ სახელწოდებით ეს გვარი იწყება. მეცნიერების ენაზე გვარის დამწყებ პირველ კაცს უწოდებენ „ეპონიმს“. ბუნებრივია, ბაგრატიონთა წარმომავლობის მეცნიერული კვლევისას დღის წესრიგში დგება გარკვევა იმისაც, თუ სადაური სახელია ეპონიმის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ სახელის სადაურობას, შესაძლოა, არ ჰქონდეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა. ქართველ მეცნიერთა გარდა, ამ საკითხს შეეხო პროფესორი **ადონცი**, რომელმაც ქართველ მეცნიერებთან ერთად აღიარა, რომ თავდაპირველი ფორმა ამ სახელისა: „ბაგრატის“ – იყო „ბაგარატი“. არა-

ფერი სადავო იმაში, რომ ქართული ენის ბუნებრივი ფონეტიკური გრადაციით „ბაგარატიდან“ მიგველო „ბაგრატი“, არ არსებობს, ისევე, როგორც „რუსთაველი“-დან – „რუსთველი“. არც არაფერი გაურკვეველი იმაში, რომ ქართულ რეალობაში ეს სახელი დამკვიდრდა ამ შეკვეცილი ფორმით, არ არსებობს. ბუნებრივია ისიც, რომ ბაგრატიონთა სპეციფიკური სამეფო სახელები: **ბაგრა-ტი, სუმბა-ტი, ბივრა-ტი, აშო-ტი**, რომელთაც ბაგრატიონთა განშტოებითი გვარები წარმოშვეს, გვარში შემონახულ გარკვეულ გაგებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო პავლე ინგოროყვა („გიორგი მერჩულე“, გვ. 90-99), შეეხო პროფ. ადონცის მცდელობასაც, რომელმაც „ბაგარატი“ ირანული წარმომავლობის სახელად ივარაუდა: „ბაგარატი“ ირანული „ბაგადატი“ უნდა იყოსო, მაგრამ არ გაუმართლდა. ამ უკანასკნელ ხანებში ამ საკითხს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა პროფესორი შალვა გაბისკირია და საბოლოოდ გამორიცხა პროფესორ ადონცის ვარაუდი. მართალია, ბატონი პავლე ინგოროყვა ბაგრატიონთა სამეფო სახელებს ქართულ სახელებად მიიჩნევს, მაგრამ სათავისეული მნიშვნელობა „ბაგრატიონთა“ ე. წ. „ეპონიმისა“, ანუ როგორ წარმოიშვა ეს გვარი, აუხსნელი დარჩა.

– ჩვენ შევეცადეთ, ჩვენეული ხედვით აგვეხსნა ეს დასაბამიერი წარმომავლობა ბაგრატიონთა გვარისა, უფრო ზუსტად: შევეცადეთ, აკადემიურ ენაზე გადმოგვეცა ის, რაც აზრობრივი მყისიერი გასხივოსნებით მოგვეცა ქართულ წინარექრისტიანულ სალოცავებზე მუშაობის დროს.

– ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისევე, როგორც სომხურ ისტორიოგრაფიაში, აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ბაგრატიონების სამშობლო ქვეყანა არის ისტორიული „სპერი“, იგივე ისტორიული „ურარტუ“, ქართველური ტომების ძირძველი სამოსახლო. ურარტუს ქართველურობას მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ თავისი სახელგანთქმული ისტორიოგრაფიული თხზულება: „ქვათა ღალადი“. ქართული მეცნიერებისათვის

ცნობილია, რომ ბაგრატიონთა უძველესი გვარი უკვე წინარექრისტიანული ეპოქის წყაროებში დასტურდება. რამდენადაც გამორკვეულია, რომ „ბაგრატი“ თავდაპირველი ფორმა „ბაგარატია“, ბუნებრივია, სათავე ანუ თაურმნიშვნელობა ამ გვარისაც, გვარის საწყისიერ ფორმაში ვეძებთ: „ბაგარატ-იონ“-ში. რას შეიძლება ნიშნავდეს ურარტულ სამყაროში „ბაგარატი“?

– აღსანიშნავია, რომ წინარექრისტიანულ ცივილიზაციებში ხალხების სახელწოდებებში თავს იჩენდა მათი რელიგიური მრწამსი, ანუ მთავარი მახასიათებელი: რა იყო მათი თაყვანისცემის საგანი, რისი ან ვისი თაყვანისმცემლნი, მალმერთებელნი და მიმდევრები იყვნენ ისინი? ასე მაგალითად: ცნობილია, რომ ქალდეველები და ასირიელები ხორციელად ერთი მოდგმისანი იყვნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ასირიელთა დედა ღვთაებას ქალდეველთა დედა ღვთაებისაგან – ქალდე ღვთაებისაგან – განსხვავებული მახასიათებლებიც მიენერებოდა, სახელიც ეცვლებოდა ღვთაებას. ასირიელთა „ქალდეს“ „ასირი“ ერქვა. მის მიმდევარ ხალხს კი ასირიელები ერქვათ. სახელმეცვლილი ღვთაების მიმდევარი ხალხი არა მხოლოდ სხვა სახელწოდების ხალხად ევლინებოდა გარე სამყაროს, არამედ თითქმის სხვა ხალხადაც.

– ისტორიოგრაფიულად ცნობილია, რომ არა თუ ცალკეული ხალხები, არამედ ცალკეული ხალხების ცალკეული ტომები და თემებიც აღინიშნებოდნენ თავ-თავიანთი საღვთისმსახურო ტიტულით, ანუ: ვისი მადიდებლებიც იყვნენ და ვისი მსახურნიც. ბაგრატიონთა სამშობლო ქვეყანა – ურარტუ – მზის თაყვანისცემით იყო გამორჩეული ქვეყანა. მზე, თავისი მრავალფეროვანი გამოვლინებით თაყვანისცემოდა და იდიდებოდა: მზე ამომავალი, მზე შუადღისა, ჩვენებურად „ცხრათვალა“, მზე დამცხრალი, მზე ჩამავალი, ანუ დაისისა და ა. შ. თითოეულს თავისი სახელწოდება ჰქონდა და თავისი თაყვანისმცემელი ჰყავდა; ეს გვარტომობრივი გადანაწილება მსახურებისა, როგორც ჩანს, ერთდროულად, ერთგვარად უზრუნველყოფდა დღიურ

უნყვეტობასაც ღვთისმსახურებაში და სულიერი შრომის ზომიერებასაც. ამასთან, ღვთაებაც მფარველობდა თავის დიდგვაროვან მსახურსა და მადიდებელს. ქვეყნისა და ხალხის მიერ აღიარებული ღვთაებრივი ძალა მუდმივ და უწყვეტ თაყვანისცემასა და მსახურებაში იმყოფებოდა თავისი ხალხისაგან. ეს პრინციპი, პრინციპი გვარ-ტომობრივი ღვთისმსახურებისა, საქართველოს მალაღმთიანეთში დღესაც შემორჩენილია ხატის ყმების სახით. ერთი გვარი ერთი ხატის ყმაა, მეორე გვარი – მეორე ხატისა და ა. შ.

– ბიბლიაში, ებრაელთა საგვარეულოთაგან მხოლოდ ლევიანთა საგვარეულოსა აქვს მინიჭებული ღვთისმსახურების უფლება. ურარტუს ბაგრატიონობაში, ანუ იმ ხალხის სახელწოდებაში, რომლებიც ძველი ურარტუს მკვიდრი შეიძლება ყოფილიყო, ისევე შეიძლება ასახულიყო მისი რელიგიური მსახურების ნიშანი, როგორც მაგალითად, დღევანდელ ქართულ გვარებში, ქალდან-ებში და ქარდავ-ებშია ასახული მათი წინაპრების მსახურება ღვთაება ქალდე-სი, გარკვეულ ეტაპზე, იგივე ღვთაება ქარდე-სი, რაც მთელი ქართველი ხალხის სახელწოდებაშია შემონახული და ამ სახელწოდების უძველესობაზე მიუთითებს. ქრისტიანული საუკუნეების ქართულ ცნობიერებაში ქალდე (იგივე „ქართ“) ღვთაების სახელის გარდასახვა ხდება ნახევრად მითოსურ ეპონიმად, ბერძნული ფორმის სიტყვად: ქართლ-ოსად. ეს ყოველივე ცალკე საკითხია... ხოლო, რაც შეეხება უკვე ზემოთქმულს, რა გასაკვირია, ერთი და იგივე ღმერთის სახელწოდება იყოს ასახული შუამდინარეთის „ქალდეველობასა“ და დღევანდელ ქართველთა „ქართუელობაში“, როდესაც თავად ქართული სიტყვა „ღმერთი“, ორი დიდი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის ხედვით, ქალდეველთა მონათესავე ხალხის, ელამიტების ნათესაური სიტყვაა და მასში, ქართულ სიტყვაში- „ღმერთი“ – დედა ღვთაების მნიშვნელობაა ეტიმოლოგიურად დამარხული. საოცარია და, ბაგრატიონთა საგვარეულო სახელწოდებაში პირდაპირ ვაწყდებით ურარტული, ანუ თავის

დროზე მათი მშობლიური ქვეყნის რელიგიურ სივრცეში სახეზე მყოფი ღვთაების, მზის ღვთაების, ასახვას, რაც კუთვნილებით ფორმაში, ამ გვარის მატარებელი პიროვნების ღვთისმსახურებით დანიშნულებაზე უნდა მეტყველებდეს.

– „ბაგრატიონები“ ურარტუში „ბაგბარტუიონები“ უნდა იყვნენ, ანუ იმ მზის თაყვანისმცემელი და მსახურნი, რომელიც ურარტუში ცნობილია „ბაგ-ბარ-ტუ“-ს სახელწოდებით. სხვათაგან რომ ვთქვათ, სიტყვა „ბაგრატიონი“ უნდა იყოს სიტყვა „ბაგ-ბარ-ტუ-იონი-ს“ ფონეტიკური, ანუ წარმოთქმითი გრადაციების შედეგად მიღებული ფორმა. კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი: -იონი, ცხადია, ჩაახშობს წინარე სიტყვის: „ბაგ-ბარ-ტუ“-ს დამასრულებელ „უ“ ბგერას და დაგვრჩება: „ბაგბარტიონი“. „ბაგარატი“ რომელიც, პროფესორ ადონცის ვარაუდით, შეიძლება ირანული „ბაგადატი“ ყოფილიყო, ანუ აღიარებული წინარე ფორმა „ბაგრატისა“, თუ ნამდვილად წინარე ფორმაა „ბაგრატისა“, თავის მხრივ „ბაგბარატი-დან“ უნდა მოდიოდეს: ბაგ-ბარ-ტუ → ბაგ-[ბ]-არ-ტ[უ], (ჯერ ამოვარდა „ბ“), საიდანაც მივიღეთ: „ბაგარტ“, ხოლო „ბაგარტ“ ფორმიდან თავისუფლად არის მოსალოდნელი „ბაგარატიც“ და „ბაგრატიც“, საბოლოოდ კი: „ბაგარატიონიც“ და „ბაგრატიონიც“.

– ისევე, როგორც თავის საწყისში არამეული ხალხის სახელწოდება „არამელები“ დედაღვთაება „არამ-ის“ სახელწოდებიდან მოდის და „არამი“ ხალხის სახელწოდებაში პირველკაცის, ამ ხალხის პიროვნული დამწყების, ანუ სახალხო ეპონიმის მნიშვნელობას იძენს, ისევე, როგორც ქართველთა სახელწოდებაში ღვთაება „ქალდე“ სახალხო ეპონიმის (პირველკაცის, ვისგანაც მომდინარეობს მთელი მოდგმა ქართველი ერისა), „ქართლოსის“ მნიშვნელობას იძენს, ბაგრატიონების საგვარეულო სახელწოდებაში ასახული სახელწოდება იმ მზის ღვთაებისა, რომელსაც „ბაგბარტუ“ ჰქვია ურარტუში, ფონეტიკურად დროთა ვითარებაში დაყვანილი „ბაგარტ“-ზე,

იძენს გვარის პირველკაცის, ეპონიმის მნიშვნელობას... სინამდვილეში ის ღვთაების სახეც-ვლილი სახელია. ამრიგად, გვარის ისტორიულ – ეტიმოლოგიური ანალიზით ბაგრატიონები ზოგადად, და კერძოდ, ქართველი ბაგრატიონები, რომელთა ტიტულატურასაც ვიკვლევთ, თავისი საგვარეულო სახელწოდების წარმომავლობის მიხედვით, ე. ი. პირველ ფესვებით, ურარტუს მზის ქურუმები უნდა იყვნენ.

საქართველოს ქრისტიანულ ისტორიაში ბაგრატიონთა წარმოჩენით ტაო-კლარჯეთის მთავრებად, ყველა სხვა კუთხის მთავართაგან განსხვავებული ტიტულით, „პიტიახშის“ ტიტულით, რომლის შინაარსშიც ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა ნატახტარობა იგულისხმება, ამასთან ფარნავაზიანთა დინასტიის შთამომავლობა, შორს არა ვართ იმ აზრისაგან, რომელიც საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეს, მირიანსა და მცხეთაში სპარსეთიდან გადმოსახლებულ ქალდეველ მოგვებს დააკავშირებს ერთმანეთთან. ქრისტიანული საქართველოს დედაქალაქში, მცხეთაში ხდება ქართული ეროვნული სულის თავისთავში ჩაბრუნება ჯერ სპარსეთის, შემდეგ ტაო-კლარჯეთის გამოვლით. ტაო-კლარჯეთი, სწორედ ბაგრატიონთა სამშობლო ტაო-კლარჯეთი, ქრისტიანული საქართველოს ბაგრატიონთა სამთავრო ხდება გადაბარდნილი ქრისტიანული ეკლესია-მონასტრებით. ტაო-კლარჯეთი ხდება ქართული ქრისტიანული აზროვნებისა და ქრისტიანული რწმენის ცენტრალური მონაკვეთი. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი წყარო ბაგრატიონთა მოხსენიებისა „დავითიანებად“ ტაო-კლარჯეთის ერთერთ მონასტრულ სავანეში შესდგა, გრიგოლ ხანძთელის სავანეში, საქართველოს მეფის, აშოტ კუროპალატის სტუმრობისას მონასტრის წინამძღვართან, გრიგოლ ხანძთელთან, რაზედაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ქართული ეროვნული თვითშემეცნებისა და თვითგამორკვევის დინამიკაში, რომელიც ტაო-კლარჯეთის მონასტრული სივრცეების ქრისტიანულ მწვდომელობასთან გვაკავშირ-

ებს, შეუძლებელია ყურადღების ცენტრში არ მოვაქციოთ ის გარემოება, რომელიც თავდაპირველად დიდმა მეცნიერმა, პავლე ინგოროყვამ მოგვანოდა, როგორც ელემენტარული ისტორიულ-ფილოლოგიური ინფორმაცია. ცნობილი ქართული საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ პავლე ინგოროყვას მიკვლევით, უნდა აღმოცენებულიყო გრიგოლ ხანძთელის სავანეში. ჩვენს ხედვაში კი ეს იმას ნიშნავს რომ, ქრისტიანული შემეცნებისა და ეროვნული თვითგამორკვევის ეს დიდი შედეგური – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ – დაბადებულა მისტიური აზროვნების იმავე ისტორიულ მონაკვეთში, რომელშიაც შესდგა საქართველოს ბაგრატიონი მეფის პირველმოსხენიება „დავითიანის“ წოდებით. მაგრამ რამდენადაც ქართულ მეცნიერებაში აღიარებული აზრით, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ბევრად ადრე უნდა იყოს შექმნილი და იოანე ზოსიმე მხოლოდ გადამწერი უნდა იყოს ამ საგალობლისა, ვერსად გავეუქვევით იმ აზრს მაინც, რომ გრიგოლ ხანძთელის სავანეში ეს საგალობელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. პავლე ინგოროყვა არ გამორიცხავს იმასაც კი, რომ ეს საგალობელი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორის, გიორგი მერჩულეს, მიერ იყოს დაწერილი, რადგან მისი, ამ საგალობლის, რიტმული ჟღერადობის მოდელი თანხვედრილია იმ საგალობლების რიტმული მოდელისა, რომელთაც ეკლესიურ სამყაროში დაუმკვიდრებიათ „მერჩულეული“-ს სახელი, ანუ გიორგი მერჩულესთვის დამახასიათებელი სტილი (პავლე ინგოროყვა: „გიორგი მერჩულე“, თბ., 1956 წელი). აქ არ შეეუდგებით ამ პრობლემის განვრცობას და საკმარისად მივიჩნევთ იმ უკამათო აზრს, რომ ტაო-კლარჯეთის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავანეში, ქართული ეკლესიის დიდი მამის, გრიგოლ ხანძთელის სანინამძღვროში, გრიგოლ ხანძთელის, რომელსაც თავად მეფე ქართველთა ბიბლიურ წინასწარმეტყველთ ადარებს, და სადაც ქართველი ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის სათნ-

ობრივ მემკვიდრეებად იწოდებიან, სწორედ აქ ხდება ქართული ეზოთერული საგალობლის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ განვრცობა – დამკვიდრება და განმტკიცება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შეგნებით: იოანე ზოსიმე, საგალობლის დამსახურებული გადამწერი და ლამის ავტორად ცნობილი, სწორედ კლარჯეთის მონასტერში ეწევა ამ პროვიდენციალური ეზოთერული საგალობლის მრავალგზის გადწერას, ე. ი. განვრცობასა და სათანადო პოპულარიზაციას, და ამის შემდეგ მიდის ის სინას მთაზე თავისი გადამწერილი საგალობლით. ეს გახლავთ მე-10 საუკუნე. ქართველმა მეცნიერებმა სწორედ იოანე ზოსიმეს დანატოვარი ხელნაწერები ჩამოიტანეს სინას მთიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე.

ტაო-კლარჯეთში, გიორგი მერჩულეს მიერ დაწერილ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ მეცნიერება ზუსტად ათარიღებს 952 წლით, რაც პირდაპირ მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ ბაგრატიონთა წოდება „დავითიანებად“ მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გრძლიობაშია უკვე შემდგარი და გიორგი მერჩულეს მიერ არის აღწუსებული და უკვდავყოფილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. უგუნურება იქნება არ შევნიშნოთ კავშირი გიორგი მერჩულეს მიერ ბაგრატიონი მეფის დავით წინასწარმეტყველის შვილად წოდებასა და იოანე ზოსიმეს მიერ მრავალგზის გადამწერილი საგალობლის მსოფლმხედველობრივ ქვეტექსტებს შორის. საქართველოს მეფის „დავითიანობასა“ და ქართული ენის „საღმრთო ენად“, ანუ „მეორედ მოსვლის“ ენად გამოცხადებას შორის. რამდენადაც ქართული ენა ამ საგალობლით გამოცხადებულია მეორედ მოსული უფლის ენად, ქართული ენა წინასწარმეტყველურად იღებს საღმრთო ენის, ანუ ღვთაებრივი ენის მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ პავლე ინგოროყვას ცნობით, „ქებაი ქართულისა ენისაი“ მოღწეული არ არის თავისი სრული ტექსტით. მას აკლია „ქებაი ქართველთაი“,

რომელსაც არ მოუღწევია ჩვენამდე. მაგრამ ამ მოღწეულითაც ნათელია, რომ კლარჯეთის მონასტრულ სამყაროში ენა ქართული – საუფლო ენაა და ერი ქართველი – საუფლო ერია. ამ დანაკლისს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-სას პირდაპირ ავსებს და ქართველი ერის სულიერ მისიას აგვირგვინებს გიორგი მთაწმინდელის სავედრებელი პავლე მოციქულისადმი, რომელშიც ავტორი პირდაპირ იძლევა განსაზღვრებას ქართველი ერისას, როგორც „ახალი საღმრთო ერის“:

*„დიდებულო, ქრისტეს მოციქულთა თაო!  
ახალსა ამას ერსა საღმრთოსა,  
ეკლესიისა ნესტუად ხმატკობილად,  
საღმრთოი შჯული დაგვიმტკიცე, ნეტარო,  
რამეთუ ძირი უღმრთოებისა განჰფხუარ,  
უმალლეს უფრო ცათა მალალთა,  
ლირწებაი ჰურიათაი დაანთქ ქუესკნელთა,  
აჰხედ სამ ცამდე, ღმრთივ სწავლულ იქმენ...“*

გიორგი მთაწმინდელის ეს სავედრებელი პავლე მოციქულისადმი, რომელმაც გიორგი მთაწმინდელის ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე, გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულ პავლე მოციქულის ეპისტოლეთა თარგმანებაზეა მინაწერი და, ბუნებრივია, ამ ეპისტოლეთა კონტექსტში იკითხება. „ისრაელი ვერ მისწვდა ქრისტეს“ – აცხადებს პავლე მოციქული – რაც იმას ნიშნავს მისი აზრით, რომ რჩეული ერი ღვთისა ვერ მისწვდა გვირგვინს თავისივე სჯულისას. პავლე მოციქულმა, როგორც ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელის ხედვაში „ჰურიათა ბილწება“ დანთქა უფსკრულში, რამდენადაც იესო ქრისტეს ცეცხლოვანი აღიარებით და მოციქულებრივი მსახურებით, მან შესძლო კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ებრაელთა ცოდვის გამოსყიდვა. ახალი საღმრთო ერისათვის ახალი საღმრთო შჯულის დამტკიცების ვედრებით, გიორგი მთაწმინდელი ქართველ ერს, როგორც ახალ საღმრთო ერს, ძველი აღთქმის საღმრთო ერთიან კონტექსტში წარმოადგენს და როგორც ახალი საღმრთო ერის წარმომადგენელი თავად და მვედრებელი, ახალი საღმრთო შჯულის

დამტკიცების სახით, ფაქტიურად, დიდი მოციქულისგან, როგორც ძველი აღთქმის რჩეული წარმომადგენლისაგან, ჩირაღდნის გადაცემას, ანუ ლოცვა-კურთხევას ითხოვს ქართველი ერის საღმრთო მისიის აღსრულებისათვის. რომელთადმი მიწერილ ეპისტოლეში პავლე მოციქული მთელი იმპერიის გასაგონად აცხადებს: „რჯულის დასასრული იესო ქრისტეა!“ (რომ. 10,4), ხოლო „ისრაელი, რომელიც ეძებდა სიმართლის რჯულს, სიმართლის რჯულს ვერ მისწვდა“ (რომ. 9,31), რადგან ისრაელი ვერ მისწვდაო ქრისტეს. ისევე, როგორც დავით აღმაშენებელი ბიბლიურ მეფეთადმი მიმართებაში, გიორგი მთაწმინდელი, როგორც წარმომადგენელი ქრისტესთვის ანთებული ერისა, გრძნობს თავის წარმომადგენლობას უპირატესი ერისას ქრისტეს გზით. იგი თავისი ვედრებით პავლე მოციქულისადმი აცხადებს, აგრეთვე, დიად წარმომადგენლობას პავლე მოციქულისას, როგორც შუამდგომლისას ძველსა და ახალ აღთქმას შორის, ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის ერებს შორის. გიორგი მთაწმინდელის განცხადებით, პავლე მოციქულია ის დიდი მოძღვარი, რომელსაც წილად ხვდა პატივი და უფლებამოსილება შუამდგომლისა ძველსა და ახალ აღთქმას შორის და პატივი და ღირსება ლოცვა-კურთხევის მიცემისა ახალი საღმრთო ერისათვის ახალი საღმრთო სჯულის დამტკიცებისა და აღსრულებისათვის.

სრულიად ნათელი და გამჭვირვალეა პავლე მოციქულისეული გაგება ახალი აღთქმისა და ძველი აღთქმის, ახლის უპირატესობისა ძველის მიმართ: „ახალიო, რომ თქვა, პირველის სიძველე გვაჩვენა“ – ბრძანებს პავლე მოციქული, იესო ქრისტესმიერი ახალი აღთქმის მიმართ და სრულიად ბუნებრივად და ლოგიკურად გვესახება, რომ მთაწმინდელი მამების წმინდათა წმინდა განსჯასა და შემეცნებაში პავლე მოციქულის პიროვნული მიუკერძოებლობა და ღვთიური ბრწყინვალეობა ჭეშმარიტების აღქმაში, იყო საფუძველი და საწინდარი მისდამი ზეციური მფარველობის შევედრებისა, ზეციური ლო-

ცვა-კურთხევისათვის და თანამონანილეობის მიღებისათვის ახალი ერის ღვთიურ დადგინებაში. ეს ახალი ერი კი, გიორგი მთანმინდელისათვის მისი მშობლიური ერი, ქართველი ერი იყო. გიორგი მთანმინდელის ეს სავედრებელი, ბუნებრივია, განაგრძობდა და ავსებდა ტაო-კლარჯეთის მამათა შემეცნებას, ავსებდა იმ თეორიას, რომელიც ტაო-კლარჯეთში, კლარჯეთის მონასტრულ სამყაროში ყალიბდებოდა როგორც თეორია ქართველი ერისა და ქართული ენის მესიანისტური დანიშნულებისა. საღმრთო ენაზე მოლაპარაკე ხალხის მესიანისტური დანიშნულების ჭეშმარიტება, ამ ხალხისა და მისი ქვეყნის უფლებამოსილებაშიც უნდა ასახულიყო. ხალხისა და ქვეყნის სიმბოლო და წარმომადგენელი მეფეა. და რადგან ამ დროის ეპოქალური ღირებულებებითა და რწმენით მესიანისტური დანიშნულება მხოლოდ დავითის მოდგმამ შეიძლება აღასრულოს, იქმნება საჭიროება მესიანისტური დანიშნულების ენაზე მოლაპარაკე ხალხმა მიიღოს დავით წინასწარმეტყველის სულიერი და მორალური მემკვიდრის სტატუსი, ანუ წოდება მისი სულიერი შთამომავლობისა. ამიტომ მესიანისტური დანიშნულების ენაზე მოლაპარაკე ხალხის პიროვნული განსახიერებანი, სამეფო დინასტიის წარმომადგენლები იღებენ წოდებას ისრაელიანთა დიდი მეფის, დავით წინასწარმეტყველის შვილობისას, ისევე, როგორც პიროვნულად იღებს იესო ქრისტე ხორციელი „ძეობის“ წოდებას იმავე ბიბლიური დავითისას. ბიბლიური ღირებულებებითა და რწმენით მესია მხოლოდ დავითიანო-

ბის დასტურით იმკვიდრებს თავის ღვთითობობულ უფლებამოსილებას. აქ მართლაც შევლავა, მოვიხმოთ მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს – პატრიარქის, კირიონ მეორის – საძაგლიშვილის უგაბედულესი შეფასება ებრაული დოგმატიებისა, რომლითაც, კათალიკოსის აზრით, „ებრაელებმა თითქმის ორი ათასეული წელი თავიანთ **დამონებაში** ამყოფეს მთელი მსოფლიო“. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სახარებაში თავად იესო ქრისტე აპროტესტებს ამ საჭიროებას „დავითიანობისას“: – რას ამბობენ ჩემზე, ვისი ძე არისო? – ეკითხება იგი სადუკველებს და სადუკველები პირდაპირ პასუხობენ: „– დავითის“-ო. მაშინ იესო ქრისტე ეტყვის მათ ისეთ სიტყვას, რომ ვეღარასოდეს გაუბედავენ ისინი შეკითხვასა და შეკამათებას: – თქვენ ხომ აღიარებთ, რომ მე ისა ვარ, ვინც უფლად აღიარა დავითმა? თუ უფალი ვარ მისი, ძე როგორღა ვარ?! (მათე, 22,45)

მათეს სახარებაში, სადაც იესო ქრისტე პირველივე სტრიქონით არის გამოცხადებული „ძედ დავითისად, ძედ აბრაამისად“, იმავე მათე მახარობლის განმარტებით ხორციელი შთამომავალი დავითისა ვერ იქნება, რადგან ქმარი მარიამისა, რეალური შთამომავალი დავითისა და აბრაამისა, იესო ქრისტეს ხორციელი მამა არ არის. იესო ქრისტე მხოლოდშობილია დედისაგან ქალწულებრივი შობით. ხორციელი მამა მას არა ჰყავს. ამიტომ მისი „დავითიანობა“ ფაქტიურად წოდებაა, რომელსაც მისი მესიად მოვლინების აღიარებისათვის ის გარემო და ის ხალხი საჭიროებს, რომელშიაც იესო ქრისტე იმყოფება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





## ნიუზ პოდქვაძე

### რა მშვენიერია ადამიანი, თუ ის ნამდვილად ადამიანია

პსპ

ამ შინაარსის სათაური, ვფიქრობ, ყველაზე უფრო მორგებული უნდა იყოს იმ აზრის გამო-სახატავად, რომელზედაც მინდა, მოკლედ გავა-მახვილო ყურადღება, კერძოდ, ადამიანის დამო-კიდებულებაზე შინაურ და არა მხოლოდ შინაურ ცხოველებთან მიმართებაში.

არ არსებობს ნახევრად კარგი, ან ნახევრად ცუდი ადამიანი. აღიარებული ჭეშმარიტებაა. იგი მეტ-ნაკლებად ან კარგია, ან – ცუდი. სწო-რედ რომ კარგი, სულიერად მდიდარი ადამიანი მაშინ შეიძლება ეწოდოს ადამიანს, როდესაც იგი არა მხოლოდ ადამიანებთან, არამედ ცხოვე-ლებთან მიმართებაშიც ინარჩუნებს თავის ადა-მიანურ დიდსულოვნებას. ამ მხრივ, ჩვენი ქვეყა-ნა, საქართველო, სამწუხაროდ, დიდ დეფიციტს განიცდის. ამას მოწმობს ჩვენს ქალაქებში, პაპა-ნაქება სიცხეში სრულებით უწყლოდ დარჩენილი მწყურვალე ძაღლებისა და კატების ხილვა, სხვა მრავალი სამწუხარო ფაქტი არსებობს, რომლის მიმართაც დიდი გულგრილობაა როგორც სახე-ლისუფლებო შესაბამისი სამსახურების, ასევე საზოგადოების მხრიდან. რომ არა ერთეული ღვთისნიერი ადამიანის დიდსულოვნება, კიდევ

უფრო საგანგაშო მდგომარეობა გვექნებოდა. სამწუხარო რეალობაა, უპატრონოდ დარჩენილი ცხოველებისადმი გამოჩენილი მზრუნველობა – შებრალება, მკურნალობა, დაპურება, წყლის მიწოდება და ა. შ. ხშირ შემთხვევაში გარშემო-მყოფთაგან დაცინვისა და გაღიზიანების საგა-ნიც კი ხდება, რაც უგნურებასთან ერთად, დიდ ცოდვად მიმაჩნია. ვფიქრობ, ადამიანის ასეთი მდგომარეობა ზნეობრივი დეფიციტისა და არა-საკმარისი განათლების შედეგი უნდა იყოს.

ადამიანების მიერ ცხოველთა მიმართ ადა-მიანური, დიდსულოვანი დამოკიდებულების აუცილებლობის შესახებ მიუთითებს მრავალი ისტორიული ფაქტი თუ ლეგენდა, რომელთა მიხედვითაც ყოველი ტრადიციული რელიგიის – იუდეველების, ქრისტიანების, მუსლიმანების, ბუდისტების წინამძღოლ მოციქულთა და წმი-დანთა ცხოვრება გამოირჩეოდა ცხოველთა მიმართ დიდსულოვნებით, მზრუნველობითა და სიყვარულით, რითაც მაგალითს აძლევდნენ თა-ვიანთ მრევლს, თუ როგორი უნდა იყოს ყოველ-მხრივ დიდსულოვანი, სრულყოფილი ადამიანი.

ქრისტიანულ სამყაროში საკმაოდ კარგადაა გავრცელებული ლეგენდა წმინდა სერაფიმე საროველზე, რომელიც ტყეში ცხოვრობდა და ამ ტყის ბინადარ დათვებთან მეგობრობდა; კარგადაა ცნობილი წმინდა დედა მატრონას შესახებ, რომელიც კატებისა და ძაღლების დიდი მფარველი და მეგობარი იყო. ან კიდევ არაერთი საინტერესო ამბავი ბუდისტი ბერების მეგობრობის შესახებ ჯუნგლების ბინადარ ვეფხვებთან და მგლებთან; თუ როგორ გადაარჩინა ავღანეთში გველმა ერთი ჯარისკაცი სიკვდილს, რომელიც მას და მის ახლად გამოჩეკილ წინილებს ხშირად თავის ულუფა რძით უმასპინძლდებოდა.

ისტორია საინტერესო ამბავს მოგვითხრობს მაჰმადიანთა მოციქულის, მუხამედის, დამოკიდებულებაზე ცხოველთა მიმართ.

ერთხელ, როდესაც მუხამედი, დევნილობაში მყოფი, ლოცვას აპირებდა, ნახა, რომ მის ხალათზე კატას ეძინა. მან კატა არ გააღვიძა და ხალათს ის კუთხე ჩამოაჭრა, სადაც მისი მეგობარი ფისო იწვა, აიღო ხალათი, დაფინა და ლოცვას შეუდგა...

ღვთისნიერმა ადამიანებმა თავიდანვე მიაქციეს ყურადღება, რომ ცხოველები, ეს იქნება შინაური თუ გარეული, როგორც არ უნდა მტაცებელი იყოს იგი, მათთან ხშირი ურთიერთობების შედეგად, როდესაც ისინი დარწმუნდებიან ადამიანის კეთილ ზრახვებში, სიკეთითვე პასუხობენ, ესმით ადამიანის. ისინი, ისევე, ფიქრობენ და განიცდიან, როგორც ჩვენ, მეგობრობაში კი უფრო უბოროტო და ერთგულნი რჩებიან, ვიდრე ადამიანები (ბოდიშს ვიხდი ადამიანთა მცირე გამონაკლისთან). ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ დიდმა ფრანგმა განმანათლებელმა ვოლტერმა, თავისი მოღვაწეობის გზაზე მეგობრების მიერ უმადურობით, ღალატით, გულგრილობით ბევრჯერ განზილებულმა, გულისტკივილით აღნიშნა: „რაც უფრო ვეცნობი ადამიანებს, უფრო მეტად მინდა ცხოველებთან ყოფნა“-ო...

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ასეთი სამწუხარო რეალობა გვაქვს, არ შეიძლება ვიყოთ პესიმისტები, რადგანაც ჩვენ, ადამიანები, ყველაფერში გამოსავალს და უკეთესი მომავლის იმედს უნდა ვხედავდეთ.

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, – ბრძანებს შოთა რუსთაველი. მართალია, ეს სიბრძნე სხვადასხვაგვარად შეიძლება განიმარტოს, მაგრამ მისი მთავარი არსი არის სიკეთე, დარწმუნების ნიჭი, კეთილი განწყობა სხვების მიმართ, ანუ ზნეობა. და აქ პირველი სიტყვა, უპირატესობა ენიჭება ადამიანს და არა გველს, ანუ ცხოველს. ამიტომაც იგი ადამიანი, მოაზროვნე, რომ იგი უფრო მაღლა უნდა იდგეს, უპირველესად, თავისი დიდსულოვნებით.

ხშირად გავიგონებთ, რომ ცხოველები, კერძოდ, ძაღლი, კატა თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ინსტინქტურად მოქმედებენ, რომ ისინი არ ფიქრობენ, არ აანალიზებენ ადამიანებთან ურთიერთობას, რაც უთუოდ მცდარი აზრი უნდა იყოს.

ფილოსოფიაში არის ასეთი სიბრძნე, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობაში ძალიან მეხმარება: „ის ცოდნა ცოდნა არ არის, თუ ვერ დაარწმუნე ადამიანი“. ვფიქრობ, რომ ეს სიბრძნე, არა მხოლოდ ადამიანებზე, ცხოველებზეც უნდა მოქმედებდეს, რაშიც ჩემი პირადი გამოცდილებიდან დავრწმუნდი.

ერთ-ერთი ამის ბრწყინვალე მაგალითია ჩემი და ჩემი ოთხფეხა მეგობრის – ვასილის ურთიერთობა; ვასილი ჩემი კატაა, „ვასკა“. ეს არ არის ისეთი ჩვეულებრივი ურთიერთობა – კატა პატრონს რომ ანიშნებს, გარეთ უნდა გასვლა, შია და ა. შ., არამედ ეს არის მსჯელობები, აზრთა გაზიარება, თუმცა იგი მხოლოდ თავისი საქციელით მპასუხობს. ასეთ დროს მე მას გულდანყვეტილი ვეუბნები ჩვენთან ფინჯან ყავაზე შეკრებილი ქალბატონების გასაგონად: – ეხ, ვასკა, სად არის სამართალი, ზოგიერთებს ენა უნდა ჰქონდეთ და შენ კი არა?..

სანამ ჩვენი საინტერესო საუბრების მაგალითებს გავისვენებდეთ, მოკლედ ვიტყვი ვასკას ბიოგრაფიასთან დაკავშირებით.

ვასკა, როგორც გადმოცემით ვიცით, წარმოშობით რუსეთიდანაა. მისი მამა – კოტე (მეზობელმა ჩამოიყვანა რუსეთიდან, თუ რომელი გუბერნიიდან, ეს უცნობია ჩვენთვის) ჩვენს ეზო-

ში ძალიან ცნობილი კატა იყო. ტანად დიდი, გამორჩეოდა რაინდული თვისებებით... როდესაც მისმა პატრონმა ბინა გაყიდა და სხვაგან გადავიდა, კოტე მას არ გაყვა და ეზოში არჩია დარჩენა...

უსახლკაროდ დარჩენილი კოტე ჩვენს ოჯახში შევიკედლეთ და დავმეგობრდით. იგი ძალიან აღზრდილი კატა იყო. 2006 წელს კოტე, უკვე საკმაო ასაკში მყოფი, მოულოდნელად გაუჩინარდა. ამ დროს, მაისის თვეში, ეზოში გამოჩნდა სამი კნუტი, ძმები. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ ისინი კოტეს შთამომავლები იყვნენ. სამივე ავიყვანეთ. ორი – „რიჟი“ და „ჩორნა“ სხვადასხვა, კარგ ოჯახში მივაბარეთ. ვასილი კი ჩვენთან დავიტოვეთ. იგი, ჩვენი ვარაუდით, დაბადებული არის 2006 წლის 15 მაისს.

ჩვენთან, ოჯახში, სადაც მეზობელი ქალბატონები ყავაზე იკრიბებიან, არის განსჯა იმისა, რომ ვასილი ხშირად თავისი უზნეო საქციელით სრულებით არ ჰგავს თავის მამას – კოტეს. მე ამის მიზეზი ქალბატონებს შემდეგნაირად ავუხსენი და ამით დავამთავრეთ ამ საკითხზე მსჯელობა: კოტეს შემთხვევითი კავშირის გამო მდაბიო ჯიშის მდედრ კატასთან, ანუ მდაბიო და გაუზრდელი დედის გამო ვასკა გენეტიკურად გამოვიდა ასეთი უზრდელი.

მიუხედავად ზემოაღნიშნული „საგანგაშო“ მდგომარეობისა, აღმოვაჩინე, რომ ვასკას გააჩნია განსაკუთრებული ნიჭი – მოსმენის უნარი, რაც უთუოდ წლების მანძილზე ფილოსოფიური საუბრების შედეგი უნდა ყოფილიყო, რომელიც სახლში მარტოდ ყოფნის დროს მქონდა მასთან. გავიხსენებ ერთ-ერთს მრავალთაგან.

2010-2011 წელი იქნებოდა. ერთ საღამოს ვასილი სახლში დაბრუნდა. გარეთ მოულოდნელად კოკისპირული წვიმა წამოვიდა. დაიწყო ქექა-ქუხილი, იტყოდი, ცა ჩამოქცევას აპირებსო. ამ დროს ვასკა მივიდა კარებთან და კარების გაღება მოითხოვა. მე ვიფიქრე, არაფერი ბუნებრივი მოთხოვნილება არ ესაჭიროება, ახლახან იყო გარეთ. მისი გარეთ გასვლა კი უბრალო ახირებაა. მეც ამ დროს მარტოდ მონყენილი ვიყა-

ვი. ვასკა კვლავ კნავის და დაჟინებით მოითხოვს კარების გაღებას. მაშინ დარწმუნების სხვა მეთოდს მივმართე, ჩავჯექი მუხლებზე, თვალბში შევხედე და ვეუბნები: – ვასკა, ადამიანებს აქვთ ასეთი გამონათქვამი: – „ისეთი საშინელი ამინდია, ძალი არ გაიგდება გარეთო“. შენ რომ ახლა გარეთ გახვალ და ვინმე მეზობელი დაგინახავს, რას იტყვის – ასეთ თავსხმა წვიმაში, ქექა-ქუხილში ძალი არ გაიგდება გარეთ და ნიაზი ბოლქვაძის ოჯახიდან შვილივით გაზრდილი ოჯახის კატა გამოგადესო, ამიტომ ნუ გააცინებ სხვებს ჩვენზე, დარჩი და დაისვენე. – მთელ ამ საუბარს ვასკა უკვე მშვიდად ისმენდა, ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მობრუნდა, ავიდა დივანზე და დილამდე მშვიდად ეძინა.

სხვა დროსაც მსგავს შემთხვევებს ვაკვირდებოდი და წლების მანძილზე დავრწმუნდი, რომ ეს არ იყო შემთხვევითი. როდესაც ვასკას ცხოვრებაში საჭიროებს ჩემი ჩარევა, მეგობრული რჩევები, იგი ყოველთვის ყურადღებით მისმენს და ღებულობს მას.

დასასრულს, შეიძლება ითქვას ერთი მთავარი. ჩემი გამოცდილებიდან კიდეც ერთხელ დავრწმუნდი იმ ცხოვრებისეული სიბრძნის ქემარიტებაში, რომელიც გვეუბნება: სწავლების სწორად გადაცემა, მსმენელისაგან ყურადღებით მოსმენა, სწორად გაგება თვით კაციჭამიასაც კი დაიმორჩილებსო (იხ. წიგნი: „წერილები ჩემს ვაჟს“, გვ. 14, ავტორი ნიაზ ბოლქვაძე).

აქედან გამომდინარე, უმჯობესია, ვიყოთ კეთილი და დიდსულოვანი სხვების, მათ შორის ცხოველების მიმართ, რომლებიც ბედის ანაბარა მიტოვებულნი ჩვენი ქვეყნის ისეთივე ბინადარნი, მკვიდრნი არიან, როგორც ჩვენ, ვიდრე ვიყოთ უხეშები, უგულოები, მაშინ, როცა ისინი რაიმე თანადგომას საჭიროებენ ჩვენგან.

ასეთი ადამიანური, დიდსულოვანი დამოკიდებულება ამ ცოდვილ სამყაროში გახალისებასთან ერთად უფლის წინაშე გვმატებს მაღლს „ორსავე სოფელსა შინა!“

## ნინო პურვანიძე თინა შიოშვილი

### გიორგი ყიფიანის პოეზია, ანუ თებერვლის ღამის ტკივილთა ექო

ვიყავ დევნილი, მქონდა ზრახვა ივერიელის,  
მნამდა სამშობლო – ყოველ ღმერთზე უფრო ძლიერი!

გ. ყიფიანი

ბოლშევიკური იმპერიის წინააღმდეგ ქართველ პატრიოტთა 1924 წლის აჯანყების ჩახშობას კვლავ მოჰყვა რუსული რეპრესიები: უდიდესი ნაწილი რჩეული ქართული ინტელიგენციისა დახვრიტეს, ნაწილი კი უკვე ნაცად ემიგრანტულ გზას დაადგა. მათ შორის იყო 15 წლის ქუთაისელი ჭაბუკი გიორგი ყიფიანი, შემდგომში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

გ. ყიფიანის ლექსების პირველი კრებული გამოიცა პარიზში 1935 წელს; მას მოჰყვა წიგნები: „რჩეული შაირების კრებული“ (1951, პარიზი), „ლექსები“ (1960, პარიზი), „ლექსები“ (1966, პარიზი), „პოეზია და სიცოცხლის ვაზი“ (1973, პარიზი), ლექსთა კრებული ფრანგულ ენაზე (1975, პარიზი), „ირინე და გიორგი ყიფიანების საზიარო პოეზია“ (1979, პარიზი).

1973 წელს პარიზში გამოცემულ გიორგი ყიფიანის კრებულს „პოეზია და სიცოცხლის ვაზი“, ისევე როგორც მის წინა თუ მომდევნო ლექსთა კრებულებს, მხურვალედ გამოეხმაურა ქართული ემიგრაცია. პარიზულ ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა გიორგი გამყრელიძის რეცენზია, რომელშიც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევდა თანამემამულის პოეტურ ნაღვანს: „პოეტი გიორგი ყიფიანი კარგად ცნობილი პიროვნებაა ემიგრაციაში. ის მრავალი ათეული წელი ცხოვრობს და მოღვაწეობს გარდახვეწილობაში როგორც მწერალი და მგოსანი. მან უკვე რამდენიმე ლექსთა კრებული გამოსცა და მისი მრავალი ლექსი გაფანტულია ემიგრაციის გამოცემებში“ (გამყრელიძე, 1972/73: 182-183). გ. გამყრელიძე, მიმოიხილავს რა გ. ყიფიანის ლექსთა კრებულს, ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ამ კრებულში, ისევე როგორც მის ძველ ლექსებში, ძირითადი თემაა „მშობლიური სევდა და ღირსი ელევგები დაკარგულ სამშობლოზე; გარდა ამისა, ის ლექსებს უძღვნის მის ახალ დედას, ანუ უკეთ, დედინაცვალს – საფრანგეთსა და მის ქალაქებს“ (იქვე). რეცენზენტი გამოყოფს გ. ყიფიანის კრებულის პირველივე გვერდზე განთავსებულ პატარა ლექსს, რომლითაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „პოეტი აფორიზმისებრი ტაეპით შესთხოვს უმაღლესს შენდობას“:

შეინდე ფიქრი, უცხოეთო, უცხო მწერლისა!  
 ო, უკვდავებავ, შენ იცოდე, არ გეტმასნები.  
 მე ნაწილი ვარ საქართველოს ბედისწერისა  
 და რუსთაველის ფეხთა მტვერის მეთასედი.

(იქვე)

რეცენზენტის სიტყვით, გ. ყიფიანის აღნიშნულ კრებულს მრავალი „ღირიულად გარანდული ლექსი“ ამშვენებს, რომელთა შორის გამოჩეულია „ულრმესი სიყვარულითა და ძლიერი მადლიერებით გაჟღენთილი“ ლექსი „პარიზს“. რეცენზიაში მთლიანად არის მოხმობილი ეს ლექსი, რომელშიც პოეტი ხოტბას ასხამს ქალაქს, რომელმაც „შეიმშვიდა“ ქართველ ემიგრანტთა სიცოცხლე და ამკობს უმშვენიერესი ეპითეტებით:

შენ შეიმშვენე ჩვენი სიცოცხლე,  
 შენ, ღმერთთა შორის მზიანო ზევსო!  
 ნაპოლეონის მუხლის სიმაგრევ,  
 ქალაქო, ქალო ულამაზესო!

(იქვე)

ამ ვრცელი სახოტბო ლექსის ბოლოს გ. ყიფიანი ასე მიმართავს საკუთარი დედაქალაქის შემცვლელ ევროპის ულამაზეს ქალაქს:

შენმა წლებმა შემოიფერფლა  
 ივერიელთა კუბო ძვალ-ხრეში.....  
 იყავ ნაცვალი საშობლოს, დედის  
 ჩემი სიცოცხლის სიმწუხარეში.

(იქვე)

აქვე გ. გამყრელიძე ყურადღებას ამახვილებს გ. ყიფიანის პოეზიის აფორისტულ-დიდაქტიკურ მხარეზე და მოიხმობს ლექსს „ევროპა“, რომლითაც ქართველი ემიგრანტი პოეტი, თავის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, აფრთხილებს ევროპას:

ვაშა, დიდება მთლიანობას, შიშით შეპყრობილს,  
 ერთა სიცოცხლეს, ერთად ყოფნას, ცხრათა თანხმობას!  
 ფრთხილად, ევროპავ, თავზე გადგას წითელი დევი,  
 რომლის მუცელშიც მრავალია პატარა ერი!

(იქვე)

გიორგი ყიფიანის პოეტური შემოქმედება უდიდესი სტიმული და მალამო იყო სევდადაუღეველი ქართული ემიგრაციისათვის. 1966 წლის ივნისში ბუენოს-აირესიდან თამარ პაპავა, ეხმაურებოდა რა მისი ლექსების ახალ კრებულს, წერდა: „...დიდ მადლობას გიძღვნით, რომ ჩემთვისაც შემოგინახავთ ეს სტრიქონები: „ალარც მზეს უნდა, შემითვისოს და ალარც – მინას, ვარ გაჩენილი შემოდგომის ყვითელ რტოებში...“ (პაპავა, 1967: 158-159).

ემიგრანტი მოღვაწე ა. შათირიშვილი უდიდესი კმაყოფილებითა და სიყვარულით ეხმიანება გიორგი ყიფიანის ყველა სტრიქონს, თუმცა გამორჩეულად გამოყოფს ლექსებს „დედის დარიგება“ და „შავი საათი“, რომლებიც, მართლაც, „ემიგრანტთა გულის სიღრმის ნადებია“; პირველი მობოდიშებაა მშობელი დედის, სამშობლოს მიმართ, რომელსაც „მადლობის ნაცვლად ძილში გამოუპარა“ პოეტი, მეორე კი – ემიგრანტთა გულებში დაგუბებული გრძნობების ამოხეთქვა, გაუნელებელი ნოსტალგია მშობლიური სანახებისა:

ნეტავ ამ ძილში მოვეკალ ვინმეს!...  
 მზე მთის მწვერვალზე გადმომდგარიყო,  
 მიწას აყრიდა ოქროსფერ მძივებს,  
 თავს ეხვეოდა ქოჩორა ქოხებს,  
 სამფერ არშიით ბავშვივით მორთულს.  
 სოფლის გოგონა მირეკდა ძროხებს,  
 გზა სახრეებით იხმობდა „ურმულს“...  
 ცვარით დანამულს გავცილდი მინდორს,  
 მწვანე ნოხებად ეზო გაშლილა,  
 თეთრი ზვირთები მოჰქონდა რიონს,  
 მხრებზე კლდეები გადმოენვინა...

(შათირიშვილი, 1966: 159)

მეგობარი სანდრო მანველიშვილი სან-ფრანცისკოდან გამოეხმაურა გ. ყიფიანის ლექსების ახალ კრებულს; „... ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა! არ მოგაკლოს წრფელი გული და გრძნობა უანგარო! შენ უფლება გქონდა, გაეთქვა:

„ვიყავ დევნილი, მქონდა ზრახვა ივერიელის,  
 მწამდა სამშობლო – ყოველ ღმერთზე უფრო ძლიერი!...“

(მანველიშვილი, 1967: 160)

ერთ-ერთ ადრეულ, 1951 წელს პარიზში დასტამბულ, გიორგი ყიფიანის ლექსების წიგნს – „რჩეული შაირების კრებული“, რომელშიც ლექსები თემატურ ციკლებში – „პორტრეტები უცხოეთის ჩარჩოებიდან“, „შაირები პოეზიის დღიურიდან“, „სურათები საქართველოს ლამეებიდან“ და ა. შ. – არის განაწილებული (სულ 164 გვერდი) და რომლის ყოველი სტრიქონი სამშობლოს სიყვარულითა და მასზე ოცნებით სუნთქავს, ახლავს ქართული სიტყვის უბადლო ოსტატის – გრიგოლ რობაქიძის წინასიტყვაობა, რომელშიც ხაზგასმით არის მინიშნებული გიორგი ყიფიანის პოეზიის ლაიტმოტივი: „თითქმის ყოველი შაირი გიორგი ყიფიანისა ამოძრავებულია ტკივილით სამშობლოს მონყვეტილი-სა. ავტორი დაშორებულია მშობელ მიწას ყმანვილობისას. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მის ტკივილს და თანაც კიდევ უფრო აღრმავებს მის სიყვარულს სამშობლოსადმი. კითხულობ მის შაირებს და გგონია, თითქოს იგი „აქედან“ წვდებოდეს მშობელ წიაღს „იქ“, რომ შეავსოს გემება მადლით სავსე ნაყოფთა დედულისა და მამულისა. წვდება კიდევ, ნატვრით წარმოსახული მას ხორცსხმულ სინამდვილედ ევლინება. ასეთია მძიმედი ძალა სიყვარულის, საკუთრივ ღრმა ტკივილით აღვივებული“ (ყიფიანი, 1951: 13).

უდიდესი სულიერი ტკივილებით გაჯერებულ ლექსში „ლოცვა უცხოეთიდან“ პოეტი ღვთისმშობელს შეახსენებს მისი წილხვედრი ქვეყნის სისხლისფერ წარსულს, ლანგ-თემურების, შაჰ-აბასებისა თუ სხვა დაუძინებელ მტერთა სისასტიკეს და, ამასთანავე, თანდართულ წითელ ჭირს და ევედრება, კვლავაც მოხედოს, რათა არ მოესწროს საქართველოს უქართველებოდ; თავად კი მზად არის, უდრტინველად შეხვდეს ყველაზე დიდ სასჯელს – აღესრულოს უცხოეთში:

შენ გინახავს ეს ქვეყანა  
 სისხლისფერი მრავალ წლიდან  
 გრიგალებში ბედისწერა,  
 უხსოვარი პირველ ხნიდან.  
 შენ გინახავს ლანგ-თემური,  
 შაჰ-აბასის ბასრი ხმალი,

სელჯუკები და სკვითები,  
 მინა სისხლზე გადამხმარი.

.....  
 დე, აქ მოვკვდე უცხო ლეში,  
 გევედრები, მეუფეო,  
 ნუ მომასწრებ სიცოცხლეში  
 საქართველოს უქართველოდ!

(ყიფიანი, 1951: 25)

სიყრმიდან სამშობლოს წიაღს მონყვეტილი შემოქმედის ნოსტალგიითა და ტკივილით გაჯერებული ლექსთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ლექსი „ზამთარი“. პოეტს ენატრება მშობელი ქვეყანა, მისი ტყეები, მთები, ველები, მდინარეები... ეს მონატრება ძლიერი და გაუსაძლისია და კულმინაციას აღწევს ქართული ყინვის მონატრებაშიც; პოეტს აგონდება ქათქათა თოვლში მინაბული ქართული სოფელი, თეთრფარაჯიანი მთები რომ ამოსდგომია ერთგულ დარაჯად, და დიდებულად ხატავს მის ვერბალურ პეიზაჟს:

დაგუნდულ გუნდების დაღლილი მკლავები,  
 ყინვების ნალესი, დაკიდულ ხანჯლებად,  
 სოფლისა დარაჯად მთები თეთრ-ფარაჯა,  
 ფორაჯა ფერებით ქოხები გაჯრილი...

(ყიფიანი, 1951: 37)

ლექსებს „ზამთარი“ და „გივი ყიფიანს“ მაღალი შეფასება მისცა გრიგოლ რობაქიძემ და გამოთქვა რწმენა, მოვა დრო და ეს ორი ლექსი ქართული პოეზიის ანთოლოგიას დაამშვენებსო: „ავტორს უფრო ემარჯვება ის, რასაც ფრანგნი „image visucle“-ს უწოდებენ. სამაგალითოა ამ მხრით შაირი „ზამთარი“. მარტოდ მარტო ეს სახე რად ღირს: „მხრებ-თეთრა არწივი, კლდეების ნაწილი“. „ზამთარი“, „გივი ყიფიანთან“ ერთად, სანიშნოდ შევა ოდესმე ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ (ყიფიანი, 1951: 13).

მშობელი ქვეყნისადმი უნაზესი სიყვარული და მოძალებული ნოსტალგია გიორგი ყიფიანის ლირიკულ გმირს ბოლომდე შეურიგებელს ხდის ბოლშევიკური ანექსიისადმი; მის შემოქმედებაში ძალზე ხშირად არის გამოთქმული სიძულვილი წითელი ქვეყნისადმი; ვერც შემოქმედის აღმაფრენას აპურებს წითელი ფერი, რადგანაც მისი სამშობლოს დამპყრობი კომუნისტური რუსეთის სიმბოლოდ აღიქმება. უცხოეთიდან კი ეს განცდა უფრო ძალუმი ყოფილა; ლექსში „ლოცვა უცხოეთიდან“ გიორგი ყიფიანი საუბრობს ახალი დროის წითელ შაჰ-აბასზე, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას რომ ემუქრება ნალეკვით:

ბედმა ისიც არ იკმარა.  
 დაამსხვრია ჯვარი ვაზის.  
 ღვთისმშობლის ხვედრს ემუქრება  
 წითელ ქვეყნის შაჰ-აბაზი.

(ყიფიანი, 1951: 25)

უცხოეთის ცის ქვეშ მყოფი გულანთებული პატრიოტი პოეტისათვის რუსეთი „წითელი ჯოჯოხეთია“, ავბედითი თებერვლის ღამის ტრაგედია კი – „ჯოჯოხეთის პირველი დრამა“, უღვთოდ დაჭრილსა და დაჩეხილ ქართულ მინაზე რომ გათამამდა:

წითელ ჯოჯოხეთს მოაქვს ზღვა და მიაქვს ხმელეთი,  
 მონების გლოვა ამღელვარებს დაღლილ სამყაროს,

თებერვლის ღამე, ტკივილებით ამონახეთქი,  
დაჩეხილ მიწის ჭრილობებში დაეძებს ნაყოფს.

(ყიფიანი, 1951: 58)

ნითელი ფერი მიუღებელია გ. ყიფიანის მსოფლგაგების სპექტრისათვის; მშვენიერ ლირიკულ ლექსში „გიჟს მეძახიან“ იგი წერს:

გიჟს მეძახიან, რომ მეშინია,  
ნითელი ფერის გარეთ და შიგნით...

(ყიფიანი, 1951: 101)

ნითელი ჯოჯოხეთისადმი ბოლომდე შეურიგებელი დარჩა ჩვენი ემიგრანტული მწერლობა და მისი ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გიორგი ყიფიანი. ამიტომაც ავბედითი თებერვლის ტკივილიანი თემა მისი პატრიოტული ლირიკის მუდმივი თანამდევია. უსათაურო ლექსში („...შენი სახელით დავიბადეთ...“) პოეტი უდიდესი სიფაქიზით იხსენებს თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ხანმოკლე დღეებს, როცა „წინ მიგვიძვოდა მზე და მთვარე ბავშვის ღიმილით“ და „მწვანე ფერები მიწის მკერდში იშლიდა ფესვებს“, მაგრამ, სამწუხაროდ, მწვანე და სასტიკმა რეალობამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა ქართულ სულს, „ყინვის კაცი“ მსახვრალმა ხელმა დააზრო ყოველივე და თებერვლის ყვავილებიც უღვთოდ გადაგვითელა. სამშობლოს სახელით დაბადებულთა და ნითელი ჯოჯოხეთით ფრთებშეკვეცილთა ამბოხია ეს მშვენიერი ლექსიც:

შენი სახელით დავიბადეთ ჩვენ ამა ქვეყნად,  
წინ მიგვიძვოდა მზე და მთვარე ბავშვის ღიმილით.  
აღბათ, შენ იყავ ჩვენი მოდგმის პირველი დედა,  
სულს რომ ამბოხებს უხილავი გულისტკივილი.  
იისფერ დილას, მთის მწვერვალებს და მის სიცელქეს  
ათამაშებდა ნაძვის ტყეთა ფოთოლთ შრიალი.  
მწვანე ფერები მიწის მკერდში იშლიდა ფესვებს  
და გაზაფხული, ყვავილებში პირმომცინარო.  
სუყველას გვერქვა მშვენიერი შენი სახელი,  
სუყველას გვერგო ტკივილების მწარე იარა,  
სიცოცხლის გზაზე ყინვის კაცმა შეგვაგლო ხელი  
და ყვავილებზე თებერვალმა გადაიარა.

(ყიფიანი, 1951: 60)

„ყინვის კაცი“ – ნითელი ჯოჯოხეთის ერთ-ერთი შემოქმედი და შემდეგ, სამი ათეული წლის მანძილზე, მის ბელადად აღიარებული იოსებ სტალინი – ემიგრანტი პოეტის ლექსის ადრესატიც გახდა. ლექსში „სტალინი“ (ციკლიდან – „პორტრეტები უცხოეთის ჩარჩოებიდან“) გიორგი ყიფიანი სტალინს უწოდებს ნითელი ქვეყნის უღმობელსა და მრისხანე ღმერთს, რომელიც, სამწუხაროდ, ქართული გვარისა იყო, რომელმაც საკუთარ მშობელს ხელ-ფეხი შეუბოროკა და მთელ პლანეტას დაემუქრა „ნითელი მეხით“. ლექსში კობა-სტალინი მოხსენიებულია ეპითეტებით: „ლეგენდა“, „ფოლადი“, „გაუზრელი“, „რკინა და რვალი“, სხეულში ბოროტი ჯინი რომ ჩასახლება, რომლის შეუპოვრობა და მიზანმიმართულობა სამშობლოს კეთილდღეობას არ მოხმარებია. ჯერ კიდევ „დიდი ბელადის“ სიცოცხლეში დაწერილ ამ ლექსში ავტორი მას „რომანოვების შთამომავლად“ მოიხსენიებს, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, სტალინის, როგორც კრემლის სიმბოლოს, რუსული სულისკვეთების მმართველის წარმოსაჩენად დასჭირდა. სხვა მხრივ გაუგებარი რჩება მისი აღქმა რომანოვების შთამომავლად,



რადგანაც წითელმა ურჩხულებმა არც რომანოვთა დინასტიას დააყარეს სიკეთე. ვფიქრობთ, გიორგი ყიფიანის ლექსი „სტალინი“ და მასში გადმოცემული პათოსი სრული გამოძახილია არამარტო ქართული ემიგრაციის სულისკვეთებისა, არამედ – „წითელ ზონაში“ დარჩენილი ქართველობისაც, რომელთაც, სამწუხაროდ, პირში წყალი ჰქონდათ დაგუბებული, რადგანაც თავის დროზე ვინც ხმა ამოიღო, „შეუბორკეს ხელი და ფეხი“; გიორგი ყიფიანმა კი მიგნებულად გაახმოვანა პატრიოტ ქართველ ემიგრანტთა თუ შორს მყოფ თავჩაქინდრულ თანამემამულეთა სათქმელი და შექმნა „წითელი ჯოჯოხეთის“ შემოქმედის სრულყოფილი პორტრეტი, რომელმაც კრემლის „ტაძარში“ ერთა ყმობა გამოჰქედა და დააკანონა, ხოლო კოჯორის მთაზე თამარის ჯვარი დაამსხვრია:

შენ ლეგენდა ხარ, გრიგალებში გაუგონარი,  
 პოლიუსებზე დაბჯენილი მაგარი ჩექმით,  
 მსოფლიო ტახტზე აყვანილი ქართული გვარი,  
 წითელი ქვეყნის უღმობელი, მრისხანე ღმერთი!  
 შემოგსევია სურვილები, სისხლით ნაზარდი,  
 დაჭრილ სამყაროს აბარბაცებ რკინის მახვილით,  
 ნგრევას დაჰყურებს ყუმბარებით ცა განაბზარი  
 და დგას დროშები, მკვლევლებივით თავებდახრილი.  
 საკუთარ მშობელს შეუბორკე ხელი და ფეხი,  
 კრემლის ტაძარში გამოკვეთე შენ ერთა ყმობა.  
 დაღლილ პლანეტას ემუქრები წითელი მეხით,  
 რომ სისხლისდენით წაანერო სახელი – „კობა“.  
 ჯიუტი ჯინი მკერდით მოგაქვს როგორც აბჯარი,  
 დარჩი ფოლადი, გაუხრელი, რკინა და რვალი.  
 კოჯორის მთაზე გადატეხე თამარის ჯვარი,  
 რომ რომანოვთა ყოფილიყავ შთამომავალი.

(ყიფიანი, 1951: 60)

გიორგი ყიფიანისათვის, ისევე როგორც მთელი ქართული ემიგრაციისათვის, მიუღებელი და შეურიგებელი იყო ქართველთათვის ძალით თავსმოხვეული ცნება „დიადი სამშობლო“ – საბჭოთა კავშირისა და ამდენად – ქართველთათვის დედაქალაქად მოსკოვის დასახვა. 1970 წელს დაწერილ ლექსში „ორი დედა“ პოეტი ამბობდა:

დედა მოსკოვი!  
 დედა თბილისი!  
 დედა ქალაქი? მითხარ, რომელი?!  
 დამისახელე  
 ქვეყნად ცხოველი,  
 რომ ორი დედა ჰყავდეს მშობელი!

(„კავკასიონი“, 1981: 54)

მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე მის დაჭრილ-დაჩეხილ ქვეყანაში წითელი ქარიშხალი რომ მძვინვარებდა, ორმაგ სიფხიზლესა და პასუხისმგებლობას აკისრებდა დღემუდამ სამშობლო ქვეყანაზე მოფიქრალ ქართულ ემიგრაციას; ერთ მუშტად შეკრულები, ერთმანეთს ამხნეებდნენ, რადგან იცოდნენ, „ბოროტი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“. ამიტომაც მოძღვრავდნენ შვილებსა და შვილიშვილებს, მუდამ ნედლი და გაუხუნარი ყოფილიყო მათთვის იდეა სამშობლო ქვეყნისა.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა გიორგი ყიფიანის ლექსი „გივი ყიფიანს“, რომელსაც გრიგოლ რობაქიძემ უწოდა „ანდერძი მამისა შვილისადმი“ და, როგორც აღვნიშნეთ, ქართული პოეზიის ანთოლოგიაში შესატან ნიმუშადაც მიიჩნია. თავად სამშობლოს სიშორის უღრმესი ტკივილებით გარემოცულმა, შენიშნა, რომ გიორგი ყიფიანის პოეზიაში დიდი ტკივილია გადამალული: „ერთი ტკივილი სუნთქავს კიდევ მის შაირებში: ტკივილი მალული, რადგან ინტიმური. ეს ტკივილიც იმგვარად ვეა შესრულებული, როგორც – პირველი, თუმცა მეტი სინაზით. გასაგებია, თუ რად. ორ ტკივილთა ერთი-მეორეში ჩაქსოვას წარმოუშვია ნამდვილი ლირიული შედევი „გივი ყიფიანი, ანდერძი მამისა შვილისადმი“.

სამშობლო ქვეყანას დანატრებული პოეტი უცხოეთში დაბადებულ ვაჟს უბარებს:

თუ ჩემს სიცოცხლეს, დარდზე ანაგებს,  
ელის სამარე უცხო მხარეში,  
ასე უამბე მეგობარ ფრანგებს  
ბედის იდუმალ სიმწუხარეში –  
შენ მამა გყავდა გზადაკარგული,  
მხოლოდ სიყვარულს ეძებდა ქვეყნად,  
შემოაღამდა უცხო მხარეში,  
როგორც ფოთოლი, წაიღო სეტყვამ.  
უსიყვარულოდ ის გარდიცვალა,  
დედის წერილი ჩაყვა უბეში.  
უცხო ბინაში დიდხანს იცადა,  
მისთვის სამშობლო იყო ნუგეში.  
ქართველი დარჩა მისი სახელი  
და ყიფიანი ერქვა მას გვარად,  
ბევრი ვაების იყო მნახველი,  
ამიტომ არვინ არ შეიყვარა.

.....  
შვილო, ეგ თხოვნა ისე შეგერგოს,  
როგორც სიცოცხლე, ვარდზე რხეული.  
ქართული ძუძუ არ გინოვია,  
მანც სისხლი ხარ ჩვენი სხეულის.

(ყიფიანი, 1951: 73)

გიორგი ყიფიანის პატრიოტული ლირიკის გამორჩეული ადრესატია 1918-1922 წლების ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, უბადლო მამულიშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. ლექსში „ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“ პოეტი უდიდესი სიყვარულით მიმართავს ქართველ ვაჟკაცს და „პატარა ქვეყნის დიდ რაინდს“ უწოდებს; გ. ყიფიანი გახაზავს, რომ საქართველოს არ უდგას ბედნიერი დღეები, ქართულ სინმინდეს ვეშაპი დაპატრონებია და თამარის უწმინდეს ბაღში ტაძარი იწვის, მაგრამ ქაქუცას სახელი მარადიულია ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, სიტყვა ქაქუცა განთიადის თანამდევია:

თამარის ბაღში ტაძარი იწვის,  
ვეშაპს წმინდანი დაუძლევი.  
შენი სახელი სამშობლო მინის  
გაუტეხელი ოქროს ხმალია!

.....  
 მიდის დღეები ბრძოლით ნარხევი,  
 ცეცხლის ქარები ქალაქს ჩაუცვამს,  
 კავკასიონზე შენი სახელი  
 სისხლით ნაქსოვი სიტყვა „ქაქუცა“.

.....  
 დღეს სინამდვილე სინჯავს იარაღს  
 და განთიადი შენს სახელს ელის.

(ყიფიანი, 1951: 77-78)

გიორგი ყიფიანმა მშვენიერი სტრიქონები უძღვნა ქართული სიტყვის აღიარებულ დიდოსტატს, მასავით ემიგრაციაში მყოფ უბადლო პატრიოტს გრიგოლ რობაქიძეს. ლექსში „გრიგოლ რობაქიძეს“ პოეტი თავისი ლექსის ადრესატს „პარნასის ელჩს“, ქართველთათვის ევროპის კარების გამხსნელს უწოდებს; აქვე ამხნეებს კიდევ, შეახსენებს, რომ მის სათაყვანებელ ერს უყვარს იგი. ამ გამხნევა-ბა-შეძახილს მაშინ, ალბათ, დიდი ადამიანური მისია ენიჭებოდა, რადგან საყოველთაოდ იყო ცნობილი, როგორ შერისხეს გასაბჭოებულ-განთლებულ საქართველოში თხემით ტერფამდე ქართველი და მშობელი მიწის ტრფიალი გრიგოლ რობაქიძე:

ვინა თქვა, ბედკრულს ერი არ გწყალობს,  
 შაირებს შეკრულს მაგარ თქმებიდან;  
 როს ფიროსმანის ფესვებით შემკულს,  
 ვაჟა გილიმის მაღალ მთებიდან.

(ყიფიანი, 1951: 70)

1951 წელს დასტამბული კრებულის გრიგოლ რობაქიძისიული წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ გ. ყიფიანს ეს ლექსი თავდაპირველად დაუბეჭდავს ჟურნალში „ბედი ქართლისა“. ამ ფაქტის გამო გრიგოლ რობაქიძეს დაუნერია პატარა წერილი გიორგი ყიფიანის პოეზიაზე და ჟურნალის რედაქტორისათვის – კალისტრატე სალიასთვის – გაუგზავნია. „ჩემი აზრი გიორგი ყიფიანის პოეზიის შესახებ მე უკვე გამოთქმული მქონდა მოკლედ ბარათში „ბედი ქართლისა“-ს რედაქტორის, კალე სალიას მიმართ, როცა ამ კრებულში ჩემდამი მიძღვნილი შაირი წავიკითხე“, – წერს გრიგოლ რობაქიძე.

სამშობლოს მონატრებით პირთამდეა სავსე გიორგი ყიფიანის ლექსების ციკლი „სურათები საქართველოს ღამეებიდან“. აი, ერთ-ერთი, მართლაც, შედეგრი ამ ციკლიდან – ლექსი „სურათი“, რომლის პოეტური ღირსების შესამკობად გრიგოლ რობაქიძემ ბრძანა: „ქალწულური სინრფელე გზნებისა და ნაგზნების ჩვილი გულის ფეთქვით აცხოველება... აი, სახასიათო გიორგი ყიფიანისა, როგორც ლირიკოსის; აქედან: ნარნარი მოქროლვით განფენა აღქმულის:

ათოვს და ათრობს  
 იისფერ ღამეს  
 თეთრი პეპლების  
 უსულო ფრენა,  
 სიჩუმის ზღაპარს  
 ყურს უგდებს მთვარე,  
 მთვარე პირბადე  
 და აღმაცერა.  
 რომელი მზეა

თვით პოეზია,  
 არ უნდა გრძნობა,  
 არ უნდა სიტყვა.  
 მთის მწვერვალებზე  
 ღრუბლები ზიან  
 როგორც იდუმალ  
 სიჩუმის კითხვა.

(ყიფიანი, 1951: 30)

გიორგი ყიფიანის პატრიოტული ლირიკა ქართული ეროვნული პოეზიის სისხლხორცეული ნაწილია. სამშობლოსაგან შორს ყოფნა პოეტისათვის, ისე როგორც მისი დიდი წინაპრის – დავით გურამიშვილისათვის, სრულებითაც არ ნიშნავს მშობლიური წიაღიდან მონყვეტას; იგი ერთგულია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ტრადიციებისა და, ამავე დროს, აქტიურად ეხმარება თანადროულ ქართულ სინამდვილეს. ამ თვალსაზრისითაც გ. ყიფიანის პოეზია ქართული მწერლობის ორგანული ნაწილია, ხოლო პატრიოტული ხასიათის ლექსები – ჩვენი გმირი წინაპრების სულიერებით გაჟღერებული და ტკივილიანი ანმყოფი გაჯერებული პოეტის სულის ამოძახილია, ავბედითი თებერვლის სუსხით მოცელებული ყვავილების ექოა.

1986 წელს პარიზული ჟურნალი „ჩვენი დროშა“, გიორგი ყიფიანის გარდაცვალების მწუხარე ამბავს რომ ამცნობდა ქართულ ემიგრაციას, საგანგებოდ მიუთითებდა მის გამორჩეულ პატრიოტიზმზე: „ტუხიას“ (ასე ეძახდნენ გ. ყიფიანს შინაურობაში – ნ. მ., თ. შ.) ლირიკული პოეტური ფერადოვანი შემოქმედება ჩვენი ხალხის უდიდეს გმირობას და პატრიოტიზმს უმღეროდა და გამოხატავდა ჩვენი ტანჯული ერის ამალღებულ მამულიშვილობას და გვაგრძნობინებდა სამშობლოს სანუკვარ სიყვარულის ფასს. ის ღრმად ჩასწვდა ჩვენი ერის ტრადედიას და თვითველ თავის ლექსით ხორცს ასხამდა ქართველი ერის პატრიოტულ მამა-პაპათა სისხლით მორწყულ ფესვებს, მას უვლიდა და ანედლებდა...“ („ჩვენი დროშა“, 1986: 98). მართლაც, სამშობლოს დანატრებული პოეტის ყოველი სტრიქონი თავს დასტრიალებდა ქართულ სინამდვილეს; მისი ყოველი სუნთქვისა და ამოძახილის მისამართი საქართველო იყო. ლექსში „საახალწლო“ გ. ყიფიანი ასე ეფერებოდა სულის შეძვრამდე მონატრებულ თავის ქვეყანას:

შობას გილოცავ, ჩემო სამშობლო!  
 გულში მიზიხარ, ვით საღმრთო რჯული.  
 შენი მხნეობა, შენი მზეობა  
 ჩემი სიცოცხლის არის მსაჯული.  
 გთხოვ, მაპატიო, თუ რამ შეგცოდე,  
 როგორც მშობელო ქართლის დედისა.  
 დედათდედავო ქართველ დედათა,  
 შენთან სიკვდილი თუ არ მეღირსა!

(„კავკასიონი“, 1981: 68).

პოეტის მახსოვრობიდან არ იშლებოდა ქუთაისური მაისი, რიონის ჩქერები, წითელი ხიდი, ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები და სხვა მისი ყრმობისდროინდელი ქალაქის თანამდევნი სახეები: „ჯღამაძის ქობის ტრიალი“ თუ „ღაღოს ღიმილი“, „შეშლილი მამო“ თუ „მონაფეთა გიჟი კისკისი“ და ამიტომაც 1958 წელს პარიზში დაწერილ ლექსში „ისევ ქუთაისი“ თავისებური ოდა უძღვნა მშობლიურ ქალაქს:

მასხოვს მაისი, ქუთაისის ბაღში ჩამჯდარი,  
 სხივების სიციხით დახუთული რიყის ქუჩები,  
 განაურჩები ჩანჩქერებით რიონის დენა,  
 „იალტის“ ქვაზე დასიცხული გულის სიმღერა.  
 წითელი ხიდი, მალლობიდან ტაძრის ნანგრევი,  
 ღამის არღნები, ლეჩხუმის გზა და მთვრალი ჭომა,  
 ქალაქის კუჭი – ყაფანი და მწვანე ბაზარი –  
 ლობიანი თუ ულობიო მჭადით ვაჭრობა.  
 ღადოს ღიმილი და ჯღამაძის ქოხის ტრიალი,  
 შეშლილი მაშო, მონაფეთა გიჟი კისკისი,  
 პატარა ბავშვი, შიმშილივით სახემტირალი –  
 ჩემი სამშობლო, დაბადება და ქუთაისი!

(„კავკასიონი“, 1964: 31)

რამდენადაც ცხოველმყოფელი იყო სამშობლოს მონატრება, იმდენად ძვირფასი ხდებოდა გ. ყიფიანისათვის ყოველი ქართველი ემიგრანტი, ვისაც ქართული საქმისათვის უცემდა გული. ვიქტორ ნოზაძისადმი მიძღვნილ ლექსში ამ დიდებულ ქართველ მოღვაწეს, ცნობილ ქართველოლოგს, გ. ყიფიანი „ღვთიური საქმის უღელში გაბმულს“ უწოდებს და იმედოვნებს, რომ ვ. ნოზაძისეული ქართული რუდუნება ამაოდ არ ჩაივლის:

შენი ამქვეყნად შენ არ გქონია,  
 შენი ყოველი ქართულს მიეცი.  
 დარჩები დროსთან განუყოფელი,  
 ვით რუსთაველის უკვდავი ლექსი.  
 .....  
 მზე დალაგდება ოქროს ბელტებად,  
 გაიორნატებს ღამე ღრუბლებში,  
 წაგიღებს სულის ამეტყველება  
 გაბმულს ღვთიური საქმის უღელში.

(„კავკასიონი“, 1965: 164)

ეფერებოდა გ. ყიფიანი ქართული ემიგრანტული სულის ნაღვერდლებს, როგორც შეეძლო, ისე აღვივებდა და მის ბედში მყოფთ შეახსენებდა დიდ ქართველ მამულიშვილებს, ქართული მწერლობისათვის, მშობელი ერის მსახურებისათვის თავდადებულ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გალაკტიონ ტაბიძეს. 1961 წელს პარიზში დაწერილ ლექსში „ორი მეუღლე“ („გუშაგი“, 1987: 10-11) საქვეყნო საქმეში ილიასა და აკაკის გვერდიგვერდ დგომასა და თავდადებას ხოტბა შეასხა პოეტმა და, ამავე დროს, ყველას გასაგონად თუ დასამოძღვრავად კვლავ გააჟღერა მათი სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“. ლექსის დასაწყის-დასასრულს კი ამშვენებს სტრიქონები:

ერთი უღელის ორი მეუღლე,  
 საუკუნეთა უღელი ტვირთი,  
 ხალხური გრძნობის დიდი მეუფლე –  
 აკაკის კვნესა, ილიას ფიქრი.

1932 წელს დაწერილ ლექსში „ილიას ხსოვნას“ („კავკასიონი“, 1978: 11) კი გიორგი ყიფიანმა ილიას სულს შეჰღმუვლა საქართველოში დატრიალებული უბედურება, როცა „ბაზალეთის ტბამ ცრე-

მლებში დაიძინა“ და „ოქროს აკვანიც ქარიშხალში“ მოხვდა, რადგანაც ილიასეულ სწრაფვას თავი-სუფლებისაკენ ნითელი ურჩხული გადაეღობა, რადგან

შენყდა ბრძოლა და ხმა ჩაიძირა,  
თებერვლის ქარი მოსთქვამს ქალივით. –  
გვარ-უსახელო იუნკრებს სძინავთ...

გ. ყიფიანის აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ „ცხრაასშვიდიდან დაეშვა ფარდა“; ხოლო 1921 წლის ეროვნული ტრაგედიის შემდეგ იგი ხედავს შუბლგატეხილი პოეტის აჩრდილს, „სახემრისხანეს, ვით საქართველო“, რომელმაც შესძახა მტერს: „– მეორედ მომკალ! გესმის, მტარვალო!“ ამიტომაც გ. ყიფიანის მუზა ილიასეულ ძალისხმევას ნატრულობს:

დღეს საქართველო თავდახრილია...  
შენზე ნატყვიარ-გაბზარულ მკერდით  
გიხმობს, გეძახის, დიდი ილია,  
შემუსრულ დროთა შარავანდედი.

1971 წელს დაწერილ ლექსში „ნიკოლოზი და გალაკტიონი“ („კავკასიონი“, 1971: 69) გ. ყიფიანი ქართული გენის ამ ორ ბრწყინვალე გამოხატულებათა სულებსაც იმავეს შესჩივის, რადგან პოეტის გულისწუხილი მარადიულია:

...თეთრი დათვი და ნითელი თათი,  
მზე სისხლიანი, წვიმების კვირა.  
გზავარედინზე ქრისტეს ხალათი,  
საფლავები და სიჩუმის ყინვა.  
შავი „მერანი“, და „ბედი ქართლის“,  
„მე და ღამე“ და „ლურჯა ცხენები“,  
არგათენება დიდი ღამისა,  
ცადაპყრობილი ქრისტეს ხელები.  
მეფეთა ჩვენთა გადვიდნენ დრონი,  
სხვა დრო მოვიდა და სხვა ნათება, –  
თებერვლის ღამე, ნითელი მთვარე  
და სისხლიანი ამონათება.

.....  
სულის წამება ან კი გვეყოფა,  
დაჯვარედინდა ჟამთა სტრიქონი, –  
ორი პოეტი – ორი ეპოქა:  
ნიკოლოზი და გალაკტიონი.

გიორგი ყიფიანის შემოქმედების ლირიკული ნაკადი უაღრესად სათუთი, ქართული სანუხარით პირამდე სავსე და, ამავე დროს, თვალსაჩინოდ ზოგადკაცობრიულია. ემიგრანტულმა ყოფამ ობლო-ბის გრძნობა გაუცხოველა, სევდით მოიცვა მისი პოეზიის ლირიკული გმირის მთელი არსება. ლექს-ში „გიჟს მეძახიან“ პოეტისათვის ეს ქვეყანა საპყრობილეა:

ვისი ხმა ისმის გულშემზარავი,  
რა გრიგალია, კედლებს რომ ებრძვის!  
ქვეყანა – ციხე... ზეცა – დარაჯი –  
ვინ მომათავსა ამ ცივ კარავში!..

(ყიფიანი, 1951: 101)

მიუხედავად ამგავრი სულიერი განცდებისა, წუთისოფლის გაუტანლობამ ვერ დაამარცხა პოეტი, ვერ დაუკარგა არსებობისა და ოცნების სურვილი; ვერ ჩაუხშო მისწრაფება და ნიჭი იმისა, რომ ხორბლის ერთ მარცვალში, ვითარცა ლექსის ერთ სტრიქონში, განეჭვრიტა სიცოცხლის სიდიადე, მზის ცხოველმყოფელობა და სიყვარულის ესოდენ საჭირო მარადიულობა:

ერთი მარცვალი ლექსის,  
 ერთი მარცვალი პურის.  
 თესავს სიცოცხლეს მართალს  
 მარცვალი სიყვარულის.  
 მზე ცეცხლის მარცვლად იწვის,  
 მზე, სიმწვანეში ნაზი.  
 მთელი სიმძიმე მიწის  
 მარცვალს წერტილად აზის.

(„კავკასიონი“, 1967: 158)

ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ 1983 წელს დაწერილ ლექსში „შემოდგომის ხე“, რომელშიც გახმობის პირას მისული ხე პოეტის ხვედრთან ასოცირდება და ხე-მცენარეთა ტოტემებად წარმოდგენის არქაულ რწმენას უკავშირდება, პიროვნულ სევდასთან ერთად, გამოთქმულია ღრმა რწმენა იმისა, რომ მადლიანი დედამიწა სათუთად შეუნახავს სამომავლო ფესვებს. პოეტიც უხმობს ჩიტუნებს – ჟრიამულის, სიცოცხლის სიმბოლოთ და სურს, იოცნებოს და იფიქროს გაზაფხულის ფერადოვნებაზე:

მოდით, ჩიტუნებო,  
 გადმოჰყევით გორებს,  
 თქვენი ჟრიამული  
 კიდევ გამაგონეთ!  
 აჩოჩხილი მხრები  
 ქარიშხალში ხმება,  
 ფოთლებგაძარცული  
 შემოდგომის ხე ვარ.  
 მოდით, ჩიტუნებო,  
 მოდით, მომეფერეთ!  
 გაზაფხულის ფერებს  
 ერთად მოვიგონებთ.  
 სხივთა სამოსელში  
 დილას ველარ ვნახავ,  
 მიწა არ გამწირავს,  
 ძირებს შემინახავს!

(„კავკასიონი“, 1986: 86)

გიორგი ყიფიანის პოეზიის ლირიკული გმირი, ეძიებს რა საკუთარ თავს, ლექსში „ვინაობა“ მშვენივრად ეხმიანება ადამიანთა მოდგმის ოდინდელ პრობლემას – ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რა მისია გვაკისრია. ამ ურთულესი დილემის პასუხი პოეტისათვის მშობელი დედის ტკივილიანი გახსენება და ყოველთა დაბადებულთა უპირველესი დედის – ღვთისმშობლისადმი მიპყრობილი სმენა და მზერაა:

ადამი,  
 ადამი,  
 ადამიანი.  
 საიდან მოვდივარ,  
 საიდან!  
 იქნების  
 ადამის დროიდან...  
 ჩემი ნიშანი  
 ჯვარია,  
 ჩემი სახელი  
 გვარია,  
 როდესაც  
 დედას ვახსენებ,  
 გისმენ,  
 წმინდაო, მარიამ!

(„კავკასიონი“, 1978: 10)

ადამიანური სანყისისა და შემდგომ კი მისი არსებობის საზრისის ძიების გზაზე მდგარი პოეტი, ვისთვისაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამყარო ცივი დედინაცვალი“ იყო და თვალში ნაცარს აყრიდა („კავკასიონი“, 1964: 43), ლექსში „შემოდგომის დასასრული“ ნატრობდა:

...სითბომ სიცივე გამითბოს,  
 გულმა გააპოს მყინვარი,  
 რომ გაიცინოს სიცოცხლემ,  
 მინა არ ვნახო მტირალი.  
 გავცილდე მკვლელთა სამყაროს,  
 გავხსნა კარები მზისანი,  
 ცამ სხივი გადმომყაროს  
 მოსულნი ღვთიურ გზისანი.

ამ მშვენიერი ლექსითაც გ. ყიფიანისათვის სიცოცხლის სანყისთან უპირველესად ასოცირდება ადამიანად ყოფნა და სამყაროსეული სიმშვიდისაკენ ლტოლვა, რათა უცხოობაში მოფართხალე პოეტის გულმა კვლავ ჰპოვოს მშობლიური სავანე და თავიც სრულყოფილ ადამიანად იგრძნოს:

...მინდა სიცოცხლის სანყისი,  
 რომ ვიყო ადამიანი.  
 ამღერდეს მთელი სამყარო  
 სიმშვიდის სალამურებით,  
 „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“,  
 ვიცოდე, რომ დავბრუნდები...

(„კავკასიონი“, 1986: 83)

მართალია, გიორგი ყიფიანის ამ ოცნებას არ ეწერა განხორციელება და „ტყის შრიალით შემკრთალი ბარტყი“ („ორი ობოლი“) ველარ მოეთხოვ დედის უბეს, მაგრამ დარჩა მისი შემოქმედება – თხემით ტერფამდე ქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი, საქართველოს წარსულის მეხოტბე და მის მომავალზე მლოცველი; როგორც თავად იწინასწარმეტყველა და ისურვა, „ქართველი დარჩა მისი




სახელი“, ხოლო მისი შემოქმედება ქართული ლიტერატურის ემიგრანტული ნაკადის ერთ-ერთი ღირებულო შენაძენია და უსათუოდ მის კუთვნილ ადგილს დამკვიდრებს ჩვენს მდიდარსა და მრავალსაუკუნოვან მწერლობაში. ლექსში „მე და განდიდება“ გიორგი ყიფიანი წერდა:

მე კალმით ვკინძავ გრძნობის ნამცეცებს,  
ხმა პოეზიის მზეზე ცოცხლდება.  
ცოდვილ მიწიდან ცა გამიტაცებს  
და თეთრ სიზმრებში ცეკვავს ოცნება.  
ტრფობით შევქენი, ტრფობით დავწერე,  
კალმით მოვხაზე ჩემი ცხოვრება...

(ყიფიანი, 1951: 61)

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გამყრელიძე, 1972-1973: გამყრელიძე გ., „გიორგი ყიფიანი: პოეზიისა და სიცოცხლის ვაზი“, – ჟ. „კავკასიონი“, №16-17, პარიზი;
2. „გუშაგი“, 1987: ჟ. „გუშაგი“, №14, პარიზი;
3. „კავკასიონი“, 1964: ჟ. „კავკასიონი“, №9, პარიზი;
4. „კავკასიონი“, 1965: ჟ. „კავკასიონი“, №10, პარიზი;
5. „კავკასიონი“, 1967: ჟ. „კავკასიონი“, №12, პარიზი;
6. „კავკასიონი“, 1971: ჟ. „კავკასიონი“, №15, პარიზი;
7. „კავკასიონი“, 1978: ჟ. „კავკასიონი“, №19, პარიზი;
8. „კავკასიონი“, 1981: ჟ. „კავკასიონი“, №20, პარიზი;
9. „კავკასიონი“, 1986: ჟ. „კავკასიონი“, №21, პარიზი;
10. მანველიშვილი, 1967: მანველიშვილი ს., გ. ყიფიანისადმი მიწერილი წერილი, – ჟ. „კავკასიონი“, №12, პარიზი;
11. პაპავა, 1967: პაპავა თ., „გამომხაურება გ. ყიფიანის ლექსთა კრებულის გამო“, – ჟ. „კავკასიონი“, №12, პარიზი;
12. ყიფიანი, 1951: ყიფიანი გ., „რჩეული შაირების კრებული გრიგოლ რობაქიძის წინასიტყვაობით“, პარიზი;
13. შათირიშვილი, 1967: შათირიშვილი ა., გ. ყიფიანისადმი მიწერილი წერილი, – ჟ. „კავკასიონი“, №12, პარიზი.



• • •

Յգնի՞ք թղթնա՞նձի? Յգնի՞ք մարտնա՞ծ? Յգնի՞ք մամուլո՞ւյ?  
զանայան՝ այնքո՞ն ճողճուսն ենցալա՞ծ նշալո՞ցձի?  
այնքո՞ն զն ենոյա յվաթցոյա ճեան վաւճալոյ?  
Ես Յգնն թարթձն գճալ յոջոյան զարեղ հճիկո՞ցձի?

Քեզձն ելաւանդ, հաղանիկ հազոն շջալո երեսմա,  
յոյոյեհոյոյոցձն Ես դաժա՞ծս ցազոյն ցազոյա,  
զթոցձն լուծալոյա ելաթոլոյան Ես լեռան եռնձի,  
Յգնի՞ք թղթնա՞նձի? Յգնի՞ք մարտնա՞ծ? Յգնի՞ք մամուլո՞ւյ?

 **კორიბი 3** 2017

---